მედიაციის შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი

თბილისი

2024

მედიაციის შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 2024

გამოცემულია საქართველოს მედიატორთა ასოციაციის და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მიერ გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და გერმანიის მთავრობის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელი არიან ავტორები. გამოცემის შინაარსი შესაძლოა არ გამოხატავდეს UNDP-სა და გერმანიის მთავრობის შეხედულებებს.

The Mediators Association of Georgia and Grigol Robakidze University have produced this publication with support from the United Nations Development Programme (UNDP) and the German Government. Its contents are the sole responsibility of the Mediators Association of Georgia and Grigol Robakidze University and do not necessarily reflect the views of UNDP and the German Government.

© შესაბამისი კომენტარის ავტორები, 2024

© სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაცია, 2024

კომენტარების ციტირების წესი: ავტორი, მედიაციის შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი, ყანდაშვილი ი. (რედ.), 2024, მუხლი, გვერდი.

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2024
თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-

რედაქტორი

ი. ყანდაშვილი

სამართლის დოქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის პროფესორი, სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარე, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საგანმანათლებლო საბჭოს თავმჯდომარე

ავტორები:

ი. ადეიშვილი

სსიპ საქართველოს მედიატოთა ასოციაციის ეთიკის კომისიის წევრი, მედიატორი.

გ. ბარნაბიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი, მოწვეული ლექტორი, ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი, ადვოკატი, მედიატორი

მ. ბიჭია

სამართლის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი, ევროპის უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი, სამართლის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, თბილისის თავისუფალი აკადემიის პროფესორი, ადვოკატი, მედიატორი

აკ. გაწერელია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი, კიოლნის უნივერსიტეტის მაგისტრი (LL.M.), სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის აკრედიტებული ტრენერი, ადვოკატი, მედიატორი (საქართველო, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა)

ნ. გერსამია

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტი, მედიატორი, ადვოკატი, დავის ადრეული და ეფექტური გადაწყვეტის ცენტრის ხელმძღვანელი

ს. დუღაშვილი

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრი და მოწვეული ლექტორი, ალტე უნივერსიტეტის და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი, სსიპ საქართველოს მედიატოთა ასოციაციის ეთიკის კომისიის თავმჯდომარე, მედიატორთა აკრედიტებული ტრენერი, მედიატორი

დ. ეგნატაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი, პროფესორის ასისტენტი, სსიპ საქართველოს მედიატოთა ასოციაციის ეთიკის კომისიის წევრი, მედიატორთა აკრედიტებული ტრენერ-შემფასებელი, მედიატორი

უ. თოდუა

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე, ევროპის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი, ილიას უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი

თ. იმნაიშვილი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტი, სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის აკრედიტებული ტრენერ-შემფასებელი, აღმასრულებელი დირექტორი, მედიატორი, ადვოკატი

გ. კიკილაშვილი

სამართლის დოქტორი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის და ალტე უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სსიპ საქართველოს მედიატოთა ასოციაციის აკრედიტებული ტრენერი, მედიატორი

ტ. სიხარულიძე

ილიასრსახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,რ სსიპ საქართველოსრმედიატორთა ასოციაციის რაღმასრულებელი საბჭოს წევრი, მედიატორთა აკრედიტებული ტრენერი, მედიატორი

ს. ტყემალაძე

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ასისტენტ-პროფესორი, მედიატორი, საქართველოს არბიტრთა ასოციაციის ეთიკის კომისიის წევრი, არბიტრთა სამეფო ინსტიტუტის (ClArb-ის) აკრედიტებული საერთშორისო ტრენერი, აიპ რიზლოვ-ის თანადამფუძნებელი.

ი. ყანდაშვილი

სამართლის დოქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის პროფესორი, სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარე, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საგანმანათლებლო საბჭოს წევრი

ს. ჩაჩავა

სამართლის დოქტორი, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დეკანი, პროფესორი, მედიატორი, სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი, მედიატორთა აკრედიტებული ტრენერ-შემფასებელი, აიპ რიზლოვ-ის თანადამფუძნებელი.

ე. ჩაჩანიძე

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) აღმ. პარტნიორობის რეგიონული ფონდის დირექტორის მოადგილე, მედიატორი, მედიატორთა აკრედიტირებული ტრენერ-შემფასებელი, გერმანიის სამოხელეო აკადემიის მიერ სერტიფიცირებული ტრენერი, ჯიპას მოწვეული პროფესორი.

ნ. ჩიტაშვილი

სამართლის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის წევრი, მედიატორთა აკრედიტებული ტრენერ-შემფასებელი, მედიატორი.

ა. ხურციძე

საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტი, საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დეკანი, სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის წევრი, გაეროს გლობალური პანელის მედიატორი, დავის გადაწყვეტის საერთაშორისო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (აშშ).

ს. ჯორბენაძე

სამართლის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის აკრედიტებული ტრენერი, მედიატორი, ადვოკატი, არბიტრი, ევროპის საბჭოს ექსპერტი

დამკაბადონებელი: ნათია დვალი

რედაქტორი

ირაკლი ყანდაშვილი

ავტორები:

მუხლი 1 - გურამ ბარნაბიშვილი, ტარიელ სიხარულიძე
მუხლი 2 - მიხეილ ბიჭია, სერგი ჯორბენაძე
მუხლი 3 - ნათია ჩიტაშვილი, მიხეილ ბიჭია, გურამ ბარნაბიშვილი, აკაკი გაწერელია, დემეტრე ეგნატაშვილი
მუხლები 4-5 - ანა ხურციძე, ეთერ ჩაჩანიძე
მუხლი 6 - ირაკლი ადეიშვილი, სოფიო დუღაშვილი, სოფიო ტყემალაძე
მუხლი 7 - აკაკი გაწერელია, ნათია ჩიტაშვილი, დემეტრე ეგნატაშვილი
მუხლი 8 - ნათია ჩიტაშვილი, აკაკი გაწერელია
მუხლი 9 - სერგი ჯორბენაძე, ტარიელ სიხარულიძე, ნათია ჩიტაშვილი
მუხლი 10 - სოფიო დუღაშვილი, ეთერ ჩაჩანიძე
მუხლი 11 - სოფიო ჩაჩავა, სოფიო ტყემალაძე
მუხლი 12 - ირაკლი ადეიშვილი
მუხლი 13 - ირაკლი ყანდაშვილი, ნინა გერსამია, თამარ იმნაიშვილი
მუხლი 13^1 - გოგა კიკილაშვილი, ნინა გერსამია, თამარ იმნაიშვილი, ირაკლი ყანდაშვილი
მუხლი 13^2 - უჩა თოდუა, ნინა გერსამია, ირაკლი ყანდაშვილი, თამარ იმნაიშვილი

სარჩევი

რედაქტორის წინათქმა 9

გურამ ბარნაბიშვილი / ტარიელ სიხარულიძე
მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო..... 14

მიხეილ ბიჭია / სერგი ჯორბენაძე
მუხლი 2. ტერმინთა განმარტება 26

ნათია ჩიტაშვილი / მიხეილ ბიჭია / გურამ ბარნაბიშვილი /
აკაკი გაწერელია / დემეტრე ეგნატაშვილი
მუხლი 3. მედიაციის წარმართვის პრინციპები..... 56

ანა ხურციძე / ეთერ ჩაჩანიძე
მუხლი 4. მედიატორის არჩევა / დანიშვნა 97

ანა ხურციძე / ეთერ ჩაჩანიძე
მუხლი 5. მედიატორის შერჩევის დროს გასათვალისწინებელი
გარემოებები..... 105

ირაკლი ადეიშვილი / სოფიო დუღაშვილი / სოფიო ტყემალაძე
მუხლი 6. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება და
მედიატორის საქმიანობის შეზღუდვა..... 111

აკაკი გაწერელია / ნათია ჩიტაშვილი / დემეტრე ეგნატაშვილი
მუხლი 7. მედიაციის დაწყება 127

ნათია ჩიტაშვილი / აკაკი გაწერელია
მუხლი 8. მედიაციის წარმართვა..... 152

სერგი ჯორბენაძე / ტარიელ სიხარულიძე / ნათია ჩიტაშვილი
მუხლი 9. მედიაციის დასრულება 189

სოფიო დუღაშვილი / ეთერ ჩაჩანიძე
მუხლი 10. კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება..... 207

სოფიო ჩაჩავა / სოფიო ტყემალაძე
მუხლი 11. მედიატორის საქმიანობის ანაზღაურების
წესი და პირობები..... 224

ირაკლი ადეიშვილი
მუხლი 12. მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა 237

ირაკლი ყანდაშვილი / ნინა გერსამია / თამარ იმნაიშვილი
მუხლი 13. სამედიაციო მორიგების აღსრულება..... 241

გოგა კიკილაშვილი / ნინა გერსამია / თამარ იმნაიშვილი /
ირაკლი ყანდაშვილი
მუხლი 13[1]. საერთაშორისო სამედიაციო მორიგების
ცნობა და აღსრულება..... 263

**უჩა თოდუა / ნინა გერსამია / ირაკლი ყანდაშვილი /
თამარ იმნაიშვილი**
მუხლი 13[2]. საერთაშორისო სამედიაციო მორიგება,
რომელიც ცნობასა და აღსრულებას არ ექვემდებარება..... 279

დ ა ნ ა რ თ ი

მუხლი 14. საქართველოს მედიატორთა ასოციაციის
შემადგენლობა და ფუნქციები, მედიატორთა ერთიანი რეესტრი 291

მუხლი 15. მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო..... 294

მუხლი 16. მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარე 296

მუხლი 17. მედიატორთა ასოციაციის დაფინანსების წყაროები.... 297

მუხლი 18. გარდამავალი დებულებანი 298

რედაქტორის წინათქმა

დღევანდელი მსოფლიო გადატვირთულია სხვადასხვა შინაარსის კონფლიქტური სიტუაციებით, რაც საზოგადოებას ხელს უშლის განვითარებაში, რადგან დავა გავლენის მომხდენია პირების ფსიქო ემოციურ ყოველდღიურობაზე.

ნებისმიერ სამართლებრივ სისტემაში და რა თქმა უნდა საქართველოს მაგალითზეც, მოდავე მხარეებს უზრუნველყოფილი აქვთ სასამართლოსათვის მიმართვის კონსტიტუციური უფლება, რაც ასევე საერთაშორისო სტანდარტებით დაცული და უზრუნველყოფილი, გარანტირებული უფლებაა.

სასამართლო საუკუნეებია დამკვიდრებულია, როგორც მხარეებს შორის არსებული დავის ბუნებრივი გადაწყვეტის ადგილი; თუმცა საუკუნეების მანძილზე სასამართლო საქმისწარმოების გამოყენების გამოცდილებამ საზოგადოება და სასამართლო საქმისწარმოების სერვისის მომხმარებლები დაარწმუნა მსგავსი ფორმით და საშუალებით დავის გადაწყვეტის არაეფექტურობაში, რაც განსაკუთრებით თვალშისაცემია სასამართლო წარმოების დროში გახანგრძლივებულობით და პროცესის წარმოებასთან დაკავშირებული ფინანსური დანახარჯებით; ისევე როგორც სასამართლოში დავის ინიცირებით მხარეები რეალურ კონტროლს კარგავენ და ხელიდან უშვებენ სადავეებს საქმის მიმდინარეობასა და შედეგზე. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყოველგვარი სამართლებრივი დავის, განურჩევლად მისი ხასიათისა და სირთულისა, სასამართლოსთვის მინდობა, რიგ შემთხვევაში გაუმართლებელი შეიძლება აღმოჩნდეს, რაც თავისთავად იწვევს საჭიროებას სასამართლოს ალტერნატიული ეფექტური მექანიზმების გაჩენისა პრაქტიკაში. ფაქტია, რომ ტრადიციული ფორმები დავის გადაწყვეტის, ისეთი როგორიც არის სასამართლოს წინაშე საქმისწაროება ან თუნდაც საარბიტრაჟო საქმისწარმოება, აღარ წარმოადგენს ეფექტურ მექანიზმს, რათა გაუმკლავდეს დღითი დღე მზარდ დავებს მხარეებს შორის, მათ შორის დაბალი ღირებულების და საზღვართშორისი დავების მატების ფონზე. მედიაციის ფართოდ გავრცელებას და დამკვიდრებას აქვს ობი-

ექტური მრავალი წინაპირობა, თუმცა ყველაზე მეტად გავრცელებულ საფუძვლებს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ამ ფორმის დანერგვისა წარმოადგენს მისი თვალშისაცემი უპირატესობა ფინანსური ხარჯების და დროის დანახარჯის კუთხით, ხოლო საზღვართშორისი მედიაციის შემთხვევაში მხარეების ნაკლები ცოდნა და ნდობა დავის წარმოების ადგილის იურისდიქციისა, შესაბამისად, ნამდვილად არ არის გასაკვირი, რომ მედიაცია იმკვიდრებს თავს, როგორც დავის გადაწყვეტის ეფექტური ინსტრუმენტი.

დღეისათვის მედიაცია წარმოადგენს ყველაზე სწრაფად განვითარებად დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებას მსოფლიოში, რომელსაც ახასიათებს მესამე დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და ნეიტრალური პირის ჩართულობით, კონფიდენციალური და სტრუქტურირებული პროცესის ფარგლებში, კონფლიქტის მხარეებისათვის დავის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობის დელეგირება, რაც მედიაციის აღქმის მთავარი მახასიათებელი თვისებაა. მედიაცია კონფლიქტის რეგულირების ეფექტურ ალტერნატიულ ინსტრუმენტს წარმოადგენს, რადგან ეს არის მოლაპარაკების პროცესი, მხარეებს შორის მოლაპარაკების პროცესი, რომელ პროცესშიც თავად მხარეები აღწევენ გადაწყვეტილებებს, რაც მათი წარმოებული მოლაპარაკების შედეგს წარმოადგენს.

მნიშვნელოვანია მხარეებს კარგად ესმოდეთ, რომ მედიაციის ფარგლებში წარმოებული მოლაპარაკებით ისინი მუდამ სარგებელს იღებენ, კერძოდ, შესაძლოა მოლაპარაკება კონკრეტული შეთანხმებით ვერ დაასრულონ, თუმცა მათ იმაზე კარგად ეცოდინებათ კონფლიქტის მიზეზების და დავის შესახებ ვიდრე ეს მედიაციის დაწყებამდე იყო, რაც შესაძლოა შემდგომში გახდეს წინაპირობა დავის მორიგებით დასრულების, რადგან ისინი მედიაციაში იყვნენ ჩართულნი მოლაპარაკებაში, რა დროსაც ერთმანეთთან უშუალო კომუნიკაციით მიეცათ საშუალება ესაუბრათ საერთო ენაზე და გაეცვალათ ერთმანეთისთვის ინფორმაცია.

შესაბამისად უდავოა, რომ მოლაპარაკების პროცესს მხარეებისთვის ყოველთვის მოაქვს დადებითი შედეგი, რადგან მოლაპარაკების პროცესში დგება დიალოგი კონფლიქტის მხარეებს შორის, რა

დროსაც გაცილებით მეტს იტყობენ ერთმანეთის საჭიროებების და საკუთარი მიზნების მიღწევის გზების შესახებ, ვიდრე ეს პროცესის დასაწყისში იცოდნენ, სწორედ ამ პლატფორმას – მოლაპარაკების სივრცეს სთავაზობს მედიაცია, როგორც დავის რეგულირების მექანიზმი, ამით დაინტერესებულ მხარეებს.

აღნიშნული კომენტარი წარმოადგენს მცდელობას, შეეთავაზოთ იურისტებსა და ადვოკატებს, მათ შორის მომავალ თაობას მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის ახალი ეფექტური საშუალება და მოლაპარაკება, როგორც უალტერნატივო მცდელობა დავის შეთანხმებით დასრულების, რათა მოემზადონ პრაქტიკულ ცხოვრებაში მათ წინაშე მდგარი კონფლიქტური სიტუაციების ეფექტური მართვისთვის, თუნდაც ყოველდღიურ ცხოვრებაში მედიაციის, მოლაპარაკების, დიალოგის კულტურის ცხოვრების წესად დანერგვისათვის ჩვენს ქვეყანაში, რისთვისაც მათ ესაჭიროებათ სრულყოფილი აღქმა იმისა, თუ რას არეგულირებს და როგორ უნდა განმარტონ „მედიაციის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონმდებლობა.

აღნიშნული კომენტარი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უშუალოდ მედიატორებისთვის, რა თქმა უნდა წარმომადგენლობის ფუნქციის განმხორციელებელი პირებისათვის, დიდწილად იურისტებისთვის, ადვოკატებისთვის მართებულად ესმოდეთ მედიაციის და მასში საკუთარი როლი მედიაციის პროცესში მიმდინარე მოლაპარაკებაში, რადგან ხშირია, როდესაც უშუალოდ მედიაციის მომხმარებლები, მხარეები და მათი წარმომადგენლები აღნიშნულ პლატფორმას ისევე შეჯიბრებითად უდგებიან, როგორც სასამართლოსა თუ არბიტრაჟში ახორციელებენ საკუთარი უფლებების რეალიზებას;

შესაბამისად, წინარე კომენტარის მიზანი მათ შორის გახლავთ დავანახოთ საზოგადოებას და მათ უშუალოდ მედიატორებს და იურისტებს მედიაციის მარეგულირებელი ნორმების არსი, ასევე მედიაციაში მათი სწორი როლი, მისია და დანიშნულება სამედიაციო მოლაპარაკების პროცესში, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მაღალია ალბათობა ვერ მიიღწეს შეთანხმება, რადგან ამ პროცესში ყველა ამ

სუბიექტის როლი და დატვირთვა დიდია, შესაბამისად მოლოდინიც მათი მხრიდან სწორი ჩართულობის მაღალია.

სწორედ ამ პროცესში ვართ დღეს საქართველოში, როდესაც ყოველდღიურად მიმდინარეობს პროცესი საზოგადოებისთვის მედიაციის დანახვების, წარმოჩინების და შეთავაზების, იურისტებისთვის მედაიციის არსის განმარტების და არა როგორც მათი კონკურენტი პროცესის, არამედ პროცესის, სადაც მათ უნდა შეასრულონ საკუთარი ფუნქცია წარმომადგენლის, ოღონდ მცირედით განსხვავებული უნარების და ცოდნის გამოყენებით. სწორედ ამ კუთხით იმედს ვიტოვებთ წინარე კომენტარები, რომელიც ახლად ამოქმედებული კანონმდებლობის და დაგროვილი პრაქტიკის მაგალითზე პირველ მსგავს მცდელობას წარმოადგენს, გახდება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლის შემსრულებელი, რომ სრულიად საზოგადოება სწორად განეწყოს მედიაციის მოლაპარაკების პროცესში საკუთარი ფუნქციის სწორად შესრულებისთვის.

აღნიშნული კომენტარის შექმნას განსაკუთრებით შეუწყო ხელი სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ“, რომლის მხრიდან აღნიშნულის შექმნის ინიციატივა მუდამ საჯაროდ ფიქსირდებოდა და მნიშვნელოვანია, რომ იდეა კონკრეტულ შედეგში გადაიზარდა და უდიდესი მადლობა გერმანიის მთავრობასა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) „კანონის უზენაესობის პროექტს“, რომელმაც იდეის ტექნიკურ რეალიზებას ფრთები შეასხა და აგრძელებს მედიაციის, დღიდან საკანონმდებლო აქტის პროექტის იდეის გაჩენისა, საქართველოში მხარდაჭერას.

განსაკუთრებული მადლობა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს და მის რექტორს აკად. მამუკა თავხელიძეს, რომელმაც უზრუნველყო კომენტარების შექმნის პროცესის საორგანიზაციო გამართულობა და მატერიალური სახით კომენტარების ბეჭდური სახით ხელმისაწვდომობა. ხაზგასმით აღსანიშნავია, უნივერსიტეტების როლი მედიაციის დანერგვის საქმეში, რადგან სწორედ უნივერსიტეტის მერხთან იჭედება ხვალინდელი საქართველო და ამ კედლებში მედიაციის სწავლების უზრუნველყოფა არის წინაპირობა

განვითარებული და სოციალურ მშვიდობაზე ორიენტირებული თაობის მიღების.

იმედს ვიტოვებ აღნიშნული კომენტარი გახდება ერთი მხრივ, მედიაციის პროცესის ფასილიტატორი მედიატორებისათვის, მოდავე მხარეებისთვის და მედიაციაში წარმომადგენლობის ფუნქციის განხორციელების მიზნით იურისტებისთვის ერთგული თანამგზავრი და მეორე მხრივ, წინაპირობა საქართველოში მედიაციის, როგორც დავის გადაწყვეტის ეფექტური მექანიზმის, რეალურად დამკვიდრებისა და საზოგადოებაში მოლაპარაკების კულტურის შემდგომი განვითარების.

მინდა მჯეროდეს, რომ ქვემორე ნაშრომი ხელს შეუწყობს მედიაციისადმი და ამ პროცესში მიმდინარე მოლაპარაკებებისადმი ინტერესის მქონე იურისტების, პრაქტიკოსი ადვოკატების კიდევ უფრო მეტ ჩართულობას მედიაციაში და პოპულარიზაციას.

პროფ. დოქტ. ირაკლი ყანდაშვილი



სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ თავმჯდომარე
სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ საგანმანათლებლო საბჭოს თავმჯდომარე

გურამ ბარნაბიშვილი / ტარიელ სიხარულიძე

მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

I. ზოგადი დებულებები 15
1. ნორმის არსი და ფუნქცია 15
2. რეგულირების მოდელები 15
II. კანონის მიზანი და რეგულირების სფერო 17
1. კანონის მიზანი (1 I) 17
2. კანონის მოქმედების ფარგლები და რეგულირების ობიექტი (1 II) 18
III. მედიაციის სახეები, რომელზეც არ ვრცელდება კანონის მოქმედება (1 III) 19
1. სანოტარო მედიაცია 19
ა. ნებაყოფლობითი სანოტარო მედიაცია (1 III ა) 20
ბ. სავალდებულო სანოტარო მედიაცია (1 III ბ) 21
3. კოლექტიური შრომითი დავების მედიაცია (1 III დ) 23

1. ეს კანონი დავის ალტერნატიული გზით გადაწყვეტის წახალისებისა და შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით განსაზღვრავს მედიაციის წარმართვის პრინციპებს, მედიატორთა პროფესიული გაერთიანების ორგანიზებისა და საქმიანობის წესებს, მედიატორის უფლებამოსილებებს, საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობისა და აღსრულების წესებს და მედიაციის პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

2. ამ კანონის მოქმედება ვრცელდება მედიაციის თაობაზე შეთანხმების საფუძველზე წარმართულ მედიაციაზე, აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXI[1] თავით განსაზღვრულ სასამართლო მედიაციაზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თავისებურებათა გათვალისწინებით.

3. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სანოტარო მედიაციაზე, „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სანოტარო მედიაციაზე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით გათვალისწინებულ მედიაციასა და კოლექტიური დავის განხილვისა და გადაწყვეტის მიზნით საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“ გათვალისწინებულ მედიაციაზე.

I. ზოგადი დებულებები

1. ნორმის არსი და ფუნქცია

პირველი მუხლი უთითებს კანონის უმთავრეს მიზანზე – მედიაციის წარმართვის პრინციპების სისტემურად ჩამოყალიბებისა და „მედიატორის“, როგორც პროფესიის, უფლებამოსილების განსაზღვრისა და დამოუკიდებელი პროფესიული გაერთიანების სახით ჩამოყალიბების გზით წახალისდეს დავების (სასამართლოსგან) ალტერნატიული გზით გადაწყვეტა. ამასთანავე, განსაზღვრავს კანონის რეგულირების ობიექტს და მოქმედების სფეროს, გამოკვეთს კანონის ურთიერთმიმართებას საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებთან.

2. რეგულირების მოდელები

მედიაცია წარმოადგენს მსოფლიოში ყველაზე სწრაფად განვითარებად დავის გადაწყვეტის საშუალებას[1] და მნიშვნელოვანი როლი აქვს მართლმსაჯულების განტვირთვაში.[2] ძირითადად მედიაცია

---

[1] *ყანდაშვილი ი.,* მედიაცია - დავის გადაწყვეტის ეფექტური საშუალება, თბ., 2023, 3, იხ. ციტირება: *Alexander N.,* International and Comparative Mediation, Wolters Kluwer, 2009, 1.

[2] *Billiet P., Kurlanda E.,* An Introduction to the Directive on Certain Aspects of Mediation in Civil and Commercial Matters, in: The New EU Directive on Mediation:

რაგულირდება შიდასახელმწიფოებრივი საკანონმდებლო აქტებით, თუმცა, გვხვდება ზესახელმწიფოებრივი რეგულირების მაგალითიც ევროკავშირის 2008 წლის მედიაციის შესახებ დირექტივის სახით.[3]

მედიაციის შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი მოწესრიგების თვალსაზრისით გვხვდება რეგულირების ორი ძირითადი მაკრო მოდელი: ე.წ. **ფართო** და **ვიწრო რეგულირება.**[4]

ფართო რეგულირება მოიაზრებს მედიაციის მეტად იმპერატიული ნორმებით თითქმის ყოვლისმომცველ, კომპლექსურ და პროცესუალურ მოწესრიგებას. აღნიშნული მიდგომის ძირითად დადებით მხარეებად მიჩნეულია:

- „მომხმარებლის“ დაცვის უზრუნველყოფის გარანტიების შექმნის გზით ინსტიტუტისადმი ნდობის მაღალი ხარისხის ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
- სახელმწიფოთა მიერ მხარდაჭერისა და წახალისების გზით მედიაციის ცნობადობის გაზრდა;
- მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების (სამედიაციო მორიგების) შესრულებისათვის/აღსრულებისათვის სამართლებრივი გარანტიების შექმნა;
- მედიაციასა და სხვა სამართლებრივ სერვისებს შორის მკაცრი მიჯნის გავლება.

რაც შეეხება ვიწრო რეგულირებას, ნაცვლად სისტემური და იმპერატიული მოწესრიგებისა უპირატესობას ანიჭებს ნორმათა დისპოზიციურად ჩამოყალიბებას, მედიაციის მხოლოდ ძირითადი ცნებებისა და პრინციპების განსაზღვრის გზით. აღნიშნული მიდგომის მომხრეები მიიჩნევენ, რომ მედიაცია მისი ნებაყოფლობითი ბუნები-

---

First Insights, Edited by Association for International Arbitration, Antwerpen-Apeldoorn, Maklu & Association for International Arbitration, 2008, 10.

3 Directive 2008/52/EC of the European Parliament and of the Council of 21 May 2008.

4 *Hopt J. K., Steffek F.*, Mediation: Comparison of Laws, Regulatory Models, Fundamental Issues, in: Mediation: Principles and Regulation in Comparative Perspective, Vol. 1, Edited by *Hopt J. K., Steffek F.,* United Kingdom, OUP Oxford, 2013, 17.

დან გამომდინარე გამიჯნული უნდა იყოს სამოქალაქო სამართალ-წარმოებისგან, არ საჭიროებს მკაცრ მოწესრიგებას და თავისუფალ საბაზრო პირობებში თავისთავად განვითარდება პრაქტიკოსების, თეორეტიკოსებისა და ასოციაციების ჩართულობით.

,,მედიაციის შესახებ" კანონში საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით აისახა ის უმთავრესი საკანონმდებლო გარანტიები, რაც აუცილებელია მედიაციის ინსტიტუტის გამართული და მდგრადი ფუნქციონირებისთვის. ამასთან საკანონმდებლო აქტი მედიაციის პროცესის მკაცრ რეგლამენტაციაზე უარის თქმით, უარს ამბობს ზერეგულირების მეთოდზე, რითაც ტოვებს ზომიერ სივრცეს ინსტიტუტის თავისუფალი, ეროვნული კონტექსტის შესაბამისად, განვითარებისთვის.

II. კანონის მიზანი და რეგულირების სფერო

1. კანონის მიზანი (1 I)

კანონის მთავარ მიზანს **შესაბამისი პირობების შექმნით** დავის ალტერნატიული გზით გადაწყვეტის **წახალისება** წარმოადგენს. შესაბამისი პირობების შექმნაში უპირველესად უნდა მოვიაზროთ: საერთაშორისო სამართლებრივ დონეზე აღიარებული მედიაციის პრინციპების[5] ქართულ კანონმდებლობაში იმპლემენტაცია, თვითრეგულირებადი პროფესიული გაერთიანების ჩამოყალიბების გზით დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი, კვალიფიციური მედიატორების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, მხარეთა სურვილის შემთხვევაში მიღწეული სამედიაციო მორიგების აღსრულების გარანტიების განმტკიცება,[6] საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობა-აღსრულების წესების განსაზღვრა[7] და სხვა.

---

5 იხ. მე-3 მუხლის კომენტარი.

6 იხ. მე-13 მუხლის კომენტარი.

7 იხ. 13[1]-ე მუხლის კომენტარი

2. კანონის მოქმედების ფარგლები და რეგულირების ობიექტი (1 II)

კანონის მოქმედება ვრცელდება მედიაციის თაობაზე შეთანხმების საფუძველზე წარმართულ მედიაციასა (კერძო მედიაცია)[8] და სასამართლო მედიაციაზე[9], რომელიც განსაზღვრულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXI[1] თავით.

მედიაციის თაობაზე შეთანხმების საფუძველზე წარმართული მედიაცია წარმოადგენს კერძო მედიაციას, რომელიც მხარეთა ინიციატივით ხორციელდება საქმის სასამართლოს მიერ მედიატორისათვის გადაცემის გარეშე. თავის მხრივ, **მედიაციის თაობაზე შეთანხმება** წარმოადგნეს მხარეთა წერილობით შეთანხმებას მასზედ, რომ დავის წარმოშობის შემთხვევაში მიმართავენ მედიაციას.[10] გასათვალისწინებელია, რომ მხარეთა შორის აღნიშნული შეთანხმება შესაძლებელია დაიდოს როგორც დავის წარმოშობამდე, ასევე დავის წარმოშობის შემდგომ.

როგორც აღვნიშნეთ, კანონის მოქმედება ვრცელდება სასამართლო მედიაციაზეც, რომელიც კერძო მედიაციისგან გარკვეული თავისებურებებით გამოირჩევა. მაგალითად, განსხვავებით კერძო მედიაციისაგან, სადაც მედიაციის დაწყების წინაპირობა მხარეთა შორის მედიაციის თაობაზე შეთანხმების არსებობაა, სასამართლო მედიაციის დაწყების წინაპირობა სასამართლოს მიერ სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებული დავის მედიატორისთვის გადაცემაა.[11] სასამართლო მედიაციას კერძო მედიაციისგან ასევე განას-

---

8 იხ. მე-2 მუხლის ,,გ“ ქვეპუნქტის კომენტარი.

9 იხ. მე-2 მუხლის ,,ბ“ ქვეპუნქტის კომენტარი.

10 იხ. მე-2 მუხლის ,,თ“ ქვეპუნქტის კომენტარი.

11 ავტორის შენიშვნა: საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187[3] მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“-„გ“[5] ქვეპუნქტებით განსაზღვრულია სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებული დავის ის სახეები, რომელიც შესაძლებელია სასამართლომ მხარეთა თანხმობის გარეშე გადასცეს მედიატორს. იმავე მუხლის იმავე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით კი ნებისმიერი სხვა სახის დავა სასამართლომ მხოლოდ მხარეთა თანხმობის შემთხვევაში შეიძლება გადასცეს მედიატორს.

ხვავებს მედიაციის ვადა (სასამართლო მედიაციის ვადა შეადგენს 45 დღეს, რომელიც მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია გაგრძელდეს იმავე ვადით) და სამედიაციო შეხვედრათა მინიმალური რაოდენობის (მინიმუმ 2 შეხვედრა) არსებობა.[12] კერძო მედიაციისათვის მედიაციის ვადა და სამედიაციო შეხვედრათა მინიმალური ოდენობა არაა დადგენილი და ნების ავტონომიის პრინციპიდან გამომდინარე მხარეთა სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია მოხდეს მათი ურთიერთშეთანხმებით განსაზღვრა.

III. მედიაციის სახეები, რომელზეც არ ვრცელდება კანონის მოქმედება (1 III)

კანონის პირველი მუხლის მესამე პუნქტით განსაზღვრულია იმ მედიაციათა სახეები, რომელზეც არ ვრცელდება ,,მედიაციის შესახებ" საქართველოს კანონის მოქმედება. აღნიშნული განაპირობა იმ თავისებურებამ, რაც მედიაციის ე.წ. „საგამონაკლისო"[13] ფორმებს აქვთ. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული სახის მედიაციისათვის ძირითადი პრინციპები საერთოა, თუმცა დავის სპეციფიკის გათვალისწინებით საჯარო ინტერესის უზრუნველსაყოფად გარკვეულ შემთხვევებში ხდება პრინციპების ნაწილობრივი, თანაზომიერი შეზღუდვა. მოკლედ მიმოვიხილავთ თითოეული სახის მედიაციას, რომელიც ,,მედიაციის შესახებ" კანონის რეგულირების სფეროს მიღმაა წარმოდგენილი.

1. სანოტარო მედიაცია

სანოტარო მედიაცია, რომელიც საქართველოში 2012 წლიდან მოქმედებს, არის კერძოსამართლებრივი დავის გადაწყვეტის პროცესი, რომელშიც მხარეები ნებაყოფლობით საწყისებზე (ან გამონაკლის შემთხვევაში სავალდებულო მონაწილეობის წესით) მედია-

---

12 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 187[5].

13 ავტორის შენიშვნა: ტერმინი - „საგამონაკლისო" გამოყენებულია იმ მედიაციათა აღსანიშნად, რომლებზეც არ ვრცელდება საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ".

ტორი ნოტარიუსის დახმარებით აწარმოებენ მოლაპარაკებას სადავო საკითხების თაობაზე შეთანხმების მიღწევის მიზნით.[14]

მაშასადამე, საქართველოში ვხვდებით სანოტარო მედიაციის ორ სახეს: ნებაყოფლობითი და სავალდებულო, რომელთა შორის ძირითადი განმასხვავებელი ფაქტორი მედიაციისთვის მიმართვასთან დაკავშირებით გამოხატული მხარეთა ნებაა.

ერთ შემთხვევაში, სანოტარო მედიაციისთვის მიმართვა მხარეთა ნებაყოფლობითობასა და ერთობლივ შეთანხმებაზეა დამოკიდებული, ხოლო, მეორე შემთხვევაში, სანოტარო მედიაციისთვის მიმართვა ხდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სავალდებულო წესით მხარეთა ნების გაუთვალისწინებლად.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სავალდებულო სანოტარო მედიაცია სავალდებულო ხასიათის მატარებელია მხოლოდ სანოტარო მედიაციისთვის მიმართვის ნაწილში და ეს არ ნიშნავს მხარეთა ნებაყოფლობითობის შეზღუდვას საბოლოო შეთანხმების მიღწევის თვალსაზრისით. ე.ი. მხარეები, მათ შორის, სავალდებულო სანოტარო მედიაციის ფარგლებში თავად განსაზღვრავენ საბოლოო შეთანხმება / არშეთანხმების საკითხს.

ა. ნებაყოფლობითი სანოტარო მედიაცია (1 III ა)

ნებაყოფლობითი სანოტარო მედიაციის კანონისეულ წყაროს წარმოადგენს საქართველოს კანონი „ნოტარიატის შესახებ“. სანოტარო მედიაციის განხორციელების წესი განისაზღვრება იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.[15] „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 38[1] მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს დავათა კატეგორიებს, რომელზედაც შესაძლოა გავრცელდეს სანოტარო მედიაცია.

---

[14] საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება #71, 2010 წლის 31 მარტი, „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, მუხლი 100.

[15] საქართველოს კანონი „ნოტარიატის შესახებ“, მუხლი 38[1]; საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება #71, 2010 წლის 31 მარტი, „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, თავი XI.

ყურადსაღებია, ზემოაღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადება, რომლის მიხედვითაც: „ნოტარიუსის მონაწილეობით მედიაცია შეიძლება განხორციელდეს მოდავე მხარეთა თანხმობით“. იმავე პუნქტის მეორე წინადადება კი უთითებს სავალდებულო სანოტარო მედიაციის არსებობაზე: „კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო სავალდებულო წესით მიმართავს სანოტარო მედიაციას“.

ბ. სავალდებულო სანოტარო მედიაცია (1 III ბ)

სავალდებულო სანოტარო მედიაციის კანონისეულ წყაროს წარმოადგენს საქართველოს კანონი „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“, რომლის მიხედვითაც: „ამ კანონის საფუძველზე დაწყებული სარეგისტრაციო წარმოების პროცესში მხარეთა შორის კერძოსამართლებრივი დავის გამოვლენის შემთხვევაში სააგენტო ამ დავის გადასაწყვეტად **სავალდებულო წესით** მიმართავს სანოტარო მედიაციას...“.[16]

ფაქტობრივად, შესაძლებელია ითქვას, რომ სავალდებულო სანოტარო მედიაციის მიმართ მოქმედებს „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 38[1] მუხლი იმ თავისებურებათა გათვალისწინებით, რომელიც გვხვდება საქართველოს კანონის „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ VI თავში – დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება(სანოტარომედიაცია).

2. განრიდება-მედიაციის ინსტიტუტი (1 IIIგ)

საქართველოში 2010 წელს დაინერგა არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამა, რომელიც დაფუძნებულია საერ-

[16] საქართველოს კანონი „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“, მუხლი 18.1.

თაშორისო გამოცდილებასა და აღდგენითი მართლმსაჯულების[17] პრინციპებზე და, რომლის მიზანიცაა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება, მისი შემდგომი რესოციალიზაცია და დანაშაულის განმეორებით ჩადენის პრევენცია.[18]

საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ მიზნებისათვის მედიაცია არის კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანსა და დაზარალებულს შორის დიალოგის პროცესი, რომელსაც უძღვება მედიატორი და რომლის მიზანია არასრულწლოვნისა და დაზარალებულის შერიგება და მათ შორის კონფლიქტის გადაწყვეტა. მედიაციის პროცესში მონაწილეობს აგრეთვე არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენელი, ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი ან/და სხვა პირი. სურვილის შემთხვევაში ამ პროცესში მონაწილეობის მიღება პროკურორსაც შეუძლია.[19] იმ შემთხვევაში თუ ზემოაღნიშნული მედიაციის შედეგად მიღწეულ იქნება შეთანხმება და არასრულწლოვანი შეასრულებს ამ შეთანხმებით მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს, პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის თაობაზე.[20]

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით“ გათვალისწინებული განრიდება-მედიაციის პროგრამის გამოყენების წესი, აგრეთვე

---

17 *Ness V.D., Morris A., Maxwell G.,* Introducing Restorative Justice, In: Restorative Justice for Juveniles: Conferencing, Mediation and Circles, Edited by Morris A., Maxwell G., Hart Publishing, Oxford – Portland Oregon, 2001, 5.

18 *ჯავახიშვილი ლ.,* არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მიმოხილვა, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწდეული 2016“, თსუ-ს გამომცემლობა 2017, 179.

19 საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაკულების კოდექსი“, მუხლი 3.8.

20 საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაკულების კოდექსი“, მუხლი 47.

მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პირობები განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.[21]

3. კოლექტიური შრომითი დავების მედიაცია (1 III დ)

საქართველოში კოლექტიური შრომითი მედიაცია წარმოადგენს ე.წ. „საგამონაკლისო" მედიაციის სახეს, რომელიც საქართველოს შრომის კოდექსის 63-ე მუხლითა და „კოლექტიური დავის შემათანხმებელი პროცედურებით განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ"[22] საქართველოს მთავრობის 2013 წლის 25 ნოემბრის №301 დადგენილებით რეგულირდება. აღნიშნული ნორმატიული აქტებით შემათანხმებელ პროცედურებად[23] განსაზღვრულია კოლექტიური დავის[24] გადაწყვეტის მიზნით მხარეთა შორის პირდაპირი მოლაპარაკების წარმოება ან/და მედიაცია.[25] კოლექტიურ შრომით დავაში მედიაციის გამოყენების წინაპირობას წარმოადგენს ერთ-ერთი მხარის მიერ მინისტრისთვის[26] შესაბამისი წერილობითი შეტყობი-

---

21 საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება #120, 2016 წლის 1 თებერვალი, „არასრულწლოვნის მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების შესახებ".

22 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5471826?publication=0> [21.03.2024].

23 საქართველოს მთავრობის დადგენილება #301, 2013 წელის 25 ნოემბერი, „კოლექტიური დავის შემათანხმებელი პროცედურებით განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ," მუხლი 3.

24 ავტორის შენიშვნა: „კოლექტიური დავა – კოლექტიური შრომითი ურთიერთობის დროს წარმოშობილი დავა ან დავა დამსაქმებელსა და დასაქმებულთა ჯგუფს (სულ მცირე, 20 დასაქმებული) შორის"; საქართველოს მთავრობის დადგენილება #301, 2013 წელის 25 ნოემბერი, „კოლექტიური დავის შემათანხმებელი პროცედურებით განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ", მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი.

25 ასოცირების შეთანხმების დღის წესრიგის და 2017 წლის სამოქმედო გეგმის პროექტის შესრულების ანგარიში – შრომის სტანდარტები, 36.

26 ავტორის შენიშვნა: აღნიშნულ ქვეთავში „მინისტრი" არის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი.

ნების გაგზავნა, თუმცა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე მინისტრი უფლებამოსილია თავადაც დანიშნოს მედიატორი მიმდინარე კოლექტიურ დავის ნებისმიერ სტადიაზე.[27] ხაზი უნდა გაესვას, რომ მედიატორი[28] ინიშნება მინისტრის გადაწყვეტილების საფუძველზე, თუმცა მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის პრინციპების გათვალისწინებით, პრაქტიკაში დასტურდება ასევე მხარეების მიერ მედიატორის წინმსწრები (მედიატორის დანიშვნამდე) აცილების შემთხვევაც, რაც მიუთითებს მედიატორის დანიშვნის პროცესში მხარეთა ნება-სურვილის გათვალისწინებაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ მხარეთათვის კოლექტიურ დავის გადაწყვეტის მიზნით მედიატორის მიერ გამართულ შეხვედრებზე დასწრება სავალდებულოა.[29] ამასთანავე, მინისტრი უფლებამოსილია კოლექტიური დავის ნებისმიერ სტადიაზე მიიღოს გადაწყვეტილება შემათანხმებელი პროცედურების (მათ შორის, მიმდინარე მედიაციის) შეწყვეტის შესახებ.[30] კოლექტიური მედიაციის შეწყვეტის შესაძლებლობა აქვთ როგორც მხარეებს, ასევე მედიატორს, რაც, ერთი მხრივ მხარეების ავტონომიურობისა და თვითგამორკვევის პრინციპის რეალიზებას ახდენს, ხოლო მეორე მხრივ, მედიატორის მხრიდან პროცესის მართვის დამოუკიდებლობის ხარისხზე მიუთითებს. კოლექტიუ-

---

27 საქართველოს მთავრობის დადგენილება #301, 2013 წელის 25 ნოემბერი, „კოლექტიური დავის შემათანხმებელი პროცედურებით განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 4.

28 კოლექტიურ მედიატორთა რეესტრი შედგება დამოუკიდებელი მედიატორებისგან, რომელთა არჩევა ხდება სოციალურ პარტნიორთა სამმხრივი კომისიის მიერ კონკურსის სახით. რეესტრში ჩარიცხული მედიატორები არიან დამოუკიდებელი პირები, დასაქმებულის სტატუსით არ ექვემდებარებიან სამინისტროს, რაც მედიატორთა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გარანტს წარმოადგენს.

29 საქართველოს შრომის კოდექსი, 63-ე მუხლის მე-4 ნაწილი; საქართველოს მთავრობის დადგენილება #301, 2013 წელის 25 ნოემბერი, „კოლექტიური დავის შემათანხმებელი პროცედურებით განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“, მე-4 მუხლის მე-12 პუნქტი.

30 საქართველოს მთავრობის დადგენილება #301, 2013 წელის 25 ნოემბერი, „კოლექტიური დავის შემათანხმებელი პროცედურებით განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“, მე-4 მუხლის მე-14 პუნქტი.

რი შრომით დავის მედიაციის დასრულებისას და, ასევე, მინისტრის მოთხოვნის შემთხვევაში მისი მიმდინარეობისას მედიატორი ვალდებულია მედიაციის საორგანიზაციო ჯგუფს წარუდგინოს ანგარიში მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად.[31]

კოლექტიური შრომითი დავების მედიაციაში მაღალი საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე კერძო და საჯარო ინტერესების დაპირისპირებისას პროცედურული თვალსაზრისით გარკვეულწილად იზღუდება მედიაციისათვის დამახასიათებელი კონფიდენციალურობისა და მხარეთა ნებაყოფლობითობის პრინციპები. თუმცა, სამედიაციო პრაქტიკიდან ჩანს, რომ ხშირ შემთხვევაში მხარეები და მედიატორები თავად უწყობენ ხელს აღნიშნული პრინციპების ფაქტობრივ რეალიზებას პროცესში.

კოლექტიური შრომით მედიაცია მოითხოვს სპეციალურ რეგულირებას იმ ფაქტორის გამოც, რომ ის პირდაპირ კავშირშია გაფიცვის უფლების განხორციელებასთან.[32] გაფიცვის უფლების გამოყენების შესაძლებლობა აღმოცენდება მხარის მიერ მედიატორის მოთხოვნის საფუძველზე წერილის გაგზავნიდან 21 კალენდარული დღის გასვლის შემდეგ. აღნიშნული წინაპირობის დაცვის გარეშე ორგანიზებული გაფიცვა ჩაითვლება უკანონოდ.[33]

---

31 საქართველოს მთავრობის დადგენილება #301, 2013 წელის 25 ნოემბერი, „კოლექტიური დავის შემათანხმებელი პროცედურებით განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“, მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი.

32 შრომითი მედიაციის სამართლებრივი და სოციოლოგიური კვლევა გამოცდილება, თეორია და პრაქტიკა, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) იანვარი 2019, 18.

33 ასოცირების შეთანხმების დღის წესრიგის და 2017 წლის სამოქმედო გეგმის პროექტის შესრულების ანგარიში – შრომის სტანდარტები, 36.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

I. ზოგადი დებულებები 28
1. ნორმის არსი და მიზანი 29
2. სხვა ნორმებთან კავშირი 29
II. დავის გადაწყვეტის საშუალებები 30
1. სასამართლოში საქმის განხილვა 30
2. არბიტრაჟი და სასამართლო 31
3. მედიაცია 32
4. მედიაციის კავშირი სხვა მსგავს ინსტიტუტებთან 34
ა. მედიაცია და არბიტრაჟი 35
ბ. მედიაცია და სასამართლო 36
5. სასამართლო მედიაცია და კერძო მედიაცია 38
ა. სასამართლო მედიაცია 38
ა.ა. სავალდებულო სასამართლო მედიაცია 39
ა.ბ. ნებაყოფლობითი სასამართლო მედიაცია 41
ბ. კერძო მედიაცია 42
III. მედიაციის მონაწილეები 43
1. მედიატორის სტატუსის მოპოვება და მისი როლი 43
ა. მედიატორის სტატუსი 44
ბ. მედიატორის როლი 45
2. მხარეები 48
3. მხარეთა წარმომადგენლები 48
ა. ვინ შეიძლება იყოს მხარის წარმომადგენელი? 48
ბ. წარმომადგენლის ფუნქცია მედიაციაში 49
4. მესამე პირი 51
IV. მედიაციის შესახებ შეთანხმება 52
V. სამედიაციო მორიგება 52
VI. საერთაშორისო სამედიაციო მორიგება 53
VII. საქართველოს მედიატორთა ასოციაცია 54

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) მედიაცია – პროცესი, მისი სახელწოდების მიუხედავად, რომლის საშუალებითაც ორი ან რამდენიმე მხარე მედიატორის დახმარებით ცდილობს დავის ურთიერთშეთანხმებით დასრულებას, მიუხედავად იმისა, ეს პროცესი დაწყებულია მხარეთა ინიციატივით თუ კანონით გათვალისწინებული საფუძვლითა და წესით;

ბ) სასამართლო მედიაცია – მედიაცია, რომელიც ხორციელდება სარჩელის სასამართლოში წარდგენის შემდეგ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, სასამართლოს მიერ საქმის მედიატორისათვის გადაცემის შემთხვევაში;

გ) კერძო მედიაცია – მედიაცია, რომელიც ხორციელდება მხარეთა ინიციატივით, მედიაციის თაობაზე შეთანხმების საფუძველზე, სასამართლოს მიერ საქმის მედიატორისათვის გადაცემის გარეშე;

დ) მედიაციის მონაწილეები – მედიატორი, მხარეები, მხარეთა წარმომადგენლები, მესამე პირი;

ე) მედიატორი – მედიატორთა ერთიან რეესტრში რეგისტრირებული ფიზიკური პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და თანახმაა, წარმართოს მედიაცია, მიუხედავად მისი სტატუსისა და არჩევის/დანიშვნის წესისა;

ვ) მედიაციის მხარე – ფიზიკური პირი, იურიდიული პირი, ორგანიზაცია, რომელიც არ არის იურიდიული პირი, რომელიც მეორე მხარესთან დავის ურთიერთშეთანხმებით დასრულების მიზნით მონაწილეობს მედიაციის პროცესში;

ზ) მესამე პირი – პირი, რომელიც მხარე არ არის და მედიაციის თაობაზე შეთანხმებით ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მონაწილეობს მედიაციის პროცესში;

თ) მედიაციის თაობაზე შეთანხმება – მხარეთა შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში მათ მიერ მედიაციისათვის მიმართვის თაობაზე მხარეთა წერილობითი შეთანხმება;

ი) სამედიაციო მორიგება – მედიაციის შედეგად დავის ურთიერთშეთანხმებით დასრულების შესახებ წერილობითი დოკუმენტი, რომლის შესრულება სავალდებულოა;

ი[1]) საერთაშორისო სამედიაციო მორიგება – კომერციული დავის მოგვარების მიზნით მიღწეული და დადებული წერილობითი შეთანხმება, რომელიც, „მედიაციის შედეგად მიღწეული მორიგების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებების თაობაზე“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2019 წლის 7 აგვისტოს კონვენციის შესაბამისად, საერთაშორისო შეთანხმებაა;

კ) საქართველოს მედიატორთა ასოციაცია – ამ კანონის საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ასრულებს ამავე კანონით გათვალისწინებულ ფუნქციებს;

ლ) მედიატორთა ერთიანი რეესტრი – საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მიერ წარმოებული საქართველოს მედიატორთა ასოციაციის წევრთა საერთო სია.

I. ზოგადი დებულებები

მედიაციის საკანონმდებლო მოწესრიგება ამ ინსტიტუტის უდიდესი ფორმალური თუ სამართლებრივი როლის მატარებელია.[1] კონფლიქტი, რომელიც მედიაციის დაწყებას უძღვის წინ, შეიძლება დესტრუქციული ხასიათიც კი მიიღოს და ამ უთანხმოებამ საბოლოოდ ნეგატიური შედეგები წარმოშვას,[2] რისი გადაჭრის საუკეთესო საშუალებაც სწორედ მედიაციის ფარგლებში საქმის წარმართვაა. ვინაიდან საკანონმდებლო დონეზე დგინდება მედიაციის ძირითადი მიმართულებები, მნიშვნელოვანია, რომ სამომავლო გაუგებრობის (ან ორაზროვნების) გამოსარიცხად განიმარტოს ამ პროცესის სხვადასხვა ასპექტის განმსაზღვრელი სამართლებრივი ინსტიტუტები.

---

1 ამ საკითხზე იხ. *ყანდაშვილი ი.*, მედიაცია, დავის გადაწყვეტის ეფექტური საშუალება, პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბ., 2022, 277-279.

2 *ჯორბენაძე რ.*, მედიაცია: ლექციათა კურსი, თბ., 2012, 5.

1. ნორმის არსი და მიზანი

კანონი იძლევა ფუნდამენტური ცნებების განმარტებებს, რომლებიც ვრცელდება სრულად მედიაციის პროცესის მიმართ. ნორმის მიზანია, **გაამარტივოს** ძირითადი ცნებების არსის გაგება და პრაქტიკაში მათი სათანადოდ გამოყენება-ინტეგრირება.

კანონმდებელმა მეორე მუხლში თავდაპირველად განსაზღვრა მედიაციის ცნება, შემდეგ კი – მისი ფორმები სასამართლო მედიაციისა და კერძო მედიაციის სახით. აქვე კანონი იძლევა მედიაციის პროცესის მონაწილეთა (მედიატორი, მხარეები და მესამე პირი) განმარტებებს. თუმცა ამ კანონში არაა განსაზღვრული, ვინაა მხარეთა წარმომადგენელი. საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული **წარმომადგენლის ცნება.** ასევე, მე-2 მუხლი შეიცავს მედიაციის შესახებ შეთანხმების, სამედიაციო მორიგების, საერთაშორისო სამედიაციო მორიგების განმარტებებს, საქართველოს მედიატორთა ასოციაციისა და მედიატორთა ერთიანი რეესტრის ცნებებს. ფაქტობრივად, კანონმდებელმა მე-2 მუხლში განმარტა **ფუნდამენტური ცნებები,** რომლებსაც **სპეციფიკური** დატვირთვა აქვთ.

ამდენად, კანონის მეორე მუხლი ასრულებს მედიაციის სფეროს ფუნდამენტურ საკითხებთან დაკავშირებით **საინფორმაციო** ფუნქციას. ამასთან, წარმოდგენილ ნორმას აქვს სპეციფიკური ფუნქციაც, ვინაიდან იგი მიმართულია კანონის ტექსტის ორგანიზაციისკენ. მეორე მუხლს აქვს იურიდიული ძალა მედიაციის მომწესრიგებელი ნორმების განმარტებისას. ფაქტობრივად, ეს ნორმა განმარტავს მედიაციის სფეროში **ბაზისური მნიშვნელობის** საკითხებს, რომლებზეც კანონმდებელი აფუძნებს შემდგომ საკითხებს.

2. სხვა ნორმებთან კავშირი

მე-2 მუხლი განიხილება სამოქალაქო საპროცესო კოდექსთან ერთად. ამასთან, პროფესიული ეთიკის საკითხებთან დაკავშირებით გამოიყენება მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსი.

შესაძლოა, მე-2 მუხლით გათვალისწინებული ზოგიერთი დეფინიცია არ დაემთხვეს სხვა კანონში ასახულ განმარტებებს. მაგალითად, მე-2 მუხლით მესამე პირის ლეგალური დეფინიცია სამოქალაქო საპროცესო კოდექსისგან განსხვავებულად არის წარმოდგენილი (იხ. მესამე პირის განმარტებისას). შესაბამისად, თუ „მედიაციის შესახებ“ კანონის დათქმები განსხვავდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმებისგან, „მედიაციის შესახებ“ კანონი განიხილება **სპეციალურ** და **უპირატესად** გამოსაყენებელ კანონად.

II. დავის გადაწყვეტის საშუალებები

დავის გადაწყვეტა უკავშირდება მოდავე მხარეებს შორის არსებული უთანხმოების მოგვარებას სასამართლო თუ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული გზებით. დავის ალტერნატიული გადაწყვეტა მოიაზრებს სხვადასხვა ხერხის გამოყენებით მხარეებს შორის დავის მოგვარებას ტრადიციული სასამართლო პროცესის გარეშე. დავის **ალტერნატიული გადაწყვეტის ყველაზე გავრცელებული ფორმებია არბიტრაჟი და მედიაცია.**[3] თუმცა იმისათვის, რომ დადგინდეს, კონკრეტულად რა მოიაზრება არბიტრაჟსა და მედიაციაში, ასევე, რა განსხვავებაა მათ შორის, აუცილებელია სასამართლოში საქმის განხილვის თავისებურებების მოკლედ განხილვა.

1. სასამართლოში საქმის განხილვა

საერთო იურისდიქციის სასამართლოებში სამოქალაქო პროცესი კანონით დადგენილი უფლების დაცვის ფორმაა. უფლების დაცვის გავრცელებული სახეა **სასამართლო ფორმა.** სამოქალაქო სამართალწარმოება განიხილება მართლმსაჯულების განხორციელების ერთ-ერთ ფორმად და განსხვავდება იმ ორგანოთა საქმიანობის ფორმისგან, რომლებიც სამოქალაქო საქმეებს განიხილავენ სპეციფიკური საპროცესო ფორმით. უფლების სასამართლო გზით დაცვის უპირატესობებს განეკუთვნება:

---

[3] *ოსტერმილერი სტივენ მ., სვენსონი რ. დილეინი*, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 3.

- მხარეთა შორის დავას განიხილავს სპეციალური ორგანო – სასამართლო;
- აღძრული მოთხოვნების საფუძვლიანობას სასამართლო აფასებს სამოქალაქო და სამართლის სხვა დარგების ნორმათა შეფარდების საფუძველზე სამოქალაქო იურისდიქციის წესით;
- საქმის შესწავლა და განხილვა ეფუძნება სამოქალაქო საპროცესო ფორმით დადგენილ წესს, რომელიც უზრუნველყოფს დავის კანონიერად და დასაბუთებულად გადაწყვეტას;
- საქმეს განიხილავენ მიუკერძოებელი მოსამართლეები;
- სასამართლო პროცესში აქტიურად მონაწილეობენ მოდავე მხარეები და დაინტერესებული პირები.[4]

2. არბიტრაჟი და სასამართლო

არბიტრაჟი კერძო დავის გადაწყვეტის მექანიზმია, რომლის გამოყენება შეიძლება უშუალოდ მხარეებს შორის შეთანხმების საფუძველზე.[5] არბიტრაჟი არის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ერთ-ერთი საშუალება. ამ დროს მხარეების დავა განიხილება არბიტრის მიერ, რომელსაც მხარეები წარუდგენენ მტკიცებულებებს. ნეიტრალური მესამე მხარე (არბიტრი) აფასებს მტკიცებულებებს, რომლებზე დაყრდნობითაც მას გამოაქვს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.[6]

არბიტრაჟი ემსგავსება სასამართლო პროცესს. ორივე შემთხვევაში მხარეები წარადგენენ მტკიცებულებებს ნეიტრალურ მხარეს (არბიტრაჟი ან მოსამართლე), რომელიც იღებს გადაწყვეტილებას. ამასთან, როგორც არბიტრაჟის, ისე სასამართლო განხილვისას დასაშვებია ადვოკატების ან იურიდიული წარმომადგენლების დახ-

---

4 *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მე-2 გამოცემა, თბ., 2015, 23.

5 *Brown H.J., Marriot A.L.*, Q. C, ADR principles and practice, 2nd edition, London, 1999, 49

6 *ოსტერმილერი სტივენ მ., სვენსონი რ. დილეინი,* დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 205.

მარება და მიიღება გადაწყვეტილება, რომელიც სავალდებულოა მხარეებისთვის. თუმცა **მათ შორის** არსებობს **განსხვავებებიც:**

- არბიტრაჟის დროს გადაწყვეტილებას იღებენ მხარეები საარბიტრაჟო წარმოების წესების შესაბამისად. მათ შეუძლიათ გადაწყვიტონ, სად და როდის გაიმართება არბიტრაჟი, ვინ იქნება არბიტრი, რა პრობლემები ექვემდებარება არბიტრაჟით განხილვას და სხვა. ასეთი არჩევანი სასამართლო პროცესში მხარეებს არ აქვთ;
- არბიტრაჟი უფრო სწრაფია, ვიდრე საქმის წარმოება სასამართლოში;
- სასამართლოში სამართალწარმოებასთან შედარებით, არბიტრაჟი იაფია. ეს ნაწილობრივ იმის შედეგია, რომ არბიტრაჟი გამარტივებულ პროცესს მოიაზრებს;
- როგორც წესი, არბიტრაჟი დახურულია საზოგადოებისთვის, თუმცა სასამართლო პროცესი, ჩვეულებრივ, ღია და საჯაროა;
- საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები უფრო მოქნილია, ვიდრე სასამართლოს გადაწყვეტილებები.[7]

3. მედიაცია

2020 წლის პირველი იანვრიდან ძალაში შევიდა „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლითაც სამოქალაქო დავების გადაწყვეტის ახალ საშუალებად ჩაითვალა მედიაცია.[8]

ტერმინი „მედიაცია“ შეიძლება წარმოშობილი იყოს ბერძნული სიტყვიდან medos (მედიატორი, ნეიტრალური); მისი ლათინური ფუძის ზმნა „mederei“ ნიშნავს განკურნებას, „Mediatio“ კი – შუამავლობას. შესაბამისად, მედიაცია განიხილება შუამავლობად, რომელიც მიუკერძოებელი მედიატორის დახმარებით ხელს უწყობს მხარეებს დავის მოგვარებაში. უფრო კონკრეტულად რომ ითქვას, მედიაცია

---

7 *ოსტერმილერი სტივენ მ., სვენსონი რ. დილეინი*, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 209-210.

8 *ბიჭია მ.*, სამოქალაქო დავებზე მედიაციის გამოყენების უპირატესობები, ჟურნ. „სამართალი და მსოფლიო“, #3(27), 2023, 89.

მოიცავს პროცედურას ან მეთოდს, რომელსაც ნეიტრალური შუამავალი (მედიატორი) იყენებს ნებაყოფლობითობის, ავტონომიისა და შედეგებისადმი ღიაობის პრინციპების საფუძველზე მხარეებს შორის დავის მოგვარების დახმარების მიზნით.[9]

კანონით, **მედიაცია არის პროცესი,** რომლის საშუალებითაც მხარეები მედიატორის დახმარებით ცდილობენ დავის ურთიერთშეთანხმებით დასრულებას. არ აქვს მნიშვნელობა, მედიაციის პროცესი დაიწყო მხარეთა მიერ გამოვლენილი ინიციატივით თუ კანონით გათვალისწინებული საფუძვლით. ამასთან, კანონმდებელი მედიაციაში მოდავე მხარეთა რაოდენობას არ ზღუდავს და აღნიშნავს, რომ **ორი ან რამდენიმე მხარე** მედიატორის დახმარებით ცდილობს დავის მოგვარებას.

მედიაციის **ძირითადი მიზანია,** დაეხმაროს მხარეებს ისეთი გამოსავლის პოვნაში, რომლითაც მათ შეეძლებათ ცხოვრება. მედიაცია ორიენტირებულია მომავალზე და არა წარსულზე. მედიაციის მიზანი არაა იმის გარკვევა, თუ რაა სიმართლე ან დაირღვა თუ არა კანონი, არამედ წარმოშობილი პრობლემის მოგვარება. ეს სასამართლო განხილვისგან სრულიად განსხვავებული მიდგომაა, სადაც უკანა პლანზეა გადატანილი იმის დადგენა, ვინ იყო მართალი, ვინ – არასწორი და რა უნდა გაკეთდეს.[10]

ფაქტობრივად, მედიაციაში მოიაზრება დავის **გადაწყვეტის არასასამართლო პროცესი,** რომლის დროსაც ნეიტრალური მედიატორი ეხმარება მოდავე მხარეებს მოლაპარაკებების წარმოებაში. ესაა მკაცრად კონფიდენციალური, ნებაყოფლობითი და არაფორმალური ხასიათის პროცესი[11], რომლის ფარგლებშიც კონკრეტული შედეგის მიღწევა დამოკიდებულია უშუალოდ მხარეებზე.[12]

---

9 *Lewinski-Reuter V.*, Mediation, In: Glossar Kulturmanagment, *Levinski-Reuter V., Lüdemann S.* (Hrsg.), Wiesbaden, 2011, 254; *Bichia M.*, Advantages of Mediation in Civil Disputes, Journal "Law and World", #3(27), 2023, 65.

10 *Lovenheim P., Guerin L.,* Mediate, don't litigate: [strategies for successful mediation], 2004, 3.

11 რაც შესაბამისად აისახა „მედიაციის შესახებ" საქართველოს კანონში. იხ. *ყანდაშვილი ი.*, მედიაცია, დავის გადაწყვეტის ეფექტური საშუალება, პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბ., 2022, 278.

12 *Gullo A.,* Mediation unter der Herrschaft des Rechts? Berlin, 2006, 25.

მედიაცია არის დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საკვანძო ფორმა. მოცემულ შემთხვევაში ალტერნატივა ნიშნავს ალტერნატიულ გადაწყვეტილებას, რომელიც გამოაქვს სასამართლოს სასამართლოში. **მედიაცია კონსენსუალური პროცესია,** რომელიც ეფუძნება დავის მონაწილე მხარეთა თვითგამორკვევას, მათ ადვოკატებთან, მრჩევლებთან ან მხარდამჭერებთან ერთად. საერთო მიზანია, მოიძებნოს მხარეებს შორის წარმოშობილი დავის ან პრობლემის გადაწყვეტა. ესაა კონფიდენციალური და უწყვეტი პროცესი, რომელიც მონაწილეებს აძლევს საშუალებას, გამოიკვლიონ პოტენციური გადაწყვეტილებების სრული სპექტრი. მედიატორმა უნდა გამოიყენოს პრინციპული მნიშვნელობის მოლაპარაკებები, რომლებიც დაეფუძნება ობიექტურ კრიტერიუმებს.[13]

მედიაციის არსის გათვალისწინებით, ის შესაძლებელია შემდეგნაირად განიმარტოს: მედიაცია არის კონფიდენციალურობის დაცვით და არასაპაექრო გარემოში, მედიატორის დახმარებით სტრუქტურირებული პროცედურის ფარგლებში, მედიაციის მონაწილეთა მიერ საკითხის დამოუკიდებლად გადაჭრა.[14] აღნიშნული პროცესი კი ეყრდნობა ე.წ. „მოგება-მოგების“ პრინციპს, როდესაც ორივე მხარისთვის სასურველი შედეგი დგება.[15]

4. მედიაციის კავშირი სხვა მსგავს ინსტიტუტებთან

ევროკავშირსა და საქართველოს შორის დაიდო ასოცირების შეთანხმება, რომლითაც საქართველოს დაეკისრა მოვალეობა, განევითარებინა დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები, განსაკუთრებით **მედიაცია და არბიტრაჟი.** „მედიაციის შესახებ“ კა-

---

13 *Dingle J., Kelbie J.,* The Mediation Handbook, London, 2013, 8.

14 განმარტება ეფუძნება შემდეგ ნაშრომს: *Gunnar Groh* in Weber kompakt, Wörterbuch, Weber (Hrsg.) 9. Edition, 2023, Mediation.

15 *ჯორბენაძე რ.*, მედიაცია: ლექციათა კურსი, თბ., 2012, 36; *ბიჭია მ.*, სამოქალაქო დავებზე მედიაციის გამოყენების უპირატესობები, ჟურნ. „სამართალი და მსოფლიო“, #27, 2023, 98-99.

ნონის მიღებით შესრულდა მისი ძირითადი მიზანი, უზრუნველყოს ასოცირების შეთანხმების ეს მოთხოვნა.[16]

ა. მედიაცია და არბიტრაჟი

მედიაციასა და არბიტრაჟს შორის გარკვეული მსგავსებაა, რადგან ორივე სასამართლო პროცესის კერძო ალტერნატივად განიხილება. ორივე შეიძლება სასამართლოს ფარგლებს გარეთ ჩატარდეს, ასევე, გაცილებით იაფი და სწრაფია, ვიდრე სასამართლოში საქმის განხილვა. გამოსაყოფია კრიტერიუმები, რომლებზე დაყრდნობითაც შეიძლება განისაზღვროს, თუ რა ასპექტში განსხვავდება **არბიტრაჟი მედიაციისგან:**

- არბიტრაჟისგან განსხვავებით, მედიატორი ეხმარება მხარეებს დავის გადაწყვეტის შესაძლო ალტერნატივების ჩამოყალიბებაში და საბოლოო გადაწყვეტილებას იღებენ მხარეები;
- არბიტრაჟის დროს არბიტრაჟი განიხილავს ფაქტებს და იყენებს კანონს მოსამართლის მსგავსად, მედიაციის შემთხვევაში კი მედიატორს შეუძლია სოციალური უნარ-ჩვევების გამოყენება და საქმის სუბიექტური ანალიზი. მედიაცია ფოკუსირებულია მხარეთა ინტერესების დაკმაყოფილებაზე და არა მხოლოდ ერთ-ერთ მხარეზე;
- არბიტრაჟში ყურადღების ცენტრი გადატანილია არბიტრებზე, მხარეები კი ცდილობენ მათ დარწმუნებას, რომ გადაწყვეტილებაც ერთ-ერთი მათგანის სასარგებლოდ იყოს მიღებული. მედიაციის პროცესში ფოკუსი გადატანილია მხარეთა საერთო ინტერესებზე. მედიატორი უსმენს მხარეებს და ცდილობს მათი ინტერესების თანაბრად გათვალისწინებას.[17]

---

16 <https://bm.ge/ka/article/2020-wlidan-saqartveloshi-mediaciis-shesaxeb-kanoni-amoqmeddeba/42734> [20.07.2023]; *ბიჭია მ.*, სამოქალაქო დავებზე მედიაციის გამოყენების უპირატესობები, ჟურნ. „სამართალი და მსოფლიო“, #27, 2023, 89.

17 *ოსტერმილერი სტივენ მ., სვენსონი რ. დილეინი*, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 210-211.

- არბიტრაჟის ძირითადი თავისებურებაა ის, რომ მხარეები ირჩევენ მას არბიტრაჟის შესახებ შეთანხმების დადებით. შესაბამისად, არბიტრაჟის გამოსაყენებლად უმთავრესია მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევა. ამდენად, არბიტრაჟი კონსენსუალური ხასიათისაა.[18]
- არბიტრაჟში მიიღება გადაწყვეტილება, რომელიც შესასრულებლად სავალდებულოა მხარეებისთვის.[19]

ბ. მედიაცია და სასამართლო

დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმებს შორის **მედიაცია არაფორმალური პროცესია.** მედიაციის პროცესში **მესამე ნეიტრალურ მხარედ** გამოდის **მედიატორი,** რომელიც მხარეებს ეხმარება ურთიერთობასა და მოლაპარაკებების წარმართვაში. მედიაცია ეფუძნება **მხარეთა საერთო ინტერესსა და დავის მშვიდობიანად გადაწყვეტას.**[20]

მედიატორის მოქმედების მიზანია, გამოავლინოს **რეალური პოზიციები და ინტერესები,** ხოლო **სასამართლო ეძებს ფაქტებს.**[21] ამასთან, სასამართლო განხილვისგან განსხვავებით, მედიაციის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მხარეთა პიროვნულ ინტერესებს. სასამართლოში პიროვნებაზე დაფუძნებული ნორმები მხოლოდ მეორეხარისხოვან მნიშვნელობას იძენს. ამიტომ სასამართლო პროცესი და საადვოკატო მოლაპარაკებები ატარებს რაციონალურ და რეგლამენტირებულ ხასიათს, **მედიაცია** კი უფრო მეტად პასუხობს **პიროვნულ ნორმებსა და ღირებულებებს.**[22]

---

18 *Steingruber A. M.*, Notion, Nature and Extent of Consent in international Arbitration, Thesis for the degree of Doctor of Philosophy, London, 2009, 55-56.

19 კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, 39-ე მუხლის მე-2 პუნქტი, 2009 წლის 9 ივნისი, #1280-Iს.

20 *Kelly D., Holmes A., Hayward R.*, Business Law, 5.th edition, London, 2005, 95-96.

21 *Lawrence R. Freedman, Michael L. Prigoff,* Confidentiality in Mediation: The Need for Protection, Journal On Dispute Resolution, Vol.2:1, 1986, 45.

22 *Clarke G. R., Davies, I. T.,* ADR – Argument for and Against use of the mediation process particularly in Family and neighborhood disputes, QLD. University of Technology law Journal, 7, 1991, 87-88.

მედიაციის მხარეებს თავისუფლად შეუძლიათ, დაადგინონ საკუთარი წესები და პროცედურები. ისინი არჩევენ, უარი თქვან დავის გადაწყვეტის სხვა ფორმებთან დაკავშირებულ ფორმალობაზე. მაგალითად, **მედიაცია გაცილებით ნაკლებად ფორმალურია, ვიდრე არბიტრაჟი.** ამასთან, მედიაცია ძალიან სტრუქტურირებულია, მაგრამ მხარეებს შეუძლიათ უარი თქვან ფორმალობებზე.[23]

მოსამართლემ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, მედიაციის დროს კი არაა სავალდებულო საბოლოო შეთანხმების მიღწევა. თუმცა თუ მხარეებს შორის **სამედიაციო შეთანხმება** შედგა, **ეს შედეგი განიხილება მხარეების მიერ მიღებულ და მათი ინტერესების გამომხატველ გადაწყვეტილებად.**[24]

სასამართლოში საქმის განხილვა იზღუდება მკაცრად დადგენილი სამართლებრივი ალტერნატივებით. **მედიაცია აძლევს მხარეებს შესაძლებლობას, შეიმუშაონ მათი საჭიროებების ამსახველი გადაწყვეტილება** ისე, რომ არ იყოს გათვალისწინებული ტექნიკურ-სამართლებრივი პრინციპები. მხარეებს შეუძლიათ მიაღწიონ შედეგებს, რომლებიც ტიპური სასამართლო ბრძანების ფარგლების მიღმაა. ასევე, მედიაციის მოქნილობა მხარეებს აძლევთ შესაძლებლობას, შეიმუშავონ გადაწყვეტილება, რომელსაც ისინი მიიჩნევენ „სამართლიანად“ და უფრო მეტად დააკმაყოფილებს მათ ინტერესებს, ვიდრე ეს ფორმალური სასამართლო გადაწყვეტილების დროს იქნებოდა.[25]

სასამართლოში საქმის განხილვისას მიღწეული შედეგი ყოველთვის ერთი მხარისთვის არის მომგებიანი, ხოლო მეორე მხარისთვის – წამგებიანი. რაც შეეხება **მედიაციას,** ის **ორივე მხარისთვის მომგებიანი პროცესია.** განსაკუთრებით ეს ითქმის საოჯახო ან სამე-

---

23 *Feinberg K. R.*, Mediation - A Preferred Method of Dispute Resolution, Pepperdine Law Review, Vol. 16, Issue 5, 1989, 8-9.

24 *ყანდაშვილი ი.,* მედიაცია - დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ახალი ფორმა და მისი საკანონმდებლო მოწესრიგების პერსპექტივა საქართველოში, თსუ „სამართლის ჟურნალი“, #2, 2017, 116.

25 *Radford M. F.*, Advantages and Diadvantages of Mediation in Probate, Trust, and Guardianship Matters, Pepp. Disp. Resol. LJ, Vol. 1, 2001, 247.

ზობლო მედიაციაზე.[26] შესაბამისად, სასამართლო და საარბიტრაჟო პროცესისგან განსხვავებით, მედიაციაში მოიაზრება ორივე მხარისთვის მომგებიანი პროცესი.[27] მედიაციის **უპირატესობებს** შორის გამოიყოფა:

1. მხარეთა მიერ დავის გადაწყვეტის პროცესსა და პროდუქტზე მუდმივი კონტროლი;
2. დავის გადაწყვეტისა და პროცესის მართვის ინდივიდუალიზაცია;
3. მედიაციის კონფიდენციალურობა;
4. მხარეებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება;
5. კულტურულ, ტრანსსასაზღვრო ხიდი;
6. კომერციული რეალიების გათვალისწინება;
7. ხარჯების დაზოგვასა და ციკლის დროის შემცირება;
8. კრეატიული და საიმედო გადაწყვეტილებები;
9. მხარეებს შორის მუდმივი ურთიერთობების მხარდაჭერა ან განმტკიცება;
10. პოტენციურ სარგებელთან შედარებით ხარჯებისა და რისკი დაბალი ხარისხი.[28]

5. სასამართლო მედიაცია და კერძო მედიაცია

ა. სასამართლო მედიაცია

ლეგალური დეფინიციის მიხედვით, **სასამართლო მედიაციაში** მოიაზრება მედიაციის ფორმა, რომელიც ხორციელდება **სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემდეგ,** საქართველოს სამოქალაქო

---

26 *Clarke G. R., Davies I. T.*, ADR – Argument for and Against use of the mediation process particularly in Family and neighborhood disputes, QLD. University of Technology Law Journal, 7, 1991, 84.

27 *Hill R.*, Non-adversarial Mediation, journal "International Arbitration", 12(4), 1995, 135; *Petsche, M.*, Mediation as the preferred method to solve international business disputes? A look into the future, RDAI/IBLJ, N4, 2013, 253.

28 *Stipanowich T.*, Why Businesses Need Mediation, Legal Studies Research Paper Series, Commercial Mediation in Europe, 2004, 10.

საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, სასამართლოს მიერ საქმის მედიატორისთვის გადაცემის შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, სასამართლო მედიაციის ფორმა რომ იყოს გამოყენებული, აუცილებელია, (ა) **სარჩელი იყოს წარდგენილი სასამართლოში და (ბ) საპროცესო ნორმების ფარგლებში სასამართლომ საქმე გადასცეს მედიატორს.**

ფაქტობრივად, სასამართლო მედიაციის დროს პროცესი წარიმართება სასამართლო შენობაში, სასამართლო მოხელის ან სასამართლოს მიერ აკრედიტებული მედიატორთა სიაში არსებული მედიატორის მიერ. ამასთან, გარკვეულ შემთხვევაში ზოგიერთ იურისდიქციაში მოსამართლე განიხილავს სამედიაციო საქმეს და მედიაციის ხარჯი შედის სამართალწარმოების ხარჯში. ეს ფორმა აღიარებულია გერმანიაში, სკანდინავიურ ქვეყნებში, სლოვენიასა და სხვა ქვეყნებში.[29]

ა.ა. სავალდებულო სასამართლო მედიაცია

სასამართლო მედიაციის თავისებურებები საგანგებოდ მოწესრიგებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით (187[1]-ე მუხლიდან 187[7]-ე მუხლის ჩათვლით ნორმებით).

საქართველოში კანონმდებელმა ჩამოთვალა სამოქალაქო საქმეები, რომლებზეც **ვრცელდება სავალდებულო სასამართლო მედიაცია.** კანონით საქართველოში სასამართლო მედიაცია გამოიყენება:

ა) საოჯახო დავებზე, გარდა შვილად აყვანის, შვილად აყვანის ბათილად ცნობის, გაუქმების, მშობლის უფლების შეზღუდვის, ჩამორთმევის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შესახებ საქმეებზე;

ბ) სამემკვიდრეო დავებზე;

---

[29] *ყანდაშვილი ი.*, საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, თბ., 2019, 234; *ყანდაშვილი ი.*, მედიაცია, დავის გადაწყვეტის ეფექტური საშუალება, პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბ., 2022, 229.

გ) სამეზობლო დავებზე;

დ) შრომით დავებზე, გარდა კოლექტიური დავისა;

ე) საზიარო უფლების რეალიზაციასთან დაკავშირებულ დავებზე;

ვ) ქონებრივ დავებზე, თუ დავის საგნის ღირებულება 2000 ლარს არ სცდება;

ზ) საქართველოს საბანკო დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების მიერ დადებული სესხის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავებზე, თუ დავის საგნის ღირებულება 10000 ლარს არ აღემატება;

თ) არაქონებრივ დავებზე.

ამასთან, **მხარეთა ნების არსებობისას მედიაციით შეიძლება გადაწყდეს ნებისმიერი დავა.**[30]

სასამართლო მედიაციის სავალდებულო ხასიათი ისე არ უნდა იყოს გაგებული, თითქოს მოსამართლემ საქმე უპირობოდ პირდაპირ მედიაციას უნდა გადასცეს. აქ უნდა მოიაზრებოდეს მოსამართლის დისკრეციული უფლებამოსილება, შეაფასოს დავის სპეციფიკა და ამის მიხედვით გადაწყვიტოს მედიაციაში საქმის გადაცემის საკითხი. თუ მოსამართლემ მის მიერ განსახილველი დავის ხასიათისა და მხარეების დამოკიდებულებების შეფასების შედეგად ჩათვალა, რომ ამ დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება შეიძლება იყოს მედიაცია, ამ შემთხვევაში ის გადასცემს საქმეს მედიაციას. ცხადია, ეს არ გულისხმობს იმას, რომ მხარეებმა აუცილებლად შეთანხმებას უნდა მიაღწიონ. მოცემულ შემთხვევაში მედიაცია **სავალდებულო ხასიათს ატარებს მხარეებისთვის** იმ დათქმით, რომ სცადონ დავის მოგვარება სასამართლო მედიაციის გზით.

სხვა ქვეყნებში, **მაგალითად,** გერმანიაში კანონმდებელი მხარეებს მოუწოდებს, მიაღწიონ დავის შეთანხმებით მოგვარებას და სასამართლო პროცესი გამოიყენონ, როგორც უკიდურესი საშუალება. მხარეებმა თავდაპირველად უნდა სცადონ დავის ალტერნატიული

---

[30] *ბიჭია მ.*, სამოქალაქო დავებზე მედიაციის გამოყენების უპირატესობები, ჟურნ. „სამართალი და მსოფლიო“, #3(27), 2023, 89.

საშუალება მანამ, ვიდრე დაიწყებს სასამართლოში სამართალწარმოებას.[31] ანალოგიურად ლიეტუვაში 2019 წლიდან კანონმდებელმა სამოქალაქო სასამართლოებს მიანიჭა უფლებამოსილება, მოითხოვოს მხარეებისგან, რომ მათ თავდაპირველად სცადონ მედიაციის გზით დავის გადაწყვეტა იმ შემთხვევაში, როცა ეს მიზანშეწონილი და გამართლებულია.[32]

ა.ბ. ნებაყოფლობითი სასამართლო მედიაცია

ქართველმა კანონმდებელმა აღიარა **მხარეთა ნების პრიორიტეტი** იმისათვის, რომ სასამართლო მედიაცია გავრცელდეს **ნებისმიერი სამოქალაქო დავის** მიმართ,[33] თუ ამის თაობაზე არის მხარეთა შეთანხმება. შესაბამისად, სასამართლო მედიაციის ფარგლებში სამოქალაქო საქმის **განხილვის ერთადერთი წინაპირობა** ამასთან დაკავშირებით **მხარეთა შეთანხმების** არსებობა.

დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, ნებაყოფლობით სასამართლო მედიაციას ექვემდებარება სამოქალაქო საქმე, თუ:

ა. სარჩელისა და შესაგებლის ფორმაში დადებითი პასუხია მონიშნული საქმის მედიაციისთვის გადაცემის შესახებ;

ბ. ორივე მხარემ (ერთობლივად ან ცალ-ცალკე) წარადგინა განცხადება საქმის მედიატორისთვის გადაცემის თაობაზე საქმის განხილვის დაწყების ეტაპზე – სარჩელის ან შესაგებლის წარდგენისთანავე;

გ. სასამართლო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე ერთ-ერთმა ან ორივე მხარემ წარადგინა წერილობითი შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ საქმე გადაეცეს მედიატორს;

---

31 *Piers M.*, Europe's Role in Alternative Dispute Resolution: Off to a Good Start? Journal of Dispute Resolution, #2, 2014, 291.

32 *Simaitis R.*, A new wave of Mediation in Lithuania – What does it mean for Lawyers, CEE Legal Matters, 29 April, 2020, <https://ceelegalmatters.com/lithuania/13402-a-new-wave-of-mediation-in-lithuania-what-does-it-mean-for-lawyers> [25.08.2023].

33 *ბიჭია მ.*, სამოქალაქო დავებზე მედიაციის გამოყენების უპირატესობები, ჟურნ. „სამართალი და მსოფლიო", #3(27), 2023, 89.

დ. არსებობს ამის თაობაზე მოსამართლის რეკომენდაცია და მხარეთა თანხმობა.[34]

ბ. კერძო მედიაცია

კანონის თანახმად, კერძო **მედიაციად განიხილება მედიაციის ფორმა, რომელიც ხორციელდება მხარეთა ინიციატივით,** მედიაციის შესახებ შეთანხმებით ისე, რომ **სასამართლომ საქმე არ გადასცეს მედიატორს.** კერძო მედიაციის დროს სასამართლო არ გადასცემს მედიატორს საქმეს განსახილველად, კერძო მედიაცია ეფუძნება მხარეთა **სრულ თავისუფლებასა და ნებაყოფლობითობას.**

კერძო მედიაცია გულისხმობს დავის მედიაციის გზით გადაწყვეტის შესახებ კერძო შეთანხმებას, რომელშიც, ჩვეულებრივ, სასამართლო არ მონაწილეობს.[35] კერძო მედიაციის დროს მხარეები თანხმდებიან დავის მედიაციის საშუალებით მოგვარებაზე და თვითონ ირჩევენ მედიატორს. სასამართლო მედიაციისგან განსხვავებით, მედიატორის შერჩევის უფლება და, შესაბამისად, პასუხისმგებლობაც მხარეებს ეკისრებათ. მხარეები ერთობლივი შეთანხმებით არჩევენ ისეთ მედიატორს, რომელიც მათთვის მისაღებია კონკრეტული მახასიათებლების გამო და არაა აუცილებელი, ეს მახასიათებლები იყოს უმაღლესი განათლება ან მრავალწლიანი პროფესიული გამოცდილება. ამ დროს მედიაციის დაწყება ისევე, როგორც პროცესის მიმდინარეობა, დამოკიდებულია მთლიანად მხარეთა ნების ავტონომიაზე.[36]

ფაქტობრივად, კერძო მედიაცია სრულად სახელშეკრულებო ხასიათისაა. მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ კერძო მედიაციის გამოყენებაზე როგორც დავის წარმოშობამდე, ისე შემდგომ ეტაპზეც.[37]

---

34 *ორჯონიკიძე ე.*, მედიაციის გზამკვლევი, თბ., 2021, 52.

35 *ოსტერმილერი სტივენ მ., სვენსონი რ. დილეინი*, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 135.

36 მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, რედ. *ცერცვაძე გ.*, თბ., 2013, 137.

37 *ორჯონიკიძე ე.*, მედიაციის გზამკვლევი, თბ., 2021, 47.

შესაბამისად ნაწილდება ხარჯების საკითხიც.[38]

ამდენად, კერძო მედიაცია ატარებს მაქსიმალურად დისპოზიციურ ხასიათს. ამასთან, 2019 წლის სექტემბრის საკანონმდებლო ცვლილების მიხედვით, კერძო მედიაციის დაწყება მიიჩნევა **ხანდაზმულობის ვადის შეჩერების ერთ-ერთ საფუძვლად** (სამოქალაქო კოდექსის 132-ე მუხლის „გ[1]“ პუნქტი). შესაბამისად, თუ დაიწყო კერძო მედიაცია, ამ მომენტიდან ჩერდება მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა („მედიაციის შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტი).[39]

III. მედიაციის მონაწილეები

კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრულია, თუ ვინ შეიძლება იყოს მედიაციის მონაწილე. მედიაციის მონაწილეები არიან მედიატორი, მხარეები, მხარეთა წარმომადგენლები და მესამე პირი.

1. მედიატორის სტატუსის მოპოვება და მისი როლი

მედიატორი მედიაციის პროცესში ცენტრალურ ფუნქციის მატარებელი ნეიტრალური პირია, რომელსაც ინტერესი (მაგალითად, პიროვნული) არ უნდა გააჩნდეს საკითხის მიმართ.[40]

მედიაცია შეიძლება წარმართოს როგორც ერთმა მედიატორმა დამოუკიდებლად, ისე რამდენიმე მედიატორმა[41] ერთობლივად, თანამედიაციის ფარგლებში.[42] სამართლებრივი პასუხისმგებლობა თითოეული მედიატორის მიმართ ინდივიდუალურად განისაზღვრება.

---

38 რაც განასხვავებს ამ მოცემულობას სასამართლო მედიაციისგან. იხ. *ყანდაშვილი ი.*, მედიაცია, დავის გადაწყვეტის ეფექტური საშუალება, პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბ., 2022, 233.

39 *ბიჭია მ.,* მედიაციის გამოყენების მნიშვნელობა ბიზნესდავებში პანდემიის დროს, ჟურნ. „სამართლის მაცნე“, #3, 2021, 13.

40 *Kracht S.*, Regelungen des Mediationsgesetzes in Praxishandbuch, Professionelle Mediation, Kracht/Niedostadek/Sensburg (Hrsg.), 2023, 86.

41 კანონმდებლობით არაა შეზღუდული მედიატორთა რაოდენობა. შესაბამისად, შეიძლება რომ საქმე წარმათოს როგორც ორმა, ისე რამდენიმე მედიატორმა.

42 იხ. მაგალითად, *Rabe C.S, Wode M.*, Mediation, 2. Auflage, 2020, 3.

ა. მედიატორის სტატუსი

მედიატორი არის ნეიტრალური მესამე მხარე, რომელიც უძღვება მოდავე მხარეებს შორის მოლაპარაკებებსა და მედიაციის პროცესს.[43] მედიატორის არჩევა-დანიშვნის წესსა და პირობებს განსაზღვრავს, ერთი მხრივ, **მედიატორთა სასერტიფიკატო პროგრამა,** მეორე მხრივ, მედიატორთა **პროფესიული ეთიკის კოდექსი.**[44] შესაბამისად, აუცილებელია მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსის გამოყენება მედიატორის მიმართ წაყენებული მოთხოვნების დასაზუსტებლად.

კანონმდებელი **მედიატორად განიხილავს მედიატორთა ერთიან რეესტრში რეგისტრირებულ ფიზიკურ პირს**, რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს და თანახმაა, წარმართოს მედიაცია. მოცემულ შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა მის სტატუსსა და იმას, არჩეულია თუ დანიშნულია კონკრეტულ საქმეზე მედიატორად.

სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ“ დაადგინა მედიატორთა პროფესიული სტანდარტი. ასოციაციის წესდება განსაზღვრავს, რომ **მედიატორი შეიძლება იყოს ნებისმიერი ქმედუნარიანი ფიზიკური პირი,** რომელიც **არაა ნასამართლები და არის ასოციაციის წევრი.** მას თავისთავად გავლილი უნდა ჰქონდეს მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამით გათვალისწინებული მედიაციის ან მედიატორის ტრენინგი. მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამა სამეტაპიანია, კერძოდ, პროგრამა მოიცავს:

(1) მედიაციის/მედიატორის სულ მცირე 60-საათიან სასწავლო პროგრამას (ტრენინგს);

(2) მედიატორობის მსურველი პირის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებში შემოწმებას;

---

43 *ცერცვაძე გ.*, მედიაცია - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, 26-28.

44 ზოგადად, ეთიკური სტანდარტის დაცვა მედიატორის მიერ საკუთარი პროფესიული ნორმების ეფექტურობას უზრუნველყოფს. ამ საკითხზე იხ. *ჯორბენაძე რ.*, მედიაცია: ლექციათა კურსი, თბ., 2012, 98.

(3) მედიატორობის კანდიდატის მიერ რეალური მედიაციის გაძღოლის უნარ-ჩვევათა განვითარება.[45]

პროფესიული თვალსაზრისით, **არაა რაიმე შეზღუდვა დაწესებული** იმ პირის მიმართ, ვინც შეიძლება მედიატორი იყოს. შესაბამისად, მედიატორად შეიძლება ჩაითვალოს ფსიქოლოგი, პედაგოგი, იურისტი და სხვა ნებისმიერი პროფესიის წარმომადგენელი.

მედიატორის აცილებისთვის გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. მედიატორი არ შეიძლება იყოს საქმეზე, თუ ქვემოთ მოცემული გარემოებებიდან ერთ-ერთი არსებობს:

ა) ამ საქმეში თვითონ არის მხარე, ან მას ამა თუ იმ მხარესთან საერთო უფლებები ან მოვალეობები აკავშირებს;

ბ) ამ საქმის ადრინდელ განხილვაში მონაწილეობდა მოწმედ, ექსპერტად, სპეციალისტად, თარჯიმნად, წარმომადგენლად ან სასამართლო სხდომის მდივნად;

გ) მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია (მეუღლე, დანიშნული, პირდაპირი ხაზის ნათესავი, და-ძმა, დისშვილი, ძმისშვილი, მშობლების და-ძმა, დანათესავებულები, პირები, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში საოჯახო ურთიერთობით არიან დაკავშირებული ერთმანეთთან);

დ) პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში;

ე) იყო მედიატორი იმავე საქმეზე ან ამ საქმესთან არსებითად დაკავშირებულ სხვა საქმეზე.

ბ. მედიატორის როლი

მედიატორს გავლილი აქვს განსაზღვრული სააკრედიტაციო მომზადება, ასრულებს სამედიაციო საქმიანობას და მიიჩნევა მედიაციის პრაქტიკის განმახორციელებლად. შესაბამისად, მას ევალება გარკვეული პროფესიული წესებისა და ეთიკური სტანდარტების დაცვა. ამ ეთიკური სტანდარტების მიხედვით, მედიატორებს ეკის-

[45] *ორჯონიკიძე ე.*, მედიაციის გზამკვლევი, თბ., 2021, 21.

რებათ მოვალეობები მხარეების, მედიაციის არამონაწილე პირების, საზოგადოების, სასამართლოსა და თავად პროფესიის მიმართ.[46]

მედიატორი **უფლებამოსილია, იმოქმედოს მხოლოდ მხარეთა თანხმობით.** მედიატორს ევალება, გააცნოს მხარეებს სამოქალაქო საქმეებზე მედიაციის ხასიათი და იურიდიული შედეგები, ასევე, დაიცვას მედიაციის დროს მხარეებისგან მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა.[47]

მედიატორის **უმთავრესი ფუნქციაა, მოუსმინოს მხარეებს,** რომლებიც მას უყვებიან საკუთარ ისტორიებს მედიაციის პროცესში. ესაა ამბები, რომლებიც ოფიციალურ სამართლებრივ სისტემაში ვერ განიხილება, რადგან დამტკიცებისა და პროცედურული წესებითაა შეზღუდული. მოცემულ შემთხვევაში ძირითადი ამოსავალი არის სწორედ ამ ამბების მოსმენა ადამიანებისგან, რომლებსაც ისინი გადახდათ. ფაქტობრივად, კლიენტის მიერ საკუთარი ამბის მოყოლა მედიაციის პროცესის განუყოფელი ნაწილია. მასში აისახება ადამიანური ფაქტორი, რომელიც ხშირად არ არსებობს მაშინ, როცა მოლაპარაკებების დიდ ნაწილს წარმართავენ იურისტები და კლიენტთა ისტორიები გადაჰყავთ იურიდიულ კონტექსტში. როდესაც იურისტები და კლიენტები უსმენენ ერთმანეთს, უკეთ შეუძლიათ გაიგონ და შეაფასონ სხვა ადამიანის რეალური ინტერესები.[48]

მედიატორის უმთავრესი დანიშნულება მოდავე **მხარეთა მხოლოდ დახმარებაა** და არა მათ ნაცვლად გადაწყვეტილების მიღება.[49] ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება სრულად დამოკიდებულია მხარეებზე, რაც, ამავე დროს, არის პრო-

---

46 *ჩიტაშვილი ნ.,* სამართლიანი შეთანხმება, როგორც მედიაციის ეთიკური ურღვეობის საფუძველი, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწდეული 2016“, თსუ გამომცემლობა, 2017, 14.

47 *Leon Ch., Robracher I.*, Austria, In: EU Mediation. Law and Practice, Ed. *Palo de G., Trevor. B. M.*, Oxford, 2012, 16.

48 *Nolan-Haley J.*, Lawyers, Clients, and Mediation, Notre Dame Law Review, Vol. 73, #5, 1997, 1374-1375.

49 *ჯორბენაძე რ.*, მედიაცია: ლექციათა კურსი, თბ., 2012, 41; მაგალითად, *Lück* in Urheberrecht, Wandtke/Bullinger (Hrsg.), 6. Auflage 2022, UrhG §32f, Rn. 12.

ცესის ნებაყოფლობითობის გამოვლენის ფორმა.[50] მედიატორის როლი ნათლად გამოიხატება მხარეებს შორის **პირდაპირი კომუნიკაციების ხელშეწყობაში.**[51] თუმცა მედიატორმა უნდა შეინარჩუნოს ნეიტრალურობა. შესაბამისად, ის არ უნდა იყოს სანდო მრჩეველი და უნდა დარჩეს ნეიტრალურ პირად. მხარეები იმიტომ ენდობიან მედიატორს, რომ მისი როლი **ნეიტრალურია.**[52] მის მიუკერძოებლობის რწმენას ისიც აძლიერებს, რომ მედიაცია კონფიდენციალურია და ნდობაზე დაფუძნებულ გარემოს ქმნის. თუმცა მედიატორი არ უნდა მიემხროს რომელიმე მხარეს და დარჩეს ნეიტრალური.[53]

მედიატორი მხარეებს ეხმარება, თავიდან აიცილონ პოლარიზებული წარმოდგენები იმაზე, რომ თვითონ დაზარალებულია და მოწინააღმდეგე მხარე კი – ბოროტმოქმედი. მედიატორს ევალება, წაახალისოს სადავო პრობლემების შესახებ პროდუქტიული და ფართო მსჯელობა. მედიაცია მოუწოდებს მხარეებს, ყურადღება გაამახვილონ სამომავლო ურთიერთობებზე და არა მხოლოდ წარსულზე. ამ გზით მათ შესაძლებლობა ექნებათ, გასცდნენ ბრალის უბრალო განაწილებას მხარეებზე და გადაჭრან მათი მომავალი პრობლემები.[54]

ამასთან, მედიატორი უნდა ცდილობდეს, **წაახალისოს მხარეთა ნების ავტონომიასა და თვითგამორკვევაზე დაფუძნებული პროცესი.** თუმცა ამ შემთხვევაში მედიატორმა უნდა უზრუნველყოს, რომ მხარეებმა მიიღონ გადაწყვეტილება სათანადო ინფორმაციის ფლობისა და გაცნობიერების საფუძველზე. ანალოგიურ შემთხვევებში

---

50 *Feehily R.*, International Commercial Mediation, Law and Regulation in Comparative Context, Cambridge, 2022, 12.

51 იხ. მაგალითად, *Hönlinger I.*, Regelungen des Mediationsgesetzes in Praxishandbuch, Professionelle Mediation, Kracht/Niedostadek/Sensburg (Hrsg.), 2023, 149.

52 *Deason E. E.,* The Quest for Uniformity in Mediation on Confidentiality: Foolish Consistency or Crucial Predictability? Marquette Law Review, Vol. 85, 2001, 81

53 *Macturk C. H.*, Confidentiality in Mediation: The Best Protection has Exception, „American Journal of Trial Advocacy“, Vol. 19, 1995, 415; ნეიტრალურობაზე იხ. *ჩიტაშვილი ნ.*, ადვოკატ-მედიატორის ცალკეულ ეთიკურ ვალდებულებათა თავისებურება და რეგულირების აუცილებლობა, თსუ „სამართლის ჟურნალი“, #2, 2016, 36-37.

54 *Hardy S., Rundle O.*, Mediation for Lawyers, Australia, 2010, 9.

წარმოიშობა მედიაციის მხარის სამართლებრივი ინფორმირების საჭიროება, რაც მედიატორის როლს მნიშვნელოვნად აახლოებს წარმომადგენლის პროფესიულ მოვალეობას. ამ დროს მედიატორისა და წარმომადგენლის როლი ურთიერთმფარავ ხასიათს იძენს, რაც ეთიკურ დილემებსაც წარმოშობს.[55]

2. მხარეები

კანონის მიხედვით, მედიაციის მხარე შეიძლება იყოს **ფიზიკური პირი, იურიდიული პირი, ორგანიზაცია, რომელიც არაა იურიდიული პირი.** კანონში არსებული მოცემულობისა და მედიაციის არსის გათვალისწინებით, მხარედ შეიძლება წარმოდგენილი იყოს ამხანაგობაც. მოდავე მხარეები არიან ერთმანეთთან დაპირისპირებული (საპირისპირო პოზიციის მქონე) ან სხვის ოპოზიციაში მყოფი პირები.[56] შესაბამისად, მხარე არის სარჩელის წარმდგენი მხარე (მოსარჩელე) და ის მხარე, ვისაც მიემართება აღნიშნული სარჩელი (მოპასუხე). თითოეულ მათგანს ევალება ფაქტების კეთილსინდისიერად წარდგენა, რასაც უპირისპირდება კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის მოვალეობა.[57]

3. მხარეთა წარმომადგენლები

ა. ვინ შეიძლება იყოს მხარის წარმომადგენელი?

„მედიაციის შესახებ“ კანონი არ იძლევა წარმომადგენლის განმარტებას. თუმცა სამედიაციო პროცესზე ვრცელდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესები, თუ მედიაციის სპეციფი-

---

55 *ჩიტაშვილი ნ.*, მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, თსუ „სამართლის ჟურნალი“, #1, 2016, 31.

56 *Phillips I. A.*, The ADR / CR Divide: An Autoethnographic Interrogation of its Impact on the Theory and Practice of Mediation, Submitted for the degree of Doctor of Philosophy, Bradford, 2017, 148.

57 *Hopt J. K., Steffek F.*, Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford, 2013, 722.

კას არ ეწინააღმდეგება. შესაბამისად, მედიაციის მხარის წარმომადგენლის გასარკვევად გამოიყენება წარმომადგენლობის შესახებ საპროცესო სამართლით გათვალისწინებული წესები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მხარეების წარმომადგენელი შეიძლება იყოს:

ა) ადვოკატი;

ბ) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, მუნიციპალიტეტის-/მუნიციპალიტეტის ორგანოს, ორგანიზაციის თანამშრომლები – ამ ორგანოებისა და ორგანიზაციების საქმეებზე;

გ) სპეციალური მოსარჩელის სტატუსის მქონე ორგანიზაციები – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საქმეებზე;

დ) ერთ-ერთი თანამონაწილე – დანარჩენ მონაწილეთა დავალებით;

ე) სხვა ქმედუნარიანი პირები – მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში.

თუმცა სასამართლოში წარმომადგენელი ვერ იქნება ის, ვინც იმავე საქმეში ან ამ საქმესთან არსებითად დაკავშირებულ სხვა საქმეში მონაწილეობდა მედიატორად (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლის 1 და 1^1-ელი ნაწილები). ამასთან, წარმომადგენლად არ უნდა იყოს დაშვებული ის, ვინც არაა ადვოკატი იმ შემთხვევაში, როცა მედიატორი მიიჩნევს, რომ ამ უკანასკნელს არ აქვს საკმარისი მონაცემები იმისათვის, რომ წარმოადგინოს მხარე და დაიცვას მისი უფლებები (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილი).

ბ. წარმომადგენლის ფუნქცია მედიაციაში

ადვოკატის წარმომადგენლობა გულისხმობს მის მიერ **მრჩევლის ფუნქციის** შესრულებას. ადვოკატი კლიენტს გადასცემს ინფორმაციას მისი უფლება-მოვალეობების შესახებ და უხსნის, თუ რა შედეგები შეიძლება დადგეს მედიაციის პროცესში.[58] კონსულტაცი-

[58] *Gollan D.*, Mediating Legal disputes: Effective Strategies for Lawyers and Mediators, Brown, 1996, 125-126.

ის მიცემისას ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს, რამდენად პასუხობს მედიაცია უშუალოდ კლიენტის მოთხოვნებს. შესაბამისად, თუ კლიენტმა გადაწყვიტა მედიაციის პროცესში ჩართვა, ადვოკატის წარმომადგენლობითმა ფუნქციამ შეიძლება მოიცვას არა მხოლოდ **მხარის (კლიენტის) ინტერესების წარმოდგენა** მედიაციაში, არამედ, ასევე, **კლიენტის კონსულტირება, მოლაპარაკებების წარმოება, ინტერესების შეფასება და დაცვა.**[59]

ადვოკატმა უნდა **გამოარკვიოს კლიენტის მოსაზრებები** – ფაქტები და მისი ემოციური მდგომარეობა.[60] ამასთან, მან უნდა გაიგოს საკუთარი კლიენტის საწყისი მიზნები, რათა მათ შესაბამისად იმოქმედოს. მართალია, კლიენტის მიზნები და მოლოდინები შეიძლება შეიცვალოს განხილვის პროცესში, მაგრამ ადვოკატმა პატივი უნდა სცეს მის ვარაუდებსა და პრეფერენციებს საკონსულტაციო ურთიერთობის დაწყების მომენტიდანვე. ასევე, ადვოკატმა უნდა განუმარტოს კლიენტს ის კანონი, რომელიც უნდა იყოს გამოყენებული მოცემულ საქმეზე იმისათვის, რომ მოლაპარაკების პროცესში გააზრებულად განსაზღვრონ ალტერნატიული სამართლებრივი ქმედებები და მათგან გამომდინარე იურიდიული შედეგები.[61]

ამასთან, ადვოკატმა კლიენტს უნდა **მიაწოდოს ინფორმაცია პროცესის მონაწილეთა როლის შესახებ,** აუხსნას საკუთარი მოქმედების სტრატეგია და ტაქტიკა. პრაქტიკა ადასტურებს, რომ ადვოკატმა კლიენტი უნდა დააკვალიანოს მედიაციის პროცესის შესახებ, კერძოდ, მოამზადოს მოსალოდნელ კითხვებზე პასუხების გაცემის მიმართულებით ისე, რომ კლიენტის ინტერესები იყოს გათვალისწინებული. ასევე, კარგი იქნება, ადვოკატმა შეთანხმების პირობების რამდენიმე ალტერნატივა შეიმუშავოს და მედიაციის პროცეს-

---

59 *Nolan-Haley J.*, Lawyers, Clients, and Mediation, Notre Dame Law Review, Vol. 73, #5, 1997, 1375-1376.

60 *Binder D. A., Price S. C.*, Legal Interviewing and Counseling: A Clientcentered Approach, West Publishing Company, 1977, 52-68.

61 *Nolan-Haley J.*, Lawyers, Clients, and Mediation, Notre Dame Law Review, Vol. 73, #5, 1997, 1384-1385.

ში იმ ვერსიაზე გაამახვილოს მეტი ყურადღება[62], რომელიც ყველაზე მეტად ასახავს მედიაციის პროცესში გარემოებათა გამო შეცვლილ მდგომარეობასა და მისი კლიენტის ინტერესებს.

4. მესამე პირი

მედიაციის პროცესში შეიძლება დადგეს მონაწილე პირთა წრის გაფართოების საკითხი, როდესაც ამა თუ იმ საკითხის გარშემო რომელიმე მხარისთვის მნიშვნელოვანია გარეშე პირის აზრი ან მისი პოზიციის გათვალისწინების გარეშე უჭირს შეთანხმების პირობებზე ჩამოყალიბება. ასეთი შემთხვევების რეგულირების მიზნებისათვის კანონმდებელმა შემოიღო **მესამე პირის ინსტიტუტი** მედიაციაში. ამ დროს მედიატორს აქვს შესაძლებლობა, მხარეთა თხოვნით ჩართოს მესამე პირი პროცესში, რათა ამა თუ იმ მხარეს ან მხარეებს გაუადვილდეთ შეთანხმების მიღწევა. მესამე პირის მედიაციაში ჩართვის შესაძლებლობას არაერთი ევროპული ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს. გასაზიარებელია გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ უპრიანია, ამ მიმართულებით გადაიდგას შესაბამისი ნაბიჯები ქართული კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით.[63]

მესამე პირი არის ის, ვინც მედიაციის პროცესს ესწრება მხარეთა თანხმობით, არის შებოჭილი კონფიდენციალურობის დაცვის მოვალეობით. მაგალითად, მეზობლები, ოჯახის წევრები და ექსპერტები არიან მესამე პირები.[64]

მესამე პირის საუკეთესო მაგალითია ადვოკატის/იურისტის ჩართვა, რომელიც მხარეებს მოეხმარებათ შესაბამისი შეთანხმების

---

62 *გურიელი ა.*, ადვოკატის როლი სამოქალაქოსამართლებრივი დავების მედიაციის პროცესში, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწდეული 2016“, თსუ გამომცემლობა, 2017, 151-152.

63 *ყანდაშვილი ი.*, საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, თბ., 2019, 213.

64 *Hopt J. K., Steffek F.*, Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford, 2013, 547.

სამართლებრივ ფორმულირებაში.[65] ასეთ დროს, მესამე პირი უნდა მოქმედებდეს არა ერთი მხარის ინტერესის ფარგლებში,[66] არამედ, მედიაციის მიზნებიდან უნდა ამოდიოდეს.

IV. მედიაციის შესახებ შეთანხმება

მედიაციის თაობაზე შეთანხმებად მიიჩნევა მხარეთა შორის დავის წარმოშობისას მათ მიერ მედიაციისათვის მიმართვის შესახებ მხარეთა წერილობითი შეთანხმება. ტერმინის მნიშვნელობიდან გამომდინარე, შეთანხმება უშუალოდ გამომდინარეობს მხარეთა ნებიდან და იგი არ წარმოადგენს სავალდებულო წესით დაქვემდებარებულ მედიაციას. ეს ნიშნავს, რომ სამედიაციო შეთანხმების დროს მხარეები თავად იღებენ გადაწყვეტილებას და კონკრეტულ საკითხს მათ ნაცვლად არ წყვეტს მედიატორი. შესაბამისად, ამგვარი შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების სახეს.[67]

პრაქტიკული თვალსაზრისით, მედიაციის შესახებ შეთანხმება შეიძლება, რომ სასამართლოში დავის დაწყებამდეც იყოს გათვალისწინებული. ასეთ დროს, მხარეები თავდაპირველი მოლაპარაკების სტადიად უთითებენ მედიაციას, ხოლო, მედიაციის წარუმატებლად დასრულების შემთხვევაში, სასამართლოს/არბიტრაჟს.

V. სამედიაციო მორიგება

სამედიაციო მორიგებაში მოიაზრება მედიაციის შედეგად დავით ურთიერთშეთანხმებით დასრულების თაობაზე წერილობითი დოკუმენტი, რომლის შესრულება სავალდებულოა.

მორიგება, თავისი არსით, ორმაგი სამართლებრივ ბუნებისაა: მორიგება არის მატერიალურსამართლებრივი და საპროცესოსამართლებრივი ხასიათის. მორიგება, როგორც მატერიალურსამართლებ-

---

65 *Rabe C.S., Wode M.*, Mediation, 2. Auflage, 2020, 230.

66 ამას ადვოკატის ეთიკის სტანდარტი ისედაც კრძალავს.

67 *ყანდაშვილი ი.*, მედიაცია, დავის გადაწყვეტის ეფექტური საშუალება, პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბ., 2022, 120.

რივი მოვლენა, ატარებს ვალდებულებითსამართლებრივ ხასიათს და აწესრიგებს მხარეებს შორის ურთიერთობებს ახალი გარიგების დადების გზით. თუმცა თუ განვიხილავთ მორიგებას, როგორც საპროცესო მოქმედებას, ის მოიაზრებს **მხარეებს შორის დავის დასრულების საშუალებას,** რაც სამართალწარმოების შეწყვეტას იწვევს.[68]

სამედიაციო მორიგება მედიაციის დასრულების შედეგს წარმოადგენს. ამ დროს, მხარეთა ინიციატივით, ისინი აჯერებენ ერთმანეთთან პირობებს, რომელსაც ხელმოწერით ადასტურებს მედიატორი. მნიშვნელოვანია, რომ სამედიაციო მორიგება იმგვარად იყოს ფორმულირებული, დაბრკოლება არ შეექმნას აღსრულების თვალსაზრისით.[69]

მორიგების დოკუმენტში პირობებთან ერთად ეთითება როგორც მხარეთა და მედიატორის შესახებ ინფორმაცია, ისე, მოკლე აღწერილობა მედიაციის პროცესის წარმართვის შესახებ.[70] ამ მხრივ, მორიგების დოკუმენტი მოიცავს სრულ ინფორმაციას მიღწეული შეთანხმების თაობაზე.

VI. საერთაშორისო სამედიაციო მორიგება

კანონის მიხედვით, საერთაშორისო სამედიაციო მორიგებაში მოიაზრება კომერციული დავის მოგვარების მიზნით მიღწეული და დადებული წერილობითი შეთანხმება. ის ეფუძნება „მედიაციის შედეგად მიღწეული მორიგების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებების თაობაზე“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2019 წლის 7 აგვისტოს კონვენციას.

ეს კონვენცია ვრცელდება მედიაციის შედეგად წარმოშობილ ნებისმიერ შეთანხმებაზე და მხარეების მიერ ფორმდება წერილობით, რათა მოგვარდეს კომერციული დავა. ეს შეთანხმებები გაფორმების დროისთვის საერთაშორისო ხასიათს ატარებს იმ შემთხვევაში, თუ:

---

68 *მამაიაშვილი თ.*, მორიგება, როგორც სამოქალაქო საქმის წარმოების დამთავრების საფუძველი, დის., თსუ, 2017, 241.

69 *Rabe C.S., Wode M.*, Mediation, 2. Auflage, 2020, 232.

70 *ჯორბენაძე რ.*, მედიაცია: ლექციათა კურსი, თბ., 2012, 97.

ა) მორიგების შეთანხმების მონაწილე სულ მცირე ორი მხარე ეწევა ძირითად საქმიანობას სხვადასხვა სახელმწიფოში, ან

ბ) სახელმწიფო, რომელშიც მორიგების შეთანხმების მონაწილე მხარეები ახორციელებენ ძირითად საქმიანობას, განსხვავდება იმ სახელმწიფოსგან:

ბ.ა. რომელშიც მორიგების შეთანხმებით დაკისრებული ვალდებულებების მნიშვნელოვანი ნაწილი სრულდება, ან

ბ.ბ. რომელსაც მორიგების შეთანხმების საგანი ყველაზე მჭიდროდ უკავშირდება.[71]

VII. საქართველოს მედიატორთა ასოციაცია

საქართველოს მედიატორთა ასოციაცია არის „მედიაციის შესახებ" კანონის საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც კანონით გათვალისწინებულ ფუნქციებს ასრულებს (იხ. მე-14 მუხლი). შესაბამისად, კანონმდებელი ადგენს, რომ საქართველოს მედიატორთა ასოციაცია შეიძლება დაფუძნდეს მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმით. ამასთან, საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მიმართ გამოიყენება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" კანონიც, გარდა სახელმწიფო კონტროლის მომწესრიგებელი მე-11 მუხლისა.

ასოციაცია წარმოადგენს ე.წ. „ქოლგა ორგანიზაციას", რომელიც გახდა პასუხისმგებელი მედიაციის ინსტიტუციონალურ განვითარებაზე, მედიატორთა პროფესიაში მიღებასა და მათ პროფესიულ გადამზადებაზე.[72]

საჯარო სამართლის იურიდიული პირი წარმოიშობა სახელმწიფო ორგანოს **სამართლებრივი აქტის (კანონი, ბრძანებულება, დადგე-**

---

[71] გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, კონვენცია „მედიაციის შედეგად მიღწეული მორიგების საერთაშორისო შეთანხმებების შესახებ", ნიუ იორკი, 2019, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/270886>

[72] *ყანდაშვილი ი.*, მედიაცია, დავის გადაწყვეტის ეფექტური საშუალება, პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბ., 2022, 278.

ნილება და ა.შ.) საფუძველზე და საგანკარგულებო წესით.[73] სსიპ არის შესაბამისი კანონით, მთავრობის დადგენილებით ან სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი, საკანონმდებლო და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფო კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო და სხვა საჯარო საქმიანობას.[74]

კანონმდებელმა საჯარო სამართლის იურიდიულ პირს დააკისრა სპეციფიკური საქმიანობა, რომელიც უკავშირდება საჯარო ფუნქციის შესრულებას. კანონით ასეთ საჯარო საქმიანობად ითვლება პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი, სოციალური, საგანმანათლებლო, კულტურული და სხვა საქმიანობა.[75] ფაქტობრივად, კანონმდებელმა საქართველოს მედიატორთა ასოციაციას მიანიჭა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმიანობის განხორციელების ფუნქცია. ამავე დროს, ასოციაცია აწარმოებს საქართველოს მედიატორთა ასოციაციის წევრთა საერთო სიას. სწორედ ამ სიიდან არჩევენ მხარეები მედიატორს **ან შეთანხმებით ან შეუთანხმებლობისას რიგითობის წესით** (ასოციაციის ფუნქციებსა და მედიატორის დანიშვნაზე იხ. მე-4 და მე-14 მუხლები).

---

[73] *ჭანტურია ლ.*, რამდენიმე მოსაზრება საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე, რომან შენგელია, 70, საიუბილეო კრებული, სამართლის პრობლემები, თბ., 2012, 213.

[74] „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონი, მუხლის პირველი პუნქტი, 28/05/1999, #2052-IIს.

[75] „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონი, მე-2 მუხლის პირველი პუნქტი, 28/05/1999, #2052-IIს.

ნათია ჩიტაშვილი / მიხეილ ბიჭია / გურამ ბარნაბიშვილი / აკაკი გაწერელია / დემეტრე ეგნატაშვილი

მუხლი 3. მედიაციის წარმართვის პრინციპები

I. ზოგადი დებულებები 57
1. ნორმის არსი და მიზანი 57
2. მედიაციის პრინციპის არსი და კლასიფიკაცია 57
ა. მედიაციის პრინციპების არსი 57
ბ. მედიაციის პრინციპების კლასიფიკაცია 58
II. მედიაციის პრინციპების ანალიზი 59
1. მხარეთა ნებაყოფლობითობა 59
ა. მხარეთა ნებაყოფლობითობის ცნება და შინაარსი 59
ბ. ნებაყოფლობითობის შეზღუდვის საფუძვლები 63
2. თვითგამორკვევა 65
3. კეთილსინდისიერება 68
4. თანასწორობა 77
5. მედიატორის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობლობა .. 83
ა. მედიატორის დამოუკიდებლობის პრინციპი 86
ბ. მედიატორის მიუკერძოებლობის პრინციპი 87
6. მედიაციის კონფიდენციალურობა 89
ა. კონფიდენციალურობის შესახებ სამართლებრივი საფუძვლები 89
ბ. მედიაციის კონფიდენციალურობის ცნება და შინაარსი ... 90
გ. მედიაციის კონფიდენციალურობის მიზანი და ფუნქცია .. 91
7. მედიაციის პრინციპებს შორის ურთიერთდამოკიდებულება. 94

მედიაცია ეფუძნება მხარეთა ნებაყოფლობითობის (გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა), თვითგამორკვევის, კეთილსინდისიერებისა და თანასწორობის, კონფიდენციალურო-

ბის დაცვის, მედიატორის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებს. მედიაციის პროცესის მიმდინარეობისას წარმოშობილი საკითხები, რომლებიც ამ კანონით არ არის მოწესრიგებული, აღნიშნული პრინციპების საფუძველზე უნდა გადაწყდეს.

I. ზოგადი დებულებები

1. ნორმის არსი და მიზანი

მე-3 მუხლი ეძღვნება მედიაციის წარმართვის პრინციპებს. ნორმის **მიზანია,** განსაზღვროს მედიაციის ფუნდამენტური დებულებები (საწყისები), ხოლო მედიაციის დროს წარმოშობილი ისეთი საკითხები, რომლებიც არაა ამ კანონით დარეგულირებული, გადაწყვიტოს მედიაციის პრინციპების დახმარებით. შესაბამისად, კანონი შეიცავს ზოგად ჩანაწერს მედიაციის პრინციპების შესახებ, მაგრამ იძლევა კანონით უშუალოდ გაუთვალისწინებელი ურთიერთობების გადაწყვეტის **ზოგად ფორმულას** – გაფართოვდეს ამ პრინციპების გამოყენების მნიშვნელობა ინდივიდუალური შემთხვევების მიხედვით პრაქტიკაზე დაყრდნობით.

2. მედიაციის პრინციპის არსი და კლასიფიკაცია

ა. მედიაციის პრინციპების არსი

ტერმინ „პრინციპის“ ეტიმოლოგია უკავშირდება ლათინურ სიტყვებს “princeps” და “princip”, რაც ნიშნავს პირველადს, საწყისს ან უმთავრესს, ასევე, სიტყვას “principium”, რომელშიც მოიაზრება წყარო, საფუძველი. შესაბამისად, ტერმინ „პრინციპს“ აქვს „საფუძვლის“ დატვირთვა. ამ ლათინური სიტყვების მნიშვნელობის გათვალისწინებით, „პრინციპი“ განიხილება ფუნდამენტურ წესად, ძირითად და პირველსაწყის დებულებად, რომელზე დაყრდნობითაც ვითარდება ესა თუ ის მოვლენა.[1] მათ დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ

[1] *Rey M. V.*, What Is Principle? Definition and Usage of This Term, *Philippine News*, 18 Dec. 2020, <https://philnews.ph/2020/12/18/what-is-principle-definition-

სამართლებრივი სისტემის ფუნქციონირებისა და პრაქტიკის ეფექტიანად წარმართვისთვის.

აქედან გამომდინარე, მედიაციის წარმართვის **პრინციპები** ის ძირითადი საწყისებია, რომლებიც **მედიაციის პროცესის წარმოების საფუძვლებს განსაზღვრავს**. შესაბამისად, მათ აქვთ არა უბრალოდ თეორიული დატვირთვა, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა, რადგან მედიაციის წარმართვის სახელმძღვანელო წესებს გვთავაზობს. ამას ადასტურებს თვით კანონში არსებული ჩანაწერი იმის თაობაზე, რომ **მედიაციის პროცესის მიმდინარეობისას წარმოშობილი საკითხები, რომლებიც არაა ამ კანონით დარეგულირებული, უნდა გადაწყდეს მედიაციის პროცესის პრინციპების საფუძველზე** (მე-3 მუხლის ბოლო წინადადება).

ბ. მედიაციის პრინციპების კლასიფიკაცია

მედიაციის პრინციპების კლასიფიკაცია ხდება სხვადასხვა მიდგომის მიხედვით, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია მედიაციის ინსტიტუტის ადგილი და როლი ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში. როდესაც მედიაცია მჭიდროდ არის დაკავშირებული სასამართლო სისტემასთან (ე.წ. „სასამართლო“ ან „საპროცესო“ მედიაცია), მედიაციის პრინციპები უახლოვდება პროცესის ზოგად პრინციპებს, როგორიცაა დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა. თუ მედიაცია განიხილება დამოუკიდებელ, ცალკე არსებულ ინსტიტუტად (არასასამართლო მედიაცია), მას აქვს საკუთარი სპეციფიკური პრინციპები, რომლებიც შეიძლება დაემთხვეს სასამართლო დავის განხილვის პრინციპებს, თუმცა არა ყოველთვის. მაგალითად, ასეთია ნებაყოფლობითობა. ამასთან, ვინაიდან მედიაცია მიიჩნევა სამართლებრივი სისტემის ნაწილად, იგი იყენებს სამართლისთვის დამახასიათებელ ზოგად პრინციპებსაც (კანონის უზენაესობის პრინციპი).[2]

---

and-usage-of-this-term/>; “Meaning and Origin of the Word Principle.” *Etymology*, <https://www.etymology-online.com/principle>

[2] *Sheremet A., Blashchuk T., Ishchuk S.*, Mediation Principles in the Civil Society and Features of their Application in the educational Environment of Ukraine, *Journal of Education Culture and Society*, №2, 2022, 236; მედიატორთა ქცევის მოდელური სტანდარტებით განმტკიცებული მედიაციის პრინციპების (თვითგამორკვევა, ნებაყოფლობითობა, კონფიდენციალურობა

II. მედიაციის პრინციპების ანალიზი

1. მხარეთა ნებაყოფლობითობა

ა. მხარეთა ნებაყოფლობითობის ცნება და შინაარსი

მედიაცია **მხარეთა თავისუფალ ნებაზე** დაფუძნებული პროცესია. შესაბამისად, ნებაყოფლობითობა მედიაციის ამ სპეციფიკური თავისებურების განმსაზღვრელი პრინციპია. ის განიხილება მხარეთა თვითგამორკვევის მხოლოდ თანმიმდევრულ და თვალსაჩინო ელემენტად. ამასთან, ნებაყოფლობითობა განსაზღვრავს მხარეთა თვითგამორკვევის ფარგლებს და ანიჭებს მხარეებს თავისუფლებას, შეთანხმდნენ ან უარი თქვან შეთანხმებაზე. ასევე, მხარეთა თანხმობა საჭიროა გარკვეულ პროცედურულ ეტაპებთან დაკავშირებით, როგორიცაა მედიატორის დანიშვნა და სამედიაციო პროცესის წარმართვა.[3]

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, **ნებაყოფლობითობის პრინციპში ასახულია სამი** ელემენტი: (1) მხარეთა **თავისუფლება, მონაწილეობა მიიღონ** მედიაციის პროცესში. დაუშვებელია მხარეების იძულებით ჩართვა მედიაციაში; (2) **მხარეთა შესაძლებლობა, მედიაციის პროცესის მიმდინარეობა** ყოველთვის მოაქციონ **ერთობლივი კონსენსუალური კონტროლის ფარგლებში და (3) უფლებამოსილება, მიღწეული შედეგები** დაეფუძნოს **მხარეების თავისუფალ შეთანხმებას.**[4] თავისთავად ეს ნებაყოფლობითობის ზოგადი კომპონენტებია, რომლებიც დაკონკრეტებულია კანონით გათვალისწინებულ სხვადასხვა მოქმედებაში. მედიაციაში მხარეთა ნებაყოფლობითობის გამოვლინების ფორმაა:

და სხვ.) შესახებ იხ. ჩიტაშვილი ნ., მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, „სამართლის ჟურნალი“, #1, 2016, 32-35.

3 *Hopt K.J., Steffek F.*, Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford, 2013, 109; *Hietanen-Kunwald P.*, Mediation and the legal System, extracting the legal principles of civil and commercial Mediation, Academic Diss., Helsinki, 2018, 180.

4 *Andrews N.*, Mediation: International Experience and Global Trends, Journal of International and Comparative Law, N4, 2017, 220.

- მედიატორის არჩევა;
- კერძო მედიაციის განსაზღვრა;
- მედიატორის მიერ მედიაციის შესახებ ამა თუ იმ წესის შესახებ ინფორმირების შემდეგ სხვადასხვა საკითხის გადაწყვეტა;
- მედიაციის დაწყება;
- მედიაციის პროცესში უშუალოდ თუ წარმომადგენლის დახმარებით მონაწილეობა;
- ერთობლივი თუ ინდივიდუალური შეხვედრის შეთანხმება;
- სამედიაციო პირობების განსაზღვრა;
- მედიაციის დასრულება და სხვ.

ამდენად, მედიაციის ნებაყოფლობითი პროცესი ეფუძნება **მხარეთა ავტონომიას.** მხარეები ინარჩუნებენ სრულ კონტროლს იმაზე, რომ მიიღონ მონაწილეობა მედიაციის პროცესში. მხარეებს აქვთ **უფლება, შეთანხმდნენ** მედიატორსა და მედიაციის წარმართვის პროცედურებზე, ასევე, განსაზღვრონ განსახილველ საკითხთან ნუსხა, შეიმუშაონ დავის გადაწყვეტის საკუთარი ვერსიები, მოაგვარონ უთანხმოება კომპლექსურად, ან შეწყვიტონ მედიაცია ნებისმიერ დროს.[5] შესაბამისად, მხარეები სურვილისამებრ წარმართავენ პროცესს და **დამოუკიდებლად იღებენ გადაწყვეტილებას ნებისმიერ** განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. ისინი თავად წყვეტენ მედიაციის გზით დავის მოგვარებას და **ინაწილებენ პასუხისმგებლობასაც მის საბოლოო შედეგებზე.**[6]

ფაქტობრივად, მედიაციის პროცესის თითოეული ეტაპი თუ ნაბიჯი მხარეთა თანხმობის არსებობას მოითხოვს. **მაგალითად,** ინდივიდუალურ შეხვედრაზე მიღებული ინფორმაცია მედიატორმა არ უნდა გადასცეს მეორე მხარეს, თუ ინფორმაციის გამცემმა არ მისცა ამაზე თანხმობა. ასევე, უშუალოდ მხარე განსაზღვრავს, თუ რა ფარგლებში გადაეცეს ინფორმაცია მოწინააღმდეგე მხარეს. ეს გა-

---

5 *Alexander N., Chong S., Giorgadze V.*, The Singapore Convention on Mediation, A Commentary, 2nd Edition, The Netherlands, 2022, 356.

6 *ორჯონიკიძე ე.*, მედიაციის გზამკვლევი, თბ., 2021, 30.

რემოებებიც ადასტურებს, რომ მედიაცია მხარეების ინტერესებზე მორგებული პროცესია.

მხარეები მონაწილეობენ პროცესში თავიანთი **ნებით** და შეუძლიათ პროცესიდან გასვლა ნებისმიერ დროს. პირველ რიგში, ეს პროცესი იწყება **მხოლოდ მხარეთა თანხმობის არსებობისას.** პროცესში მონაწილეობის შესახებ მხარეთა გადაწყვეტილება შეიძლება იყოს მათი არჩევანი. ესაა მხარეების შესატყვისი ნაბიჯი, რომელიც ეფუძნება მათ თავისუფალ ნებას. არავის არ აქვს უფლება, იძულებით ჩართოს მხარეები მედიაციის პროცესში, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა (იხ. ქვევით ასეთი გამონაკლისები). ასეთი მოქმედება იქნება არა მხოლოდ ამ პრინციპის დარღვევა, არამედ მედიაციას დაეკარგება აზრი. მედიატორმა უნდა იცოდეს, როგორ აუხსნას მხარეებს, რაშია დავის გადაწყვეტის ასეთი უპირატესობა, რათა ისინი თვითონ ნებაყოფლობით დაეთანხმონ, გახდნენ ამ პროცესის ნაწილი.[7]

ფაქტობრივად, მხარეთა ნებაყოფლობითი მონაწილეობა მედიაციის პროცესში მოიაზრებს მათ მზაობას, ითანამშრომლონ შეთანხმების მიღწევის მიზნით.[8] განსაკუთრებით მიმზიდველია მხარეებისთვის მედიაციის სწორედ ნებაყოფლობითი (და არა სავალდებულო) ხასიათი. ეს იმითაა განპირობებული, რომ როგორც **მედიაციის დაწყების, ისე მედიაციის პროცესში მონაწილეობის შესახებ** გადაწყვეტილებას სრულად **მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული.**[9]

მაშასადამე, მედიაციის პროცესში მხარეები ერთვებიან ნებაყოფლობით, რაც ერთი-ორად ზრდის მათ შორის შეთანხმების მიღწევის შანსს.[10] მედიაცია **ნებაყოფლობითი პროცესია,** რაც ავტომატურად განაპირობებს მოდავე მხარეების შესაძლებლობას, კარგად

---

7 *Pilishvili M.*, Principles of Mediation, Academic Year 2018-2019, 4.

8 *Spencer D., Brogan M.*, Mediation Law and Practice, Cambridge, 2006, 87.

9 *Feinberg K. R.,* Mediation - A Preferred Method of Dispute Resolution, Pepperdine Law Review, Vol. 16, Iss. 5, 1989, 7-8.

10 *ბათიაშვილი ი.*, მედიაციის პროცესი, მისი პრინციპები და გამოწვევები საქართველოში, „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწდეული 2021“, თსუ გამომცემლობა, 2022, 16.

გაერკვნენ, თუ რა სახის დაპირისპირება აქვს მეორე მხარესთან, თავად რა ფორმით ესახებათ დავის გადაწყვეტა.[11] **მაგალითად,** „მედიაციის შესახებ" გერმანიის კანონის თანახმად, **მედიაცია კონ-ფიდენციალური და სტრუქტურირებული პროცესია,** რომელშიც ნებაყოფლობითობის საფუძველზე მხარეები ცდილობენ, მშვიდობი-ანად თავის მოგვარებას ერთი ან რამდენიმე მედიატორის დახმარე-ბით.[12] კონფიდენციალურობა უზრუნველყოფს როგორც მხარეთა ნებაყოფლობით მონაწილეობას პროცესში, ისე ეფექტური და წარ-მატებული მოლაპარაკებების წარმოებას.[13] ლატვიაში მედიაცია არასავალდებულო ხასიათისაა, მაგრამ სასამართლო მოუწოდებს მოსარჩელეს სამოქალაქო პროცესში, მედიაცია განიხილოს, რო-გორც დავის გადაწყვეტის ვარიანტი – მინიმუმ დავის გადაწყვეტის შესაძლო ინსტრუმენტად. შესაბამისად, მედიაცია წმინდა ნებაყოფ-ლობითი ხასიათისაა, თუმცა წახალისებულია მისი გამოყენება საპ-როცესო ნორმებითა და ზომებით.[14]

საქმე ისაა, რომ თუ მხარეები **იძულებით** ერთვებიან მედიაციის პროცესში, ეს ამცირებს **მათ მოტივაციას, მიაღწიონ შეთანხმებას.** მედიაციაში ნებაყოფლობით ჩართულ მხარეებს კარგად უნდა ჰქონ-დეს გააზრებული მედიაციის მნიშვნელობა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მათი მონაწილეობა პროცესში შეიძლება კონტრპრო-დუქტიული აღმოჩნდეს.[15] ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპ-

---

11 *ყანდაშვილი ი.*, მედიაცია (დავის გადაწყვეტის ეფექტური ალტერნა-ტიული საშუალება), თბ., 2020, 94.

12 German Mediation Act 2012, Section 1; *Hietanen-Kunwald P.*, Mediation and the legal System, extracting the legal principles of civil and commercial Mediation, Academic Diss. Helsinki, 2018, 53.

13 *Freedman Lawrence R., Prigoff Michael L.*, Confidentiality in Mediation: The Need for Protection, Journal of Dispute Resolution, Vol. 2, Issue 1, 1986, 37-38.

14 *Tvaronavičlenė A., Kaminskienė N., Rone D., Uudekull R.*, Mediation in the Baltic States: Developments and Challenges of Implementation, Access to Justice in Eastern Europe, Vol. 4, No. 16, 2022, 76-77, <https://doi.org/10.33327/AJEE-18-5.4-a000427>

15 *Spencer D., Brogan M., Mediation Law and Practice*, Cambridge, 2006, 265; *ყან-დაშვილი ი.*, მედიაცია (დავის გადაწყვეტის ეფექტური ალტერნატიული საშუალება), თბ., 2020, 92.

როცესო კოდექსი მხარეს აკისრებს სასამართლო მედიაციის პროცესში მონაწილეობის მისაღებად გამოცხადების მოვალეობას, თუმცა, ცხადია, ეს არ გულისხმობს მედიაციის პროცესის აუცილებლად სამედიაციო მორიგებით დასრულებას.[16]

გარდა ამისა, ნებაყოფლობითობის გამოვლენის ერთ-ერთი ფორმაა სამედიაციო **მორიგების მიღწევა.** სამედიაციო მორგება განიხილება მხარეთა თავისუფალი ნების აქტად, რომლის შესრულება უშუალოდ მათზეა დამოკიდებული. ეს იმას ნიშნავს, რომ სამედიაციო მორიგება მოიაზრებს თვითპასუხისმგებლობის ელემენტსაც. შესაბამისად, სამედიაციო მორიგების მიღწევა და შემდგომში მისი შესრულება-აღსრულება მხარეთა ნებაყოფლობითობას ლოგიკურად აკავშირებს თვითპასუხისმგებლობასთან.

ბ. ნებაყოფლობითობის შეზღუდვის საფუძვლები

მედიაცია შეიძლება დასრულდეს, თუ მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ მედიატორი მიიჩნევს, რომ მედიაციის გაგრძელება არაგონივრული და გაუმართლებელია. მოცემულ შემთხვევაში მედიაციის პროცესი სრულდება **მედიატორის მიერ ამ განცხადების გაკეთების დღიდან** (იხ. მე-9 მუხლის კომენტარი). შესაბამისად, მედიატორს აქვს **დისკრეციული უფლებამოსილება, შეწყვიტოს ან განაგრძოს მედიაციის** პროცესი, ეთიკის წესებისა და მედიაციის მიზნის გათვალისწინებით. ეს იმას ადასტურებს, რომ ნებაყოფლობითობასთან შედარებით ეთიკური წესების დაცვას ენიჭება პრიორიტეტი, რაც მედიატორმა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა შეაფასოს.

ამასთან, მედიაციის დაწყებამდე ან დაწყების შემდეგ შეიძლება გამოვლინდეს ისეთი გარემოება, რომელმაც შეიძლება წარმოშვას მედიატორის მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის საეჭვოობის საკითხი. ამ შემთხვევაში მედიატორს ეკისრება მოვალეობა, აცნობოს

---

[16] *ძაგნიძე დ.,* მედიაციის მოწესრიგების ქართული მოდელი საკანონმდებლო რეფორმის ფონზე, მოხსენებათა კრებული: „მედიაციის მნიშვნელობა და განვითარების პერსპექტივა საქართველოში“, სამეცნ. რედაქტორი: *მაისურაძე დ.,* თბ., 2021, 13.

მხარეებს ასეთი გარემოების თაობაზე. თუ მხარეებმა წერილობით თანხმობა განაცხადეს ამ მედიატორის პროცესში მონაწილეობაზე, შეიძლება ამ მედიატორმა გააგრძელოს პროცესი. თუმცა კანონმდებელი იქვე დასძენს, რომ, აღნიშნული თანხმობის მიუხედავად, მედიატორს შეუძლია მედიაციის წარმართვაზე უარის თქმა. უარის თქმის საფუძველი შეიძლება იყოს ის, რომ **საფრთხე ექმნება მედიატორის მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობას** (იხ. მე-6 მუხლის კომენტარი).

მხარეთა ნების **თავისუფლება არაა შეუზღუდავი,** ვინაიდან ერთი მხარის მოქმედების აბსოლუტურმა თავისუფლებამ არ შელახოს მეორე მხარის ინტერესები. ამ შემთხვევაში მედიატორს ევალება, დაბალანსოს მხარეებს შორის ძალები და მათ თანაბარი პირობები შეუქმნას. ესაა მედიაციის მიზნის მიღწევის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობა.

მხარეთა მიერ გადაწყვეტილების **მიღება იზღუდება** იმით, რომ დაუშვებელია მედიაციის **არასამართლიანი შედეგის დადგომა.** მათი თვითგამორკვევის უფლების საფუძველზე, მხარეთა ინტერესების განხორციელება იქ სრულდება, სადაც ეს ხელყოფს მესამე პირების ინტერესებს.[17] სამართლიანი მედიაციის შედეგი არის ის, რაც მხარეებმა გადაწყვიტეს თვითგამორკვევის განხორციელებისას. ამდენად, სამართლიანი შედეგის მიმართ მედიატორის მოვალეობაა, მედიაცია აწარმოოს მხარეთა თვითგამორკვევის პრინციპის საფუძველზე.[18]

ამასთან, კანონმდებელი ნებაყოფლობითობას გარკვეულწილად შეზღუდვას უწესებს მხარეთა მონაწილეობის ნაწილში. მაგალითად, „მედიაციის შესახებ“ კანონი ადგენს **მედიატორის უფლებამოსილებას,** საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, მოითხოვოს მედიაციის პროცესში მხარ(ებ)ის უშუალო მონაწილეობა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მხარეებს ავალდებულებს, გამოცხ-

---

17 *ჩიტაშვილი ნ.*, სამართლიანი შეთანხმება, როგორც მედიაციის ეთიკური ურღვეობის საფუძველი, „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწდეული 2016“, თსუ გამომცემლობა, 2017, 16.

18 *Shapira O.*, Conceptions and Perceptions of fairness in Mediation, South Texas Law Review, Vol. 54, 2012, 336.

ადდნენ მედიატორის მიერ დანიშნულ დროსა და ადგილზე სასამართლო მედიაციის პროცესში მონაწილეობისთვის. საფიქრებელია, რომ სასამართლო მედიაციის პროცესში **სავალდებულო მონაწილეობა** ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევებზე, როცა მედიატორმა შეაფასა კონკრეტული გარემოებები და მათზე დაყრდნობით **განსაზღვრა პროცესში მხარეთა უშუალო მონაწილეობის აუცილებლობა.** ამდენად, მედიატორს აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, საქმიდან გამომდინარე, დაადგინოს მხარის უშუალოდ მონაწილეობის საჭიროება (დაწვრილებით იხ. მე-8 მუხლის კომენტარი).

ასევე, ნებაყოფლობითობას აქვს შეზღუდვები, თუ მხარეები მიიღებენ გადაწყვეტილებას, რომელიც მედიაციის შეთანხმების ფუნდამენტურ ხასიათს ცვლის. მაგალითად, ეს შეიძლება მოხდეს მაშინ, როდესაც მხარეები თანხმდებიან, შეინარჩუნონ მედიატორი, რომელიც არ მოქმედებს ნეიტრალურად ან ასრულებს სასამართლოს როლს. ამ შემთხვევაში მხარეებმა შეიძლება შეთანხმდნენ დავის გადაწყვეტის მექანიზმის პრინციპულ შეცვლაზე.[19]

2. თვითგამორკვევა

თვითგამორკვევა მედიაციაში იცავს პროცესუალურ სამართლიანობას, ვინაიდან უზრუნველყოფს მხარეთა თანასწორობასა და ღირსებას. თვითგამორკვევა მჭიდროდ უკავშირდება თვითმმართველობისა და ინდივიდუალური ავტონომიის იდეას. ინფორმირებული თანხმობის სამართლებრივი პრინციპი უზრუნველყოფს სტრუქტურას, რომლითაც ეს მნიშვნელობა იზომება. ინფორმირებული თანხმობა ხელს უწყობს ადამიანის ღირსების პატივისცემას იმით, რომ ყურადღებას ამახვილებს ერთობლივი, ინფორმირებული და კონსენსუალური გადაწყვეტილების მიღებაზე.[20]

---

19 *Hopt K.J., Steffek F.*, Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford, 2013, 109; *Hietanen-Kunwald P.*, Mediation and the legal System, extracting the legal principles of civil and commercial Mediation, Academic Diss., Helsinki, 2018, 180.

20 Nolan-Haley J., Self-Determination in International Mediation: Some Preliminary Reflections, Cardozo J. of Conflict Resolution, Vol. 7, 2006, 278.

თვითგამორკვევაში მოიაზრება თითოეული მხარის მიერ ინ-ფორმირებული გადაწყვეტილების მიღება პროცესის მიმდინარეობა-სა და შედეგებთან დაკავშირებით. ის გამოიხატება მხარეთა მიერ ნე-ბაყოფლობითი, ზეგავლენისგან თავისუფალი გადაწყვეტილების მი-ღებაში. შესაბამისად, თვითგამორკვევა უკავშირდება მხარის შესაძ-ლებლობას, მხარეებმა მიაღწიონ შეთანხმებას თავისუფალი ნების გამოვლენისა და ნებაყოფლობითობაზე დაფუძნებული გადაწყვეტი-ლების საფუძველზე.[21] ამ კონცეფციას აზუსტებენ, როგორც პირის შესაძლებლობას, თავად გააკონტროლოს საკუთარი ცხოვრება.[22] ფაქტობრივად, მხარეთა თვითგამორკვევა პირადი ავტონომიის გა-მოვლინებაა და, შესაბამისად, ინფორმირებული ნების პრინციპი უზ-რუნველყოფილია მხარეთა თვითგამორკვევის განხორციელებით.[23]

თვითგამორკვევა აღიარებულია როგორც მედიაციის ფუნდამენ-ტური პრინციპი.[24] მიუხედავად აღნიშნული პრინციპის უდიდესი მნიშვნელობისა და მედიაციაში მისი ფართო გამოყენების შესახებ სა-ყოველთაოდ აღიარებული კონსენსუსისა, თვითგამორკვევის ინტერ-პრეტირება შესაძლოა მაინც მრავალმხრივი იყოს.[25] აღნიშნული მი-ზეზი კი არის ის, რომ არ არსებობს ერთიანი/უნივერსალური ხედვა მისი გამოყენების ფარგლების (რომელ გადაწყვეტილებებს ან სა-კითხებს მიემართება ის), მისი მნიშვნელობის (რა შემთხვევაში მიიჩ-ნევა, რომ მხარემ გადაწყვეტილება ამ პრინციპის დაცვით მიიღო) და მისგან გამომდინარე მედიატორის ვალდებულების (როგორ უნდა წარმართონ მედიატორებმა მედიაციის პროცესი თვითგამორკვევის პრინციპზე დაყრდნობით) თაობაზე.[26]

---

21 გურიელი ა., მხარეთა თვითგამორკვევის პრინციპი, როგორც მედიაცი-ის პროცესის ეთიკური ურღვეობის საფუძველი, ჟურნალი „იუსტი-ცია“,N3(3), 2022, 70.

22 Self-determination, OXFORD ENGLISH DICTIONARY ONLINE, https://en.oxforddictionaries.com/definition/us/self-determination [https://perma.cc/4F6F-PEK3]

23 Nolan-Haley J., Self-Determination in International Mediation: Some Preliminary Reflections, Cardozo J. of Conflict Resolution, Vol. 7, 2006, 277.

24 Shapira O., A Theory of Mediator's Ethics, Foundations, Rationale and Application, Cambridge: Cambridge University Press, 2016, 129.

25 იქვე, 128.

26 იქვე.

მედიაციის დაწყებამდე მედიატორმა უნდა უზრუნველყოს მედიაციის პროცესის წარმართვის პრინციპების შესახებ მხარეთა სათანადო ინფორმირება, მათ შორის განუმარტოს მათ თვითგამორკვევის მნიშვნელობაც. ამ მხრივ, კანონი განამტკიცებს თვითგამორკვევის პრინციპის უზრუნველყოფის ერთ-ერთ უპირველეს და უმთავრეს პირობას – მედიატორს უფლება არ აქვს, მხარეთა შორის არსებულ დავასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება თავად მიიღოს.[27] გარდა ამისა, თვითგამორკვევის ერთ-ერთი გამოვლინებაა ის ფაქტორიც, რომ მხარეები თავისუფალნი არიან თავად შეათანხმონ მედიაციის წარმართვის წესი, რომელიც კანონით არ არის დადგენილი.[28]

როგორ ზემოთ აღინიშნა, თვითგამორკვევა გულისხმობს თითოეული მხარის მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, როგორც პროცესთან, ისე საკუთრივ შედეგებთან მიმართებით. მხარის თვითგამორკვევა გამომდინარეობს ორი ძირითადი ნორმატიული წყაროდან.[29] პირველი არის ზოგადი მორალური სტანდარტი, რომელიც ვრცელდება ყველა ინდივიდზე, იცავს მათ პირად ავტონომიას და ანიჭებს მათ მორალურ უფლებას თავად განსაზღვრონ, თუ როგორ სურთ წარმართონ თავიანთი ცხოვრება. მეორე წყარო არის მედიატორსა და მხარეთა შორის ეთიკური ურთიერთობა, რომელიც იცავს მედიაციის მხარეთა ლეგიტიმურ მოლოდინს მასზედ, რომ მედიატორი ღირსია მათი ნდობის და პატივს სცემს მათ გადაწყვეტილებებს. მედიატორის ერთადერთი ამოცანაა წარუძღვეს მხარეებს მედიაციის პროცესში სამომავლო გამოსავლის პოვნის გზაზე.[30]

აღსანიშნავია, რომ მხარეთა თვითგამორკვევის უფლება შესაძლოა განსხვავებული ფორმითაც იქნას რეალიზებული. მაგალითად, კანონის მიხედვით, მედიაცია დასრულებულად მიიჩნევა, თუ მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ მედიატორმა განაცხადა, რომ მედია-

---

27 კანონის მე-8 მუხლის მე-9 პუნქტი. იხ. მე-8 მუხლის კომენტარი.

28 კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი. იხ. მე-8 მუხლის კომენტარი.

29 Shapira O., A Theory of Mediator's Ethics, Foundations, Rationale and Application, Cambridge: Cambridge University Press, 2016, 130.

30 იქვე.

ციის გაგრძელება არაგონივრული და გაუმართლებელია.[31] აღნიშნული დანაწესი ანიჭებს მედიატორს უფლებამოსილებას თავად განსაზღვროს შეესაბამება თუ არა დავის დასრულების შედეგთან დაკავშირებით მხარეთა, ან ერთ-ერთი მხარის ჭეშმარიტი მოლოდინი საბოლოოდ მიღებულ გადაწყვეტილებას. მედიტორის ეს უფლება მაშინაც მოქმედია, როცა მხარე დაჟინებით ითხოვს სამედიაციო მორიგების წერილობით დადასტურებას (ფორმალური თვითგამორკვევა – formal self-determination). აღნიშნული დანაწესის მიზანია უზრუნველყოს მხარეთა შორის ერთგვარი ბალანსის შენარჩუნება და მხარის მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა (არსობრივი თვითგამორკვევა – substantive self-determination). მედიატორმა უნდა უზრუნველყოს თვითგამორკვევა მედიაციის ყველა საკითხთან მიმართებით, ვიდრე მხარის გადაწყვეტილება არ შეუქმნის პროცესის ხარისხს საფრთხეს.[32] ამდენად, დასახელებული ნორმა ავალდებულებს მედიატორს იმოქმედოს წინდახედულად იმ მიზნით, რომ გამორიცხოს რომელიმე მხარისათვის (მიუხედავად მისი სურვილისა) არათანაზომიერი უპირატესობის წარმოშობის შესაძლებლობა. დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ თვითგამორკვევის განსაზღვრისათვის კუმულატიურად უნდა არსებობდეს სამი უმნიშვნელოვანესი ელემენტი: 1) გადაწყვეტილების მიღების კომპეტენცია, 2) ნებაყოფლობითი (იძულების გარეშე) გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა და 3) გადაწყვეტილების მიღებისათვის რელევანტური ინფორმაციის აღქმის / შემეცნების შესაძლებლობა.[33]

3. კეთილსინდისიერება

კეთილსინდისიერება, როგორც უნივერსალური სამართლებრივი პრინციპი, ერთ-ერთ ფუძემდებლურ დანაწესად, ნორმა პრინცი-

---

31 კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის, „ე“ ქვეპუნქტი. იხ. მე-9 მუხლის კომენტარი.

32 *Shapira O.,* A Theory of Mediator's Ethics, Foundations, Rationale and Application, Cambridge: Cambridge University Press, 2016, 134.

33 *იქვე,* 137-138.

პად არის აღიარებული მედიაციის პროცესშიც და ბოჭავს მის ყველა მონაწილეს.[34] საქართველოს მედიატორთა ასოციაციის წევრობისთვის მედიატორი წერილობით ადასტურებს მედიაციის პრინციპების ერთგულების ქარტიას: ,,ვფიცავ, ვიყო დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და კეთილსინდისიერად შევასრულო მედიატორის მოვალეობები მხარეების საჭიროებებისა და საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, დავიცვა კანონი, მედიაციის ძირითადი პრინციპები და მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსი".

ნებისმიერი პროფესიული ეთიკისთვის, მათ შორის მედიაციისთვის, საერთოა არაჯეროვნების, სიცრუის, ინტერესთა კონფლიქტისა და არაკეთილსინდისიერების პრევენციის მიზანი. მედიაციის შესახებ არაერთი ქვეყნის კანონმდებლობა იცნობს მედიატორის ვალდებულებას, მაღალი ეთიკური სტანდარტების შესაბამისად წარმართოს მედიაცია, რომელიც გააღვივებს მედიაციის პროცესისადმი რწმენას და დანერგავს ნდობას ამ ნეიტრალური მესამე პირების კომპეტენციისა და კეთილსინდისიერების მიმართ.[35] მედიატორს ეკრძალება უკანონო, ამორალური და არაკეთილსინდისიერი ქმედების განხორციელება ან მისი ხელშეწყობა.[36] კეთილსინდისიერების პრინციპი ნეიტრალურ მესამე პირს ზოგადი სამართლიანობისა და კანონიერების კონტროლის უფლებამოსილებას ანიჭებს მედიაციის პროცესსა და მის შედეგთან მიმართებით. მედიატორი ვალდებულია უარი თქვას მედიაციის შეთანხმების ხელმოწერაზე თუ შეთანხმება უკანონოა, ფუნდამენტურად უსამართლოა[37] ერთი მხარისთვის[38], არამეგობრულია,[39] ან მისი შინაარსი ეწინააღმდეგე-

---

34 იხ. საქართველოს მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილი.

35 Standards of Practice For California Mediators, Preamble.

36 Bar Code of Conduct, Finland, იხ. *Trevor M.B., Palo G.,* EU Mediation Law and Practice, Oxford University Press, 2012, 108.

37 Jams Mediators Ethics Guidelines, § VII, 2013; *Waldman E.,* Mediation Ethics, Cases and Commentaries, Jossey-Bass, A Wiley Imprint, United States of America, 2011, 394.

38 Georgia Ethical Standards for Mediators, § IV. A, 30, Georgia Commission on Dispute Resolution, 2012.

ბა სოციალური სამართლიანობის საყოველთაო ნორმებს.[40] სწორედ კეთილსინდისიერების მოთხოვნის ძალით, მედიატორი ვალდებულია შეეცადოს თავიდან იქნეს აცილებული აშკარად უსამართლო შედეგი[41] მედიაციის პროცესში. კეთილსინდისიერება არის ის ნორმა პრინციპი, რომელსაც მორალურობისა და სამართლიანობის იმპერატივები შემოჰყავს მედიატორის დისკრეციაში და არის კიდეც ამ დისკრეციის გამოყენების უმთავრესად განმსაზღვრელი ორიენტირი.[42]

აღიარებულია, რომ დავის ალტერნატიული გადაწყვეტის პროცესებში კიდევ უფრო ფართოდ მოქმედებს კეთილსინდისიერების მოთხოვნა მხარეებისა და იურისტი წარმომადგენლების მიმართ.[43] მედიაციაში მხარის კეთილსინდისიერი მონაწილეობა, ხშირად, მედიაციის პროცესის ნაწილად ითვლება, რომელიც ხელს უწყობს მედიაციის ბუნების შენარჩუნებას. მედიაციის უპირატესობები ვერ განხორციელდება კეთილსინდისიერი მონაწილეობის გარეშე.[44] ამდენად, კეთილსინდისიერება ყველაზე რელევანტური და აუცილებე-

---

39 German Mediation Act, 21 July, 2012, § 2 (5). *Rützel S., Wegen G., Wilske S.,* Commercial Dispute Resolution in Germany, 2nd ed., C.H. Beck, München, 2016, 206.

40 *Gibson K.,* Mediator Attitudes Toward Outcomes: A Philosophical View, 17 Mediation Q., 197, 1999, 209.

41 *Judith J.L.,* Maute, Mediator Accountability: Responding to Fairness Concerns, Vol. 19990, Issue 2, J. Disp. Resol., 1990, 349.

42 *Thompson P.N.,* Good Faith Mediation in the Federal Courts, Ohio State Journal on Dispute Resolution, Vol.26:2-3, 2011, 363.

43 *Kovach K.,* Lawyer Ethics in Mediation: Time for a Requirement of Good Faith," 4 Disp. Res. Mag. 9, 1997; Symposium, "Focus on Ethics in Representation in Mediation," 4 Disp. Res. Mag. (Winter 1997); *Kovach K.,* The Good Faith in Mediation - Requested, Recommended, or Required - A New Ethic [article], Symposium: The Lawyer's Duties and Responsibilities in Dispute Resolution South Texas Law Review, Vol. 38, Issue 2 (May 1997), 575-624.

44 *Kovach K.,* Good Faith in Mediation - Requested, Recommended, or Required - A New Ethic, 38 S. Tex. L. Rev. 575 (1997), 590-592 (მოყვანილია კონკრეტული უპირატესობები, მაგალითად დიალოგის ხელშეწყობა, პრობლემის ერთობლივად გადაჭრა და მოქნილობა, რასაც შეექმნება საფრთხე არაკეთილსინდისიერების შემთხვევაში).

ლია, რამდენადაც ეს პროცესი განსხვავდება დავის მოგვარების ყველა ადრე ცნობილი მეთოდისგან, რომლისთვისაც ნიშანდობლივია შეჯიბრებითობის მიდგომა.[45] მედიაციაში კეთილსინდისიერი მონაწილეობის მოთხოვნის გარეშე, „მოხდება მედიაციის პროცესის მუტაცია და ის შეითავსებს შეჯიბრებით მოქმედებას.“[46]

მედიაციაში კეთილსინდისიერი მონაწილეობა გულისხმობს რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტს: მედიაციისთვის სათანადოდ მომზადებას და მედიატორისთვის საჭირო დოკუმენტების წარდგენას,[47] სესიებზე დასწრებას და მინიმალურ ეფექტიან მონაწილეობას,[48] მედიატორის ხელშეწყობას, მასთან თანამშრომლობას, საერთო ინტერესების შესატყვისი შეთავაზებების დამუშავების პროცესში თანამშრომლობას მეორე მხარესთან[49], პოზიციასთან დაკავშირებული დოკუმენტების და ობიექტური ინფორმაციის ურთიერთგაცვლას[50], მედიაციაში მხარის ან წარმომადგენლების მონაწილეობას

---

45 *Kovach K.,* Good Faith in Mediation - Requested, Recommended, or Required - A New Ethic, 38 S. Tex. L. Rev. 575 (1997), 583.

46 იქვე, 593.

47 *Alexander N., Shouyu Chong S., Giorgadze V.,* The Singapore Convention on Mediation, A Commentary, Second Edition, Kluwer Law International, The Netherlands, 2022, 351. სინგაპურის საერთაშორისო მედიაციის ცენტრის 7.4. წესის თანახმად, ყველა მხარეს ეკისრება კეთილსინდისიერი ქცევის ვალდებულება მედიაციის პროცესში. ამასთან, ყველა მხარემ უნდა იმოქმედოს კეთილსინდისიერად, რათა მოემზადოს მედიაციისა და მედიაციაში მონაწილეობისთვის (Singapore International Mediation Centre (SIMC), Rule 6.9.) დოკუმენტების დაგვიანებული წარდგენა მედიატორისთვის უარყოფით გავლენას ახდენს მხარის ქცევის კეთილსინდისიერების შეფასებაზე და მედიაციის წარმატების პერსპექტივაზე.

48 *Korobkin R.,* Negotiation Theory and Strategy, Authority Rule 16, Aspen Publishing, ebook, 2024.

49 *Trevor M.B., Palo G.,* EU Mediation Law and Practice, Oxford University Press, 2012, 122.

50 მაგალითად, მხარეებს შორის შეთანხმების საკითხია უძრავ ქონებაში თანასაკუთრების წილის გამოსყიდვა რისთვისაც აუცილებელია ქონების ობიექტური შეფასების ჩატარება. თუ მხარე უძრავი ქონების შეფასებაში ხელს უშლის ექსპერტს, არ აძლევს წვდომას უძრავ ქონებაზე, ის ჩაითვლება კეთილსინდისიერების პრინციპის დამრღვევად.

მორიგების სრული უფლებამოსილებით[51] და მესამე ნეიტრალური მხარისთვის საზღაურის გადახდის ვალდებულებას. ამდენად, მედიაციაში ,,მინიმალურად გონივრული, დამაჯერებელი მონაწილეობის სტანდარტი" სთხოვს მხარეებს გონივრული მონაწილეობა მიიღონ პროცესში,[52] რომელიც უზრუნველყოფს მოქნილობას და დაკავშირებულია ADR-ის გამოყენებული პროცესის მიზანთან."[53]

კეთილსინდისიერება მხარე-წარმომადგენლისთვის ასევე გულისხმობს მედიაციაში უტყუარი ინფორმაციის წარდგენის ვალდებულებას.[54] თუ ინდივიდუალურ შეხვედრაზე გამოვლინდება, რომ

---

51 *Alexander N., Shouyu Chong S., Giorgadze V.,* The Singapore Convention on Mediation, A Commentary, Second Edition, Kluwer Law International, The Netherlands, 2022, 351; *Korobkin R.,* Negotiation Theory and Strategy, Authority Rule 16, Aspen Publishing, ebook, 2024.

52 *Kovach K.,* Good Faith in Mediation - Requested, Recommended, or Required - A New Ethic, 38 S. Tex. L. Rev. 575 (1997); Head 6 (3) b of Draft Bill of Ireland, Civil Liability and Courts Act 2004 of Ireland, Art. 15; *Trevor M.B., Palo G.,* EU Mediation Law and Practice, Oxford University Press, 2012, 181-182; *Weston M.A.,* Checks on Participant Conduct in Compulsory ADR: Reconciling the Tension in the Needfor Good-Faith Participation, Autonomy, and Confidentiality, 76 Indiana Law Journal, Vol. 76, Issue 3, 2001, 643; *Alexander N.M.,* Global Trends in Mediation, Kluwer Law International, 2006, 422.

53 *Sherman E.F.,* Court-Mandated Alternative Dispute Resolution: What Form of Participation Should Be Required, 46 SMU. L. Rev. 2079, (1993), 2089, 2096-2103. კეთილსინდისიერების პრინციპის სასამართლო კონტროლის მექანიზმებზე იხ.: საკითხთან დაკავშირებით დაწვრილებით იხილეთ: *Alfiniʼ J.J., McCabe C.,* Mediating in the Shadow of the Courts: A Survey of the Emerging Case Law, Arkansas Law Review, Vol. 54, No. 2, 2001, 171-207.

54 *Thompson P.N.,* Good Faith Mediation in the Federal Courts, Ohio State Journal on Dispute Resolution, Vol.26:2-3, 2011, 365. ფრანგი იურისტი პოტიე „ვალდებულებების შესახებ" ტრაქტატში ხაზს უსვამდა, რომ სახელშეკრულებო კეთილსინდისიერება ხელშეკრულების დადებისას კრძალავს ნებისმიერი სახით არა მარტო მოტყუებას, არამედ ნებისმიერი სახით დამალვას ყოველივე იმისა, რაშიც დაინტერესებულია პირი, რომელთანაც იდება ხელშეკრულება (მყარდება ურთიერთობა). მაგალითად, კეთილსინდისიერების საწინააღმდეგოა საკუთარი გამორჩენის მიზნით იმ ფაქტების მიჩქმალვა, დაფარვა, რომლებიც მნიშვნელოვანია მეორე მხარისათვის. ამრიგად, დასახელებული ფრანგი ავტორების აზრით,

მხარე აპირებს შეცდომაში შემყვანი შეთავაზების წარდგენას მეორე მხარისთვის, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს მოტყუებით, არაინფორმირებულად სამედიაციო მორიგების დადგება, მედიატორი ვალდებულია აცნობოს შეთავაზების ინიციატორ მხარეს, რომ ამგვარი ოფერტის შემთხვევაში, მართალია, მედიატორი არ დაარღვევს კონფიდენციალურობის პრინციპს, მაგრამ ვალდებული იქნება შეწყვიტოს მედიაციის პროცესი. კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევა, რომელიც ხელყოფს მედიაციის რომელიმე მონაწილის, არასრულწლოვნის, მესამე პირთა ლეგიტიმურ ინტერესებს ან საჯარო წესრიგს, უნდა გახდეს მედიაციის შეწყვეტის საფუძველი, თუმცა მედიატორს არ ეკისრება მხარის არაკეთილსინდისიერების თაობაზე სასამართლოს ინფორმირების ვალდებულება თუ ეს კავშირში არ არის კონფიდენციალურობის პრინციპიდან კანონით დადგენილ გამონაკლისებთან (კანონის მე-10 მუხლი).

ევროპული პარლამენტისა და საბჭოს მიერ 2008 წლის 21 მაისს მიღებული 2008/52/EC დირექტივა სამოქალაქო და კომერციულ საკითხებში მედიაციის გამოყენების ზოგიერთი ასპექტის შესახებ, ანიჭებს სახელმწიფოებს უფლებას დაადგინონ ან წაახალისონ მედიაციის გამოყენების სავალდებულობა და განსაზღვრონ შესაბამისი სანქციები,[55] იმ პირობით, რომ ასეთი კანონმდებლობა ხელს არ შეუშ-

---

მეორე მხარის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებში გულწრფელობა და ერთგულება, მოტყუების, ინფორმაციის დამალვის და უპატიოსნების აკრძალვა საფუძვლად უდევს კეთილსინდისიერებას. იხ. ხუნაშვილი ნ., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, თსუ, სადისერტაციო ნაშრომი, 2014, 16.

55 კეთილსინდისიერი მოლაპარაკების პრინციპის დარღვევისათვის სასამართლო სანქციები გათვალისწინებულია მაგალითად იტალიისა და პოლონეთის კანონმდებლობაში: Article 8 (5) of Decree 28/2010 of Italy, Code of Civil Procedure Article 116 (2); Civil Procedure Code of Poland, 2005, Art. 103 (1) (2). მედიატორს ეკისრება სასამართლოსთვის შეტყობინების ვალდებულება მხარის მიერ კეთილსინდისიერი მოლაპარაკების ვალდებულების დარღვევის შესახებ. *Trevor M.B., Palo G.,* EU Mediation Law and Practice, Oxford University Press, 2012, 194. მედიაციის პროცესში კეთილსინდისიერი მოლაპარაკების მოთხოვნა ასევე დადგენილია ლატვიის და

ლის მხარეებს მართლმსაჯულებისადმი წვდომის უფლების გამოყენებაში. აღნიშნული დისკრეციიდან გამომდინარე ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ნაწილი იცნობს სავალდებულო სასამართლო მედიაციის სისტემებს, სადაც მხარეებს ევალებათ სასამართლო მედიაციის სესიებზე უშუალოდ გამოცხადება და მედიაციის დაწყების შემთხვევაში, მოლაპარაკების კეთილსინდისიერი მცდელობა.

კეთილსინდისიერი მოლაპარაკების ვალდებულება არსებობს მაშინაც, თუ მხარეებს ხელშეკრულებით აქვთ ნაკისრი მედიაციის უპირატესი გამოყენება სასამართლოში მიმართვამდე. ამასთან, კერძო მედიაციის გამოყენების შესახებ მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს სახელშეკრულებო სანქციები (პირგასამტეხლო) კერძო მედიაციისთვის მიმართვის და რამდენიმე (კონტრაქტით გათვალისწინებული) სავალდებულო სესიაში მონაწილეობის ვალდებულების დარღვევისთვის.

ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსი იცნობს სასამართლო მედიაციაზე მხარეთა გამოცხადებისა და მონაწილეობის ვალდებულებას შესაბამისი სანქციების განსაზღვრით (187[6] მუხლი), მედიატორმა სასამართლოს უნდა შეატყობინოს ინფორმაცია: 1. მედიაციის დაწყებისა და დასრულების; 2. სამედიაციო მორიგების მიღწევისა თუ შეუთანხმებლობით შეწყვეტის; 3. მედიაციაში მხარეთა გამოცხადებისა და მონაწილეობის თაობაზე.[56] კეთილსინდისიერი მოლაპარაკების მოთხოვნა აუცილებელია მედიაციის ჯეროვანი ხარისხისა და პროცესის სამართლიანობის უზრუნველსაყოფად, რათა თავიდან იქნეს აცილებული შეჯიბრებითობა და ნებაყოფლობითი შეთანხმების უფლების ბოროტად გამოყენება.[57]

ლიეტუვას კანონმდებლობაში იხ. Mediation Act of Latvia, Art. 11, 18 June, 2014; Republic of Lithuania, Law on Mediation, 15 July 2008.

56 Uniform Mediation Act, § 3(c) (2003). ასევე, ,,მედიაციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 და მე-9 მუხლის მე-4 პუნქტები. საქართველოს მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილი.

57 *Weston M.A.,* Checks on Participant Conduct in Compulsory ADR: Reconciling the Tension in the Needfor Good-Faith Participation, Autonomy, and Confidentiality,

თუ მხარე მედიაციის პროცესზე გამოცხადდა, თუმცა არ მისცა მეორე მხარეს მოლაპარაკების წარმოების შესაძლებლობა (მაგალითად, მოითხოვა სასარჩელო მოთხოვნების უცვლელად ცნობა) ან იურიდიულმა წარმომადგენელმა არ უზრუნველყო (საპატიო მიზეზის გარეშე), სასამართლო მედიაციის ორ სავალდებულო სესიაზე მხარის გამოცხადება, აღნიშნული განიმარტება, როგორც სასამართლო მედიაციაში მონაწილეობაზე უარის თქმად და მედიაცია ვერ ჩაითვლება დაწყებულად. უკანასკნელ შემთხვევაში მედიატორმა უნდა მიიღოს ყველა ლეგიტიმური ზომა, რათა დაუკავშირდეს უშუალოდ მხარეს და მიაწოდოს მას კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია მედიაციის თაობაზე, რათა დარწმუნდეს, რომ მედიაციის თაობაზე უარი ინფორმირებულად უშუალოდ მხარის მიერ არის გაცხადებული (ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის მე-3 ნაწილი). მედიაციაში მონაწილეობაზე ინფორმირებული უარის შემთხვევაში, მედიატორს უფლება აქვს მოსთხოვოს მხარეს წერილობით დაადასტუროს სავალდებულო მედიაციის გამოყენებაზე უარი ან თავად შეატყობინოს სასამართლოს მხარის გადაწყვეტილება.[58] ამასთან, მედიატორის მიერ სასამართლოსთვის განხორციელებული შეტყობინება მხარის მიერ სასამართლოს განჩინების შეუსრულებლობის თაობაზე, განპირობებული უნდა იყოს ობიექტური გარემოებებით და არა მედიატორის სუბიექტური შეხედულობით. ამდენად, მედიატორს ესაჭიროება მკაფიო ფაქტების არსებობა იმაში დასარწმუნებლად, რომ მხარე აცხადებს ან გამოკვეთილად ავლენს მედია-

76 Indiana Law Journal, Vol. 76, Issue 3, 2001, 643; *Weston M.A.,* Confidentiality's Constitutionality: The Incursion on JudicialPowers to Regulate Party Conduct in Court-Connected Mediation, Harvard Negotiation Law Review, Vol.8, (29) 2003.

58 მსგავსად, აშშ-ის სასამართლო მედიაციის პრაქტიკაში უპირობოდ არსებობს მედიატორის ვალდებულება შეატყობინოს სასამართლოს მხარის მიერ სასამართლოს განჩინების დარღვევა, რომელიც გამოიხატება მედიაციაში მონაწილეობაზე თავიდანვე უარის თქმით. *Thompson P.N.,* Good Faith Mediation in the Federal Courts, Ohio State Journal on Dispute Resolution, Vol.26:2-3, 2011, 426.

ციაში მონაწილეობის მიღებაზე უარს.[59] თუ მხარეს წინდაწინ აქვს გადაწყვეტილი არ შეიცვალოს სასარჩელო პოზიცია, არ აქვს მედიაციაში თუნდაც ჰიპოთეტურ პირობაზე შეთანხმების ნება, უარს აცხადებს მოისმინოს და განიხილოს მის მიმართ გასაჟღერებელი სამედიაციო შეთავაზება, კომენტატორულ ლიტერატურაში გამოთქმულია რეკომენდაცია, რომ მხარემ, კეთილსინდისიერების ქცევის სტანდარტიდან გამომდინარე, აღნიშნულის თაობაზე მედიაციის დაწყებამდე უნდა აცნობოს სასამართლოს.[60] წინააღმდეგ შემთხვევაში, მედიაციის პროცესში რაიმე შეთანხმების ზოგადი ნების არქონით მონაწილეობისას, მხარე არღვევს კეთილსინდისიერების პრინციპს და აჭიანურებს მართლმსაჯულებას. ვინაიდან, შეუძლებელია სამედიაციო პრაქტიკის განზოგადებით ან კანონმდებლობით სრულად მოხდეს მხარის არაკეთილსინდისიერი ქცევის ყველა შესაძლო გამოვლინების განჭვრეტა, აშშ-ის ფედერალური კანონი სამოქალაქო პროცესის შესახებ განმარტავს, რომ მხარეებს ეკრძალებათ გამოიყენონ მედიაციის პროცესი „მეორე მხარის შევიწროების მიზნით, სამართალწარმოების გაჭიანურების ან მისი ხარჯების გაზრდისთვის“.[61]

კეთილსინდისიერების მოთხოვნა ადვოკატი წარმომადგენლებისთვის დამატებით არის მათი ეთიკური მოვალეობა და გულისხმობს კლიენტების სრულფასოვან ინფორმირებას მედიაციის უპირატესობებზე, მედიაციის პროცესში მხარის უშუალო მონაწილეობის წახალისებას და მედიატორთან კეთილგონივრულ თანამშრომლობას, მედიაციისთვის წარმომადგენლობის გეგმის შედგენას, კოლეგა იურისტთან საქმის სასამართლოში განხილვის სამართლებრივი რისკების ობიექტური ანალიზის კეთილსინდისიერ ხელშეწყობას თანამშრომლობით ფორმატში, კონფრონტაციული, შეჯიბრებითი სულისკვეთების ნაცვლად, თანამშრომლობითი მიდგომის გამოყენებას, საერთო ინტერესების ამსახველი შეთავაზებების დამუშავებას, კლიენტის არა მხოლოდ სამართლებრივი, არამედ ყველა სახის ფსი-

---

59 *Thompson P.N.,* Good Faith Mediation in the Federal Courts, Ohio State Journal on Dispute Resolution, Vol.26:2-3, 2011, 427.

60 იქვე, 426.

61 Federal Rule of Civil Procedure, 16 (b) (1).

ქო-ემოციური და პერსონალური ინტერესების განხორციელების და ინფორმირებული გადაწყვეტილების ხელშეწყობას.[62] მესამე პირების მიმართ კეთილსინდისიერების მოთხოვნა გულისხმობს მათ მიერ მხარეთა საუკეთესო ინტერესების განხორციელების მხარდაჭერას, კონფლიქტის ამოწურვის ხელშეწყობას, მხარეთა ემოციურ ვალიდაციას. თუ მესამე პირები მოწვეულნი არიან საექსპერტო მომსახურების მიზნით, მათ მოეთხოვებათ დარგობრივი კომპეტენციის კეთილსინდისიერი გამოყენება მხარეთა ინტერესების სასიკეთოდ.

4. თანასწორობა

მხარეთა თანასწორობის საფუძველზე პროცესის წარმართვა მედიატორის როგორც კანონისმიერი, ისე ეთიკური ვალდებულებაა (კანონის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტი, ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილი).[63] პროცედურული თანასწორობა გულისხმობს მედიაციის პროცედურული შესაძლებლობების ყველა მხარისთვის თანაზომიერად ხელმისაწვდომობას და მათი გამოყენებით ყოველგვარი ზეწოლისა და იძულების გარეშე სამედიაციო მორიგების მიღწევის შესაძლებლობის მინიჭებას მხარეებისთვის.[64]

თანასწორობისა და სამართლიანობის მოთხოვნები უპირველესად მიემართება მედიაციის პროცესს[65], და რომლის ჩატარებაც უნდა

---

62 აღნიშნულ საკითხზე ვრცლად იხილეთ: *Kimberlee K.,* New Wine Requires New Wineskins: Transforming Lawyer Ethics for Effective Representation in A Non-adversarial Approach to Problem Solving Mediation" 28 Fordham Urban Law Journal, 935, 2001.

63 პროცესის წარმართვისას მხარეთა ძალაუფლებრივი დისბალანსის მხედველობაში მიღების ვალდებულებას აკისრებს მედიატორს მედიატორთა ქცევის ევროპული კოდექსიც. European Code of Conduct for Mediators, 2004, Article 3.1.

64 Rules of Conduct for Mediators in Court-Connected Mediation Programs for General Civil Cases (California Rules of Court), 2007, Revised January 1, 2013, rule 3.857 (b).

65 *Shapira O.,* A Theory of Mediator's Ethics, Foundations, Rationale and Application, Cambridge: Cambridge University Press, 2016, 218-219; Ethical Standards for Mediators, Georgia Commission on Dispute Resolution, § IV.

უზრუნველყოს მედიატორმა სამართლიანი[66] და პროცესში თანაბარი მონაწილეობის[67] და მონაწილეობის შესაძლებლობის[68] პრინციპთა დაცვით. პროცედურული სამართლიანობა[69] გულისხმობს, რომ ნეიტრალური შუამავალი, ისევე როგორც მედიაციის პროცესი, აღქმული იქნება სამართლიანად, თუ ის თანაბრად მიანიჭებს მხარეებს აზრის გამოხატვისა და მოსმენის, თვითგამორკვევის შესაძლებლობას[70] და უზრუნველყოფს მათ სამართლიანი[71] და ჯეროვანი პროცესით.[72]

პროცედურული თანასწორობა გულისხმობს მედიატორის მიერ პროცესში გამოყენებული მეთოდების, სტრატეგიებისა და პროცედურული გადაწყვეტილებების სამართლიანობასა და თანაბრობას. მეცნიერებაში აღიარებულია, რომ კონფლიქტის მართვის მიმართ მეთოდოლოგიურად სამართლიანი მიდგომა, ე.წ. პროცედურული სამართლიანობა, მყარ ფუნდამენტს, წინაპირობას ქმნის მხარეთა მიერ არსობრივად სამართლიანი, გაწონასწორებული გადაწყვეტილების მიღებისთვის და, ამდენად, დიდი ალბათობით განაპირობებს პროცესის სამართლიან შედეგსაც. თვითგამორკვევის თანაბარი პროცედურული შესაძლებლობა, პარიტეტული პროცესუალური კონტროლის მინიჭება მხარეებისთვის განაპირობებს თანაბარი შინაარსობრივი

---

66 German Mediation Act, 21 July, 2012, § 2 (3), <https://www.gesetze-im-internet.de/englisch_mediationsg/englisch_mediationsg.html>; *Rützel S., Wegen G., Wilske S.,* Commercial Dispute Resolution in Germany, 2nd ed., C.H. Beck, München, 2016, 202.

67 Bulgaria Mediation Act, (promulgated 2004, amended 2011) Art. 5.

68 Malta Code of Conduct for Mediators, MJCL, Art. 9, <https://mjcl.gov.mt/-en/mmc/Pages/Code-of-Conduct-Mediators.aspx>.

69 *Stulberg J. B.,* Fairness and mediation. Ohio State Journal on Dispute Resolution, 13(3), 1998, 945.

70 *Young P.M.,* Take It or Leave It. Lump It or Grieve It: Designing Mediator Complaint Systems that Protect Mediators, Unhappy Parties, Attorneys, Courts, the Process, and the Field, Ohio State Journal on Dispute Resolution, vol. 21, no. 3, 2006, 782-783.

71 *Welsh N.A.,* Perceptions of Fairness in Negotiation, Marquette Law Review, Vol. 87, 2004, 761.

72 *Stulberg J. B.,* Fairness and mediation. Ohio State Journal on Dispute Resolution, 13(3), 1998, 932.

კონტროლისა და მოლაპარაკების შესაძლებლობებს და, ამდენად, იმთავითვე აყალიბებს არსობრივად გაწონასწორებული, თანაზომიერი შეთანხმების მიღწევის პროცესუალურ შესაძლებლობას მხარეებისთვის.

ამასთან, მედიატორის პროფესიული ეთიკა ორიენტირებულია არა მხოლოდ ფორმალური, პროცედურული თანასწორობის უზრუნველყოფაზე, არამედ არსობრივი თანასწორობის ხელშეწყობაზეც.[73] თანასწორობა და სამართლიანობა მიემართება არა მხოლოდ მედიაციის პროცესს, არამედ მის შედეგსაც.[74] მედიატორი მხარს უნდა უჭერდეს მხარეებს იმგვარი შეთანხმების მიღწევის გზაზე, რომელიც სამართლიანობისა და თანასწორობის საბაზისო, მინიმალურ მოთხოვნებს აკმაყოფილებს.[75] სწორედ ამიტომ მედიატორს მოეთხოვება მიუკერძოებლობის დაცვით ლეგიტიმური ინტერვენცია პროცესში მხარეთა უთანასწორობის განეიტრალების მიზნით. მედიატორს ევალება პროფესიული ეთიკის ფარგლებში უთანასწორობის პროცედურული კონტროლი, რამეთუ (ა) მხარეებს აქვთ ლეგიტიმური მოლოდინები პროცესის სამართლიანობის მიმართ და (ბ) პროფესიასა და საზოგადოებას ასევე აქვს კანონიერი ნდობა, რომ მედიატორები დაიცავენ მედიაციის პროცესისა და პროფესიის ეთიკურ მთლიანობას. ასეთი ქცევა, ერთი შეხედვით, შეიძლება ფორმალურად განიხილებოდეს, როგორც მიკერძოების აქტი, მაგრამ პროფესიული ეთიკის პერსპექტივიდან, რომელიც გულისხმობს ეთიკური ნორმების უფრო კომპლექსურ, ფარდობით და შინაარსობრივ ინტერპრეტაციას, მედიატორის მხრიდან მხარეთა უთანასწორობის პროცედურული კონტროლი ფასდება როგორც არსებითად მიუკერძოებელი ქცევა.[76] მე-

---

73 *Gunning I. R.,* Know Justice, Know Peace: Further Reflections on Justice, Equality and Impartiality in Settlement Oriented and Transformative Mediations. Cardozo Journal of Conflict Resolution, 5, 2004, 89.

74 იქვე, 91.

75 *Waldman E.,* Mediation Ethics, Cases and Commentaries, Jossey-Bass A Wiley Imprint, San Francisco, 2010, 6.

76 *Shapira O.,* A Theory of Mediator's Ethics, Foundations, Rationale and Application, Cambridge: Cambridge University Press, 2016, 218.

დიაციაში სათანადო კომპეტენციის მქონე მედიატორის მიერ გარკვეულწილად შესაძლებელია მხარეთა ძალაუფლებრივი უთანასწორობის პროცედურული დაბალანსება,[77] რათა პროცესი დაცულ იქნეს ფუნდამენტური პროცედურული უთანასწორობისა და არათანაზომიერი შესაძლებლობებისგან. მედიატორს მხარეთა ძალაუფლებრივი ასიმეტრიის[78] პირობებში აქვს მთელი რიგი რეკომენდებული ტექნიკების გამოყენების შესაძლებლობა,[79] რომელიც დააზღვევს ერთ-ერთი მხარის მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების (უთანასწორობის) რისკს მედიაციაში[80]: მხარეთა აღჭურვა თანაბარი დროით,[81] მათ შორის საკმარისი დროით ინდივიდუალური შეხვედრების ფარგლებში თვითგამორკვევისთვის, მედიაციაში კომუნიკაციის პრინციპებსა და ურთიერთობის ფუძემდებლურ წესებზე შეთანხმება, დავის სასიკეთოდ გადაწყვეტის, მხარეთა ემოციური მხარდაჭერისა და ინფორმირების ხარისხის გაზრდის მიზნით პროცესში სპეციალისტე-

---

77 *Figlia G.C., Kovačević L., Kristoffersson E.,* Gender Perspectives in Private Law, Belgrade, Springer, 2023, 228.

78 ძალაუფლებრივი უთანასწორობის ფორმებსა და მიზეზებზე დაწვრილებით იხ. *Moscati M.F., Roberts M., Palmer M.J.E.,* Comparative Dispute Resolution, Edward Elgar Publishing Limited, 2020, 152; *Roberts M.,* Mediation in Family Disputes, Principles of Practice, Ashgate Publishing Limited, 2014, 254; *Clark B.,* Lawyers and Mediation, Springer Heidelberg New York Dordrecht London , 2012, 156; *Hardy S., Rundle O.,* Mediation for Lawyers, CCH Australia Limited, 2010, 34; *Rhona Schuz Figlia G.C., Kovačević L., E Kristoffersson.,* Gender Perspectives in Private Law, Belgrade, Springer, 2023, 228; *Schuz R.,* The Hague Child Abduction Convention, A Critical Analysis, Bloomsbury Publishing, 2014, 411; *Moscati M.F.,* Roberts M., Palmer M.J.E., Comparative Dispute Resolution, Edward Elgar Publishing Limited, 2020, 152; *Spencer D., Brogan M.,* Mediation Law and Practice, Cambridge University Press, 2006, 233; *Hardy S., Rundle O.,* Mediation for Lawyers, CCH Australia Limited, 2010, 34.

79 *Gunning I. R.,* Know Justice, Know Peace: Further Reflections on Justice, Equality and Impartiality in Settlement Oriented and Transformative Mediations. Cardozo Journal of Conflict Resolution, 5, 2004, 89.

80 *Stitt A., Mediation:* A Practical Guide, Routledge-Cavendish; 1st edition, Routledge-Cavendish, 2004, 120.

81 Picard C.A., Mediating Interpersonal and Small Group Conflict, The Golden Dog Press, Ottawa Canada, 2002, 131.

ბის, იურისტი წარმომადგენლებისა თუ ნდობით აღჭურვილი პირების ჩართვის წახალისება, ობიექტური მონაცემების მოძიების, წარდგენისა და გაანალიზების შეთავაზება კონფიდენციალურობის გარანტიების შესახებ ინფორმირებით და სხვა.

მედიაციის პროცესში ძალთა უთანასწორობის კონტროლის მედიატორისეული ინტერვენციის გამოყენებისას, უნდა ვაღიაროთ, რომ აბსოლუტური სახით აღარ მოქმედებს მედიატორის ნეიტრალურობის პრინციპი, რადგან მედიატორი მგრძნობიარე (,,დაინტერესებულინ) ხდება უთანასწორობიდან გამომდინარე, არ მოხდეს მედიაციის პროცესში უსამართლო უპირატესობის მოპოვება ერთ-ერთი მხარის მიერ. ამდენად, მედიატორი მოტივირებულია, რომ სუსტ მომლაპარაკებელს, ძლიერი მხარის მსგავსად, მიეცეს თვითგამორკვევისა და ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების თანაბარი შესაძლებლობა. მედიატორის პროფესიული როლი მოცემულ შემთხვევაში მიემართება თანაბარ პროცედურულ შესაძლებლობებზე დამყარებული ,,სამართლიანი" შედეგის დადგომას, რა ნაწილშიც მედიატორის ნეიტრალურობა[82] მედიაციის ღირებულებათა სისტემაში უკვე აღარ არის აბსოლუტური ღირებულება და ის თვითგამორკვევის პრინციპის უპირატესი ხელშეწყობის ამოცანის ზეგავლენის ქვეშ ექცევა.[83] სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ ძალთა უთანასწორობის შემთხვევაში მედიატორის მიერ გამოყენებული ინტერვენცია ემსახურება ჯეროვანი პროცესის ინტერესებს, პროცედურული თანასწორობის უზრუნველყოფას, ძალთა დისბალანსის გაწონასწორებას. ამდენად მედიატორის ნეიტრალურობა არ ილახება, რადგან ის გვევლინება არა სუსტი მხარის,

---

82 ნეიტრალურობა განიმარტება, როგორც დაუინტერესებლობა მედიაციის პროცესის შედეგით. იხ. *Gunning I. R.,* Know Justice, Know Peace: Further Reflections on Justice, Equality and Impartiality in Settlement Oriented and Transformative Mediations. Cardozo Journal of Conflict Resolution, 5, 2004, 92.

83 აღნიშნულ საკითხზე სამეცნიერი დისკურსი იხ. *Field R., Crowe J.,* Mediation Ethics, From Theory to Practice, Edward Elgar Publishing, 2020, 126. ძალთა უთანასწორობის შემთხვევაში ნეიტრალობის გამოწვევებზე იხ. *Van Gramberg B.,* Managing Workplace Conflict: Alternative Dispute Resolution, The Federation Press, 2006, Sydney, NSW, 2006, 32.

არამედ ,,პროცესის ადვოკატად“.[84] უფრო მეტიც, მედიატორის დუმილი მხარეთა ძალაუფრებრივი დისბალანსის და ძალთა უთანასწორობის პირობებში, თავის მხრივ, შეიძლება განხილულ იქნეს მიკერძოების შინაარსის მქონე უმოქმედობად.[85]

მნიშვნელოვანია განისაზღვროს ძალთა უთანასწორობის პროცედურული კონტროლის ფარგლებიც. მაგალითად, თუ მხარეებს არ აქვთ თვითგამორკვევისა და საუკეთესო ინტერესების განხორციელების თანაბარი შესაძლებლობა ძალადობის თუ სხვა დამაბრკოლებელი ფაქტორების გამო, მედიაციის პროცესის გაგრძელება გაუმართლებელია. მედიატორი ვერ დააბალანსებს მხარეთა შორის დარღვეულ თანასწორობას, ვერ იმოქმედებს ,,სუსტი“ მხარის ინტერესებში *კონსულტირების ან რჩევის მიცემის* გზით, რამეთუ აღნიშნული ნეიტრალურ ფასილიტატორს მიიყვანს თანასწორობისა და მიუკერძოებლობის პრინციპის დარღვევამდე. ,,მედიატორს შეუძლია შეარბილოს მხარეთა ძალთა ასიმეტრიის ხარისხი, თუმცა ის ვერ შექმნის სუსტ მხარესთან ალიანსს დარღვეული პარიტეტის აღდგენის მიზნით.ნ[86]

მოცემულ შემთხვევაში დავის მედიაციაუნარიანობის განსაზღვრისთვის, ,,უნდა შეფასდეს, რამდენად ფუნდამენტურია ძალაუფლებრივი დისბალანსი, შეწონილ იქნეს მედიაციასა და დავის გადაწყვეტის სხვა პროცესებში საქმის განხილვის შედარებითი რისკები და უპირატესობები.ნ[87]

ამდენად, მედიაცია არ ესწრაფვის მხოლოდ ფორმალურ თანასწორობას. მედიატორებს პროცესში გარკვეული ფარგლებით შემოჰყავთ თანასწორობისა და სამართლიანობის სოციალური ღირებუ-

---

84 *Cooks L. M., Hale C. L.,* The Construction of Ethics in Mediation, Mediation Quarterly, Vol.12 (1), 1994, 55–76.

85 *Gunning I. R.,* Know Justice, Know Peace: Further Reflections on Justice, Equality and Impartiality in Settlement Oriented and Transformative Mediations. Cardozo Journal of Conflict Resolution, 5, 2004, 92.

86 *Waldman E.,* Mediation Ethics, Cases and Commentaries, Jossey-Bass A Wiley Imprint, San Francisco, 2010, 98.

87 იქვე, 94.

ლებები. მედიატორის მიერ პროცესის შეწყვეტა საუკეთესო გამოსავალია, თუ შეთანხმება ფუნდამენტურად უსამართლოა, ინტერესთა განხორციელების მასშტაბი არსებითად არათანაზომიერია მხარეებისთვის და შეთანხმება დრამატულად დაშორებულია სოციალურ ნორმატივებსა და ღირებულებებს. ამასთან, სამართლიანობისა და თანასწორობისგან ფუნდამენტური გადახვევის საგამონაკლისო შემთხვევის გარდა, *ინფორმირებული* და *მხარეთა თვითგამორკვევაზე დაფუძნებული* სამედიაციო მორიგება ყველა შემთხვევაში სარგებლიანი და კეთილგონივრული შეიძლება იყოს მოდავე მხარეებისთვის, ქმნიდეს სიკეთესა და ფასეულობას მათთვის გრძელვადიან დაპირისპირებასა და კონფრონტაციულ საპროცესო განხილვებთან შედარებით."[88]

არსობრივ-პროცედურული თანასწორობის უცვლელი ფორმულის შემუშავება და რეკომენდება მიუღწეველია ადამიანთა ღირებულებათა წესრიგის განსხვავებულობისა და მედიაციაში. მათი ინდივიდუალიზმის გამოვლინების ფონზე. თანასწორობის ყველა ეთიკური გამოწვევა საქმის ფაქტობრივი გარემოებების კომპლექსური ანალიზითა და ღირებულებათა შეწონვის მეთოდით უნდა გადაიჭრას.

5. მედიატორის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობლობა

ნებისმიერ იურისდიქციასა თუ მედიაციის ცნების განმარტებაში აღიარებულია მედიატორის ნეიტრალურობის პრინციპი.[89] აღნიშნული ფუნდამენტი გულისხმობს მედიატორის როლს, ყოველგვარი პირადი ინტერესისა და შეხედულების გარეშე წაახალისოს მხარეთა შორის არსებული მოლაპარაკების პროცესი.[90] „სამოქალაქო და სამეწარმეო საკითხებში მედიაციის გარკვეული ასპექტების შე-

---

88 იქვე, 16.

89 *ყანდაშვილი ი.,* მედიაცია - დავის გადაწყვეტის ეფექტური საშუალება, თბ., 2023, 93.

90 *Nylund A.,* The Many Ways of Civil Mediation in Norway, in: The Future of Civil Litigation: Access to Courts and Court-annexed Mediation in the Nordic Countries, Edited by *Evro L., Nylund A.,* Springer, 2014, 100.

სახებ“ ევროპის პარლამენტისა და საბჭოს მიერ 2008 წლის 21 მაისს მიღებული დირექტივის მიხედვით მედიატორი არის მესამე პირი, რომელიც უძღვება მედიაციას ეფექტურად, **მიუკერძოებლად** და კომპეტენტურად...[91].

მედიატორის ნეიტრალურობის უზრუნველსაყოფად საკანონმდებლო გარანტიების შექმნის მიზნით, ქართველმა კანონმდებელმა გაითვალისწინა მედიატორის როგორც მიუკერძოებლობის, ასევე დამოუკიდებლობის პრინციპი. აღნიშნული პრინციპები უნდა გაითვალისწინონ მხარეებმა და, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ კონკრეტულ მედიაციაზე მედიატორის შერჩევისას.[92] თავის მხრივ, მედიატორი ვალდებულია მხარეებს შეატყობინოს ნებისმიერი იმ გარემოების შესახებ, რომელმაც შესაძლოა საეჭვო გახადოს მისი დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა. აღნიშნული ვალდებულება მედიატორს ბოჭავს როგორც მედიაციის დაწყებამდე, ასევე მედიაციის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე.[93] ნიშანდობლივია, რომ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს იმ შესაძლო შემთხვევების არაამომწურავ ჩამონათვალს, რა დროსაც მედიატორს აქვს ზემოაღნიშნული შეტყობინების ვალდებულება.[94]

---

91 Directive 2008/52/EC of the European Parliament and of the Council of 21 May 2008, on Certain Aspects of Mediation in Civil and Commercial Matters, Article 3.b., 4.2.

92 კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი. იხ. მე-5 მუხლის კომენტარი.

93 კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი. იხ. მუხლი 6-ის კომენტარი.

94 „მათ შორის აღნიშნული შეტყობინების ვალდებულება არსებობს თუ: ა) მას აქვს პირადი ან ბიზნესურთიერთობა მხარესთან (მხარეებთან); ბ) მას აქვს პირადი, ქონებრივი ან სხვა - პირდაპირი თუ არაპირდაპირი - ინტერესი მედიაციის შედეგთან; გ) იგი ან მისი ბიზნესპარტნიორი მოქმედებდა რომელიმე მხარის ინტერესით (მედიატორობის გარდა); დ) იგი ფლობს კონფიდენციალურ ინფორმაციას რომელიმე მხარესა ან დავის საგანთან დაკავშირებით, გარდა იმ ინფორმაციისა, რომელიც მედიაციის პროცესის მიზნებისთვის მას რომელიმე მხარემ გაანდო“. ხაზი უნდა გაესვას, რომ აღნიშნული ჩამონათვალი არაამომწურავია და აღნიშნული შეტყობინების ვალდებულება შესაძლებელია არსებობდეს სხვა შემთხვევებშიც; საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მედიატორთა

ნიშანდობლივია, რომ ზემოაღნიშნული გარემოების არსებობის მიუხედავად, პირი შეიძლება მაინც იყოს მედიატორი, თუ მხარეები მედიატორის ჩართულობაზე წერილობით თანხმობას განაცხადებენ.[95] მოცემულ შემთხვევაში მოქმედებს მედიატორის პრივილეგია, უარი განაცხადოს მედიაციის წარმართვაზე მხარეთა თანხმობის მიუხედავად.[96] აღნიშნული შესაძლებლობას ანიჭებს მედიატორს უარი თქვას მედიაციის წარმართვაზე ისეთ შემთხვევაში, თუ ის მიიჩნევს, რომ ვერ შეძლებს მხარეთა მიმართ ნეიტრალურ მოპყრობას და ვერ უზრუნველყოფს მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის პრინციპების დაცვას.[97] ეს კი, ერთი მხრივ, თავიდან აცილებს მედიატორს შესაძლო ეთიკურ დილემებს, ხოლო, იმავდროულად, ახდენს მხარეთა პრევენციულ დაცვას მიკერძოებული მედიაციისგან.[98]

მედიაციის პროცესის სანდოობას დიდწილად მედიატორის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა განსაზღვრავს.[99] აღნიშნული პრინციპები მედიატორის ნეიტრალურობის უზრუნველყოფას ემსახურება და რიგ შემთხვევებში რთულია მათ შორის მკვეთრი მიჯნის გავლება. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ მედიატორის დამოუკიდებლობის პრინციპი უფრო მეტად ობიექტური კრიტერიუმით ხასიათ-

---

პროფესიული ეთიკის კოდესის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილი <https://mediators.ge/uploads/files/60a4d7fd3f27f.pdf> [10.03.2024].

95 საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსის, მე-2 მუხლის მე-4 ნაწილი.

96 კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ბოლო წინადადება, იხ. მე-6 მუხლის კომენტარი; საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსის, მე-2 მუხლის მე-5 ნაწილი <https://mediators.ge/uploads/files/60a4d7fd3f27f.pdf> [10.03.2024].

97 *Shapira O.,* A Theory of Mediator's Ethics, Foundations, Rationale and Application, Cambridge: Cambridge University Press, 2016, 224-226.

98 *Hope M. K.,* The Guided Method of Mediation: A Return to the Original Ideals of ADR, Second Edition, Pax Pugna Publishing, North Carolina, 125-127.

99 *Doherty N., Guyler M.,* The Essential Guide to Workplace Mediation & Conflict Resolution, Kogan Page Limited, London, 2008, 102.

დება, ხოლო მედიატორის მიუკერძოებლობა შეფასებითი კრიტერიუმია და მხარეთა სუბიექტურ შეხედულებებზეა დამოკიდებული.[100]

ა. მედიატორის დამოუკიდებლობის პრინციპი

მედიატორი დამოუკიდებელი უნდა იყოს როგორც **ინსტიტუციურად,** ასევე **პროცესუალურად.**[101]

მართალია, საქართველოს მედიატორთა ასოციაცია წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, თუმცა დაფუძნებულია მედიატორთა თვითრეგულირებაზე,[102] რაც მედიატორთა ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს. აღნიშვნის ღირსია, რომ დამოუკიდებლობის პრინციპი რეალიზებულია სასამართლო მედიაციის შემთხვევაშიც, რამეთუ სასამართლო მედიაცია სასამართლოს ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით, თუმცა მისგან დამოუკიდებლად, პროცედურული ჩარევის გარეშე ხორციელდება.[103]

მედიატორი მედიაციის პროცესის წარმართვისას დამოუკიდებელია, მათ შორის, საქართველოს მედიატორთა ასოციაციისაგან. მედიატორი იბოჭება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით და პროფესიული ეთიკის ნორმებით, რაც მედიატორის პროცესუალური დამოუკიდებლობის ერთადერთი გამართლებული „შეზღუდვაა“.

პროცესუალური დამოუკიდებლობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, მედიატორი არ იყოს დაინტერესებული მედიაციის შედეგით.[104] ერთი მხრივ, მედიატორის მიზანი უნდა იყოს არა სამედიაციო მორიგების უცილობლად მიღწევა, არამედ მხარეთა მიერ ინ-

---

100 *ყანდაშვილი ი.,* მედიაცია - დავის გადაწყვეტის ეფექტური საშუალება, თბ., 2023, 94.

101 *Spencer D., Brogan M.,* Mediation Law and Practice, Cambridge University Press, New York, 2006, 44.

102 ,,მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტი.

103 *ყანდაშვილი ი.,* მედიაცია - დავის გადაწყვეტის ეფექტური საშუალება, თბ., 2023, 227.

104 *James E. A., Monagan S. L.,* Problem Solving Mediation Training: participant's Guide, 1st Ed., James & Monagan, Stone Mountain, 2009, 73.

ფორმირებული გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობა, მათ შორის, თუნდაც შეუთანხმებლობასთან ან/და მედიაციის შეწყვეტასთან დაკავშირებით.

მეორე მხრივ, დაუშვებელია მედიატორის ჰონორარის ოდენობა დამოკიდებული იყოს მედიაციის შედეგზე – სამედიაციო მორიგების მიღწევის ფაქტზე ან/და ნებისმიერი ფორმით გამომდინარეობდეს მხარეთა მიერ მორიგებით შეთანხმებული თანხის ან ქონების ღირებულებიდან. **მაგალითად,** დაუშვებელია მედიატორსა და მხარეთა შორის შეთანხმება მედიატორის ჰონორარზე შემდეგნაირად: (1) მედიატორის მომსახურების ღირებულება შეადგენს X ლარს, ხოლო სამედიაციო მორიგების მიღწევის შემთხვევაში მედიატორი დამატებით მიიღებს Y ლარს. (2) ქონებრივი დავის შემთხვევაში მედიატორის ჰონორარი განისაზღვროს სამედიაციო მორიგებით შეთანხმებული ქონების ღირებულების X% ოდენობით.

ბ. მედიატორის მიუკერძოებლობის პრინციპი

მედიატორმა მედიაცია უნდა წარმართოს მხარეთა თანასწორობის პრინციპისა და **პირადი, პროფესიული** და **ფინანსური მიუკერძოებლობის** დაცვით.[105] ხაზი უნდა გაესვას, რომ მედიატორის პირად მიუკერძოებლობაში მოიაზრება როგორც მისი პირადი ურთიერთობები, ასევე მისი პიროვნული ხედვები და დამოკიდებულებები.[106] პროფესიული მიუკერძოებლობის ჭრილში შეიძლება ითქვას, რომ დაუშვებელია მედიატორი იყოს პირი, რომელმაც იქამდე ნებისმიერი სახის პროფესიული კონსულტაცია გაუწია მხარეს ან ჰქონდა შემხებლობა მასთან ნებისმიერი ფორმით იმავე ან არსებითად დაკავშირებულ სხვა საქმეზე.[107] ფინანსურ მიუკერძოებლობაში, მათ შორის, მოიაზრება მედიატორის ფინანსური დამოუკიდებ-

---

105 International Mediation Institute's Code of Professional Conduct, Art. 3.1.

106 Law Reform Commission's Report: Alternative Dispute Resolution: Mediation and Conciliation, 2010, 60-61.

107 *Dingle J., Kelbie J.,* The Mediation Handbook: The Essential Guide to Contemporary Mediation, London School of Mediation, 2013, 131.

ლობა და პირდაპირი და არაპირდაპირი დაუინტერესებლობა პროცესის შედეგით.[108]

დოქტრინაში განარჩევენ **მიუკერძოებლობის შიდა** და **გარე** ასპექტებს.[109] შიდა მიუკერძოებლობის სტანდარტი იდეალურია და მოიაზრებს მედიატორის მიუკერძოებლობას შინაგანი გრძნობების, ფიქრების დონეზე, ხოლო გარე მიუკერძოებლობის სტანდარტი მინიმალური, სავალდებულოდ შესასრულებელია და კრძალავს მიკერძოების გარეგნულ, ქცევით გამოხატულებას.[110] ამასთან, თუ მედიატორის შინაგანი რწმენა იმდენად იცვლება, რომ მას აღარ შესწევს უნარი მიუკერძოებლად წარმართოს პროცესი, მან უარი უნდა თქვას მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე.

მედიატორის მიუკერძოებლობა მოიაზრებს მხარეთათვის როგორც თანაბარი შესაძლებლობის მინიჭებას, ასევე არადისკრიმინაციულ მოპყრობას.[111] შესაბამისად, „მედიატორმა უარი უნდა თქვას მედიაციის წარმართვაზე თუ ის თვლის, რომ მედიაციის მონაწილის რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, ესთეტიკური განცდის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის შესახებ წინასწარ ჩამოყალიბებეული წარმოდგენების (სტერეოტიპები) გამო მას არ შეუძლია პროცესის მიუკერძოებლად წარმართვა.“[112]

მედიატორის მიუკერძოებლობის პრინციპის მოქმედება ვრცელდება როგორც პროცესის მიმდინარეობის ეტაპზე, არამედ

---

108 *Rabe C. S., Wode M.,* Mediation: Grundlagen, Methoden, Rechtlicher Rahmen, 2. Auflage, Springer, Berlin, 2020, 21.

109 *Doherty N., Guyler M.,* The Essential Guide to Workplace Mediation & Conflict Resolution, Kogan Page Limited, London, 2008, 51.

110 *Shapira O.,* A Theory of Mediator’s Ethics, Foundations, Rationale and Application, Cambridge: Cambridge University Press, 2016, 212.

111 იქვე, 209-210.

112 კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ბოლო წინადადება. იხ. მე-6 მუხლის კომენტარი; საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდესის მე-2 მუხლის მე-6 ნაწილი, <https://mediators.ge/uploads/files/60a4d7fd3f27f.pdf> [10.03.2024].

მედიაციის დასრულების შემდეგაც გონივრული ვადით. აღნიშნულის შეფასება ხდება დავის არსის, მედიაციის შემდეგ გასული დროის, ურთიერთობის ხასიათის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. ფაქტობრივად, მედიაციის მიმდინარეობისას და მისი დასრულების შემდეგაც მედიატორს მართებს თავშეკავება განახორციელოს ნებისმიერი ისეთი ქმედება ან დაამყაროს პირადი ან/და პროფესიული ურთიერთობა მხარესთან, რომელმაც შესაძლოა მიკერძოებულობის შთაბეჭდილება შექმნას.[113] მაგალითად, დაუშვებელია მედიაციის დასრულებისთანავე მედიატორმა, რომელიც ამასთანავე პროფესიით ადვოკატია, რომელიმე მხარის საადვოკატო ბიუროში დაიწყოს საქმიანობა.

დაუშვებელია მედიატორმა მხარისგან მიიღოს ან/და გასცეს საჩუქარი გარდა საგამონაკლისო შემთხვევებისა. ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც კი მნიშვნელოვანია, რომ საჩუქრის ღირებულება არ იყოს არაგონივრულად დიდი ოდენობის, საჩუქრის მიზანი უნდა იყოს პროცესის ხელშეწყობა ან კულტურული ნორმების პატივისცემა და, აუცილებელია, რომ ეს ფაქტი საეჭვოს არ ხდიდეს მედიატორის მიუკერძოებლობას.[114]

6. მედიაციის კონფიდენციალურობა

ა. კონფიდენციალურობის შესახებ სამართლებრივი საფუძვლები

მედიაციის სხვა პრინციპებისგან განსხვავებით, კონფიდენციალურობის დაცვის პრინციპს ითვალისწინებს კანონის მე-3 და მე-10

---

113 კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ბოლო წინადადება. იხ. მე-6 მუხლის კომენტარი; საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-2 მუხლის მე-7 ნაწილი <https://mediators.ge/uploads/files/60a4d7fd3f27f.pdf> [10.03.2024].

114 კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ბოლო წინადადება. იხ. მე-6 მუხლის კომენტარი; საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-2 მუხლის მე-8 ნაწილი <https://mediators.ge/uploads/files/60a4d7fd3f27f.pdf> [10.03.2024].

მუხლები: მე-3 მუხლში მედიაციის წარმართვის პრინციპებს შორის დასახელებულია კონფიდენციალურობა, თუმცა მე-10 მუხლი საგანგებოდ ეხება კონფიდენციალობის დაცვის მოვალეობას. ამით კანონმდებელი ხაზს უსვამს მის მნიშვნელობას მედიაციის მიზნებისთვის.

ამასთან, კონფიდენციალობას ეხება მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსიც (მე-6 მუხლი), რომლითაც მედიატორს ეკისრება მოვალეობა, დაიცვას მედიაციის პროცესის კონფიდენციალურობა, კანონში მითითებული გამონაკლისების გათვალისწინებით.

ბ. მედიაციის კონფიდენციალურობის ცნება და შინაარსი

ეფექტური მედიაციის ფუნდამენტია სამედიაციო კომუნიკაციის კონფიდენციალურობა, რომლის თანახმად, მედიატორს ევალება კომუნიკაციის დაცვა გამჟღავნებისგან. კონფიდენციალურობა ხელს უწყობს მხარეებსა და მედიატორს შორის კომუნიკაციას. მისი დახმარებით მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ მაშინაც კი, როცა ეს ჩვეულებრივი მოლაპარაკების შედეგად შეუძლებელი იქნებოდა. ის ძალიან ემსგავსება ადვოკატის, ექიმის, მღვდლის მიერ კონფიდენციალურობის დაცვას, რადგან ამ შემთხვევაშიც მოქმედებს გამჟღავნებისა და ჩვენების მიცემისგან დაცვის პრივილეგია.[115]

კონფიდენციალურია ინფორმაცია, რომელიც:

1. მედიაციის დროს იყო გაზიარებული ან შექმნილი **(მაგალითად,** მედიაციის მიზნებისთვის მედიატორის ჩანაწერები, დოკუმენტები და ვიზუალური მასალა);
2. მედიატორს გადაეცა ინდივიდუალური შეხვედრებისას, ერთ-ერთ მხარესთან ტელეფონით საუბრისას ან ელექტრონული ფოსტით;
3. მედიაციის მონაწილეთა ქცევებზე დაკვირვებას ეხება;

[115] *Deason E. E.*, The Quest for Uniformity in Mediation Confidentiality: Foolish Consistency or Crucial Predictability? Marquette Law Review, Vol. 85, 2001, 80.

4. სამედიაციო შეთანხმების მიუღწევლობის მიზეზებს ასახავს.[116]

- ამდენად, **მედიაციის კონფიდენციალურობა ფართო** მნიშვნელობისაა და მოიცავს სხვადასხვა ინფორმაციის დაცვას გამჟღავნებისგან. სახელდობრ, გასათვალისწინებელია, რომ:

- სამედიაციო კომუნიკაციით მიღებული ინფორმაციის გამოყენება დაუშვებელია სასამართლოში საქმის განხილვისას;

- მედიაციის კომუნიკაციის იძულებით გამჟღავნება არ შეიძლება სასამართლო პროცესში;

- სამედიაციო კომუნიკაციები უნდა იყოს კონფიდენციალური და არ უნდა იყოს გამჟღავნებული ვინმესთვის (ნამდვილი კონფიდენციალურობა);

- მედიატორის მიერ ჩვენების მიცემა აკრძალულია მის მიერ წარმოებული მედიაციის პროცესის შესახებ;

- მედიაციის მონაწილეთა სახელშეკრულებო შეთანხმება ადგენს სამედიაციო კომუნიკაციის კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის ფარგლებს.[117]

გ. მედიაციის კონფიდენციალურობის მიზანი და ფუნქცია

მედიაციის **პროცესი კონფიდენციალურია,** ანუ მედიაციის დროს გაჟღერებული ინფორმაცია უსაფრთხოდ არის დაცული და მის გამჟღავნება დაუშვებელია. ესაა მედიაციის პროცესში გადაცემული ინფორმაციის დაცვის ეთიკური მოვალეობა.[118] მედიაციის მონაწილეებს დასაწყისშივე განემარტებათ, რომ ის, რასაც იტყვიან მედიაციის დროს, მედიაციის ზღურბლს არ გასცდება და ამიტომ

---

116 *Reichert K.*, Confidentiality in international Mediation, Dispute Resolution Journal, Vol. 59, No. 4, 2004, 62; *Najda M. A.*, International and Comparative Mediation: Legal Perspectives, "Kluwer Law International", 2009, 248.

117 Relationship Between Mediation and Attorney Malpractice and Other Misconduct, 45 Cal. L. Revision Comm'n Reports 19, 2017, 53-54.

118 *Pattenden R.*, The Law of Professional – Client confidentiality, Regulating the Disclosure of Confidential Personal Information, Oxford, 2003,12.

ადამიანები მედიაციისგან მოელიან კონფიდენციალურობას.[119] კონ-ფიდენციალობის დაცვის ეს მოლოდინი არა მხოლოდ განასხვავებს მედიაციას სასამართლო განხილვებისგან, არამედ საფუძველს უქ-მნის მხარეებსა და მედიატორს შორის უფრო გულწრფელ ურთიერ-თობას. შესაბამისად, მედიაციის კონფიდენციალურობა ასრულებს **ინფორმაციის ეფექტიანად გაცვლისა და მედიაციის პროცესში მხარეთა აქტიური მონაწილეობის ფუნქციას.**[120]

გამოცდილებაც ადასტურებს, რომ მედიაცია ეფექტიანია, ვინა-იდან მედიაციის პროცესი კონფიდენციალურია. **მედიაციის დროს წარმოებულ მოლაპარაკებებს არ აქვთ მავალდებულებელი ძა-ლა, ვიდრე მას არ ექნება შეთანხმების ფორმა.**[121] მხარეთა მეტი გახსნილობისთვის აუცილებელია ნდობაზე დაფუძნებული და არა-ფორმალური გარემოს არსებობის შეგრძნება. ფიდუციური ურთი-ერთობისა და გულწრფელი გარემოს გარეშე ვერ მიიღწევა მედია-ციის მიზანი.[122] ამდენად, მედიაციის კონფიდენციალურობის **მიზა-ნია,** მხარეთა ეფექტური მოლაპარაკებებისთვის შექმნას **ხელსაყ-რელი და პირადული** გარემო[123] (დეტალურად იხ. მე-10 მუხლის კო-მენტარი).

კონფიდენციალურობა არის ამ სამმხრივი კომუნიკაციის პრო-ცესის წახალისების მთავარი ელემენტი. ამ მიზნით მედიატორი მო-ლაპარაკებისას ხაზს უსვამს იმას, რომ ის არ გადასცემს კონფიდენ-ციალურ გარემოში დახურული შეხვედრისას გაჟღერებულ განცხა-

---

119 *Rausch M.,* The Uniform Mediation Act, Ohio State Journal Dispute Resolution, Vol. 18, No.2, 2003, 608.

120 *Stipanowich T.,* Why Businesses Need Mediation, Legal Studies Research Paper Series, 2004, 14.

121 *Field R.*, *Wood N.,* Marketing Mediation ethically: The case of Confidentiality, Field & Wood, 2005,146.

122 *Rosenberg P. J.,* Keeping the Lid on Confidentiality: Mediation Privilege and Conflict of Laws, Ohio State Journal on Dispute Resolution, Vol. 10, Issue 1, 1994, 181.

123 *Boulle L., Nesic M.,* Mediation. Principles, Process, Practice. London et al.: Butterworths, 2001, 296-297; *Stipanowich T.*, Why Businesses Need Mediation, Legal Studies Research Paper Series, 2004, 14.

დებებს.[124] **კონფიდენციალურობა** განიხილება ინფორმაციის გამ-ჟღავნებაზე **უარის თქმის პრივილეგიად,** რომელიც ნდობაზე და-ფუძნებული ურთიერთობის საფუძველია.[125] შესაბამისად, მედიაციის მხარეებს აქვთ „პრივილეგია, უარი თქვან ჩვენების მიცემაზე და არ მიაწოდონ ახსნა-განმარტებები სხვა პირებს შემდგომ პროცესში, რომელიც სამედიაციო შეტყობინებებს ეხება".[126] თუმცა, მაგალითად, მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილია, რომ სტატისტიკური ინფორმაციის გამოყენება სამეცნიერო-სასწავლო მიზნებისთვის არ ჩაითვლება კონფიდენციალობის დარღვევად. მოცემულ შემთხვევაში უნდა იყოს გამორიცხული მედიაციის მონაწილეთა და ფაქტობრივი გარემოებების იდენტიფიცირება.

ასევე, კონფიდენციალურობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მედიატორის **ნეიტრალიტეტზე.** მედიაციის მონაწილე შეიძლება არ მიენდოს მედიაციას, თუ ეცოდინება, რომ მედიატორი შეიძლება იყოს მოწინააღმდეგე მხარე სასამართლოში. ეს მედიატორსაც უშლის ხელს, ჩამოაყალიბოს ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული გარემო, რომელიც გადამწყვეტ როლს თამაშობს წარმატებული მედიაციისთვის.[127]

ამდენად, მედიაციის კონფიდენციალურობა ასრულებს სხვადასხვა დადებითი ეფექტის (მხარეთა გულწრფელობა, მედიატორის ნე-

---

124 *Deason E. E.,* Predictable Mediation Confidentiality in the U.S. Federal System, Ohio State Journal on Dispute Resolution, Col. 17, No.2, 2002, 245.

125 *კალანდაძე დ.*, კონფიდენციალურობის პრინციპი მედიაციის პროცესში და ქართული საკანონმდებლო რეალობა, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწდეული 2018-2019", სპეციალური გამოცემა, თსუ გამომცემლობა, 2019, 36.

126 *Tetunic L. F.*, Act Deux: Confidentiality after the Florida Mediation Confidentiality and Privilege Act, Nova Law Review, Vol. 36, Iss. 1, 2011, 82.

127 *Johnson D. P. Jr.*, Confidentiality in Mediation: What Can Florida Glean from the Uniform Mediation Act? Florida State University Law Review, Vol. 30, No. 3, 2003, 490.

იტრალურობა, სამართლიანობა და სხვ.) **სტიმულირებისა** და მათ შორის **ლოგიკური კავშირის უზრუნველყოფის ფუნქციას.**[128]

7. მედიაციის პრინციპებს შორის ურთიერთდამოკიდებულება

მედიაციის წარმართვის პრინციპები მოქმედებს ერთად და ხშირად თითოეულის **ეფექტიანად მოქმედების გარანტიას იძლევა. მაგალითად,** ერთ-ერთი მხარე გრძნობს, რომ მედიატორი არაა მიუკერძოებელი და ირღვევა მედიატორის ნეიტრალიტეტის პრინციპი. ამ დროს მხარეს აქვს უფლება, გამოვიდეს მედიაციის პროცესიდან, რითაც რეალიზდება მედიაციაში მხარეთა ნებაყოფლობითი მონაწილეობის პრინციპიც. იგივე მიდგომა ვრცელდება სხვა პრინციპებზეც. ამდენად, **მედიაციის პრინციპები ერთმანეთთან ურთიერთკავშირშია,** ვინაიდან ერთმანეთს განაპირობებენ, მოქმედებენ სისტემურად და განსაზღვრავენ მედიაციის სპეციფიკას, დავის გადაწყვეტის სხვა საშუალებებისგან განსხვავებით.[129]

ასევე, კონფიდენციალურობა ხელს უწყობს მედიაციის პროცესის ნეიტრალურ გარემოს იმისათვის, რომ მხარეებმა გულწრფელად გადმოსცენ მათი რეალური ემოციები და ამბები. მედიატორმა რომ მისცეს ჩვენება სასამართლოში, რაც არ უნდა სიფრთხილე გამოიჩინოს, აუცილებლად იქნება რომელიმე მხარის სასარგებლოდ გამოყენებული, რაც დაუკარგავს მედიატორის, როგორც მიუკერძოებელი პირის, საქმიანობას ეფექტიანობას.[130] **მაგალითად,** ერთ-ერთმა მხარემ მედიატორს სთხოვა, მიეწოდებინა ინფორმაცია მედიაციის პროცესში განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით და განემარტა ისინი. ამ შემთხვევაში მედიატორმა ისე უნდა მიაწოდოს მხარეს განსახილველ საკითხთა წრე, რომ საკუთარი დამოკიდებულება არ გამოხა-

---

128 *ბიჭია მ.*, მედიაციის პროცესის კონფიდენციალურობა და ეთიკური დილემები, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწდეული“, თსუ გამომცემლობა, 2023, 19.

129 Европейский банк реконструкции и развития, Учебное пособие для судей «Основы медиации. Медиация в судебном процессе», Бишкек, 2022, 22.

130 *Freedman L. R., Prigoff M. L.*, Confidentiality in Mediation: The Need for Protection, Journal of Dispute Resolution, Vol. 2, Issue 1, 1986, 38.

ტოს და მაქსიმალური ნეიტრალიტეტი დაიცვას. აქვე მედიატორმა უნდა აღნიშნოს, რომ განსახილველ საკითხებს უშუალოდ მხარეები განსაზღვრავენ, თუმცა ეს არ ზღუდავთ მათ სხვა საკითხებზე მსჯელობას. ამასთან, მედიატორს შეუძლია მხარეს მიუთითოს, რომ დამატებითი რჩევების მისაღებად მას აქვს იურისტის კონსულტაციის გამოყენების უფლება.[131] კონფიდენციალურობა მნიშვნელოვანწილად გავლენას ახდენს მედიატორის ნეიტრალიტეტზე. მედიატორი უნდა ცდილობდეს ისეთი ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, რაც ხელს შეუწყობს პროცესის მონაწილეებს, ინფორმაცია შეუფერხებლად გადასცენ მედიატორს. ეს დიდწილად განაპირობებს წარმატებულ მედიაციას.[132]

ანალოგიურად მხარეთა კეთილსინდისიერება, სამართლიანობა და მედიატორის ნეიტრალურობა შეიძლება იყოს ერთმანეთთან ურთიერთკავშირში. **მაგალითად,** მედიაციის პროცესში გამოიკვეთა, რომ ერთი მხარე ინტელექტუალური და ინფორმაციული თვალსაზრისით ძლიერია, ვიდრე მეორე მხარე. ინფორმაციის ნაკლებობა იწვევს მხარეთა შორის დისბალანსს. ამ შემთხვევაში მედიატორს აქვს პროფესიული ეთიკის კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილება, საჭიროებისამებრ წაახალისოს პროცესის მხარე დამატებითი რჩევის მიღებაზე სხვა დამოუკიდებელი პროფესიონალისგან[133] (იურისტისგან). ეს უკვე დამოკიდებულია კონკრეტულ შემთხვევაზე და განიხილება ინდივიდუალური შეფასების საგანად.[134]

კონფიდენციალურობის დასაცავად შეიძლება გაიზარდოს საჯარო ინტერესის ხელყოფის საფრთხე, მაგრამ, ამ რისკთან ერთად, მე-

---

131 *ბიჭია მ.*, მედიაციის პროცესის კონფიდენციალურობა და ეთიკური დილემები, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწდეული“, თსუ გამომცემლობა, 2023, 17.

132 *Johnson D. P. Jr.*, Confidentiality in Mediation: What Can Florida Glean from the Uniform Mediation Act? Florida State University Law Review, Vol. 30, No. 3, 2003, 490.

133 სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მე-5 მუხლის მე-4 ნაწილი.

134 *ბიჭია მ.*, მედიაციის პროცესის კონფიდენციალურობა და ეთიკური დილემები, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწდეული“, თსუ გამომცემლობა, 2023, 20.

დიატორს ეკისრება გაზრდილი მოვალეობა, რომ საჯარო ინტერესის დაცვის ხარჯზე არ დაუშვას მხარეებს შორის უკანონო შეთანხმება.[135] კონფიდენციალურობის შეზღუდვა დაიშვება იმ საფრთხის პრევენციისთვის, როცა მხარეებს სურთ პროცესის ბოროტად გამოყენება. მხარემ შეიძლება დაისახოს მიზნად სასამართლო პროცესის გაჭიანურება. ვინაიდან მედიაციის პროცესი კონფიდენციალურია, მხარემ შეიძლება არასწორი ფაქტები წარადგინოს, რაც აზარალებს მეორე მხარეს, მხარის არაკეთილსინდისიერების დამტკიცება კი რთულია. შესაბამისად, თუ ერთხელ დაზარალდა მხარე ამ პროცესით, დიდი ალბათობით ხელმეორედ არ აირჩევს დავის გადასაწყვეტად მედიაციას.[136] ეს, ერთი მხრივ, აბრკოლებს მედიაციის განვითარებას, მეორე მხრივ, აზიანებს მხარეებსა და მესამე პირებს, რომლებზეც გავლენას ახდენს მედიაციის შედეგები.[137]

ამდენად, მედიაციის მხარეთა თვითგამორკვევა, მედიატორის ნეიტრალურობა და კონფიდენციალურობა არის სამი ურთიერთდამოკიდებული ძირითადი ღირებულება, რომლებიც მედიაციას განსაზღვრავენ.[138]

---

135 *ჩიტაშვილი ნ.*, სამართლიანი შეთანხმება, როგორც მედიაციის ეთიკური ურღვეობის საფუძველი, „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწდეული 2015“, თსუ გამომცემლობა, 2016, 22.

136 *ცერცვაძე გ.* (რედ.), მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, თბ., 2013, 31.

137 *ელოშვილი ნ.*, კონფიდენციალურობის პრინციპის მნიშვნელობა მედიაციის პროცესში, „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწდეული 2012“, თსუ გამომცემლობა, 2013, 15.

138 *Izumi L. C., La Rue C. H.,* Prohibiting "Good Faith Reports" Under the Uniform Mediation Act: Keeping the Adjudication Camel out of the Mediation Tent, Journal of Dispute Resolution, No. 1, Vol. 2003, 86.

ანა ხურციძე / ეთერ ჩაჩანიძე

მუხლი 4. მედიატორის არჩევა/ დანიშვნა

I. მოწესრიგების მიზანი 98
II. მუხლში განმტკიცებული ცალკეული ინსტიტუტები..... 101
III. სამართლებრივი შედეგები და ნორმის მნიშვნელობა
საპროცესო სამართალში 103

1. მედიაცია შეიძლება ერთდროულად ერთმა ან რამდენიმე მედიატორმა წარმართოს.

2. მედიატორის არჩევაზე თანხმდებიან მხარეები, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. სასამართლო მედიაციის დროს მხარეები მედიატორს ირჩევენ სასამართლოს მიერ მედიატორთა ერთიანი რეესტრის საფუძველზე შედგენილი და მხარეებისათვის შეთავაზებული მედიატორთა კანდიდატურების სიიდან, მისი საქმიანობის არეალის გათვალისწინებით; ამასთანავე, შესაძლებელია საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ მედიატორისათვის დამატებითი მოთხოვნები (ასაკი, სტაჟი ან/და უმაღლესი განათლება) განსაზღვროს. ეს მოთხოვნები შეიძლება განისაზღვროს აგრეთვე იმ შემთხვევისათვის, როდესაც მედიატორი მხარეთა შეთანხმების გარეშე ინიშნება. თუ სასამართლოს მიერ მხარეებისათვის მედიატორთა კანდიდატურების სიის შეთავაზებიდან 3 დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეთანხმდებიან მედიატორის კანდიდატურის არჩევაზე, საქართველოს მედიატორთა ასოციაციის წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი ან ორგანო სასამართლოს მიმართვის საფუძველზე, მისი მიღებიდან 3 დღის ვადაში, ამ პუნქტში მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, მე-

დიატორად ნიშნავს მედიატორთა ერთიან რეესტრში რეგისტრირებულ მომდევნო პირს.

4. კერძო მედიაციის დროს მხარეები მედიატორად ირჩევენ მედიატორთა ერთიან რეესტრში რეგისტრირებულ მედიატორს, რომელიც ვალდებულია მედიაციის პროცესი ამ კანონით დადგენილი პრინციპებისა და წესების შესაბამისად წარმართოს. თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან მედიატორის შერჩევაზე, საქართველოს მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო მხარეთა მიმართვის საფუძველზე მედიატორს ნიშნავს მედიატორთა ერთიანი რეესტრიდან, თუ მხარეებს მედიატორის დანიშვნის სხვა წესი არ აქვთ განსაზღვრული.რ

I. მოწესრიგების მიზანი

მუხლის მიზანია, მოაწესრიგოს მედიაციის საქმეების განაწილების და მედიატორის შერჩევა/დანიშვნის წესი. ასევე, განსაზღვროს მედიატორთა რაოდენობა, რომ მედიაციის პროცესში მისაღებია, როგორც ერთი, ისე ერთზე მეტი მედიატორის გამწესება. მედიაციის პროცესში, რომელიც ეფუძნება ნებაყოფლობითობას, მუხლი ხაზს უსვამს მედატორ(ებ)ის შერჩევისას მხარეთა თანხმობის მნიშვნელობას. ასევე, მუხლის მიზანია მედიატორთა კომპეტენციის, როგორც ნეიტრალური მესამე პირის შერჩევის პროცესში გასათვალისწინებელი ფაქტორის ხაზგასმა და უზრუნველყოფა.

მე-4 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „მედიაცია შეიძლება ერთდროულად ერთმა ან რამდენიმე მედიატორმა წარმართოს“, რაც ნიშნავს, რომ მედიაციის პროცესში შესაძლოა ჩართული იყოს როგორც ერთი, ისე ერთზე მეტი მედიატორი. ეს ნორმა მიზნად ისახავს მედიაციის პროცესის მრავალფეროვნების, მოქნილობის ხაზგასმასა და მედიაციისთვის განსაკუთრებული საჭიროებების და პირობების შექმნის მნიშვნელობას. მოქნილობა საშუალებას აძლევს მედიაციას მორგებული იყოს თითოეული საქმის კონკრეტულ გარემოებებზე, რაც პოტენციურად გაზრდის მის ეფექტურობას და ეფექტიანობას ურთიერთდამაკმაყოფილებელი შედეგების მისაღწე-

ვად – ერთზე მეტი მედიატორის ჩართვამ შესაძლოა ბევრი სარგებელი მოუტანოს, როგორც უშუალოდ მედიაციის პროცესს, ისე, რა თქმა უნდა, მის შედეგს[1].

მე-4 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები შეეხება მხარეთა შეთანხმებას მედიატორის არჩევის შესახებ, კანონით გათვალისწინებული გამონაკლისების გათვალისწინებით. ეს ნორმები ასახავს მხარეთა ავტონომიის აღიარებულ პრინციპს მედიაციაში, სადაც მხარეებს აქვთ თავისუფლება, აირჩიონ მათთვის მისაღები და სასურველი მედიატორი, რათა შეიქმნას შესაბამისი პირობები დავის ეფექტიანად გადაწყვეტისთვის. მხარეთა ავტონომიის აღიარება ფუნდამენტურია მედიაციაში, რადგან ის აძლიერებს მოდავეთა კუთვნილების და გავლენის განცდას მედიაციის პროცესსა და შედეგებზე, რითიც, ბუნებრივია, იზრდება ორმხრივად მისაღები გადაწყვეტილების მიღწევის ალბათობა. ნორმები შესაბამება მხარეთა ნებაყოფლობითობის, თავისუფლებისა და თვითგამორკვევის პრინციპს, რაც წარმოადგენს ეფექტური მედიაციის პრაქტიკის ერთ-ერთ ძირითად წიანაპირობას.[2]

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის (შემდგომში – გაეროს კომისია) კანონი საერთაშორისო კომერციული მედიაციის შესახებ[3] (შემდგომში – UNCITRAL) ხაზს უსვამს მედიაციის პროცესში მხარეთა ავტონომიის მნიშვნელობას, სინგაპურის კონვენციის მე-5 მუხლი კი ცალსახად მხარს უჭერს მხარეთა ავტონომიის პრინციპს მათი თავისუფლების აღიარებით, მიაღწიონ სამედიაციო მორიგებას კონკრეტული ფორმით ან ფორმატით შებოჭვის გარეშე. მუხლის მითითება კანონით გათვალისწინებულ გამონაკლისებზე ადასტურებს სამართლებრივი

---

1 *Giyang A.,* Enhancing the Effectiveness of Mediation in Korean American Family Disputes: Cultural Sensitivity Training for Mediators and CO-Mediation Teams, Cardozo Journal of Conflict Resolution Vol. 11, Issue 2, 2010, 558.

2 *Fisher R., Ury W., Patton B.,* Getting to yes: Negotiating agreement without giving in, Boston, 2011.

3 UNCITRAL Model Law on International Commercial Mediation and International Settlement Agreements Resulting from Mediation, 2018.

დანაწესების მნიშვნელობას მედიაციის პროცესის მართვაში. ეს აღიარება ხაზს უსვამს აუცილებლობას, რომ მედიაციის ინსტიტუტმა იფუნქციონიროს სამართლებრივი სისტემისა და მარეგულირებელი ჩარჩოს საზღვრებში, რათა უზრუნველყოს სამართლიანობა, მიღწეული შედეგის აღსრულება და სამართლებრივი სტანდარტების დაცვა. გარკვეული ტიპის დავები ექვემდებარება მედიატორის სპეციფიკურ კვალიფიკაციას, რისი უზრუნველყოფაც ამ დათქმის გარეშე, შესაძლოა მიუღწეველი იყოს.[4] მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი ასევე ითვალისწინებს მედიატორის გამწესებას არჩევის გარეშე. მხარეთა მიერ მედიატორის/მედიატორების კანდიდატურაზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში საქართველოს მედიატორთა ასოციაციის წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი ან ორგანო სასამართლოს მიმართვის საფუძველზე, მისი მიღებიდან 3 დღის ვადაში, ამ პუნქტში მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, მედიატორად ნიშნავს მედიატორთა ერთიან რეესტრში რეგისტრირებულ მომდევნო პირს. სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილებით, განისაზღვრა მედიატორის დანიშვნის წესი, რომელიც გამოიყენება მხარეთა მიერ სასამართლო მედიატორის კანდიდატურაზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში. აღნიშნული წესის ამოქმედებით ხორციელდება მედიაციის პროცესის დროულად დაწყების ხელშეწყობა და პროცესის ეფექტიანობის უზრუნველყოფა.

ნორმა უფლებამოსილებას ანიჭებს საქართველოს მედიატორთა ასოციაციას, განსაზღვროს მედიატორებისთვის დამატებითი საკვალიფიკაცო მოთხოვნები, როგორიცაა ასაკი, სტაჟი ან/და უმაღლესი განათლება. მედიატორების კომპეტენციისა და პროფესიონალიზმის უზრუნველყოფისას, ეს დებულება ეხმიანება საერთაშორისო კონვენციებში მედიაციის პრაქტიკის სახელმძღვანელო მითითებებს. მაგალითად, UNCITRAL მხარს უჭერს მედიატორის კვალიფიკაციის კრიტერიუმების დადგენას, რათა უზრუნველყოფილი იყოს

[4] *Carnevale P. J., Riskin L. L.,* The parties' choice: A proceduralist re-conception of mediation, Harvard Negotiation Law Review Vol. 13, Issue 2, 149.

მედიაციის პროცესის ხარისხი და მთლიანობა, რაზეც საქართველოში პასუხისმგებლობა აკისრია საქართველოს მედიატორთა ასოციაციას.

მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი განსაზღვრავს და ითვალისწინებს, როგორც მხარეთა უფლებას კერძო მედიაციაში, თავად შეარჩიონ მედიატორი ურთიერთშეთანხმებით, ისე მედიატორის დანიშვნის მექანიზმს მხარეთა მიერ მედიატორის კანდიდატურაზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში. ნორმა საშუალებას აძლევს საქართველოს მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს, მხარეთა მიმართვის საფუძველზე დანიშნოს მედიატორი მედიატორთა ერთიანი რეესტრიდან. ეს დებულება უზრუნველყოფს მედიაციის პროცესის უწყვეტობას, მხარეთა ავტონომიის შეძლებისდაგვარად პატივისცემით, საერთაშორისო კონვენციების სულისკვეთებით, რომლებიც ხელს უწყობენ დავების გადაწყვეტის ეფექტურ და ეფექტიან მექანიზმებს.

მედიატორთა არჩევა-დანიშვნისას მე-4 მუხლი გამომდინარეობს და ეფუძნება მედიატორთა ერთიანი რეესტრის კონცეფციას, რომელიც არის სამედიაციო პროცესის ხარისხის გარანტი და ქმნის სამედიაციო მორიგების შეუფერხებელი აღსრულების წინაპირობას. რეესტრში გაწევრიანებული მედიატორები იამვდროულად არიან მედიატორთა ასოციაციის წევრები და იზიარებენ ერთიან პროფესიულ სტანდარტს. მეტიც, მათზე ვრცელდება ასოციაციის მიერ მიღებული პროფესიული ქცევის წესები.

მედიატორის შერჩევის/დანიშვნის წესის დადგენილ საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანით, მე-4 მუხლი ხელს უწყობს საქართველოში მედიაციის მტკიცე და ეფექტური ფორმატის ჩამოყალიბებას, რაც ხელს უწყობს დავების გადაწყვეტის სამართლიან და ეფექტურ პროცესებს.

II. მუხლში განმტკიცებული ცალკეული ინსტიტუტები

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, მუხლი საუბრობს თანამედიაციის შესაძლებლობაზე, რომელიც მედიაციის, როგორც არაფორმა-

ლური პროცესის თავისებურებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული რეგულაციის გარეშეც შეიძლება ყოფილიყო მოაზრებული პროცესში, თუმცა, ვინაიდან კანონმდებელმა საჭიროდ ჩათვალა თანამედიაციის შესაძლებლობა კანონის რეგულაციით განემტკიცებინა, კომენტარშიც აუცილებელია მეტი ყურადღება დაეთმოს მას.

არაერთი კვლევით არის დადასტურებული, რომ თანამედიაცია,[5] სადაც ერთზე მეტი მედიატორი მუშაობს ერთად, საკითხების უფრო ყოვლისმომცველი გამოკვლევის შესაძლებლობას შეიძლება ქმნიდეს, შესაძლოა უკეთესად აბალანსებდეს პროცესის დინამიკას, მასში რომელიმე მხარის დომინაციას, ემოციების მართვას და ახალისებდეს დავის აღმოფხვრის შემოქმედებით მიდგომებს. ეს დათქმა შეესაბამება საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას, როგორც ეს ასახულია UNCITRAL-ში, ასევე, 2019 წლის სინგაპურის კონვენციაში მედიაციის შესახებ (შემდგომში – სინგაპურის კონვენცია) და ევროპული კავშირის დირექტივაში სამოქალაქო და კომერციულ საკითხებში მედიაციის გარკვეული ასპექტების შესახებ[6] (შემდგომში – ევროდირექტივა). სამივე მათგანი ხაზს უსვამს მოქნილობისა და ადაპტაციის მნიშვნელობას მედიაციის პროცესში, იმის აღიარებით, რომ სხვადასხვა დავა შეიძლება მოითხოვდეს განსხვავებულ მიდგომას. ხშირად, სხვადასხვა უნარის და სპეციალიზაციის მქონე მედიატორთა თანამედიაციას (მაგ.: იურისტი და ფსიქოლოგი მედიატორების ჯგუფი) გაცილებით კარგი შედეგები მოაქვს, ვიდრე ერთი მედიატორის მიერ წარმართულ პროცესს.[7] თანამედიაცია ასევე გამართლებული და პრაგმატული შეიძლება იყოს გენდერული ასპექტითაც, როცა მხარეები არიან სხვადასხვა სქესის წამომადგენლები და რიგ შემთხვევებში, შეიძლება მიზანშეწონილი იყოს ქალი და მამაკაცი მედიატორების მიერ პროცესის წარმართვა. გარდა ზემოთ ხსენებული შემთხვევებისა, თანამედიაცია შეიძლება იყოს კარგი გა-

---

5 Co-mediation.

6 European Union Directive on Certain Aspects of Mediation in Civil and Commercial Matters (2008/52/EC)

7 *ორჯონიკიძე ე., ქარცივაძე ლ., ბუჯიაშვილი ე.,* მედიაციის გზამკვლევი, თბ., 2021, 26.

მოსავალი ისეთ მოცემულობაში, სადაც დავის მხარეები ვერ თანხმდებიან რომელიმე კონკრეტულ მედიატორზე. თანამედიაცია აძლევს მათ შესაძლებლობას, ცალ-ცალკე შეარჩიონ მედიატორები, რომლებიც შემდეგ, ცხადია, ერთიანი შემადგენლობით გაუძღვებიან პროცესს. თუმცა, აქ აუცილებელია, მედიატორებმა სწორად განსაზღვრონ და მართონ მხარეთა მოლოდინები, რათა არ წარმოიშვას აღქმა, რომ თითოეული მხარის მიერ შერჩეული მედიატორი მის ინტერესებს წარმოადგენს მედიაციაში. აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თანამედიაციის წარმატება დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა მედიატორთა თანამშრომლობა, ეფექტური კოორდინაცია და სათანადო კომუნიკაციის უნარები. ამიტომ, თანამედიაციის პრაქტიკის სათანადო ტრენინგი და შესაბამისი სტანდარტის შემუშავება აუცილებელია[8] მისი სარგებლის მაქსიმალურად გაზრდისა და მედიაციის პროცესის ჯეროვანი ხარისხის უზრუნველსაყოფად.

გარდა ამისა, მე-4 მუხლიც განამტკიცებს ზოგადად მედიაციაში მოქმედ პრინციპებს, განსაკუთრებით კი ნებაყოფლობითობას, ურთიერთშეთანხმებას, მხარეთა თავისუფლებას და ავტონომიას, როცა პრიორიტეტს ანიჭებს მხარეთ მიერ მედიატორის არჩევას. როგორც ზემოთ წარმოჩინდა, აღნიშნული სრულ თანხვედრაშია UNCITRAL-ის და სინგაპური კონვენციით დადგენილ პრინციპებსა და სტანდარტთან.

III. სამართლებრივი შედეგები და ნორმის მნიშვნელობა საპროცესო სამართალში

წინამდებარე მუხლის მე-4 ნაწილი კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მთლიანად კანონი, მასში დადგენილი საპროცესო წესები და ასევე პრინციპები, დაწყებული მედიატორის შერჩევით,

---

8 *Foley K.,* To Co-Mediate or Not to Co-Mediate - That is the Question, Charles Sturt University Press, Vol. 29, Issue 1, 2017, 101.

დამთავრებული მედიაციის დასრულებით, ვრცელდება როგორც სასამართლო, ისე კერძო მედიაციაზე. ამით ნორმა ხაზს უსვამს მედიაციის პროცესის მთლიანობას და ერთგვაროვნებას მისი თავისებურებებისა და შესაძლებლობების, ასევე ერთიანი სტანდარტის თვალსაზრისით.

მუხლი 5. მედიატორის შერჩევის დროს გასათვალისწინებელი გარემოებები

I. მოწესრიგების მიზანი 106
II. მუხლში განმტკიცებული ცალკეული ინსტიტუტები..... 109
III. სამართლებრივი შედეგები და ნორმის მნიშვნელობა საპროცესო სამართალში 110

1. მედიატორის შერჩევის დროს მხარეებმა, აგრეთვე ამ კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ უნდა გაითვალისწინონ გარემოებები, რომლებიც დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მედიატორის შერჩევას განაპირობებს.

2. მედიატორის შერჩევის დროს მხარეებმა, აგრეთვე ამ კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ შეიძლება გაითვალისწინონ შემდეგი საკვალიფიკაციო კრიტერიუმები:

ა) მედიაციის პროცესის ან მოლაპარაკების სხვა ისეთი პროცესის წარმართვის გამოცდილება, რომლის შინაარსი არ ეწინააღმდეგება კანონს, საჯარო წესრიგს ან ზნეობრივ ნორმებს;

ბ) სასამართლო წარმოების ან დავის ალტერნატიული გზით გადაწყვეტის პროცესში მონაწილეობის გამოცდილება;

გ) დავის შინაარსის შესაბამის სამართლებრივ საკითხებზე მუშაობის გამოცდილება;

დ) მედიაციის აღიარებული ორგანიზაციის მიერ აკრედიტაცია;

ე) მედიაციის ეფექტიანად წარმართვა, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული გზის მოძიება და სხვა მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევები, მედიატორის საქმიანი რეპუტაცია და ავტორიტეტი;

ვ) სხვა საკვალიფიკაციო კრიტერიუმი, მედიაციის თაობაზე შეთანხმების შესაბამისად.

I. მოწესრიგების მიზანი

მუხლის მიზანია, განსაზღვროს კრიტერიუმები, რომლებიც დაეხმარება ერთი მხრივ მხარეებს და მეორე მხრივ, მედიატორთა ასოციაციას პროფესიონალიმედიატორის შერჩევაში, ასევე, განისაზღვროს ის საჭირო მინიმალური საკვალიფიკაციო პირობები, რომლებიც ყურადსაღებია მედიაციის პროცესში შესაბამისი მედიატორების შერჩევის დროს.

I მუხლი განსაკუთრებულად გამოყოფს პროფესიონალი მედიატორის მთავარ კომპეტენციებს – ნეიტრალურობას, დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას,[1] რომლებსაც ეფუძნება მედიაციის პროცესი.[2] ეს ფუნდამენტური ასპექტი გადამწყვეტია მოდავე მხარეთა შორის ნდობის გასაძლიერებლად და ღია კომუნიკაციისა და მოლაპარაკებებისთვის ხელსაყრელი გარემოს ჩამოსაყალიბებლად.[3]

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისია (შემდგომში – გაეროს კომისია) კანონში საერთაშორისო კომერციული მედიაციის შესახებ (შემდგომში – UNCITRAL),[4] ცალსახად აღნიშნავს, რომ მედიატორის მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა გადამწყვეტია დავების სამართლიანი

---

1 გერმანულ ტერმინოლოგიაში ნეიტრალურობის ნაცვლად დამკვიდრებულია ტერმინი ყოველმხრივობა (Allparteilichkeit), რაც ყოველი მხარის მიმართ მედიატორის კეთილგანწყობას და ყოველი მხარის თანაბრად გულშემატკივრობას უსვამს ხაზს. იხ. მაგალითად: Christine Susanne Rabe & Martin Wode: Grundprinzipien der Mediation (მედიაციის ძირითადი პრინციპები), 2020 Springer Verlag.

2 *Moore Ch. W.*, The Mediation Process: Practical Strategies for Resolving Conflict, New Jersey, Jossey-Bass, 2014.

3 *Moffitt M. L., Bordone R. C.,* The Handbook of Dispute Resolution, New Jersey, Jossey-Bass, 2005.

4 United Nations Commission on International Trade Law (UNCITRAL) Model Law on International Commercial Mediation, 2002.

მოგვარებისთვის. ანალოგიურად, ევროპული კავშირის დირექტივა სამოქალაქო და კომერციულ საკითხებში მედიაციის გარკვეული ასპექტების შესახებ (შემდგომში – ევროდირექტივა)[5] ხაზს უსვამს აუცილებლობას, რომ შერჩეული მედიატორი უნდა იყოს მიუკერძოებელი, რათა ეჭვქვეშ არ დადგეს პროცესის შედეგი და ზოგადად მედიაციისადმი სანდოობა.

საერთაშორისო სავაჭრო პალატისა[6] (შემდგომში – ICC) და ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის[7] (შემდგომში – ABA) მიერ შემუშავებული სხვადასხვა გაიდლაინები, ასევე მიუთითებს მედიატორის მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის მნიშვნელობაზე. მაგალითად, მედიატორთა ქცევის ABA მოდელი ეფუძნება მედიატორების მიუკერძოებლობისა და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების განუხრელ მნიშვნელობას, რათა დაცული იყოს მედიაციის პროცესის მთლიანობა.[8] ანალოგიურად, ICC მედიაციის წესები მიუთითებს მედიატორთა მიუკერძოებლად და დამოუკიდებლად მოქმედების აუცილებლობას, რათა შეიქმნას სათანადო პირობები დავის სამართლიანი და ეფექტური გადაწყვეტისთვის.[9]

მწვანე წიგნის დავების ალტერნატიული გადაწყვეტის შესახებ სამოქალაქო და კომერციულ სამართალში (შემდგომში – მწვანე წიგნი) მიხედვით, მედიატორის მიუკერძოებლობის შენარჩუნება გადამწყვეტია არა მხოლოდ მხარეებს შორის ნდობის ჩამოსაყალიბებლად, არამედ ნებისმიერი შეთანხმების აღსრულებისა და დროში გამძლეობის უზრუნველსაყოფად.[10]

დოქტრინაც ასევე მხარს უჭერს მედიატორის მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის იმპერატივს მედიაციის პრაქტიკაში.

---

5 European Union Directive on Certain Aspects of Mediation in Civil and Commercial Matters (2008/52/EC).

6 International Chamber of Commerce (ICC).

7 American Bar Association (ABA).

8 American Bar Association (ABA), Model Standards of Conduct for Mediators, 2005.

9 International Chamber of Commerce (ICC), Mediation Rules.

10 Green Paper on Alternative Dispute Resolution in Civil and Commercial Law, 2002.

კვლევებმა აჩვენა, რომ მედიატორის მიკერძოებულობამ ან მიუკერძოებლობის ნაკლებობამ, შესაძლოა მნიშვნელოვნად შეარყიოს მხარეთა ნდობა მედიაციის პროცესის მიმართ და შეაფერხოს ორმხრივად მისაღები შედეგების მიღწევის ალბათობა.[11]

II მუხლი ასახავს მედიატორის შერჩევის საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს, წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს საქართველოში მედიაციის პროცესის ხარისხისა და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად და ამავდროულად, მის ჰარმონიზაციას საერთაშორისო სამართლის წყაროებსა და სტანდარტებთან. კონკრეტული კვალიფიკაციების გამოკვეთით, კანონი აღიარებს მედიაციის მრავალმხრივ ბუნებას და მედიატორებისთვის საჭირო მრავალფეროვან უნარებს, რათა ხელი შეუწყოს დავის ხარისხიან და კონსტრუქციულ გადაწყვეტას და ამავდროულად, ბიძგი მისცეს საქართველოს და ქართველ მედიატორებს, ჩაერთონ ტრანსასაზღვრო მედიაციურ პროცესებში. II მუხლი ხაზს უსვამს მედიატორის კვალიფიკაციის მნიშვნელობას დავების გადაწყვეტის სამართლიანი და ეფექტური მექანიზმების ხელშეწყობაში. მედიატორის კვალიფიკაცია და უნარები გადამწყვეტ როლს ასრულებს მედიაციის პროცესის წარმატებაში. კონფლიქტების ეფექტურად მართვა, კომუნიკაციის ხელშეწყობა და კონსტრუქციული მოლაპარაკებები მოითხოვს ცოდნასა და გამოცდილებას.[12] კანონში ასახული კრიტერიუმები, როგორიცაა მედიაციის პროცესების წარმართვის გამოცდილება, სასამართლო პროცესებში მონაწილეობა, აკრედიტაცია აღიარებული მედიაციის ორგანიზაციების მიერ, შეესაბამება ცოდნისა და გამოცდილების მნიშვნელობის ძიების პრინციპებს მედიაციაში.

II მუხლის მიზანია, ამავდროულად, საქართველოში მედიაციის პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტებთან და საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანა. სამართლის სხვადასხვა წყაროები, მათ შორის, UNCITRAL და ევროდირექტივა მიუთითებს, რომ მე-

---

11 *Moffitt M. L., Bordone R. C.,* The Handbook of Dispute Resolution, New Jersey, Jossey-Bass, 2005.

12 *Cloke K., Winer R.,* The end of management and the rise of organizational democracy. New Jersey, Jossey-Bass. 2018.

დიატორის კომპეტენცია და ეფექტურობა ერთ-ერთი მთავარი კომ-პონენტია დავების გადაწყვეტის პროცესის დანერგვის ხელშეწყო-ბაში.

მედიატორის შერჩევის საკვალიფიკაციო კრიტერიუმების კა-ნონში ჩართვა არის საქართველოში მედიაციის პროცესების ხარის-ხისა და ეფექტიანობის ამაღლების პროაქტიული მიდგომა. სამარ-თლის საერთაშორისო წყაროების გათვალისწინებით, კანონი ცდი-ლობს უზრუნველყოს, რომ მედიაციის პრაქტიკა ქვეყანაში შეესაბა-მებოდეს საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს და საუკეთე-სო პრაქტიკას, რაც საბოლოოდ გააუმჯობესებს მართლმსაჯულე-ბაზე ხელმისაწვდომობას და ხელს შეუწყობს დავების სამართლიან და ეფექტურ გადაწყვეტას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ტრანსსა-საზღვრო დავების კონტექსტში.

II. მუხლში განმტკიცებული ცალკეული ინსტიტუტები

ზემოთ საკმაოდ ვრცლად აღინიშნა მუხლში განსაკუთრებულად ხაზგასმული და მედიაციისთვის არსებითი ინსტიტუტისა და პრინ-ციპის – მედიატორის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შესახებ. დამატებით მხოლოდ შეიძლება ითქვას, რომ მუხლში ჩა-მოთვლილი ყველა კრიტერიუმი მიმართულია მედიატორისთვის ყველაზე მთავარი პრინციპის, კერძოდ მისი მიუკერძოებლობის და დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად. დაბოლოს, მედიატორის მიუკერძოებლობის გამოვლინებაა, რომ მას საქმის მიმართ არ უნდა ამოძრავებდეს არანაირი ინტერესი,[13] თვით მხარეთა შეთანხმების ინტერესიც კი, ვინაიდან ამ შემთხვევაში არსებობს საფრთხე, რომ მან სწორედ ამ ინტერესიდან გამომდინარე იმოქმედოს და ზეგავ-ლენა მოახდინოს მხარეებზე, რითიც ასევე კარგავს მიუკერძოებ-ლობას პროცესში.

[13] აღნიშნული განმტკიცებულია ასევე სსსკ-ის 31 I „დ“ მუხლით.

III. სამართლებრივი შედეგები და ნორმის მნიშვნელობა საპროცესო სამართალში

აღსანიშნავია, რომ კანონი მედიაციის შესახებ არ ითვალისწინებს და აწესრიგებს მედიატორის აცილებას არც მატერიალური (საფუძვლები) და არც პროცესუალური კუთხით. არამედ აღნიშნული საკითხი სრულად ექცევა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის რეგულირების სფეროში, როცა სსსკ-ის 187[4]-ე მუხლი მედიატორის აცილებასთან დაკავშირებით მიუთითებს იმავე კოდექსის 31 I მუხლზე. 31 I მუხლი კი თავის მხრივ, აცილების საფუძვლებად ასახელებს ისეთ კატეგორიებს, რომლებიც მედიატორის მიუკერძოებლობას და დამოუკიდებლობას შეიძლება აყენებდეს კითხვის ნიშნის ქვეშ. ამრიგად, მედიაციის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით განმტკიცებული სტანდარტი წარმოადგენს მედიაციის, როგორც სამოქალაქო პროცესის, სტრუქტურული ნაწილის ფუნდამენტს, რის გარეშეც ვერ განხორციელდება ეფექტური მართლმსაჯულების მიზანი.

ირაკლი ადეიშვილი / სოფიო დუღაშვილი / სოფიო ტყემალაძე

მუხლი 6. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება და მედიატორის საქმიანობის შეზღუდვა

I. ზოგადი დებულებები 113
1. მიზანი და საგანი 113
2. ნორმის კავშირი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან 113
II. პრაქტიკული მნიშვნელობა 114
III. გამოყენების წინაპირობები 114
1. მედიატორის მიერ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება (6 I) 114
2. მედიატორის უფლებამოსილების შეზღუდვა მხარეთა თანხმობის არსებობის მიუხედავად (6 II) 117
3. აკრძალვა მედიატორისათვის მედიატორის სახით მონაწილეობა მიიღოს სამედიაციო საქმისწარმოებაში (6 III) 122
4. სხვა პროფესიული როლის აკრძალვა მედიატორის სახით სამედიაციო საქმის წარმოებაში მონაწილე პირისთვის (6 IV) 123
IV. სამართლებრივი შედეგები და ნორმის მნიშვნელობა საპროცესო სამართალში 126

1. მედიატორი ვალდებულია მედიაციის დაწყებამდე ან/და მედიაციის დაწყების შემდეგ, მისი მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე იმ გარემოების გამოვლენისთანავე, რომელმაც შეიძლება საეჭვო გახადოს მისი დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, შეატყობინოს მხარეებს აღნიშნული გარემოების შესახებ. ასეთი გარემოების არსებობის მიუხედავად, პირი შეიძლება იყოს მედიატორი, თუ მხარეები ამაზე წერილობით თანხმობას განაცხადებენ. მედიატორს უფლება აქვს, ამ პუნქტით გათვალისწინე-

ბული საფუძვლით უარი თქვას მედიაციის წარმართვაზე, მის მედიატორობაზე მხარეთა წერილობითი თანხმობის არსებობის მიუხედავად.რ

2. მხარეთა თანხმობის არსებობის მიუხედავად, პირს უფლება არ აქვს, იყოს მედიატორი საქმეზე, თუ იგი მედიაციის პროცესის დაწყებამდე იყო იმავე საქმის ან მასთან არსებითად დაკავშირებული სხვა საქმის მხარე ან ამ მხარის წარმომადგენელი სასამართლოში, არბიტრაჟში ან მსგავს პროცესში, ან თუ მან სხვა სახის იურიდიული ან/და აუდიტორული მომსახურება გაუწია მედიაციის მხარეს. მედიატორს უფლება არ აქვს, საქმის დასრულების შემდეგ იმოქმედოს რომელიმე მხარის ინტერესების დასაცავად იმავე საქმეზე ან მასთან არსებითად დაკავშირებულ სხვა საქმეზე. ეს წესი არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც მედიატორი იხილავდა იმავე საქმეს ან მასთან არსებითად დაკავშირებულ სხვა საქმეს, როგორც არბიტრი, და მხარეები უშუალოდ სამედიაციო სადავო საკითხის წარმოშობის შემდეგ წერილობით შეთანხმდნენ ამ პირის ამავე დავის საქმეზე მედიატორად არჩევაზე.

3. პირს უფლება არ აქვს, იყოს მედიატორი, თუ იგი იყო/არის იმავე საქმის ან მასთან არსებითად დაკავშირებული სხვა საქმის მოსამართლე, ნაფიცი მსაჯული, პროკურორი, გამომძიებელი, სასამართლო სხდომის მდივანი, არბიტრი ან ექსპერტი სასამართლოში, არბიტრაჟში ან მსგავს პროცესში, ან მონაწილეობდა აღნიშნულ საქმეში, როგორც სახელმწიფო მოსამსახურე, მედიატორი ნოტარიუსი ანდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით ან საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“ გათვალისწინებული მედიატორი. ეს წესი არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც მედიატორი იხილავდა იმავე საქმეს ან მასთან არსებითად დაკავშირებულ სხვა საქმეს, როგორც არბიტრი, და მხარეები უშუალოდ სამედიაციო სადავო საკითხის წარმოშობის შემდეგ წერილობით შეთანხმდნენ ამ პირის ამავე დავის საქმეზე მედიატორად არჩევაზე.

4. პირს უფლება არ აქვს, იყოს საქმის მოსამართლე, ნაფიცი მსაჯული, პროკურორი, გამომძიებელი, სასამართლო სხდომის

მდივანი, არბიტრი ან ექსპერტი სასამართლოში, არბიტრაჟში ან მსგავს პროცესში, ან მონაწილეობა მიიღოს საქმეში, როგორც სახელმწიფო მოსამსახურემ, მედიატორმა ნოტარიუსმა ანდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით ან საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი" გათვალისწინებულმა მედიატორმა, თუ იგი იმავე საქმეზე ან მასთან არსებითად დაკავშირებულ სხვა საქმეზე იყო მედიატორი. ეს წესი არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც არბიტრად ასარჩევი / დასანიშნი პირი იმავე საქმეზე ან მასთან არსებითად დაკავშირებულ სხვა საქმეზე იყო მედიატორი და მხარეები არბიტრაჟში დავის დაწყების შემდეგ წერილობით შეთანხმდნენ ამ პირის არბიტრად არჩევაზე / დანიშვნაზე.

I. ზოგადი დებულებები

1. მიზანი და საგანი

ნორმის მიზანია განსაზღვროს მე-3 მუხლში გადმოცემული მედიატორის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების პრაქტიკული უზრუნველყოფისა და განხორციელების გზები და პროცედურა.

2. ნორმის კავშირი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან

ზოგადად ინფორმაციის გამჟღავნება და აცილება მნიშვნელოვანი და კარგად დამკვიდრებული სამართლებრივი ინსტიტუტებია, რომლებიც ხელს უწყობენ შესაბამის პროფესიათა წარმომადგნლების მიერ თავიანთი უფლებებისა და მოვალეობების სრულყოფილად განხორციელებას. მსგავს დებულებებს მოიცავენ:

ა) „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის" 31-ე – 35-ე მუხლები და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187^4 მუხლი;

ბ) „არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 – მე-13 მუხლები;

გ) „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლი.

II. პრაქტიკული მნიშვნელობა

მე-6 მუხლს არსებითი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ მედიაციის დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად წარმართვის, არამედ მედიაციის პროცესის მხარეთა და მესამე პირთა მიერ ამგვარად აღქმისთვისაც.

III. გამოყენების წინაპირობები

1. მედიატორის მიერ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება (6 I)

მოცემული ნორმა კანონის მე-3 მუხლში განმტკიცებული მედიატორის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპის ერთგვარი (თუმცა მაინც ნაწილობრივი) დაკონკრეტებაა. მედიატორის მიუკერძოებლობის დამატებით მოწესრიგებას ითვალისწინებს აგრეთვე „მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსი". ნორმა გარკვეულ ვალდებულებას უდგენს მედიატორს და ამასთან, ვინაიდან არ განსაზღვრავს ეს ვალდებულება კერძო თუ სასამართლო მედიაციის წარმოებაზე ვრცელდება, იგულისხმება, რომ ორივე სახის მედიაციას უნდა მოიცავდეს.

ამ ვალდებულებით მედიატორმა ან ა) მედიციის დაწყებამდე; ან ბ) მედიაციის დაწყების შემდეგ და მისი მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე (მაგალითად, მესამე სესიის ჩატარებისას) უნდა აცნობოს მხარეებს იმ გარემოების გამოვლენის შესახებ (მაგრამ გამოვლენისთანავე) რომელმაც შეიძლება სადავო გახადოს მისი დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა.

საგულისხმოა, რომ ამ ნორმაში მოყვანილი ტერმინი „იმ გარემოების გამოვლენისთანავე" ნიშნავს რაიმე ისეთი (ახალი) გარემოების გამოვლენას, რაც მედიატორის მიერ მხარეებთან კომუნიკაციის დაწყების შემდეგ, უფრო კონკრეტულად კი მედიატორის მიერ დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შესახებ მხარეებისათვის ზეპირად გაკეთებული განმარტებისა და მხარეების მიერ მის აცილებაზე უარის თქმის შემდეგ გამოვლინდა.

პრაქტიკაში ასეთი გარემოება შეიძლება იყოს მაგალითად, ის, რომ მედიატორმა თავისი პროფესიიდან გამომდინარე ისეთი საქმიანობა დაიწყო, რაც კავშირშია მის მიერ წარმოებულ მედიაციასთან / მედიაციის მხარეებთან ან რაიმე სახის ისეთი პირადი ურთიერთობები წარმოეშვა მხარეებთან, რასაც მანამდე ადგილი არ ჰქონია. თუ გავითვალისწინებთ, რომ კერძო მედიაციისათვის კანონით განსაზღვრული ვადა, რომლის განმავლობაშიც ხანდაზმულობის ვადა შეჩერებულია, არის 2 წელი, ადვილად შესაძლებელია ამ მუხლით განსაზღვრული გარემოება ნამდვილად დადგეს.

საგულისხმოა, რომ „მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსი“ გარკვეულწილად აკონკრეტებს იმ გარემოებათა ნუსხას, რომელიც გამჟღავნებული უნდა იყოს მედიატორის მიერ.[1] ცხადია, ეს ჩამონათვალი ამომწურავი არ არის და მიჩნეულ უნდა იქნეს ერთგვარი სახელმძღვანელო მიმართულების ჩამონათვალად.

მას შემდეგ, რაც მედიატორი ასეთი გარემოების შესახებ მხარეებს შეატყობინებს, უკვე თითოეული მხარის გადასაწყვეტია, გააგრძელებენ ამ კონკრეტული მედიატორთან ერთად მოცემულ საქმეზე მუშაობას, თუ აირჩევენ სხვა მედიატორს.

მხარეთა ნების ავტონომიის,[2] როგორც სამოქალაქო სამართლის ფუნდამენტური პრინციპის, გამოვლინებას წარმოადგენს დე-

---

1 მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 2.3 მუხლით „მედიატორი ვალდებულია მედიაციის დაწყებამდე ან მედიაციის დაწყების შემდეგ, მისი მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე იმ გარემოების გამოვლენისთანავე, რომელმაც შეიძლება საეჭვო გახადოს მისი დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, შეატყობინოს მხარეებს აღნიშნული გარემოების შესახებ. მათ შორის აღნიშნული შეტყობინების ვალდებულება არსებობს თუ: ა) მას აქვს პირადი ან ბიზნესურთიერთობა მხარესთან (მხარეებთან); ბ) მას აქვს პირადი, ქონებრივი ან სხვა - პირდაპირი თუ არაპირდაპირი - ინტერესი მედიაციის შედეგთან; გ) იგი ან მისი ბიზნესპარტნიორი მოქმედებდა რომელიმე მხარის ინტერესით (მედიატორობის გარდა); დ) იგი ფლობს კონფიდენციალურ ინფორმაციას რომელიმე მხარესა ან დავის საგანთან დაკავშირებით, გარდა იმ ინფორმაციისა, რომელიც მედიაციის პროცესის მიზნებისთვის მას რომელიმე მხარემ გაანდო“.

2 უფრო დეტალურად იხ. *ჯანტურია ლ.*, სამოქალაქო კოდექის კომენტარი, წიგნი მესამე, თბ., სამართალი, 2001, 56-66; *გელაშვილი ი.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბ., 2019, 54-66.

ბულება იმის შესახებ, რომ მხარეებს უფლება აქვთ ბოლომდე ენდონ მათ მიერ არჩეულ მედიატორს და მისცენ მას საშუალება დაასრულოს წარმართული მედიაცია, მაგრამ კანონი ამისთვის სავალდებულო პირობად ყველა მხარის წერილობითი თანხმობას ადგენს. ასეთი თანხმობა გამართლებულად უნდა ჩაითვალოს, რათა შემდეგ თავიდან იქნეს აცილებული მხარეთა პრეტენზიები მედიატორის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით.

საგულისხმოა, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა ნების ავტონომიის პრინციპი აბსოლუტური ხასიათის არაა და ამავე პუნქტის ბოლო წინადადება ითვალისწინებს მისი დაძლევის ისეთ საშუალებას, როგორიცაა უშუალოდ მედიატორის მიერ მედიაციის გაგრძელების შეუძლებლობის ნების გამოხატვა. ამგვარად, თუნდაც მხარეებმა შექმნან წერილობითი დოკუმენტი მედიატორის აცილების საფუძვლების არსებობის მიუხედავად ამ მედიატორის მიერ მედიციის გაგრძელებაზე თანხმობის შესახებ, თუ მედიატორი თავად მიიჩნევს, რომ შინაგანად იგი შეიძლება ვერ იყოს იმდენად მიუკერძოებელი, როგორც ამას კანონის მე-3 მუხლი ადგენს, ასეთ მედიატორს შეუძლია უარი თქვას მედიციის წარმართვაზე. ცხადია, რომ მედიატორის მიერ კანონით მინიჭებული ამ უფლებით სარგებლობა კანონის ან/და „მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ დარღვევად ვერ განიხილება. მედიატორის უარის პრიმატი მხარეთა მიერ გამოხატულ ნებაზე აიხსნება კანონმდებლის სურვილით, მხარეებმა მიიღონ ისეთი სამედიაციო პროცესი, რომელიც დაცლილი იქნება მედიატორის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებული ყოველგვარი კითხვის ნიშნისაგან.

ნორმა ადგენს მედიაციის ფუნდამენტურ პრინციპებს, რომელიც მედიატორის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაში გამოიხატება. მედიატორები ვალდებული არიან გაამჟღავნონ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მედიაციის პროცესის დაწყებამდე, ან პროცესის მიმდინარეობის დროს. ამ ინფორმაციის გამჟღავნებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მედიაციის პროცესში მონაწილე მხარეების ნდობის შესანარჩუნებლად. ნორმის ეს დანაწესი დამატებით უფლებამოსილებას

ანიჭებს მხარეებს გადაწყვიტონ გააგრძელონ, თუ არა მედიატორთან ურთიერთობა ასეთი ინფორმაციის გამჟღავნების შემდეგ და მედიატორებს ანიჭებს უფლებას, კონკრეტულ გარემოებებში უარი განაცხადონ პროცესში მონაწილეობაზე.

2. მედიატორის უფლებამოსილების შეზღუდვა მხარეთა თანხმობის არსებობის მიუხედავად (6 II)

განსხვავებით ზემოთ განხილული პუნქტისა, როდესაც შესაძლებელი იყო მხარეთა ნების ავტონომიის გამოხატულების პირობებში მედიატორს გაეგრძელებინა დაწყებული სამედიაციო პროცესი, ამავე მუხლის მე-2 მუხლი იმპერატიულად გამორიცხავს ასეთ შესაძლებლობას. ცხადია, ასეთ გამორიცხვას მკაცრი კანონისმიერი საფუძვლები გააჩნია, რათა არ მოხდეს ამ უფლებით არაკეთილსინდისიერად სარგებლობა. ამდენად, თუ დადგინდა მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული გარემოებებიდან რომელიმეს არსებობა, მედიატორს ერთმევა უფლება განახორციელოს სამედიაციო უფლებამოსილება. კანონისმიერი დანაწესით ასეთი გარემოებებია:

ა) თუ იგი მედიაციის პროცესის დაწყებამდე იყო იმავე საქმის მხარე;

ბ) თუ იგი მედიაციის პროცესის დაწყებამდე იყო იმავე საქმის მხარის წარმომადგენელი სასამართლოში, არბიტრაჟში ან მსგავს პროცესში;

გ) თუ იგი მედიაციის პროცესის დაწყებამდე იყო ამ საქმესთან არსებითად დაკავშირებული სხვა საქმის მხარე;

დ) თუ იგი მედიაციის პროცესის დაწყებამდე იყო ამ საქმესთან არსებითად დაკავშირებული სხვა საქმეზე მხარე მხარის წარმომადგენელი სასამართლოში, არბიტრაჟში ან მსგავს პროცესში;

ე) თუ მედიაციის პროცესის დაწყებამდე მან სხვა სახის იურიდიული ან/და აუდიტორული მომსახურება გაუწია მედიაციის მხარეს;

ასეთი აკრძალვის მიზანია, მედიატორმა არ მიიღოს მონაწილეობა ისეთ სამედიაციო პროცესში, სადაც მას სამედიაციო საქმის შე-

სახებ ინფორმაცია მიღებული აქვს სხვა წყაროდან და გარკვეული, წინასწარ ჩამოყალიბებული მოსაზრება შეიძლება გააჩნდეს ამ საქმის ირგვლივ მის მიერ განხორციელებული სხვა პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე.

მედიაციის დაწყებამდე განხორციელებული რაიმე სხვა მომსახურება (გარდა კანონით პირდაპირ აკრძალული იურიდიული ან/და აუდიტორული საქმიანობისა) შეიძლება თუ არა ჩაითვალოს ისეთ მომსახურებობად, რომელიც უკრძალავს მედიატორს მედიაციის პროცესში მონაწილეობას? ამ კითხვაზე უარყოფითი პასუხი უნდა იქნეს გაცემული, ვინაიდან კანონმდებელმა დაზუსტებით მოიხსენია, რა მხოლოდ ორი პროფესიული საქმიანობა – იურიდიული და აუდიტორული – ამით არაპირდაპირ მიუთითა, რომ სხვა საქმიანობის აკრძალვის სურვილი არ გააჩნდა, წინააღმდეგ შემთხვევაში მოახერხებდა კიდეც ასეთის განხორციელებას *(argumentum e contracio[3]).*

ნორმის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადება განსაზღვრავს კიდევ ერთ აკრძალვას მედიატორებისათვის, მაგრამ განსხვავებით ზემოთ განხილული აკრძალვებისა მიიღონ მონაწილეობა სამედიაციო პროცესში, მე-2 წინადადება მათ უკრძალავთ მედიაციის დასრულების შემდეგ იმოქმედონ მედიაციის რომელიმე მხარის ინტერესების დასაცავად ა) იმავე საქმეზე ან ბ) ამ საქმესთან არსებითად დაკავშირებულ სხვა საქმეზე.

ამ დებულების არსიც მიუკერძოებლობის პრინციპის სრულყოფილი განხორციელებისათვის ხელის შეწყობაა. მედიატორი, რომელიც მედიაციის დასრულების შემდეგ ერთ-ერთი მხარის ადვოკატის როლში გამოცხადდება სასამართლოში ან მოლაპარაკებებზე, ვერ იქნება აღქმული მიუკერძოებლად მეორე მხარის მიერ, ასეთი მედიატორის მიერ სულ ახლახანს დასრულებული სამედიაციო პროცესის განმავლობაში. ამასთან, მედიატორის მიერ მედიაციის დასრულების შემდგომ მხარის ინტერესების დამცველის როლში მოვლინება ასევე საფრთხის ქვეშ აყენებს კონფიდენციალურობის პრინცი-

[3] დეტალურად იხ. *ჰენშელი, სანდრა.*, სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა, „სიესტა“, 2009, გვ 72.

პით დაცულ ინტერესს, ვინაიდან ასეთ მოცემულობაში მხარის წარმომადგენელს, რომელიც მანამდე მედიატორი იყო, ბუნებრივად შეიძლება ჰქონდეს ის პრივილეგირებული ინფორმაცია, რომელიც მას მეორე მხარემ გაუმჟღავნა მედიაციის პროცესის განმავლობაში.

„მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსიც“ განსაზღვრავს ასეთი საქმიანობის შეზღუდვას,[4] რაც იმას ნიშნავს, რომ ასეთი ქმედება შეიძლება დისციპლინური საქმის წარმოების დაწყების საფუძველი გახდეს.

ზემოაღნიშნულ ორ ამკრძალველ დებულებასთან ერთად, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი თავის მე-3 წინადადებაში უშვებს ერთ გამონაკლისს, როდესაც შესაძლებელია ერთ-ერთი კონკრეტული პროფესიული საქმიანობის განმახორციელებელმა პირმა ამის მიუხედავად, განახორციელოს მედიტორის უფლებები და მოვალეობები იმავე საქმეზე ან ამ საქმესთან არსებითად დაკავშირებულ საქმეზე, სადაც იგი ასეთ სხვა პროფესიულ საქმიანობას ახორციელებდა. ასეთი პროფესიული საქმიანობა კანონის მიხედვით ამომწურავადაა განსაზღვრული და ესაა არბიტრობა ანუ პირი რომელიც „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ არბიტრად მონაწილეობდა მხარეთა შორის დავის განხილვაში. ამასთან, აქაც როგორც მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შემთხვევაში, უნდა შესრულდეს ორი პირობა, რათა არბიტრმა შეძლოს მედიატორის მოვალეობების შესრულება: ა) არბიტრის სახით ამავე ან მასთან არსებითად დაკავშირებული საქმის განხილვაში მონაწილეობა და ბ) მხარეთა შორის სამედიაციო სადავო საკითხის წარმოშობის შემდეგ წერილობითი შეთანხმება ამ პირის ამავე დავის საქმეზე მედიატორად არჩევის შესახებ. აღსანიშნავია, რომ საქართველოს არბიტრთა ასო-

[4] მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 2.7 მუხლით „მედიატორმა თავი უნდა შეიკავოს ისეთი ქცევისა ან პირადი თუ პროფესიული ურთიერთობისაგან, რომელიც შექმნის მიკერძოებულობის შთაბეჭდილებას, როგორც მედიაციის მიმდინარეობისას, ისე მისი დასრულების შემდეგ გონივრული ვადით. აღნიშნული ქცევის ან ურთიერთობის შეფასებისას მხედველობაში მიიღება დავის არსი, მედიაციის შემდეგ გასული დრო, ჩამოყალიბებული ურთიერთობის ხასიათი და სხვ“.

ციაციის არბიტრთა ეთიკის კოდექსი დამატებით არეგულირებს ამ საკითხს. კერძოდ, კოდექსის IV პრინციპის მე-4 პუნქტის თანახმად, არბიტრი `არ უნდა იყოს მედიატორი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეთავაზებულ დავის გადაწყვეტის მექანიზმთან დაკავშირებული ყველა რისკის სრულად გაცნობის შემდეგ ყველა მხარე თანხმდება წერილობით ამის შესახებ. მაშასადამე, არბიტრთა ეთიკის კოდექსიც ითხოვს მხარეთა წერილობით თანხმობას, და ამავე დროს დამატებით ავალდებულებს არბიტრს, რომ მხარეები დააფიქროს (გააცნოს მათ) იმ რისკებზე, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს მისი მედიატორის როლში ჩართვასთან. რა რისკები შეიძლება იყოს ეს? ეს შეიძლება იყოს მედიაციის პროცესის ის თავისებურება, რომ ამ ფორმატში დასაშვებია კერძო შეხვედრები მხარეებსა და მედიატორს შორის, რაც საფრთხის ქვეშ დააყენებს არბიტრის როლს, თუკი მედიაცია შეთანხმებით ვერ დასრულდება და დღის წესრიგში დადგება კვლავ არბიტრაჟში დაბრუნება იგივე არბიტრის მონაწილეობით. არბიტრს ეკრძალება მხარეებთან განცალკევებული (ე.წ. *ex parte*) კომუნიკაცია და მედიაციის პროცესში ასეთი კომუნიკაციის არსებობის ფონზე შესაძლოა ეჭვქვეშ დადგეს როგორც პროცესის მართებულობა ისე მისი, როგორც არბიტრის მიუკერძოებლობა. გასათვალისწინებელია ის რისკიც, რომ თავისი არსით, იმისათვის რომ წარმატების მეტი შანსი ჰქონდეს მედიაციას, ეს უნდა იყოს მხარეებისთვის უსაფრთხო პროცესი, სადაც მხარეები თავისუფლად გაუზიარებენ მედიატორს ინფორმაციას იმის შესახებ თუ რა მოხდა და რა არის მათთვის მნიშვნელოვანი. თუკი მხარეებს ეცოდინებათ, რომ მედიატორი, მედიაციის შეთანხმების გარეშე დასრულების შემთხვევაში, კვლავ არბიტრის (ე.ი. განმსჯელის) როლში გადაინაცვლებს, ამან შესაძლოა (ქვეცნობიერად, მათი გამოხატული წერილობითი თანხმობის მიუხედავად) დააბრკოლოს მათი ნდობა და გახსნილი კომუნიკაცია მედიატორთან. ამდენად, ორი როლის შეთავსება, რასაც ხშირად ორმაგი ქუდის ტარებას უწოდებენ პრაქტიკაში, დელიკატური საკითხია, რასაც თან ახლავს პრაქტიკული და სამართლებრივი რისკ-ფაქტორები, რის შესახებაც მედიატორი-/არბიტრი და მხარეები უნდა იყვნენ ინფორმირებული.

კონფლიქტის პრევენციისა და გადაწყვეტის საერთაშორისო ინსტიტუტის (CPR)-ის 2023 წლის ყოველწლიურ შეხვედრაზე, სადაც განიხილეს შერეული დავის გადაწყვეტის პროცესები და ამასთან დაკავშირებული ეთიკური საკითხები, რამდენიმე რეკომენდაცია გამოიკვეთა, რაც სასარგებლო შეიძლება იყოს მედიატორების, არბიტრების და მხარეების მიერ პრაქტიკაში გასათვალისწინებლად. კერძოდ, დისკუსიის მონაწილეები შეჯერდნენ, რომ მედიატორის და არბიტრის როლის ერთი პირის მიერ შეთავსება შესაძლებელია შემდეგი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, თუ:

1) როლის შეცვლის მოთხოვნა მომდინარეობს მხარეებისგან და ერთსულოვანია (ე.ი. როლის შეცვლის ინიციატორი არ არის თავად მედიატორი/არბიტრი);
2) ნეიტრალურ პირს (მედიატორს/არბიტრს) აქვს კომპეტენცია და გამოცდილება შეითავსოს მეორე როლი;
3) როლის ცვლილება დასაშვებია მოქმედი (მედიაციის თუ არბიტრაჟის) წესებით, მედიატორის და არბიტრის მბოჭავი შესაბამისი ეთიკური ნორმებით, და მოქმედი კანონმდებლობითა და სასამართლო პრაქტიკით;
4) ნეიტრალურმა პირმა (მედიატორმა/არბიტრმა) სრულად აუხსნა მხარეებს და მათ წარმომადგენლებს როლის ცვლილების შედეგები და რისკები;
5) მხარეებმა და ნეიტრალურმა პირმა (მედიატორმა/არბიტრმა) განიხილეს პოტენციური პროცედურული ცვლილებები ამ რისკების მინიმიზების მიზნით; და
6) მხარეების მოთხოვნა, მათ მიერ რისკებისა და შედეგების გათვითცნობიერება, და მათი თანხმობა როლის ცვლილებაზე, ისევე როგორც ნებისმიერი ცვლილება პროცედურაში, ასახულია წერილობით.[5]

ნორმა გადამწყვეტ როლს ასრულებს მედიაციის პროცესის მთლიანობის დაცვაში მედიატორის უფლებამოსილების მკაფიო აკრძალვების დაწესებით, უზრუნველყოფს ნეიტრალიტეტისა და მიუ-

[5] Mixing Your Modes: The Pitfalls and Pluses of Med-Arb - International Institute for Conflict Prevention & Resolution, Inc (cpradr.org)

კერძოებლობის ძირითადი პრინციპების რეალიზებას, როგორც მედიაციის პროცესის განმავლობაში, ისე პროცესის შემდეგ. ეს დებულება ასახავს დაბალანსებულ მიდგომას, პოტენციური გამონაკლისების აღიარებით მკაცრ პირობებში, რითაც მხარს უჭერს მედიაციის პროცესის სანდოობასა და ობიექტურობას.

3. აკრძალვა მედიატორისათვის მედიატორის სახით მონაწილეობა მიიღოს სამედიაციო საქმის წარმოებაში (6 III)

თუ მედიატორი მონაწილეობდა იმავე საქმის ან ამ საქმესთან არსებითად დაკავშირებულ სხვა საქმეში გარკვეული პროფესიული საქმიანობის ფარგლებში მას იმპერატიულად ეკრძალება ამ საქმეებში მედიატორად მონაწილეობა.

ასეთი პროფესიულ საქმიანობათა წრეს განეკუთვნება:

- მოსამართლე;
- ნაფიცი მსაჯული;
- პროკურორი;
- გამომძიებელი; სასამართლო სხდომის მდივანი;
- არბიტრი;
- ექსპერტი სასამართლოში, არბიტრაჟში ან მსგავს პროცესში.

თუ მედიატორი მონაწილეობდა გარკვეული პროფესიული საქმიანობის ფარგლებში იმავე საქმეში (მაგრამ არა ამ საქმესთან არსებითად დაკავშირებულ საქმეში) მას იმპერატიულად ეკრძალება ამ საქმეებში მედიატორად მონაწილეობა.

ასეთ პროფესიულ საქმიანობათა წრეს განეკუთვნება:

- სახელმწიფო მოსამსახურე;
- მედიატორი ნოტარიუსი;
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით გათვალისწინებული მედიატორი;
- საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“ გათვალისწინებული მედიატორი.

ამდენად, როგორც ვხედავთ, განსხვავება ამ ორი ჩამონთვალს შორის ისაა, რომ პირველ შემთხვევაში მედიატორს ეკრძალება მონაწილეობა როგორც იმავე ისე, მასთან არსებითად დაკავშირებულ საქმეში, ხოლო მეორე შემთხვევაში – მხოლოდ იმავე საქმეში, მაგრამ არა არსებითად დაკავშირებულ საქმეში.

მსგავსად 6.2 მუხლისა, ამ ზოგადი წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს ის შემთხვევა, როდესაც მედიატორი იხილავდა იმავე საქმეს ან მასთან არსებითად დაკავშირებულ სხვა საქმეს, როგორც არბიტრი, და მხარეები უშუალოდ სამედიაციო სადავო საკითხის წარმოშობის შემდეგ წერილობით შეთანხმდნენ ამ პირის ამავე დავის საქმეზე მედიატორად არჩევაზე.

განხილული მუხლის აღნიშნული პუნქტი ითვალისწინებს იმ ღირებულ წვლილს, რომლის შეტანაც სასამართლო და სამართლებრივი საქმეების გამოცდილების მქონე პირებს შეუძლიათ მედიაციის პროცესში, ასევე განსაზღვრავს დაცვის მექანიზმებს მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის არსებითი პრინციპების შესანარჩუნებლად. კონკრეტული პირობებით აღნიშნული პირების მონაწილეობის დაშვებით, ამ დებულების მიზანია მედიაციის პროცესის გამდიდრება მათი გამოცდილებით, იმ პირობით, რომ გამჭვირვალობას და თანხმობას პრიორიტეტული მნიშვნელობა ექნება ნებისმიერი პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის გადასაწყვეტად. ეს მიდგომა ასახავს კვალიფიკაციისა და გამოცდილების დეტალურ გაგებას, რომელსაც შეუძლია გააძლიეროს მედიაციის პროცესი, დააბალანსოს პროფესიული გამოცდილების უპირატესობები ნეიტრალიტეტისა და სამართლიანობის ფუნდამენტურ მოთხოვნებთან.

4. სხვა პროფესიული როლის აკრძალვა მედიატორის სახით სამედიაციო საქმის წარმოებაში მონაწილე პირისთვის (6 IV)

მოცემული ნორმა მსგავსია ზემოთ განხილული მე-6 მუხლის მე-3 პუნქტისა იმ განსხვავებით, რომ აქ უკვე არა მედიატორს ეკრძალება მედიაციის პროცესის წარმართვა, არამედ სხვა პროფესიათა წარმომადგენლებს არ აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ საქ-

მის განხილვაში თუ ამავე ან მასთან დაკავშირებულ საქმეზე მედიატორის სახით მონაწილეობდნენ. მაგალითად, თუ მედიატორმა წარმართა სამედიაციო პროცესი, ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ ეს მედიატორი დანიშნულ იქნა მოსამართლედ და განსახილველად გადაეცა იგივე ან მასთან არსებითად დაკავშირებული საქმე, იგი ვერ მიიღებს მოსამართლის სახით მონაწილეობას საქმის განხილვაში.

განსხვავება მე-6 მუხლის მე-3 პუნქტისგან ისაა, რომ ჩამოთვლილ პროფესიათა წარმომადგენლებისათვის აკრძალვა ამავე მუხლის მე-4 პუნქტში მოიცავს არა მარტო უშუალოდ იმავე საქმეს, არამედ მასთან არსებითად დაკავშირებულ სხვა საქმესაც, მაშინ როდესაც მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული აკრძალვა ზოგიერთ შემთხვევაში მოიცავს მარტოოდენ უშუალოდ იმავე საქმეს (და არ მასთან არსებითად დაკავშირებულ საქმეს).

მსგავსად მე-6 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებისა, ზოგადი აკრძალვიდან ადგილი აქვს ერთ გამონაკლისს. ასეთი გამონაკლისია ის შემთხვევა, როდესაც არბიტრად ასარჩევი/დასანიშნი პირი იყო მედიატორი იმავე საქმეზე ან მასთან არსებითად დაკავშირებულ სხვა საქმეზე და მხარეები უშუალოდ არბიტრაჟში დავის დაწყების შემდეგ წერილობით შეთანხმდნენ ამ პირის ამავე დავის საქმეზე არბიტრად არჩევაზე/დანიშვნაზე. აღსანიშნავია, რომ საკითხს სხვაგვარად არეგულირებს არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, რომლის მე-11 მუხლის მე-7 პუნქტი არბიტრად დანიშვნის ერთ-ერთ შემზღუდველ მოცემულობად მიიჩნევს შემთხვევას, როდესაც არბიტრობის კანდიდატი „დ) [...] იყო მედიატორი იმავე საქმეზე ან ამ საქმესთან არსებითად დაკავშირებულ სხვა საქმეზე." ეს ორი რეგულირება ჰარმონიაშია იმდენად, რამდენადაც ორივე შემთხვევაში საწყისი დანაწესი არის მედიატორის და არბიტრის როლის ერთი პირის მიერ შეთავსების აკრძალვა. თუმცა, მედიაციის შესახებ კანონი ამ აკრძალვას მხარეთა ნების ავტონომიას უქვემდებარებს და უშვებს გამონაკლისს, როდესაც მხარეები არბიტრაჟში დავის დაწყების შემდეგ წერილობით განაცხადებენ თანხმობას იმავე პირის მედიატორად დანიშვნაზე.

საკითხი იმის შესახებ, რამდენად შესაძლებელი ან მიზანშეწონილია ერთი და იგივე პირის მიერ ორი ფუნქციის (მედიატორობის და არბიტრობის) შეთავსება საერთაშორისო მასშტაბითაც განხილვის საგანია და არაერთგვაროვნად წესრიგდება სხვადასხვა იურისდიქციებში. დილემა და გამოწვევა არის ის, რომ პირს, რომელიც როგორც მედიატორი წარმართავდა სამედიაციო პროცესს, შესაძლოა გაუჭირდეს მიუკერძოებლად და სამართლიანად მოქმედება შემდგომ საარბიტრაჟო წარმოებაში რადგან (ა) მას შესაძლოა წვდომა ჰქონდეს ინფორმაციაზე, რომელიც ერთმა მხარემ გაუზიარა მას კონფიდენციალურად, მეორე მხარის ცოდნის გარეშე, ან (ბ) შესაძლოა მან როგორც მედიატორმა გარკვეული შეფასება გაუზიარა მხარეებს დავის არსთან მიმართებით. ამავე დროს, მხარეებს შესაძლოა ჰქონდეთ თავიანთი მიზეზები, თუ რატომ სურთ ერთი და იმავე პირის შენარჩუნება ორივე როლში. შესაძლოა მათ სურდეთ იმ ხარჯების დაზოგვა, რაც დაკავშირებული იქნებოდა სხვა პირის არბიტრად დანიშვნის შემთხვევაში მის მიერ საქმის არსის გაცნობასთან. ამასთან, მხარეების თანხმობა ამ მოცემულობაზე თავისთავად მეტყველებს, რომ ისინი ანდობენ ამ პიროვნებას დავის გადაწყვეტას.[6] ნებისმიერ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, მხარეებმა და თავად მედიატორმა (რომლის არბიტრად დანიშვნასაც განიხილავენ მხარეები) კარგად გააანალიზონ როგორც მათზე მოქმედი პროფესიული ეთიკის წესები, ისე შესაბამისი მოქმედი კანონმდებლობა (რაც არბიტრაჟის შემთხვევაში შესაძლოა მოიცავდეს რამდენიმე ქვეყნის კანონმდებლობას, მაგალითად არბიტრაჟის ადგილის ქვეყნის, ისევე როგორც პოტენციური ცნობა-აღსრულების ქვეყნების კანონმდებლობები), ისე სასამართლოების მიდგომა ამ საკითხისადმი, რათა საფრთხის ქვეშ არ დააყენონ მათი პროფესიული რეპუტაცია და მათ მიერ ჩატარებული პროცესის შედეგი – საარბიტრაჟო გადაწყვეტილება. ზემოთ მოყვანილი CPR-ის რეკომენდაციები შესაძლოა სასარგებლო სახელმძღვანელო იყოს ასეთ შემთხვევებში.

---

[6] CIArb-ის პროფესიული პრაქტიკის სახელმძღვანელო მედიაციის არბიტრაჟის პროცესში გამოყენებაზე, აბზაცი 8.1. და 8.2.

სხვაგვარად რომ ითქვას მე-6 მუხლის დასკვნითი პუნქტი ასახავს სათანადო ბალანსს შემდგომ ფუნქციებში მედიატორების გამოცდილების გამოყენებასა და ინტერესთა პოტენციური კონფლიქტისგან დაცვას შორის. მკაფიო შეზღუდვების დაწესებით სპეციალურად შემუშავებული გამონაკლისებით, ამ დებულების მიზანია მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის პრინციპების დაცვა, რომლებსაც ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს მედიაციისათვის.

IV. სამართლებრივი შედეგები და ნორმის მნიშვნელობა საპროცესო სამართალში

ნორმის მოთხოვნათა დაუცველობა შესაძლოა მიჩნეულ იქნეს მედიატორის მხრიდან „მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ დარღვევად და გამოიწვიოს დისციპლინური დევნის წინაპირობების წარმოქმნა. ხოლო მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის შემთხვევაში, პასუხისმგებლობა განსაზღვრული იქნება შესაბამის პროფესიულ საქმიანობათა მომწესრიგებელი საკანონმდებლო ჩარჩოთი. მაგალითად, თუ მედიატორმა, რომელმაც მოსამართლედ დანიშვნის შემდეგ განახორციელა სამოსამართლო საქმიანობა იმავე ან მასთან დაკავშირებული საქმეზე, რაზეც მან სამედიაციო საქმიანობა განახორციელა, მისი საქმიანობა შეფასებულ იქნება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და საქართველოს სამოსამართლო ეთიკის კოდექსის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

აკაკი გაწერელია / ნათია ჩიტაშვილი / დემეტრე ეგნატაშვილი

მუხლი 7. მედიაციის დაწყება

I. ზოგადი დებულებები 129
II. მედიაციის დაწყების წინაპირობები (7 I) 130
1. მედიაციის თაობაზე შეთანხმება 130
2. მხარეთა თანხმობის გარეშე სასამართლოს გადაწყვეტილება 131
2.1. სასამართლო მედიაციისადმი დაქვემდებარებული დავები 131
2.2. საქმის გარემოებათა წინასწარი შეფასების ფარგლები 132
3. მხარეთა თანხმობის საფუძველზე სასამართლოს გადაწყვეტილება (ცალკეული შემთხვევა) 134
4. მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება 134
4.1. სხვა უფლებამოსილი ორგანო 136
4.2. უფლებამოსილების ფარგლები 136
III. მედიაციის დაწყების განსაზღვრის თავისებურება. მედიაციის დაწყების დამადასტურებელი დოკუმენტი (7 II, III) 137
1. მედიაციის დაწყების მომენტი 137
1.1. მედიატორისათვის მიმართვა (კერძო მედიაცია) 137
1.2. მედიატორისათვის საქმის გადაცემა (სასამართლო მედიაცია) 139
2. მედიაციის დაწყების დამადასტურებელი დოკუმენტი 141
IV. მედიაციის თაობაზე შეთანხმებით სასამართლოს ან არბიტრაჟისადმი მიმართვის უფლების შეზღუდვა (7 IV). 142
1. მედიაციის თაობაზე შეთანხმების ცალკეული პირობები 143
ა) ვადა/ცალკეული გარემოება 143
ბ) მედიატორის შერჩევის წესი 147

გ) შეთანხმება მედიატორის ანაზღაურების წესსა და პირობებზე 148
V. მედიაციაში მონაწილეობაზე უარის თქმის წინაპირობები (7 V) 150

1. მედიაციის დაწყების წინაპირობაა მედიაციის თაობაზე შეთანხმება ანდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლით ან მხარეთა შუამდგომლობით სასამართლოს ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ საქმის მედიატორისათვის გადაცემა.

2. მედიაცია იწყება მხარეთა ან ერთ-ერთი მხარის მიერ მედიატორისათვის მიმართვის საფუძველზე ანდა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში მხარეთა შუამდგომლობით სასამართლოს ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ საქმის მედიატორისათვის გადაცემის შედეგად.

3. მედიაცია დაწყებულად მიიჩნევა ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით მედიატორისათვის მიმართვის ან საქმის მედიატორისათვის გადაცემის მომენტიდან. მხარის მოთხოვნით, მედიატორი გასცემს მედიაციის დაწყების დამადასტურებელ დოკუმენტს.

4. მედიაციის თაობაზე შეთანხმების არსებობისას, რომლითაც მხარეები თანხმდებიან, არ მიმართონ სასამართლოს ან არბიტრაჟს განსაზღვრული ვადის ან გარემოების დადგომამდე, სასამართლო ან არბიტრაჟი არ განიხილავს დავას მედიაციის თაობაზე შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესრულებამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსარჩელე ადასტურებს, რომ სასამართლო ან საარბიტრაჟო განხილვის გარეშე მას გამოუსწორებელი ზიანი მიადგება. მოპასუხემ მედიაციის თაობაზე შეთანხმების შესახებ განცხადება შესაგებლის წარდგენის ვადის გასვლამდე უნდა გააკეთოს. მხარის მიერ სასამართლოსათვის ან არბიტრაჟისათვის მიმართვა არ მიიჩნევა მედიაციის თაობაზე შეთანხმებაზე უარის თქმად ან დაწყებული მედიაციის შეწყვეტად.

5. მხარეს უფლება აქვს, მედიაციის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე უარი თქვას მასში მონაწილეობაზე, თუ კანონით ან მედიაციის თაობაზე შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

I. ზოგადი დებულებები

მედიაციის დაწყების დროის განსაზღვრას, სამართლებრივი თვალსაზრისით, უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან აღნიშნულ გარემოებას უკავშირდება მედიაციის მონაწილეთათვის იურიდიული მნიშვნელობის მქონე შედეგების დადგომა. ამ მიზნით, მედიაციის დაწყებასთან დაკავშირებული საკითხი კანონმდებელმა დამოუკიდებელი მუხლით მოაწესრიგა.

მე-7 მუხლი ამომწურავად ადგენს **მედიაციის** დაწყების **საფუძვლების ჩამონათვალსა** და საამისოდ უფლებამოსილ **ორგანოთა/-პირთა წრეს**. ნორმა ასევე განსაზღვრავს მედიაციის დაწყებისათვის გასათვალისწინებელ **აუცილებელ გარემოებებსა** და მედიაციაში მონაწილეობაზე მხარის მიერ **უარის თქმის** უფლებამოსილებას, მათ შორის მედიაციის თაობაზე შეთანხმების არსებობისას. აღსანიშნავია, რომ დასახელებული ნორმა ითვალისწინებს მედიაციის თაობაზე შეთანხმების დაცვის საკანონმდებლო გარანტიას, როდესაც **სასამართლო ან არბიტრაჟი არ განიხილავს მედიაციისადმი მხარეთა შეთანხმებით დაქვემდებარებულ** საქმეს მედიაციაში მონაწილეობის წინაპირობის დაკმაყოფილებამდე.

ამდენად, ნორმის მიზანია მოაწესრიგოს მედიაციის, როგორც დამოუკიდებელი სამართლებრივი პროცესის, დაწყების სახელშეკრულებო და კანონისმიერი საფუძვლები, მედიაციის თაობაზე შეთანხმების დაცვის, უფლების განხორციელების ხანდაზმულობის ვადის შეჩერების და მედიაციაში ნებაყოფლობითი მონაწილეობის გარანტიები.

II. მედიაციის დაწყების წინაპირობები (7 I)

მედიაცია იწყება **ა) მხარეთა შეთანხმებით,** ან **ბ) სასამართლოს/უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებით.** უფრო კონკრეტულად მედიაციის დაწყების საფუძველი შეიძლება იყოს:

1) მედიაციის თაობაზე **შეთანხმება;**
2) მხარეთა **თანხმობის გარეშე** სასამართლოს **გადაწყვეტილება;**
3) მხარეთა **თანხმობის საფუძველზე** სასამართლოს **გადაწყვეტილება** (ცალკეული შემთხვევა);
4) მხარეთა **შუამდგომლობის საფუძველზე** სასამართლოს ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს **გადაწყვეტილება.**

მედიაციის დაწყების ზემოაღნიშნული საფუძვლები წესრიგდება როგორც „მედიაციის შესახებ" საქართელოს კანონით, ისე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით. ამდენად, საკითხის ანალიზისას შესაბამისი ნორმატიული აქტების დებულებები სისტემურად იქნება მიმოხილული.

1. მედიაციის თაობაზე შეთანხმება

მედიაციის დაწყების ერთ-ერთი სამართლებრივი წინაპირობა მედიაციის თაობაზე შეთანხმებაა, რომლის ძალითაც მხარეები ითვალისწინებენ მედიაციის პროცესის პრიორიტეტული გამოყენების მბოჭავ წესს, დავის გადაწყვეტის სხვა პროცესებისათვის მიმართვამდე. კანონის მე-2 მუხლის „თ" ქვეპუნქტის თანახმად, აღნიშნული შეთანხმება წარმოადგენს ფორმასავალდებულო გარიგებათა კატეგორიას და შედგენილ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით.[1] მედიაციის თაობაზე შეთანხმება მხარეებისთვის აღმოაცენებს კერძო მე-

[1] შეად. ლატვიის ,,მედიაციის შესახებ" კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმად, მედიაციის თაობაზე შეთანხმება შესაძლებელია დაიდოს როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით. წერილობითი ფორმით ჩამოყალიბების შემთხვევაში, ის შეიძლება გაფორმდეს დამოუკიდებელი ხელშეკრულების სახით ან ინტეგრირდეს მხარეთა შორის გაფორმებულ სხვა შინაარსის შეთანხმებაში.

დიაციის გამოყენების ვალდებულებას, რომელიც არ გამორიცხავს სამედიაციო მორიგების უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობას.[2] მედიაციის თაობაზე შეთანხმების შედგენისას გასათვალისწინებელი პირობები განსახილველი ნორმის კომენტარის IV თავში იქნება გაანალიზებული.

2. მხარეთა თანხმობის გარეშე სასამართლოს გადაწყვეტილება

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXI[1] თავი ითვალისწინებს სასამართლოში წარმოებული სამოქალაქო საქმეების მიმართ მედიაციის გამოყენების შესაძლებლობას. კანონის[3] თანახმად, სარჩელის სასამართლოში წარდგენის შემდეგ სასამართლო **მედიაციისადმი დაქვემდებარებული საქმე** შეიძლება დავის მხარეთა შეთანხმების დასრულების მიზნით გადაეცეს მედიატორს. მედიატორისათვის საქმის გადაცემის შესახებ **სასამართლო განჩინება არ ექვემდებარება გასაჩივრებას.** სასამართლო უფლებამოსილია **წინასწარ შეაფასოს საქმის გარემოებები** და **მხარეთა თანხმობის გარეშე, ერთპიროვნულად** მიიღოს საქმის მედიატორისათვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილება.[4]

2.1. სასამართლო მედიაციისადმი დაქვემდებარებული დავები

კანონმდებელი გარკვეულ ჩარჩოებში აქცევს დავის საქმის მედიატორისათვის გადაცემის შესახებ მოსამართლის ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას და ამომწურავად განსაზღვრავს მხარეებთან შეუთანხმებლად, თუ რომელი კატეგორიის დავა შეიძლება დაექვემდებაროს სასამართლო მედიაციას.

სავალდებულო სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებულ საქმეთა კატეგორიის ჩამონათვალი 2019 წლის 18 სექტემბერს სამო-

---

2 მსგავსად, იხ. Belgian Judicial Code, Art. 1725 (3).

3 სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187[1] I მუხლი.

4 სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187[3] I მუხლი.

ქალაქო საპროცესო კოდექსში გატარებული ცვლილების საფუძველზე საგრძნობლად გაფართოვდა[5] და მოიცვა:

- საოჯახო სამართლებრივ დავები, გარდა შვილად აყვანასთან, შვილად აყვანის ბათილად ცნობასთან, შვილად აყვანის გაუქმებასთან, მშობლის უფლების შეზღუდვასთან, მშობლის უფლების ჩამორთმევასთან, აგრეთვე ქალთა მიმართ ძალადობასთან ან/და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული დავებისა;
- სამემკვიდრეო სამართლებრივ დავები
- სამეზობლო სამართლებრივ დავები;
- შრომით სამართლებრივ დავები, გარდა საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“ გათვალისწინებული კოლექტიური დავისა;
- საზიარო უფლების რეალიზაციასთან დაკავშირებულ დავები;
- ქონებრივი დავები, თუ დავის საგნის ღირებულება 20000 ლარს არ აღემატება;
- საქართველოს საბანკო დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების მიერ დადებული სესხის ხელშეკრულებიდან (მათ შორის, ელექტრონული ფორმით დადებული სესხის ხელშეკრულებებიდან) გამომდინარე დავები, თუ დავის საგნის ღირებულება 10000 ლარს არ აღემატება;
- არაქონებრივი დავები.

2.2. საქმის გარემოებათა წინასწარი შეფასების ფარგლები

სასამართლო მედიაციისადმი დაქვემდებარებული საქმეები გარკვეული თავისებურებით გამოირჩევა. აღნიშნულ დავებში მხარეთა ემოციური ურთიერთდამოკიდებულება განსაკუთრებულ გავ-

---

[5] *ყანდაშვილი ი.,* მედიაცია (პრაქტიკული სახელმძღვანელო), თბ., 2022, 280.

ლენას ახდენს რაციონალური გადაწყვეტილების მიღების შესაძ-ლებლობაზე. აღნიშნულ ფაქტორ(ებ)ზეა დამოკიდებული, თუ რამ-დენად ადეკვატურად ითანამშრომლებენ მხარეები მედიატორთან. სასამართლო მედიაციის ინიცირების მიზნით, სასამართლო ამოწ-მებს საქმის შესაბამის მასალებს და **მათი შეფასების საფუძველზე** იღებს გადაწყვეტილებას დაუქვემდებაროს თუ არა შესაბამისი და-ვა მედიაციას. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2019 წლის 27 დეკემბერს დამტკიცებული ,,სასამართლო მედიაციის პროგრამისნ მე-5 მუხლი განსაზღვრავს სასამართლოს მიერ მედია-ციისათვის საქმის გადაცემის პროცესში გასათვალისწინებელ კრი-ტერიუმებს.[6] თუმცა, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას წინასწარ, ერთმნიშვნელოვნად განსაზღვროს მხარეთა ურთიერ-თთანამშრომლობის მზაობის ხარისხი და გამოკვეთოს დავის მოლა-პარაკების გზით გადაწყვეტის პერსპექტივა. ამდენად, მიიჩნევა, რომ „საქმის გარემოებების წინასწარ შეფასებაში“ კანონმდებელი გულისხმობს სასამართლოს მიერ საქმის მასალების შემოწმების ფარგლებში შესაბამისი გარემოებების ზოგად შეფასებას და არა მხარეთა მედიაციის პროცესში მონაწილეობის ობიექტური მზაობის დადგენის მოთხოვნას.

---

[6] ა) დავის სპეციფიკიდან გამომდინარე უდავოა, რომ მხარეთა შორის სამომავლო ურთიერთობა გარდაუვალია; ბ) სარჩელსა თუ შესაგებელში ერთ-ერთ მხარეს გაცხადებული აქვს თანხმობა მედიაციის გამოყენების თაობაზე; გ) დავის არსიდან იკვეთება, რომ დავა მნიშვნელოვნად პი-რადი ხასიათისაა; დ) ნათელია, რომ დრო ან/და რეპუტაცია ერთ-ერთი მხარისათვის არსებითია; ე) არსებობს მედიაციის თაობაზე შეთანხმება და ერთ-ერთი მხარე ამაზე მიუთითებს; ვ) საქმის სასამართლოში გან-ხილვის ხარჯები, საბოლოო ჯამში, შეიძლება გაუტოლდეს ან გადააჭარ-ბოს დავის საგნის ღირებულებას; ზ) არასრულწლოვნის საუკეთესო ინ-ტერესის განხორციელება მოითხოვს საკითხის დროულ გადაწყვეტას; თ) მედიაციაში საქმის განხილვა მნიშვნელოვანია მოდავე მხარეთა ბიზ-ნეს ურთიერთობის გრძელვადიანი დაცვის ინტერესისა და სამართლებ-რივ-ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფისთვის; ი) არსებობს სხვა გარემოებები, რომლებიც მიუთითებენ საქმის მედიატორისათვის გადაცემის მიზანშეწონილობაზე.

3. მხარეთა თანხმობის საფუძველზე სასამართლოს გადაწყვეტილება (ცალკეული შემთხვევა)

მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია სასამართლოში აღძრული სარჩელით განსაზღვრული საკითხი, ერთმნიშვნელოვნად, სასამართლო მედიაციისადმი დაქვემდებარებულ დავათა კატეგორიას განეკუთვნებოდეს, შესაძლებელია მედიატორისათვის საქმის გადასაცემად, სასამართლოს, მაინც მხარეთა წინასწარი თანხმობა ესაჭიროებოდეს. აღნიშნული გარემოება სახეზეა, როდესაც სასამართლო მედიაციისადმი დაქვემდებარებულ დავაზე უკვე გამოყენებულ იქნა კერძო მედიაციის შესაძლებლობა და იგი უშედეგოდ დასრულდა. მედიაციის უშედეგოდ დასრულებაში იგულისხმება იმ საკითხზ(ებ)ზე შეუთანხმებლობა, რომელთა გადაწყვეტის მიზნით შემდგომში სასამართლოში აღიძრა სარჩელი.

4. მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება

კანონით დადგენილი წესით წარმოებული თითქმის ყველა კატეგორიის სამოქალაქო დავა შესაძლოა დაექვემდებაროს მედიაციას, თუკი აღნიშნულის თაობაზე მოდავე მხარეები ერთობლივად იშუამდგომლებენ სასამართლოს ან *სხვა უფლებამოსილი ორგანოს წინაშე.* მხარეთა ეს უფლება არ არის დროით შეზღუდული და შესაძლოა საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე იქნას რეალიზებული[7]. აღნიშნული დანაწესის მიზანია მედიაციის გზით იმ კატეგორიის დავ(ებ)ის გადაწყვეტა გახადოს შესაძლებელი, რომლებიც არ ექვემდებარებიან სავალდებულო სასამართლო რეფერირებას.

ამასთან, მხარეები არ არიან უფლებამოსილნი საკუთარი არჩევანით დაუქვემდებარონ სასამართლო მედიაციას იმ კატეგორიის საქმეები, რომლის მედიაციის გზით გადაწყვეტას კანონი იმპერატიულად კრძალავს: შვილად აყვანასთან, შვილად აყვანის ბათილად ცნობასთან, შვილად აყვანის გაუქმებასთან, მშობლის უფლების შეზღუდ-

[7] სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187^1 II მუხლი.

ვასთან, მშობლის უფლების ჩამორთმევასთან, აგრეთვე ქალთა მიმართ ძალადობასთან ან/და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული დავები.[8] ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187[3] მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ აკრძალვებს ვერ ფარავს ამავე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მხარეთა დისპოზიციური შესაძლებლობა: „სასამართლო მედიაცია შეიძლება გავრცელდეს: ნებისმიერ სხვა დავაზე – მხარეთა თანხმობის შემთხვევაში.“ მსგავსად, ანალოგიური საქმეების განხილვის უფლება სსსკ-ის 14-ე მუხლის „გ“ პუნქტით მაგისტრატ მოსამართლესაც არ აქვს: „მაგისტრატი მოსამართლეები პირველი ინსტანციით განიხილავენ შემდეგ საქმეებს: საოჯახოსამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავებს, გარდა შვილად აყვანის, მშობლის უფლების ჩამორთმევის, მამობის დადგენის და განქორწინების საქმეებისა, თუ მეუღლეებს შორის არსებობს დავა ბავშვის მიკუთვნების თაობაზე“. შესაბამისად, მხარეთა თანხმობის/შუამდგომლობის შემთხვევაშიც სასამართლო მედიაციას არ შეიძლება გადაეცეს 187[3] მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტით განსაზღვრული კატეგორიის დავები. ხსენებულ დავებში სასამართლოს მაღალი ლეგიტიმური კონტროლის აუცილებლობისა და არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების კერძო ავტონომიით შეზღუდვის აკრძალვიდან გამომდინარე, აღნიშნული კატეგორიის დავებზე დაუშვებლად უნდა განიმარტოს **ასევე კერძო მედიაციის წარმართვაც.**

ჰიპოთეტური დაშვებით, თუ აკრძალული კატეგორიის დავაზე წარიმართება კერძო მედიაციის პროცესი, აღნიშნული გამოიწვევს მედიატორის, სულ მცირე, ეთიკურ პასუხისმგებლობას, ხოლო სასამართლო უარს იტყვის მსგავსი კატეგორიის დავებზე მიღწეული სამედიაციო მორიგების აღსრულებაზე.

ვინაიდან მედიაციის პროცესში არსებობს ნაწილობრივი მორიგების შესაძლებლობა, სასამართლოს განჩინებით მედიაციას შესაძლებელია გადაეცეს სადავო საკითხების ნაწილი. მაგალითად, თუ სასამართლო დავის საგანი შეეხება მშობლის წარმომადგენლობითი

[8] სსსკ-ის 187[3] მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

უფლებამოსილების შეზღუდვას, ბავშვისთვის სასარგებლოდ ალიმენტის დაკისრებას და მეუღლეთა ქორწინების დროს შეძენილი ქონების გაყოფას, შესაძლებელია სასამართლომ დავა გადასცეს მედიაციას ქონების გაყოფისა და ალიმენტის დაკისრების ნაწილში ვინაიდან მშობლის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვა მედიაციისთვის აკრძალულ კატეგორიას განეკუთვნება. მოცემულ შემთხვევაში მედიაციის დღის წესრიგში ვერ იქნება მოქცეული მშობლის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვის საკითხი და ის სასამართლოს განხილვის საგნად დარჩება.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ კანონმდებელი, მედიაციის დაწყებისათვის დამატებით წინაპირობას ადგენს. კერძოდ, მხარეთა შუამდგომლობა უნდა დააკმაყოფილოს სასამართლომ ან სხვა შესაბამისმა უფლებამოსილმა ორგანომ. სიცხადის მიზნით უნდა განიმარტოს ორი მნიშვნელოვანი საკითხი: 1) რომელი ორგანოა სასამართლოს გარდა უფლებამოსილი მხარეთა შუამდგომლობით გადასცეს საქმე მედიაციას; და 2) მხარეთა შუამდგომლობის შემთხვევაში აქვს თუ არა სასამართლოს, ან შესაბამის უფლებამოსილ ორგანოს არჩევანი თავად განსაზღვროს საქმის მედიაციისათვის გადაცემის მიზანშეწონილობა.

4.1. სხვა უფლებამოსილი ორგანო

განსახილველი ნორმა არ ადგენს, თუ რომელი ორგანოა უფლებამოსილი გადასცეს საქმე მედიატორს. ამასთანავე, არ არსებობს შესაბამისი კანონი, რომელიც ანიჭებს „სხვა უფლებამოსილ ორგანოს“ საქმის მედიატორისათვის გადაცემის უფლებამოსილებას. გამომდინარე აღნიშნულიდან, კანონის საფუძველზე შესაბამის ორგანოსათვის სათანადო უფლებამოსილების განსაზღვრამდე, მედიაციას დაქვემდებარებული საქმის მედიატორისათვის გადაცემა მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება.

4.2. უფლებამოსილების ფარგლები

განმარტებას საჭიროებს ასევე, მხარეთა შუამდგომლობის შემდეგ საქმე შესაბამისი შეფასების/შემოწმების გარეშე (ავტომატურად)

უნდა გადაეცეს მედიაციას, თუ სასამართლომ დამატებით უნდა იმსჯელოს გადაცემის მიზანშეწონილობის თაობაზე. იმის გათვალისწინებით, რომ კანონმდებლის მიზანია ხელი შეუწყოს დავის შეთანხმებით გადაწყვეტას, მიიჩნევა, რომ სასამართლოს აკისრია ფუნქცია – მხარეთა შუამდგომლობის არსებობისას უპირობოდ მიიღოს გადაწყვეტილება საქმის მედიატორისათვის გადაცემის შესახებ.

III. მედიაციის დაწყების განსაზღვრის თავისებურება. მედიაციის დაწყების დამადასტურებელი დოკუმენტი (7 II, III)

1. მედიაციის დაწყების მომენტი

მედიაცის დაწყების მომენტის განსაზღვრისთვის მიზნით კანონმდებელი ორ წინაპირობაზე უთითებს, კერძოდ: 1) კერძო მედიაციის დროს – მედიატორისათვის მიმართვა, ხოლო 2) სასამართლო მედიაციის შემთხვევაში – საქმის მედიატორისათვის გადაცემა.

1.1. მედიატორისათვის მიმართვა (კერძო მედიაცია)

კერძო მედიაციის ინიცირებისათვის აუცილებელია **მხარეებმა ან ერთ-ერთმა მხარემ** შესაბამისი მოთხოვნით მიმართონ/მიმართოს მედიატორს[9]. კერძო მედიაციის დაწყების მომენტი უკავშირდება მედიატორის მიერ მხარის/მხარეთაგან მედიაციის დაწყების შესახებ შესაბამისი მიმართვის მიღების თარიღს. აღნიშნული მიმართვა მედიატორს გონივრულია წარედგინოს წერილობით. მიმართვაში უნდა მიეთითოს იმ სამართლებრივ საფუძველზე, რომელიც კერძო მედიაციის დაწყების შესაძლებლობას/ვალდებულებას განსაზღვრავს (მაგალითად, მედიაციის თაობაზე შეთანხმება).

მედიაცია არის დავის მოგვარების ნებაყოფლობითი პროცესი რომელშიც კონფლიქტის **მხარეები ერთობლივად ათანხმებენ** საკითხებს, საგნობრივი/შინაარსობრივი გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების არმქონე, მესამე ნეიტრალური პირის მხარდა-

[9] მედიაციის შესახებ საქართველოს კანონის 7.III მუხლი.

ჭერით.[10] ბუნებრივია, მედიაციის პროცესი შეუძლებელია მხარეთა ერთობლივი მონაწილეობის გარეშე წარიმართოს. ამდენად, განმარტებას საჭიროებს საკითხი, რა მნიშვნელობით მიიჩნევს კანონმდებელი მედიაციას დაწყებულად **ერთ-ერთი მხარის მიმართვის შემთხვევაში.**

მნიშვნელოვანია, რომ მედიაციის თაობაზე შეთანხმების არსებობისას, თუ მედიატორს მიმართავს ერთი მხარე, რომელიც *იმავდროულად უგზავნის წერილობით შეტყობინებას*[11] *მეორე მხარეს მედიაციაში ჩაბმის მოთხოვნით,* მედიაცია დაწყებულად უნდა იქნეს მიჩნეული მხოლოდ **ხანდაზმულობის ვადის შეჩერების და მედიაციისათვის მიმმართველი მხარისთვის მედიაციის თაობაზე შეთანხმების შესრულების დადასტურების მიზნებისთვის.** იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე არ ჩაერთვება პროცესში მედიაციის თაობაზე შეთანხმებით განსაზღვრულ ვადაში (თუ აღნიშნული ვადა შეთანხმებული არ არის – გონივრულ ვადაში), მედიაციისათვის ცალმხრივად მიმმართველ მხარეს შეუძლია მოთხოვოს მედიატორს ცნობა მის მიერ მედიაციის დაწყების/მედიაციისთვის მიმართვის თაობაზე, რომლის საფუძველზეც ამავე მხარეს შეეძლება მიმართოს სასამართლოს ან სხვა უფლებამოსილ ორგანოს და ამტკიცოს მეორე მხარის მიერ მედიაციის თაობაზე შეთანხმების დარღვევის ფაქტი. უფლებამოსილ მხარეს შეუძლია მოითხოვოს მედიაციის თაობაზე შეთანხმების დარღვევისთვის ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო.[12] ამასთან, მედიაციის თაობაზე შე-

---

10 *Juliane A., Alexander N.M.,* Mediation und Recht, 3., neubearbeitete Auflage, 2017, ველი 22.

11 შეტყობინების წერილობით გაგზავნის თაობაზე იხ. *Spencer D., Brogan M.,* Mediation Law and Practice, Cambridge University Press, 2007, 421.

12 საერთაშორისო პრაქტიკაში დასტურდება მედიაციის თაობაზე შეთანხმების დარღვევისთვის პირგასამტეხლოს განსაზღვრა სამართალწარმოების ხარჯების ან საადვოკატო მომსახურების ხარჯების ოდენობით. აღნიშნული აიხსნება იმ გარემოებით, რომ მედიაციის თაობაზე შეთანხმების დარღვევით ერთმა მხარემ მეორე მხარს დააკარგვინა მორიგების მიღწევის შესაძლებლობა. აღნიშნულ საკითხზე იხ. *Hopt K.J., Steffek F.,* Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University

თანხმების დამცველ მხარემ, რომელმაც ამავე შეთანხმებით გათვალისწინებულ ვადაში/გონივრულ ვადაში ვერ ჩააბა მედიაციაში კონტრაჰენტი, შესაბამისი წინაპირობების არსებობისას, შეუძლია მოითხოვოს, სასამართლოს წესით ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ დავის გადაწყვეტა. ამდენად, ერთი მხარის მიერ მედიაციის თაობაზე შეთანხმების დარღვევით აშკარა ხდება, რომ მეორე მხარე უარს აცხადებს მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე, არ აქვს შეთანხმების ნება. ამდენად, ნათელია, რომ დამატებითი შესრულების მოთხოვნას შედეგი არ მოჰყვება. ერთი მხარის მიერ შემხვედრი ვალდებულების დარღვევა აქარწყლებს მეორე მხარის სანაცვალგებო – მოლაპარაკების წარმოების ვალდებულებას (სამოქალაქო კოდექსის 406 მუხლი), რის საფუძველზეც მხარე უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს ან სხვა უფლებამოსილ ორგანოს ძირითადი სადავო საკითხის განხილვის მიზნით.

1.2. მედიატორისათვის საქმის გადაცემა (სასამართლო მედიაცია)

როგორც უკვე აღინიშნა, კანონმდებელმა მედიატორისათვის საქმის სავალდებულო გადაცემის ექსკლუზიური კომპეტენცია სასამართლოს მიანიჭა (ამ ეტაპზე კანონით არ არის განსაზღვრული სხვა ორგანო, რომელიც მედიაციაში საქმის რეფერირების საკითხს წყვეტს). სასამართლო, თავის მხრივ, სათანადო წინაპირობების არსებობის შემთხვევაში იღებს განჩინებას მედიატორისათვის საქმის გადაცემის შესახებ და უგზავნის საქმეს სასამართლოში არსებულ მედიაციის ცენტრს, შემდგომში მხარეთა მიერ მედიატორის შერჩევის პროცედურის ორგანიზებისთვის.[13] იუსტიციის უმაღლესი საბ-

Press, 2013, 31; *Adams C.M. Cramer P.K.,* Drafting Contracts in Legal English Cross-border Agreements Governed by U.S. Law, Wolters Kluwer, 2014, 258; *Alexander N.M.,* International and Comparative Mediation, Legal Perdpectives, New York: Alphen aan den Rijn Kluwer Law International New York Wolters Kluwer, Law & Business, 2009, 208-209.

13 იხ. „რეკომენდაციები სასამართლო მედიაციის ცენტრის კონსულტანტის/სასამართლო მენეჯერის საქმიანობის შესახებ“, დამტკიცებულია

ჭოს მიერ დამტკიცებული ,,სასამართლო მედიაციის პროგრამისნ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მედიაციის დროულად დაწყების უზრუნველყოფის მიზნით, მხარეებს მედიატორთა ერთიანი რეესტრი ეგზავნებათ 1 დღის ვადაში და ეძლევათ სამდღიანი ვადა მედიატორთა ერთიანი სიიდან მედიატორის/მედიატორების კანდიდატურის/კანდიდატურების შესათანხმებლად. მედიატორის კანდიდატურაზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში საქართველოს მედიატორთა ასოციაცია 3 დღის ვადაში რიგითობის წესით ნიშნავს მედიატორს. ამ მხრივ მნიშვნელოვანია დაზუსტდეს, თუ როდიდან მიიჩნევა მედიაცია დაწყებულად – მედიაციისთვის საქმის გადაცემის თაობაზე განჩინების მიღების, თუ საქმის საკუთრივ მედიატორისათვის გადაცემის მომენტიდან. საქართველოს სასამართლო სამედიაციო პრაქტიკით, სასამართლო მედიაციის 45-დღიანი ვადის ათვლის მომენტად მიიჩნევა ის თარიღი, როდესაც მხარეთა მიერ შერჩეული ან საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მიერ დანიშნული მედიატორი თანხმობას განაცხადებს საქმეში მედიატორად მონაწილეობაზე და მას მედიაციის ცენტრისგან გაეგზავნება დავასთან დაკავშირებული საქმის მასალები.[14] მედიაციის დაწყების მომენტად მედიატორის საქმეზე განაწილების თარიღის მიჩნევა განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ მხარეებს მაქსიმალურად მიეცეთ მედიაციის 45-დღიანი ვადით სარგებლობის შესაძლებლობა. ამასთან, მედიატორს ჯეროვანი და ეფექტიანი პროცესის წარმართვის ეთიკური ვალდებულებიდან გამომდინარე, ეკისრება მოვალეობა საქმის გარემოებების გათვალისწინებით, დროულად მოიწვიოს მხარეები მედიაციის სესიებზე, რათა მედიაციისთვის განკუთვნილი დრო მედია-

სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2022 წლის 10 ნოემბრის ოქმის საფუძველზე. მედიატორის შერჩევის პროცედურა წარიმართება აღნიშნული რეკომენდაციების შესაბამისად.

[14] ბულგარეთის ,,მედიაციის შესახებ“ კანონის თანახმად, მედიაციის დაწყების თარიღად მიიჩნევა მხარეთა პირველი შეხვედრა მედიატორთან მედიაციის პროცესში მონაწილეობის მიზნით. იხ. Bulgaria Mediation Act, Article 11 (2).

ციის მონაწილეთა ინტერესებისთვის მიზნობრივად და ეფექტიანად იქნეს გამოყენებული.

2. მედიაციის დაწყების დამადასტურებელი დოკუმენტი

კერძო მედიაციაში მედიატორი ერთ-ერთი ან ორივე მხარის მოთხოვნის საფუძველზე გასცემის ცნობას მედიაციის დაწყების თაობაზე. კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, იმავე წინაპირობის არსებობისას, მედიატორი ვალდებულია ცნობით დაადასტუროს მედიაციის დასრულების ფაქტიც.

კერძო მედიაციაში, როგორც უკვე აღინიშნა, მედიაციის დაწყების შესახებ დოკუმენტის გაცემა, მნიშვნელოვანია ხანდაზმულობის ვადის შეჩერების და მედიაციის თაობაზე შეთანხმების შესრულების დადასტურების მიზნებისათვის. მედიაციისადმი ერთი მხარის მიმართვის შემთხვევაში, მედიატორის მიერ გაცემული ცნობა წარმოადგენს მტკიცებულებას, რომლის ძალითაც ამავე მხარეს ასევე შეუძლია სასამართლოს დაუსაბუთოს ხანდაზმულობის შეჩერების ფაქტი იმ ხანგრძლივობით, რა ვადაშიც უფლებამოსილი პირი ელოდებოდა მეორე მხარის ჩაბმას მედიაციის პროცესში. იმ შემთხვევაში თუ მედიატორს მიმართა ერთმა მხარემ, ხოლო მეორე მხარემ უარი განაცხადა/არ ჩაერთო მედიაციის პროცესში, მედიატორის მიერ გაცემული ცნობა უნდა ასახავდეს ინფორმაციას მხოლოდ მედიაციისათვის მიმმართველი მხარის შესახებ. ამდენად, მედიაციის თაობაზე შეთანხმება შესრულებულად ჩაეთვლება მხოლოდ იმ მხარეს, რომელმაც მედიაციაში მონაწილეობის მიზნით მიმართა მედიატორს და მოიწვია მედიაციაში მისი კონტრაჰენტი.

მედიატორის მიერ გაცემულ ცნობას ასევე შეიძლება ჰქონდეს პრაქტიკული მნიშვნელობა იმ თვალსაზრისითაც, რომ სასამართლო მედიაციას სავალდებულო წესით, მხარეთა თანხმობის გარეშე, არ გადაეცეს საქმე, როდესაც მათ უკვე გამოყენებული აქვთ კერძო მედიაციის შესაძლებლობა.[15]

---

[15] სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187^3 (3): ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“–„გ5“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოსა-

სასამართლო მედიაციის შემთხვევაში, მედიატორს ასევე ეკისრება ვალდებულება, შეატყობინოს სასამართლოს, დაიწყო თუ არა საქმეზე მედიაციის პროცესი და რომელიმე მხარემ უარი ხომ არ განაცხადა სავალდებულო სასამართლო მედიაციაში მონაწილეობის თაობაზე.[16]

მედიაციის დაწყების დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა ასახავდეს მედიაციის დაწყების და დასრულების თარიღს და ინფორმაციას მედიაციის მხარეთა ვინაობის შესახებ. მედიატორის მიერ გაცემული ცნობა კერძო მედიაციის დაწყების თაობაზე, ასევე მნიშვნელოვან პროცესუალურ დატვირთვას იძენს სამედიაციო მორიგების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზნებისთვის.[17]

IV. მედიაციის თაობაზე შეთანხმებით სასამართლოს ან არბიტრაჟისადმი მიმართვის უფლების შეზღუდვა (7 IV)

კანონის ნორმა პირდაპირ უკავშირდება მედიაციის თაობაზე შეთანხმების ინსტიტუტს, რომელიც მხარეთა ნების ავტონომიის საფუძველზე კერძო მედიაციის სავალდებულო გამოყენების წინაპირობებს განსაზღვრავს. ისეთ შემთხვევებში, როდესაც მხარეებს შორის სახელშეკრულებო დონეზე დავის გადაწყვეტის ფორმად მედიაცია არის შეთანხმებული სასამართლოს საქმის წარმოებაში მიღების უფლებამოსილება არ გააჩნია[18]

კანონის თანახმად, მხარეები უფლებამოსილნი არიან შეთანხმდნენ პირობაზე, რომ კონკრეტული ვადის ამოწურვამდე, ან შესა-

---

მართლე შესაბამისი საქმის გარემოებებს წინასწარ აფასებს და მხარეთა თანხმობის გარეშე, ხოლო თუ ამავე დავაზე გამოყენებულ იქნა კერძო მედიაციის შესაძლებლობა და იგი უშედეგოდ დასრულდა – მხარეთა თანხმობით, იღებს გადაწყვეტილებას დავის საქმის მედიატორისათვის გადაცემის შესახებ.

16 დაწვრილებით იხილეთ კეთილსინდისიერების პრინციპის კომენტარი, მუხლი 3.

17 სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363[30] მუხლი.

18 *ყანდაშვილი ი.,* მედიაცია (პრაქტიკული სახელმძღვანელო), თბ., 2022, 266, შემდგომი მითითებით De Palo G., Trevor B.M., Oxford Mediation Press, Oxford, 2012, 332.

ბამისი გარემოების დადგომამდე, მათ შორის წარმოშობილი დავა არ დაექვემდებაროს სასამართლო ან საარბიტრაჟო განხილვას.[19] საერთაშორისო პრაქტიკით, მედიაციის თაობაზე შეთანხმება ნამდვილობისთვის უნდა აკმაყოფილებდეს სამართლებრივი სიცხადისა და განსაზღვრულობის მოთხოვნას.[20] ამდენად, მნიშვნელოვანია განხილულ იქნეს ცალკეული სახელშეკრულებო პირობები, რომლის გათვალისწინება უნდა მოხდეს მედიაციის თაობაზე შეთანხმების დადების ეტაპზე.

1. მედიაციის თაობაზე შეთანხმების ცალკეული პირობები

ა) ვადა/ცალკეული გარემოება

მხარეებმა, მედიაციის თაობაზე შეთანხმების საფუძველზე წინასწარ შეიძლება განსაზღვრონ ვადა, რომლის განმავლობაშიც მათ ეზღუდებათ სასამართლოს ან არბიტრაჟისათვის მიმართვის უფლება. ნორმის მიზნობრივი განმარტებიდან გამომდინარეობს, რომ აღნიშნული ვადა, რომლის განმავლობაშიც გამოირიცხება სასამართლოსადმი ან არბიტრაჟისადმი მიმართვის უფლება, **მედიაციის წარმოებისთვის უნდა იქნეს გამოყენებული.** მედიაციის ხანგრძლივობის თაობაზე შეთანხმება ემსახურება მედიაციის პროცესისთვის სათანადო დროის განსაზღვრას და, შესაბამისად, პროცესის სრულფასოვნად წარმართვას.

წინასწარ განსაზღვრული ვადის მსგავსად, მხარეებს შესაძლებლობა აქვთ აგრეთვე გაითვალისწინონ შესაბამისი გარემოება (გარე-

---

19 საერთაშორისო პრაქტიკაში მედიაციის შესახებ დათქმა შეიძლება იყოს როგორც მბოჭავი, ისე არასავალდებულო ხასიათის. მაგალითად, საერთაშორისო სავაჭრო პალატის მედიაციის დათქმების შესახებ იხ. ICC Mediation Clauses <https://iccwbo.org/dispute-resolution/dispute-resolution-services/adr/mediation/mediations-clauses/> [22.05.2024]. Mediation Rules of the International Chamber of Commerce In force as from 1 January 2014, <https://www.acerislaw.com/wp-content/uploads/2021/01/2014-Mediation-Rules-of-the-International-Chamber-of-Commerce.pdf> [23.04.2024].

20 *Petsche M.,* The enforceability of mediation clauses: A critical analysis of English case law, Journal of Strategic Contracting and Negotiation 2021, Vol. 5(1-2), 44.

მოებები), რომლის (რომელთა) დადგომამდე მხარეები არ მიმართავენ სასამართლოს ან არბიტრაჟს. მაგალითად, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ მედიაციის წარმოების ვალდებულებაზე და დათქვან, რომ არც ერთ მხარეს წარმოეშობა სასამართლოსადმი/არბიტრაჟისადმი მიმართვის უფლება, სანამ მედიაცია არ შეწყდება რომელიმე მხარის/მედიატორის ინიციატივით ან სანამ მხარეები მედიაციის რამდენიმე სავალდებულო სესიაში არ მიიღებენ მონაწილეობას.

ვადის ან გარემოების წინასწარ განსაზღვრა მხოლოდ კერძო მედიაციის ფარგლებშია დასაშვები. მედიაციის წარმართვის ვადასთან ან გარემოებასთან დაკავშირებით კანონი არ ადგენს რაიმე შეზღუდვას. დადგენილია მხოლოდ, რომ კერძო მედიაცია 2 წლის ხანგრძლივობით აჩერებს მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადას.[21] ეს ბუნებრივია არ გულისხმობს, რომ კერძო მედიაციის წარმოება მხოლოდ 2 წლის ხანგრძლივობით არის შესაძლებელი. ამდენად, შესაბამისი ვადის ხანგრძლივობა, ან საკუთრივ გარემოებ(ებ)ის მითითება სრულიად მხარეთა ნება-სურვილზეა დამოკიდებული. თუ მხარეებმა, მედიაციის პროცესის წარმართვისათვის გაითვალისწინეს არათანაზომიერად ხანგრძლივი ვადა, ან გარემოებათა დადგომისათვის არაგონივრული პირობა, სასამართლოს, ან არბიტრაჟისათვის მიმართვის უფლება შეიზღუდება მხოლოდ მაშინ, თუ მედიაციის პროცესის ხანგრძლივობა, ან შესაბამისი გარემოებების დადგომის აუცილებლობა გამომდინარეობს ობიექტური საჭიროებიდან.

სასამართლოს ან არბიტრაჟისათვის მიმართვის უფლება არ იზღუდება, თუ მხარე დაადასტურებს, რომ მას სასამართლოს ან საარბიტრაჟო განხილვის გარეშე გამოუსწორებელი ზიანი მიადგება. გამოუსწორებელი ზიანის დადგომის მტკიცების ტვირთიც სწორედ ამ მხარეს ეკისრება. სასამართლო უფლებამოსილია შეამოწმოს მხარის მიერ აღნიშნული უფლების გამოყენების მართებულობა.

მართალია, კერძო მედიაციის ვადა არ არის მედიაციის თაობაზე შეთანხმების არსებითი (ნამდვილობის) პირობა, თუმცა მოლაპარაკების შესაძლებლობის სრულფასოვანი გამოყენების მიზნით, მედიაცი-

[21] კანონის მე-12 მუხლის მეორე პუნქტი.

ის თაობაზე შეთანხმების შედგენისას მაინც სასურველია გათვალისწინებულ იქნეს კერძო მედიაციის წარმოების საორიენტაციო ან მყარად ფიქსირებული ვადა,[22] რომელიც შეიძლება მხარეთა შეთანხმების არსებობისას გაიზარდოს მედიაციის პროცესის საჭიროებების შესაბამისად. თუ მედიაციის თაობაზე შეთანხმება ითვალისწინებს მედიაციის ვადას, აღნიშნული ვადის ათვლა უნდა დაიწყოს მედიაციის პროცესის ინიცირების, დაწყების მოთხოვნის თაობაზე ერთი მხარის მიერ მეორე მხარის/მხარეთა და მედიატორის მიმართ შეტყობინების/მიმართვის მომენტიდან.[23] ამასთან, მედიაციის ვადის დენის დაწყების მიზნებისთვის, მედიაციის მოთხოვნის თაობაზე შეტყობინება სამოქალაქო კოდექსის 51-ე მუხლის თანახმად, უნდა განიმარტოს როგორც მიღება სავალდებულო ნების გამოვლენა, რომელიც მისი ნამდვილობისთვის საჭიროებს ნების ადრესატამდე მისვლას.

მედიაციის თაობაზე შეთანხმებამ უმნიშვნელოვანესია ასევე განსაზღვროს ვადა, რა პერიოდშიც მედიაციის მოთხოვნის თაობაზე შეტყობინების მიღებიდან მიმღებმა მხარემ უნდა გამოავლინოს **მედიაციის პროცესში მონაწილეობის ნება.** აღნიშნული ვადის განსაზღვრა მნიშვნელოვანია იმ პრაქტიკული დანიშნულებიდან გამომდინარეც, თუ რა მომენტიდან ჩაითვლება მედიაციის თაობაზე შეთანხმება დარღვეულად შეტყობინების მიმღები მხარის მიერ, რა ხანგრძლივობით ეკისრება მედიაციის ინიციატორ მხარეს პროცესში მისი კონტრაჰენტის ჩართვისთვის დალოდება და როდის წარმოეშობა მას არბიტრაჟისა თუ სასამართლოსადმი მიმართვის უფლება.[24]

---

22 *Alexander N.M.,* International and Comparative Mediation, Legal Perdpectives, New York: Alphen aan den Rijn Kluwer Law International New York Wolters Kluwer, Law & Business, 2009, 212.

23 *McIlwrath M., Savage J.,* International Arbitration and Mediation, A Practical Guide, Wolters Kluwer, 2010, 88.

24 მაგალითად, ლატვიის ,,მედიაციის შესახებ" კანონის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ მედიაციის გამოყენების მოთხოვნის შესახებ შეტყობინების გაგზავნიდან 30 დღის ვადაში მხარე არ დაეთანხმება მედიაციაში მონაწილეობის მოთხოვნას, მედიაციაზე მოწვევა ჩაითვლება უარყოფილად. იხ. ლატვიის მედიაციის შესახებ კანონი წიგნში: *Trevor M.B., Palo G.,* EU Mediation Law and Practice, Oxford University Press,

როგორც ზემოთ აღინიშნა, მედიაციის თაობაზე შეთანხმება, მოლაპარაკების ობიექტური შესაძლებლობის უზრუნველყოფისთვის, შეიძლება ითვალისწინებდეს მედიაციის პროცესის რამდენიმე სესიაში მხარეთა მონაწილეობის ვალდებულებას და შესაბამის სახელშეკრულებო სანქციებს აღნიშნული ვალდებულების დარღვევისთვის. ამდენად, მედიაციის სესიებში მონაწილეობის ვალდებულებას შესაძლებელია ჰქონდეს როგორც კანონისმიერი[25] (სასამართლო მედიაციის ორ სავალდებულო სესიაში მონაწილეობის სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევა), ისე სახელშეკრულებო საფუძველი. მნიშვნელოვანია, რომ მედიაციის სესიების გარკვეულ რაოდენობაში მონაწილეობის სახელშეკრულებო მოთხოვნა მოიაზრებს არა სამედიაციო მორიგების მიღწევის, არამედ კეთილსინდისიერი მოლაპარაკების მცდელობის (ქცევის მოვალეობა) შინაარსს. სახელშეკრულებო მოლაპარაკებაში ჩართვა არის მოლაპარაკების მიღწევის მცდელობის, შეთანხმებისათვის აუცილებელი, გონივრული ზომების მიღების *(obligation de moyens)* და არა შედეგის მიღწევის *(obligation de résultat)* ვალდებულება. მნიშვნელოვანია, რომ მხარეები კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად შეეცადონ ურთიერთშეთანხმებას,[26] შეთანხმების მიღწევის ნებაყოფლობითობის შეუზღუდავად.[27]

2012, 504. იგივე ვადა არის დადგენილი ლიეტუვას ,,მედიაციის შესახებ" კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით.

25 ევროპული პარლამენტისა და საბჭოს მიერ 2008 წლის 21 მაისს მიღებული 2008/52/EC დირექტივა სამოქალაქო და კომერციულ საკითხებში მედიაციის გამოყენების ზოგიერთი ასპექტის შესახებ ანიჭებს სახელმწიფოებს უფლებას დაადგინონ ან წაახალისონ მედიაციის გამოყენების სავალდებულოობა და განსაზღვრონ შესაბამისი პასუხისმგებლობა იმ დათქმით, რომ ასეთი კანონმდებლობა არ შეზღუდავს მართლმსაჯულებისადმი წვდომის უფლებას.

26 *Draetta U., Lake R.B., Nanda V.P.,* Breach and Adaptation on International Contracts, An Introduction to Lex Mercatoria, Butterworth Legal Publishers, 1992, 197.

27 იხ. კეთილსინდისიერების პრინციპის შესახებ კანონის მე-3 მუხლის და მე-8 მუხლის პირველი პუნქტის კომენტარი (2.5. თავი). მედიაციის თაობაზე შეთანხმება არ შეიძლება გულისხმობდეს ,,შეთანხმებას

სასამართლოს ან არბიტრაჟისათვის მიმართვის უფლება არ იზღუდება წინასწარ განსაზღვრული ვადით, ან გარემოების დადგომით, თუ მხარე ფორმალურად ცხადდება მედიაციის პროცესზე, თუმცა სათანადო წესით, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად არ მონაწილეობს მასში.[28] ამ შემთხვევაში შესაძლოა მედიაცია არც განიმარტოს დაწყებულად არაკეთილსინდისიერი მხარისთვის ან მედიატორმა შეწყვიტოს პროცესი, თუ აშკარაა, რომ მხარე შეთანხმების მიზნის გარეშე მონაწილეობს მასში და აჭიანურებს მოლაპარაკებას.[29]

ბ) მედიატორის შერჩევის წესი

მედიაციის თაობაზე შეთანხმებით შესაძლოა წინასწარ განისაზღვროს კონკრეტული მედიატორის/მედიატორების ვინაობა, თუმცა აღნიშნული არ არის დავის დაწყებამდე დადებული მედიაციის თაობაზე შეთანხმების ნამდვილობის წინაპირობა. კონკრეტულ კანდიდატურებზე წინმსწრები შეთანხმების შემთხვევაშიც, მნიშვნელოვანია, რომ მედიაციის თაობაზე შეთანხმება ალტერნატიულად ითვალისწინებდეს მედიატორის შერჩევის წესს, საიმისოდ, რომ მედიაციის პროცესის დაწყებას საფრთხე არ შეექმნას და რომელიმე მხარემ არ გამოიყენოს ეს გარემოება მედიაციაში მონაწილეობაზე უარის თქმის საფუძვლად.[30] გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მედიატორის/მედიატორების წინმსწრები შერჩევის შემთხვევაშიც, შეთანხმებით განსაზღვრული ნეიტრალური მესამე პირის პროცესში მონაწილეობა შეიძლება შეუძლებელი გახადოს სხვადასხვა ობიექტურმა ფაქტორმა. მაგალითად, მედიაციის თაობაზე შეთანხმების დადების შემდგომ ერთ ან ორივე მხარესთან მიმართებით

შეთანხმების“ (agreement to agree) შესახებ. იხ.: *Spencer D., Brogan M.,* Mediation Law and Practice, Cambridge University Press, 2007, 418.

28 იხ. მე-3 მუხლის კომენტარი კეთილსინდისიერების პრინციპის ნაწილში.

29 იხ. მედიაციის შესახებ საქართველოს კანონის 9.I.“ე“ მუხლის კომენტარი.

30 აღნიშნულ საკითხზე იხ. *Petsche M.,* The enforceability of mediation clauses: A critical analysis of English case law, Journal of Strategic Contracting and Negotiation 2021, Vol. 5(1-2), 53, 57.

აღმოცენებულმა ინტერესთა კონფლიქტმა. თუ სასამართლო მედიაციის შემთხვევაში, მედიატორის კანდიდატურაზე შეუთანხმებლობისას, მედიატორს ნიშნავს საქართველოს მედიატორთა ასოციაცია რიგითობის წესით, კერძო მედიაციაში მხარეებს აქვთ მეტად ფართო ავტონომია, გაითვალისწინონ მედიატორის დანიშვნის სხვაგვარი წესი.[31] მაგალითად, მედიაციის თაობაზე შეთანხმებით შეიძლება განისაზღვროს, რომ წინასწარ შერჩეული მედიატორის პროცესში მონაწილეობის შეუძლებლობისას, მედიატორის კანდიდატურას დანიშნავს მედიაციის მომსახურების მიმწოდებელი რომელიმე პროვაიდერი ორგანიზაცია. მედიაციის თაობაზე შეთანხმება შესაძლებელია ითვალისწინებდეს კრიტერიუმებს რომელიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს მედიატორის კანდიდატურის მხარეთა მიერ შერჩევის ან უფლებამოსილი სუბიექტის მიერ დანიშვნის პროცესში.

მედიატორის კანდიდატურის შერჩევა-დანიშვნის წესის სრულყოფილი მოწესრიგება მედიაციის თაობაზე შეთანხმებაში, მნიშვნელოვანი წინაპირობაა საიმისოდ, რომ თავიდან იქნეს არიდებული კერძო მედიაციის დაწყების ყოველგვარი შეფერხება და ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორები არ გახდეს მედიაციის შესახებ შეთანხმების დარღვევის განმაპირობებელი მიზეზი.

გ) შეთანხმება მედიატორის ანაზღაურების წესსა და პირობებზე

მედიაციის თაობაზე შეთანხმება, რომელიც იდება მხარეთა შორის დავის წარმოშობამდე, სულ მცირე უნდა ასახავდეს მედიატორის ანაზღაურების წესს (თუ როგორ განაწილდება მხარეთა შორის მედიატორისთვის ასანაზღაურებელი ჰონორარი).[32] აღნიშნულ-

---

[31] კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი: კერძო მედიაციის დროს... თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან მედიატორის შერჩევაზე, საქართველოს მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო მხარეთა მიმართვის საფუძველზე მედიატორს ნიშნავს მედიატორთა ერთიანი რეესტრიდან, თუ მხარეებს მედიატორის დანიშვნის სხვა წესი არ აქვთ განსაზღვრული.

[32] აღნიშნულ საკითხზე იხილეთ: *Alexander N.M.,* International and Comparative Mediation, Legal Perdpectives, New York: Alphen aan den Rijn Kluwer Law International New York Wolters Kluwer, Law & Business, 2009, 212; *Adams C.M.*

ზე შეთანხმება მიზანშეწონილია საიმისოდ, რომ ანაზღაურების საკითხზე შეუთანხმებლობა არ გახდეს რომელიმე მხარისთვის მედიაციაში მონაწილეობაზე უარის თქმის და მისგან თავის არიდების მიზეზი. ამ შემთხვევაში მედიატორის ანაზღაურების ოდენობა და სხვა პირობები შესაძლებელია მხარეებისთვის არ იყოს ცნობილი კონკრეტულ კანდიდატურაზე წინმსწრები (დავის წარმოშობამდე) შეთანხმების არარსებობის/შეუძლებლობის გამო.

თუ მედიაციის თაობაზე შეთანხმება იდება დავის წარმოშობის შემდეგ და მხარეები უკვე მიმართავენ ამა თუ იმ მედიატორს მედიაციის დაწყების მოთხოვნით, ასეთ შემთხვევაში აღნიშნული შეთანხმება აუცილებლად უნდა შეიცავდეს არა მხოლოდ მედიატორის ანაზღაურების წესს, არამედ კონკრეტულ პირობებსაც (მაგ. ანაზღაურების ოდენობა). კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კერძო მედიაციის პროცესში მონაწილე მედიატორის საქმიანობისრანაზღაურების წესი და პირობები განისაზღვრება მხარეებსა და მედიატორს შორის დადებული შეთანხმებით. მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსის პირველი მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, მედიატორმა მხარეებს უნდა წარუდგინოს ინფორმაცია თავისი ანაზღაურების წესის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ ისინი **ამ წესზე წინასწარ არ შეთანხმებულან.** მედიატორმა არ უნდა იკისროს მედიატორად მოქმედების ვალდებულება კონკრეტულ საქმეზე, თუ ყველა მონაწილე მხარე არ დაეთანხმება მისი ანაზღაურების წესს და პირობებს.[33] ამდენად, მედიატორის ანაზღაურების ოდენობასა და წესზე შეთანხმება (არსებითი პირობა) ის საკითხია, რომელზეც აუცილებლად უნდა იქნეს მიღწეული მხარეთა თანხმობა მედიაციის პროცესის დაწყებამდე. რადგან მედიატორის ანაზღაურების საკითხზე შეუთანხმებლობამ შეიძლება შეუძლებე-

---

Cramer P.K., Drafting Contracts in Legal English Cross-border Agreements Governed by U.S. Law, Wolters Kluwer, 2014, 258.

33 მნიშვნელოვანია ასევე, კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მედიატორის მიერ მხარეებისთვის წინასწარ უნდა იქნეს განმარტებული მედიატორის საქმიანობის ანაზღაურების წესი და პირობები.

ლი გახადოს მედიაციის პროცესის დაწყება, მნიშვნელოვანია, რომ ეს საკითხი განიმარტოს მედიაციის დაწყების თაობაზე შეთანხმების არსებით პირობად.

V. მედიაციაში მონაწილეობაზე უარის თქმის წინაპირობები (7 V)

მედიაცია ნებაყოფლობითი პროცესია. შესაბამისად, მხარეებს ნებისმიერ დროს აქვთ უფლება უარი განაცხადონ მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე. მხარეთა თვითგამორკვევა სრულად მიემართება პროცესის შედეგს, პროცესში მონაწილეობასა და პროცესის შეწყვეტის უფლებამოსილებას.[34] თუმცა, განსახილველი ნორმა გარკვეულწილად ზღუდავს მხარეთა ამ უფლებას და უკავშირებს შემდეგ ორ გარემოებას:

1) **კანონის საფუძველზე** მედიაციაში სავალდებულო მონაწილეობა;
2) მხარეთა **შეთანხმების საფუძველზე** მედიაციში სავალდებულო მონაწილეობა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187[6] I მუხლი ითვალისწინებს მედიაციაში სავალდებულო მონაწილეობის წინაპირობებს. ამავე კანონის 187[5] მუხლი ადგენს მედიაციაში სავალდებულო მონაწილეობისათვის 45 დღიან ვადას, არანაკლებ 2 შეხვედრის წარმართვის პირობით. 45 დღიანი ვადის გაგრძელება დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით, იდენტური პერიოდით. სავალდებულო მონაწილეობის უგულებელყოფა/დანიშნულ შეხვედრაზე მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა იწვევს 150 ლარის ოდენობით დაჯარიმებას და დამატებით აკისრებს მას სასამართლო ხარჯების

[34] მაგალითად, ევროკავშირის წევრი ქვეყნების მედიაციის საკანონმდებლო აქტები ნებაყოფლობითობისა და თვითგამორკვევის პრინციპის ძალით აღიარებენ მედიაციის შეწყვეტის მხარისეულ უფლებამოსილებას. იხ. ნაშრომი: *Trevor M.B., Palo G.,* EU Mediation Law and Practice, Oxford University Press, 2012, 1-593.

სრულად დაფარვის ვალდებულებას, მიუხედავად სასამართლოში დამდგარი შედეგისა (187[6] II მუხლი).

მხარეთა შეთანხმების საფუძველზე მედიაციაში სავალდებულო მონაწილეობის შესახებ შემთხვევები განხილულია ნაშრომის IV თავში.

ნათია ჩიტაშვილი / აკაკი გაწერელია

მუხლი 8. მედიაციის წარმართვა

I. ზოგადი დებულებები 154
1. არსი და მიზანი 154
2. სხვა ნორმებთან კავშირი 155
II. მედიატორის ინფორმირების ვალდებულების კანონისმიერი სტანდარტი (მე-8 მუხლის პირველი პუნქტი) 156
1. ინფორმირებული თანხმობის მნიშვნელობა მედიაციის პროცესში 156
2. მხარეთა ინფორმირების სტანდარტის შინაარსი 159
2.1. ინფორმირება ნებაყოფლობითობისა და თვითგამორკვევის პრინციპთა შესახებ 159
2.2. ინფორმირება თანასწორობის, მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის პრინციპების თაობაზე 160
2.3. ინფორმირება კონფიდენციალურობისა და მისი მოქმედების ფარგლების შესახებ 161
ა) მხარეები 161
ბ) მესამე პირები 164
2.4. ინფორმირება კეთილსინდისიერების პრინციპის შესახებ 166
2.5. ინფორმირება მედიაციის შედეგებისა და აღსრულების წესის თაობაზე 167
2.6. ინფორმირება მედიატორის საქმიანობის ანაზღაურების წესის შესახებ 168
III. მედიაციის პროცესუალური კონტროლის უფლებამოსილება (8 II-III) 169
IV. მედიაციის ვადა (8 IV) 172
ა) კერძო მედიაცია 172
ბ) სასამართლო მედიაცია 173
V. მედიაციის პროცესში მხარის უშუალო მონაწილეობა (8 V) 174

VI. მხარეთა თანასწორობა (მე-8 VI)..... 178
VII. კომუნიკაციის ფორმატი მედიაციაში (8 VII)..... 179
VIII. ობიექტური კონსულტაციის/მონაცემების მნიშვნელობა ინფორმირებული თანხმობის ხელშეწყობისთვის (8 VIII-IX)..... 180
IX. სამედიაციო მორიგებაში მედიატორის შინაარსობრივი ინტერვენციის ფარგლები (8 X) 186

1. მედიაციის დაწყებამდე მედიატორმა მხარეებს უნდა განუმარტოს მედიაციის პროცესის წარმართვის პრინციპები, მედიატორის როლი, მხარეთა უფლებები, მათ შორის, მედიაციის პროცესში თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით მონაწილეობის უფლება, მხარეთა მოვალეობები, მედიაციის შესაძლო შედეგები და მხარეთა მიერ შეთანხმების მიღწევის შედეგად შედგენილი სამედიაციო მორიგების აღსრულების წესი, აგრეთვე მედიატორის საქმიანობის ანაზღაურების წესი და პირობები.

2. მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ მედიაციის წარმართვის წესზე, რომელიც ამ კანონით არ არის დადგენილი.

3. მხარეთა შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში მედიაციის წარმართვის წესს განსაზღვრავს მედიატორი დავის ეფექტიანად მოსაგვარებლად, მისი გარემოებებისა და მხარეთა მოსაზრებების გათვალისწინებით.

4. მედიაციის ხანგრძლივობა შეზღუდული არ არის, თუ მედიაციის თაობაზე შეთანხმებით ან კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. მედიაციის პროცესის მიმდინარეობისას მხარეები უზრუნველყოფილი უნდა იქნენ საკმარისი დროითა და შესაძლებლობით, რათა განსახილველ საკითხზე შეთანხმებას მიაღწიონ.

5. მხარემ მედიაციის პროცესში მონაწილეობა შეიძლება მიიღოს როგორც უშუალოდ, ისე თავისი წარმომადგენლის მეშვეობით. მედიატორი უფლებამოსილია, საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, მოითხოვოს მედიაციის პროცესში მხარის ან მხარეთა უშუალო მონაწილეობა.

6. მედიატორმა მედიაციის წარმართვისას მხარეთა თანასწორობა უნდა უზრუნველყოს.

7. მედიატორმა მედიაცია შეიძლება წარმართოს მხარეებთან როგორც ერთობლივი, ისე ინდივიდუალური კომუნიკაციის მეშვეობით.

8. მედიატორი უფლებამოსილია მედიაციის ეფექტიანად წარსამართავად მხარეებს მედიაციის მიმდინარეობისას შესთავაზოს ნებისმიერი დამატებითი ინფორმაციის წარდგენა.

9. მედიატორი ეხმარება მხარეებს დავის მოგვარების მიზნით მორიგების მიღწევაში როგორც მედიაციის პროცესის, ისე მისი საბოლოო შედეგის მიმართ მხარეთა მიერ თავისუფალი, დამოუკიდებელი და ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების პრინციპის გათვალისწინებით. მედიატორს უფლება არ აქვს, მხარეთა შორის არსებულ დავასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება თავად მიიღოს.

10. მხარეთა თანხმობის არსებობის შემთხვევაში მედიატორმა შეიძლება მხარეებს შესთავაზოს სამედიაციო მორიგების პირობები, მათი ინტერესებისა და მედიაციის პროცესის მიმდინარეობისას მათ მიერ გამოხატული პოზიციების გათვალისწინებით.

I. ზოგადი დებულებები

1. არსი და მიზანი

ნორმის რეგულირების მიზანია, განსაზღვროს ის საკანონმდებლო საფუძვლები, რომლებიც უზრუნველყოფს მედიაციის პროცესში მხარეების მიერ თვითგამორკვევაზე დაფუძნებული ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებასა და ჯეროვანი პროცესის წარმართვას შორის თანაზომიერების პრინციპის დაცვას. აღნიშნული მიზნით, ნორმა ადგენს მედიატორის მიერ მხარეთა ინფორმირების კანონისმიერ სტანდარტს, მედიაციის პროცესში მხარის უშუალოდ მონაწილეობის მნიშვნელობას, მხარეთა ნებაყოფლობითობის პრინციპის გათვალისწინებით, ასევე სამედიაციო მორიგების მიღწევაში მედიატორის ლეგიტიმური ინტერვენციის ფარგლებს. ამდენად, კა-

ნონმდებელი განსაზღვრავს მედიაციის პროცესის წარმართვისას მხარეთათვის განმარტების მიცემისა და თვითგამორკვევის ხელშეწყობისას მედიატორის კომპეტენციის ფარგლებს. ნორმის დაცვის ღირსი ინტერესია მხარეთა არსობრივ-პროცესუალური ავტონომიის უზრუნველყოფა მედიატორის მიერ ეფექტიანი და ჯეროვანი პროცესის წარმართვის პირობებში.

მედიაციის პროცესში მხარეთათვის ფართო ავტონომიის მინიჭების აუცილებლობისა და პროცესის არაფორმალური ბუნების გათვალისწინებით, მედიაციის წარმართვის პროცესუალური წესები კანონმდებლობით დეტალურად არ არის რეგლამენტირებული. ამდენად, დერეგულირების მიზანი მედიაციის არსობრივი მახასიათებლებით არის დეტერმინირებული. აღნიშნული მედიატორს ანიჭებს ფართო სამოქმედო არეალს, წარმართოს პროცესი მხარეთა საუკეთესო ინტერესებისა და მედიაციის სიტუაციური საჭიროებების შესატყვისად.

ნორმის პრაქტიკული მნიშვნელობა ვლინდება არა მხოლოდ მედიაციის პროცესის ზღვრული საკანონმდებლო მოთხოვნების დადგენით, არამედ მედიატორისა და მხარის ,,საზიარონ პროცესუალური უფლებამოსილების განსაზღვრით. მედიაციის წარმართვის პროცესუალური წესები დგინდება მხარეთა ნებაყოფლობითობისა და მედიაციის სხვა ნორმატიული პრინციპების დაურღვევლობით, რომლებიც გვევლინება მედიატორის პროფესიული ქცევის ძირითად ორიენტირად მოლაპარაკების პროცესში. კანონმდებელი ნათლად განსაზღვრავს იმ მინიმალურ იმპერატიულ დანაწესებს, რომლებიც უნდა დაიცვას მედიატორმა პროცესის მართვის ფართო დისკრეციის გამოყენებისას. ამასთან, ნორმა მედიატორს აკისრებს როგორც ინფორმირებული გადაწყვეტილების ხელშეწყობის ვალდებულებას, ისე გარკვეულ პროცესუალურ პრივილეგიას, მოითხოვოს მოლაპარაკებაში მხარის უშუალო მონაწილეობა თვითგამორკვევის ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად.

2. სხვა ნორმებთან კავშირი

მე-8 მუხლი განიხილება სამოქალაქო საპროცესო კოდექსთან ერთად, რომელიც განსაზღვრავს მედიაციის პროცესში მხარეთა სა-

ვალდებულო მონაწილეობას (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187[6]-ე მუხლის პირველი ნაწილი), სამედიაციო მორიგების აღსრულებასა (თავი XLIV[13]) და სასამართლო მედიაციის პროცესის შეწყვეტის შემდგომ საქმისწარმოების განახლებას (187[7]-ე მუხლი).

ამასთან, განსაკუთრებით გამოკვეთილია ნორმის კავშირი მედიატორის პროფესიული ეთიკის საკითხებთან, განსაკუთრებით მედიაციის პროცესის წარმართვისა და თვითგამორკვევის პრინციპის რეალიზების ინსტიტუტებთან კავშირში. ნორმას დიდი გავლენა აქვს მედიატორის ეთიკური ქცევის სტანდარტების შინაარსის ფორმირებაზე. მედიატორთა ეთიკის კოდექსში განმტკიცებული პროფესიული ქცევის წესები დიდწილად მე-8 მუხლის ნორმატიული საწყისებით არის შთაგონებული.

II. მედიატორის ინფორმირების ვალდებულების კანონისმიერი სტანდარტი (მე-8 მუხლის პირველი პუნქტი)

1. ინფორმირებული თანხმობის მნიშვნელობა მედიაციის პროცესში

თვითგამორკვევისა და ინფორმირებული თანხმობის პრინციპი, როგორც მხარეთა ავტონომიურობის უზენაესი ღირებულების[1] გა-

[1] *Hopt K.J., Steffek F.,* Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, 2013, 135, 190; *Santos H.L.,* Towards a Four-Tiered Model of Mediation Against the Background of a Narrative of Social Sub-systems in Everlasting Cross-Fertilization (Singapore: Springer, 2023), 114; *Simon D., West T.,* eds. Self-Determination in Mediation, The Art and Science of Mirrors and Lights (Lan Ham, Maryland: Rowman & Littlefield Publishers, 2022), 4. ევროკავშირის ქვეყნების (და არა მხოლოდ) მართლწესრიგში მხარეთა ავტონომიის პრინციპის საყოველთაო აღირების შესახებ იხ. *Schauer M., Verschraegen B.,* eds. General Reports of the XIXth Congress of the International Academy of Comparative Law Rapports Généraux du XIXème Congrès de l'Académie Internationale de Droit Comparé (The Netherlands: Springer, 2017), 220. *Roberts M.,* Mediation in Family Disputes, Principles of Practice, Ashgate Publishing Limited, 2014, 163; *Alexander N.M.,* International and Comparative Mediation Legal Perspectives, Wolters Kluwer Law & Business, 2009, 345; *Dub-*

მოვლინება, მედიაციის ფუნდამენტია.[2] მედიატორმა უნდა წარმართოს მხარეთა ნების ავტონომიასა და თვითგამორკვევაზე დამყარებული პროცესი, მან უნდა უზრუნველყოს, რომ მხარეებმა გადაწყვეტილება მიიღონ მათი უფლებების შესახებ სათანადო ინფორმაციის ფლობისა და გაცნობიერების პირობებში, შეთანხმების შესრულებაუნარიანობისა და აღსრულებაუნარიანობის გააზრებით.[3]

საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ,,მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსისნ (შემდგომში – ეთიკის კოდექსი) მე-4 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თვითგამორკვევის პრინციპის ხელშეწყობაში იგულისხმება მხარეთათვის შესაძლებლობის მიცემა, საკუთარი ინტერესების შესაბამისად თვითონ მიიღონ ნებაყოფლობითი და ინფორმირებული გადაწყვეტილება როგორც დავის შინაარსობრივ, ისე მედიაციის პროცედურულ საკითხებზე. ამდენად, ინფორმირებული თანხმობის პრინციპი მიემართება არა მხოლოდ დავის შინაარსობრივ მხარეს – სამედიაციო მორიგების პირობებს, არამედ მედიაციის პროცესში მონაწილეობისა და პროცესუალური საკითხების შესახებ გადაწყვეტილების მიღებასაც.[4] სწორედ ამიტომ, კანონმდებლის მიზანია, რომ მხარეებს მედიატორმა მიაწოდოს ინფორმაცია მედიაციის არსობრივ-პროცესუალურ მახასიათებლებზე უშუალოდ მედიაციის დაწყებამდე.

---

ler N.N., Liebman C.B., Bioethics Mediation, A Guide to Shaping Shared Solutions, Revised and Expanded Edition, Vanderbilt University Press, 2011, 12.

2 *Bartlett F., Mortensen R., Tranter K.,* Alternative Perspectives on Lawyers and Legal Ethics, Reimagining the Profession, Routledge Research in legal Ethics, London and New-York, 2011, 207; *Waldman E.,* Mediation Ethics, Cases and Commentaries, Jossey-Bass, A Wiley Imprint, United States of America, 2011, 12; Model Standards of Conduct for Mediators, 2005, Standard I (1).

3 *Nolan-Haley J.,* Informed Consent in Mediation: A guiding Principle for Truly Educating Decision-making, Notre Dame Law Rev., Vol. 74, 1999, 775. იხ. ასევე, *Bush R. A. B.,* Efficiency and Protection or Empowerment and Recognition? The Mediator's Role and Ethical Standards in Mediation, Fla. Law Rev., Vol. 41, 1989, 253, 278.

4 *Cooks L. M., Hale C. L.,* The Construction of Ethics in Mediation, Mediation Quarterly, 12(1), 1994, 55-76, 66.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიერ დადგენილი მოთხოვნა, სასამართლო მედიაციის ორ სავალდებულო სესიაში მხარეთა მონაწილეობის შესახებ, მხარეთა ინფორმირებული თანხმობის უზრუნველყოფას ემსახურება. სწორედ ამ შემთხვევაში მედიატორს აქვს შესაძლებლობას, განუმარტოს მხარეებს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საკითხები, მანამ სანამ ისინი მედიაციაში მონაწილეობის შესახებ თანხმობას ან უარს განაცხადებდნენ.

მედიაციის პროცესის დაწყებამდე მხარეთა ინფორმირების ვალდებულება ასევე მიზნად ისახავს მედიაციის პროცესში მხარეთა სრულფასოვანი მონაწილეობის უზრუნველყოფას, მედიაციის უსაფრთხო პროცესად აღქმისა და მის მიმართ ნდობის გაძლიერებას, დაცულობისა და სამართლებრივი სტაბილურობის შეგრძნების მინიჭებას მედიაციის მონაწილეებისთვის.

თუ მედიატორი ჩართულია მედიაციის შესახებ შეთანხმების მიღწევის პროცესში, რომლითაც მხარეები თანხმდებიან მედიაციის პროცესის გამოყენებაზე, მაშინ მედიატორს წარმოეშობა მხარეთა ინფორმირების მოვალეობა თვით მედიაციის პროცესის დაწყებამდეც, კერძოდ მედიაციის შესახებ შეთანხმების გაფორმებამდე (ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილი).

ამასთან, მედიატორს მხარეთა ინფორმირების ვალდებულება ეკისრება არა მხოლოდ პროცესის დაწყებამდე, არამედ ასევე მისი მიმდინარეობისას. ინფორმირებაში მოიაზრება მხარეთა სათანადო ინფორმაციით აღჭურვა ცალკეულ პროცესუალურ საკითხებზე მხარეთა მიერ მოლაპარაკებაში სრულფასოვანი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

ინფორმირების ვალდებულება არსებობს მაშინაც, როდესაც მხარეები პროცესში იურიდიული წარმომადგენლების თანხლებით მონაწილეობენ. იურისტი წარმომადგენლების მიერ მედიაციის შესახებ კანონმდებლობის ცოდნა არ გამორიცხავს მედიატორის ინფორმირების აუცილებლობას მხარეთა წინაშე, რადგან პროცესის წარმმართველი პირი თავად უნდა იყოს პროცესუალური უსაფრთხოების გარანტი და მედიაციის უპირატესობების შესახებ ინფორმირების წყარო.

2. მხარეთა ინფორმირების სტანდარტის შინაარსი

2.1. ინფორმირება ნებაყოფლობითობისა და თვითგამორკვევის პრინციპთა შესახებ

მედიატორის მიერ მხარეებს უნდა განემარტოთ, რომ მხარეთა თვითგამორკვევის უფლება შემოიფარგლება არა მხოლოდ მედიაციის დასასრულს მხარეთა მიერ გადაწყვეტილების მიღების თავისუფლებით, არამედ ვრცელდება მედიაციის პროცესის მოსამზადებელ სტადიაზე და შემდგომ პროცესის ყველა ეტაპზე.[5]

ნებაყოფლობითობის პრინციპი მოიცავს მედიატორის არჩევის/აცილების უფლებას, მედიაციის პრინციპების დაცვით პროცესუალური წესების განსაზღვრის უფლებამოსილებას, კანონიერების ფარგლებში ნებისმიერ საკითხზე შეთანხმების შესაძლებლობას, მათ შორის სასარჩელო მოთხოვნების მიღმა, სრული და ნაწილობრივი შეთანხმების უფლებას. ასევე, ნებაყოფლობითობა მოიაზრებს სამედიაციო მორიგების ხელმოწერამდე მედიაციაში წარდგენილი შეთავაზებების არამბოჭავ ხასიათს, მედიაციის, მათ შორის, სავალდებულო სასამართლო მედიაციის ნებისმიერ ეტაპზე ცალმხრივი შეწყვეტის უფლებამოსილებას (2 სავალდებულო სესიაში მონაწილეობის ვალდებულების განხორციელების შემდეგ) მედიატორის მიმართ წინასწარი შეტყობინების დაცვით და სასამართლოსადმი მიმართვის უფლების შეუზღუდაობას.

მედიატორის განმარტებით, მორიგება როგორც მხარეთა ინდივიდუალური სამართლიანობის მდგენელი აქტი, მხოლოდ და მხოლოდ მხარეების ნებისგან მომდინარეობს, ასახავს მათთვის უპირატეს ღირებულებებს და, შესაბამისად, მათი პიროვნულობისა და თვითიდენტობის გამომხატველია.[6] მხარეებისთვის არსებითია აცნობიერებდნენ, რომ მედიაცია ემყარება მათი საუკეთესო ინტერესების თვითგამორკვევის საფუძველზე ავტონომიური გადაწყვეტილების

---

5 *Alfini J.J., Press Sh. B., Stulberg J.B.,* Mediation, Theory and Practice, Reporter's Notes, 3rd ed., LexisNexis, 2013, 617, 619.

6 *Waldman E.,* Mediation Ethics, Cases and Commentaries, Jossey-Bass A Wiley Imprint, San Francisco, 2010, 4.

პრინციპის აღიარებას და მესამე პირის, მათ შორის, მედიატორის მხრიდან ამ უფლებამოსილებაში ჩაურევლობის ფუნდამენტს.

2.2. ინფორმირება თანასწორობის, მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის პრინციპების თაობაზე

მხარეთა თანასწორობის საფუძველზე პროცესის წარმართვა მედიატორის როგორც კანონისმიერი, ისე ეთიკური ვალდებულებაა (კანონის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტი, ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილი). მედიაციის, როგორც უსაფრთხო და სამართლიანი პროცესის, მიმართ ნდობის გაძლიერებისთვის არსებითია, მხარეები ინფორმირებული იყვნენ მედიაციაში მოქმედი თანასწორობის ფუნდამენტის შესახებ. მედიატორმა უნდა განუმარტოს მხარეებს, რომ მედიაციის პროცესში უზრუნველყოფილი იქნება მათი თანაბარი წვდომა პროცედურულ შესაძლებლობებზე, მხარეებს ექნებათ თანაბარი დრო მოლაპარაკებაში მონაწილეობისა და თვითგამოხატვისთვის. მედიატორის განმარტების საფუძველზე იგი უნდა აღიქმებოდეს როგორც პროცედურულ სამართლიანობაზე ერთპიროვნულად პასუხისმგებელი ნეიტრალური პირი.

მედიატორის განმარტებით თანასწორობის პრინციპი იმთავითვე ავალდებულებს მედიატორს თითოეული მხარის მიმართ მედიატორის მოვალეობების ნეიტრალუარად და მიუკერძოებლად განხორციელებას, რომელიმე, თუნდაც ყველა მხარისთვის პროფესიული/სამართლებრივი რჩევის (კონსულტაციის) გაუცემლობას. სწორედ მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვის უზრუნველსაყოფად მედიატორი არ განსჯის მტყუან-მართალს და არ მიანიჭებს რომელიმე მხარეს რაიმე პრივილეგიას მათი კეთილსინდისიერებისა თუ სამართლებრივ-მორალური უპირატესობის გათვალისწინებით.

ნეიტრალურობისა და დამოუკიდებლობის პრინციპის უზრუნველსაყოფად მედიატორმა მედიაციის პროცესის მოსამზადებელ სტადიაზე სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი თითოეულ მხარესთან და არ დათანხმდეს მედიაციის პროცესში ჩართვას რეალური თუ პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის არსებობისას (კანონის მე-6 მუხლი).

2.3. ინფორმირება კონფიდენციალურობისა და მისი მოქმედების ფარგლების შესახებ

ა) მხარეები

ინფორმირების ვალდებულება მიემართება მედიაციის ყველა პრინციპს, თუმცა კონფიდენციალურობისა და მისგან კანონით დადგენილი გამონაკლისების თაობაზე ინფორმირების მოთხოვნა განსახილველი ნორმის ცალკე დანაწესით არის განმტკიცებული. მნიშვნელოვანია, რომ კონფიდენციალურობის პრინციპიდან არაერთი გამონაკლისისა და საკითხის სამართლებრივი ბუნების მიუხედავად, მედიატორს ეკისრება მოვალეობა, მხარეებს შეძლებისდაგვარად გასაგებად და სისრულით განუმარტოს აღნიშნული საკითხი.

როგორც საქართველოს, ისე ევროკავშირის ქვეყნებისა თუ აშშ-ის მართლწესრიგში დადგენილია[7] აღნიშნული პრინციპის შესახებ მედიაციის პროცესის დაწყებამდე მხარეთა ინფორმირების მედიატორისეული ვალდებულება.

რადგან მედიაციის შეთანხმება მიიღწევა კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვით, დახურულ კარს მიღმა, ბუნებრივია, იზრდება საჯარო ინტერესის ხელყოფის ალბათობა.[8] სწორედ ამიტომ კონფიდენციალურობა აბსოლუტური ვალდებულება არ არის[9] და ის კანონით დადგენილ გამონაკლისებს ექვემდებარება ლეგიტიმური მიზნისა და მართლზომიერი ინტერესის დასაცავად (სიცოცხლე, ჯანმრთელობა, მართლსაწინააღმდეგო ქმედების/ზიანის პრევენცია,

---

7 *Nadja M.A.,* International and Comparative Mediation, Legal Perspectives, Kluwer Law International, 2009, 288. იხ. ასევე, *Rufenacht M.D.,* Concern over Confidentiality in Mediation - An in-Depth Look at the Protection Provided by the Proposed Uniform Mediation Act, Journal of Dispute Resolution, Vol. 2000, Issue 1, 115; კონფიდენციალურობის შეთანხმების სავალდებულოობის შესახებ იხ. ასევე, Patent Mediation Guide, Federal Judicial Center, lulu.com publisher, 2020, 7.

8 *Zekoll J., Bälz M., Amelung I. (eds.),* Formalisation and Flexibilisation in Dispute Resolution, Brill Nijhoff, Lei-den/Boston, 2014, 65-66.

9 *Atlihan M.E.,* A New Suggestion on the American Experience of the Limits of Mediation Confidentiality, Law and Justice Review, Issue 23, 2022, 47.

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის დაცვა[10]).[11] მედიაციის დაწყებამდე კონფიდენციალურობის ფარგლების შესახებ ინფორმირების ვალდებულება გულისხმობს როგორც საერთო, ისე ინდივიდუალური შეხვედრების კონფიდენციალურობის სტანდარტის განმარტებას[12] და ასევე, კონფიდენციალურობიდან კანონით[13] დადგენილი გამონაკლისების შესახებ ინფორმირებას. აღნიშნული მოთხოვნა ემსახურება მხარეთა უსაფრთხოებისა და წინდაწინ ჯეროვანი პროცესუალური ინფორმირების მიზანს.

მედიაციის პროცესის დაწყებამდე (გახსნით ფაზაში) კონფიდენციალურობის ზოგადი წესისა და გამონაკლისების შესახებ სრულყოფილი ინფორმირება გულისხმობს იმასაც, რომ თუ მედიაციის მიმდინარეობისას გამოვლინდება პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლების ან/და არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების მიმართ რეალური საფრთხე და შესაბამისი დაცვის საჭიროება, მედიატორს შეიძლება აღარ მოეთხოვოს მხარეთა მეორეული ინფორმირების ვალდებულება მოსალოდნელი გამჟღავნების თაობაზე და უპირობოდ ამოქმედდეს სათანადო ორგანოების და უწყებების მიმართ შეტყობინების კანონისმიერი ვალდებულება. კონფიდენციალურობის შესახებ წინმსწრები (მედიაციის დაწყების ეტაპზე) ინფორმირების აუცილებლობა იმითაც მყარდება, რომ მედიატორის მიერ ინფორმაციის მოსალოდნელი გამჟღავნების შესახებ მხარეთა მეორეულმა

---

10 *Roberts M.,* Mediation in Famili Disputes, Principles of Practice, 4th ed., Ashgate, 2014, 219.

11 *Alexsander N., Chong S., Giorgadze V.,* The Singapore Convention on Mediation, A Commentary, Wolters Kluwer BV, The Netherlands, 2022, 5.98.

12 იქვე, მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი. ინდივიდუალური შეხვედრების კონფიდენციალურობის სტანდარტი გულისხმობს 'in-confidence Approach' (კონფიდენციალური მიდგომა) (განსხვავებით ,,ღია კომუნიკაციის მიდგომა" - Open Communication Approach) რაც გულისხმობს რომ ინდივიდუალური სესია სრულად კონფიდენციალურია, თუ მეორე მხარისთვის გადასაცემ გამონაკლისებზე გამოკვეთილად არ მიუთითებს მხარე მედიატორს. იხ. *Titi C., Gómez K.F.,* Mediation in International Commercial and Investment Disputes, Oxford University Press, 2019, 330.

13 კანონის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტი.

(გამჟღავნების წინ) ინფორმირებამ შეიძლება დააბრკოლოს და საერთოდ განუხორციელებელი გახადოს გადასარჩენი სიკეთის (მაგ. სიცოცხლე, ჯანმრთელობა თავისუფლება, არასრულწლოვნის ინტერესი) დაცვის მიზანი.[14]

მედიატორის მიმართ ნდობა და გახსნილი კომუნიკაცია მხარის ჯეროვანი თვითგამორკვევისა და საუკეთესო ინტერესის თვითგანსაზღვრის აუცილებელი წინაპირობაა. ამიტომ მედიატორმა ასევე უნდა განუმარტოს მხარეს ინდივიდუალური შეხვედრის კონფიდენციალურობის სტანდარტი ყოველი ინდივიდუალური შეხვედრის დასაწყისში,[15] მოიპოვოს ნებართვაა მედიატორის მიერ წერილობით ჩანიშვნებზე ინფორმაციის სიზუსტისთვის და ახსნას მხარის სრული ავტონომია მეორე მხარისთვის გადასაცემის ინფორმაციის ფარგლების განსაზღვრისას.[16]

მედიაციის ფარგლებში მხარეთა მიერ მოპოვებული კონფიდენციალური ინფორმაცია არ შეიძლება იქნეს მტკიცებულებად გამოყენებული კონფიდენციალური ინფორმაციის გამცემი მხარის წინააღმდეგ[17] სასამართლო თუ სხვა (საარბიტრაჟო, დისციპლინურ[18]) სამართალწარმოებაში.

მტკიცებულებად გამოყენების დაუშვებლობის წესის მედიაციის უპირატესობად განმარტებისას, მნიშვნელოვანია მედიაციის პრო-

---

14 ბავშვის გატაცების საფრთხე საოჯახო დავაში, ბავშვის ან ოჯახის წევრის მიმართ მოსალოდნელი ძალადობის აღმოჩენა და სხვ.

15 *Stitt A.,* Mediation: A Practical Guide, Routledge-Cavendish; 1st edition, Routledge-Cavendish, 2004, 1-166.

16 იხ. ასევე, *Collins P., Demeter D., Douglas S.,* Dispute Management, Cambridge University Press, 2021, 200.

17 *საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104 მუხლის 1^1 და 1^2 ნაწილები და კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი.*

18 *სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ,,მედიატორთა დისციპლინური საქმისწარმოების დებულება" 24/04/2021, მუხლი 13.1.5.* იხ. *Jasper M.C.,* You've Been Fired: Your Rights and Remedies, Oceana Publications, 2005, 46; *Butler V.F.,* Mediation: Essentials and Expectations, Dorrance Publishing Co., Inc., 2004, 6; Patent Mediation Guide, Federal Judicial Center, lulu.-com publisher, 2020, 7.

ცესის მონაწილეთა სწორი გაცნობიერება ინფორმაციის კონფიდენციალურად კვალიფიკაციის საკითხში. კერძოდ, ინფორმაციის კონფიდენციალურად მიჩნევისთვის არსებითია, რომ მედიაციის პროცესი წარმოადგენდეს ინფორმაციის წყაროს და თუ არა მედიაცია, მხარე აღნიშნულ ინფორმაციას ვერ მოიპოვებდა.

ასევე, მხარეები უნდა იყვნენ ინფორმირებულნი კონფიდენციალურობის თაობაზე დამოუკიდებელი შეთანხმების გაფორმების შესაძლებლობის შესახებ, რომლითაც მათ შეიძლება განსაზღვრონ კონფიდენციალური ინფორმაციის შინაარსობრივი ფარგლები სასამართლოში მტკიცების ტვირთის გაადვილებისთვის და პასუხისმგებლობა – მისი დარღვევისთვის. ამასთან, მხარეები უნდა იყვნენ ინფორმირებულნი, რომ მედიაცია ვერ იქნება გამოყენებული იმ მიზნით, რომ მათ საჯარო სივრცეში არსებული ინფორმაცია კონფიდენციალურად აქციონ ურთიერთშეთანხმებით ამ ინფორმაციის დაუშვებელ მტკიცებულებად ქცევის მიზნით“.[19] „თუ მტკიცებულების მოპოვება მედიაციის სივრცის მიღმა, სხვა წყაროდან არის შესაძლებელი, მაშინ აღნიშნული მტკიცებულება ვერ ისარგებლებს კონფიდენციალურობისა და დაუშვებელ მტკიცებულებად კვალიფიკაციის პრივილეგიით“.[20]

ბ) მესამე პირები

კონფიდენციალურობის ვალდებულება მრავალშრიანია და მიემართება როგორც პროცესის მიღმა მესამე პირებს (გარე კონფიდენციალურობა), ისე თავად პროცესის მონაწილეებს (შიდა კონფიდენციალურობა)[21] და ბოჭავს პროცესის ყველა მონაწილეს.[22] მისი

---

19 *Hopt K.J., Steffek F.,* Mediation – Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, 2013, 50.

20 *Feehily R.,* International Commercial Mediation, Law and Regulation in Comparative Context, Cambridge University Press, 2022, 281.

21 *Titi C., Gómez K.F.,* Mediation in International Commercial and Investment Disputes, Oxford University Press, 2019, 330; *Kiser R.,* Professional Judgement for Lawyers, Edward Elgar Publishing, 2023, 209-210.

დაცვის ვალდებულების შესახებ ინფორმირება ასევე უნდა განხორციელდეს მედიაციაში მონაწილე მესამე პირების მიმართ. იურიდიულ დოქტრინასა და პრაქტიკაში აღიარებულია, რომ მედიაციის პროცესის მრავალრიცხოვანი მონაწილეების არსებობისას კიდევ უფრო რთულდება და შეიძლება მიუღწეველიც გახდეს კონფიდენციალურობის შენარჩუნება.[23] მიუხედავად ამისა, მედიატორმა მხარეთა საჭიროებების გათვალისწინებით მაინც უნდა უზრუნველყოს პროცესუალური გარანტიები კონფიდენციალურობის დაცვისთვის.

როდესაც მხარე ინიცირებს ოჯახის წევრის ან სხვა მესამე პირის ჩართვას საერთო/ინდივიდუალურ შეხვედრაზე, მედიატორმა მესამე პირს უნდა განუმარტოს კონფიდენციალურობის ვალდებულების შინაარსი და ფარგლები. ასევე, თუ მხარეებს დადებული აქვთ (ან აპირებენ) კონფიდენციალურობის შესახებ დამოუკიდებელი შეთანხმება მისი დარღვევისათვის პირგასამტეხლოს განსაზღვრით, მესამე პირმა უნდა გააცნობიეროს, რომ მასაც მოუწევს შეუერთდეს ხელმოწერით კონფიდენციალურობის დარღვევისთვის განსაზღვრულ სანქციებს.

მესამე პირის მიერ მედიაციის ინდივიდუალურ სესიაში მონაწილეობისას, არსებითია ისიც, რომ მედიატორმა მკაფიოდ უნდა დააზუსტოს, ნებადართულია ინფორმაციის გადაცემა მხოლოდ მეორე მხარისთვის თუ დაიშვება მისი გაზიარება ასევე მხარის მოწვევით პროცესში ჩართულ მესამე პირთან. ამდენად, მესამე პირების მონაწილეობა პროცესში მედიატორის მხრიდან კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვს.

---

22 *Hardy S., Rundle O.,* Mediation for Lawyers, CCH Wolters Kluwer Business, 2010, 481; *ჩიტაშვილი ნ.,* მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, სამართლის ჟურნალი, 2016 #1, 39-47.

23 *Collins P., Demeter D., Douglas S.,* Dispute Management, Cambridge University Press, 2021, 249.

2.4. ინფორმირება კეთილსინდისიერების პრინციპის შესახებ

კეთილსინდისიერება, როგორც უნივერსალური კერძოსამართლებრივი პრინციპი, მედიაციაშიც ეფუძნება კერძო ავტონომიას და ბოჭავს მედიაციის ყველა მონაწილეს. ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მედიატორი ხელს უწყობს მხარეთა თვითგამორკვევას, პროცესის ჯეროვნად და კეთილსინდისიერად წარმართვით. მედიატორის მოვალეობაა, მაღალი ეთიკური სტანდარტების შესაბამისად წარმართოს მედიაცია, რომელიც გააღვივებს მედიაციის პროცესისადმი რწმენას და დანერგავს ნდობას ამ ნეიტრალური მესამე პირების კომპეტენციისა და კეთილსინდისიერების მიმართ.

მედიატორმა ასევე მხარეებს უნდა განუმარტოს, რომ მედიაციის პროცესში კეთილსინდისიერების მოთხოვნა გულისხმობს მათი მხრიდან არა შეთანხმების მიღწევის სავალდებულოობას, არამედ მედიაციის (მათ შორის საინფორმაციო) სესიებში მონაწილეობას,[24] მოლაპარაკების კეთილსინდისიერი,[25] გონივრული ხელშეწყობის მოვალეობას,[26] მედიაციის პროცესში გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე პირის ჩართვის უზრუნველყოფას. ამას-

---

[24] იხ. მაგალითად, საბერძნეთის მედიაციის შესახებ კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი.

[25] კეთილსინდისიერი მოლაპარაკების პრინციპის დარღვევისათვის სასამართლო სანქციები გათვალისწინებულია მაგალითად იტალიისა და პოლონეთის კანონმდებლობაში: Article 8 (5) of Decree 28/2010 of Italy, Code of Civil Procedure Article 116 (2); Civil Procedure Code of Poland, 2005, Art. 103 (1) (2). მედიატორს ეკისრება სასამართლოსთვის შეტყობინების ვალდებულება მხარის მიერ კეთილსინდისიერი მოლაპარაკების ვალდებულების დარღვევის შესახებ. *Trevor M.B., Palo G.,* EU Mediation Law and Practice, Oxford University Press, 2012, 194. მედიაციის პროცესში კეთილსინდისიერი მოლაპარაკების მოთხოვნა ასევე დადგენილია ლატვიის და ლიეტუვას კანონმდებლობაში იხ. Mediation Act of Latvia, Art. 11, 18 June, 2014; Republic of Lithuania, Law on Mediation, 15 July 2008.

[26] Head 6 (3) b of Draft Bill of Ireland, Civil Liability and Courts Act 2004 of Ireland, Art. 15. ასევე *Trevor M.B., Palo G.,* EU Mediation Law and Practice, Oxford University Press, 2012, 181-182.

თან, კეთილსინდისიერების მოთხოვნა მოიაზრებს მხარეების მიერ შეთანხმებისთვის საჭირო ობიექტური მონაცემების წარდგენას, საერთო ინტერესების შესატყვისი შეთავაზებების დამუშავების მზაობას, აქტიურ თანამშრომლობას[27] და ურთიერთხელშეწყობას ყველა მხარის საჭიროებების გამოკვლევისა და განხორციელებისთვის.[28] იურიდიული წარმომადგენლებისთვის კეთილსინდისიერების მოთხოვნა გულისხმობს საქმის ობიექტური სამართლებრივი ანალიზის ხელშეწყობას მოლაპარაკების არეალის გამოკვეთისა და მხარეთა მიერ ინფორმირებული, სამართლებრივ რისკებთან შეწონილი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, დავის სასამართლოში განხილვის სამართლებრივი რისკების შეფასებას თანამშრომლობით ფორმატში და კლიენტის არა მხოლოდ სამართლებრივი, არამედ ყველა სახის ფსიქოემოციური და პერსონალური ინტერესების განხორციელების მხარდაჭერას.

2.5. ინფორმირება მედიაციის შედეგებისა და აღსრულების წესის თაობაზე

მხარეთა სამართლებრივი **უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გარანტი** სამედიაციო მორიგების აღსრულების შესაძლებლობაა, რომელიც განიხილება მხარეთა მიერ მედიაციის პროცესის გამოყენების ერთ-ერთ უმთავრეს მამოტივირებელ ფაქტორად. მედიაციის პროცესის დასაწყისში მხარეები მკაფიოდ უნდა იყვნენ ინფორმირებულნი, რომ მათ აქვთ არჩევანი სამედიაციო მორიგებაში *წერილობით გაითვალისწინონ* აღსრულების პირობა, რომლის ძალით ერთ-ერთი მხარის მიერ სამედიაციო მორიგების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს წარმოეშობა უფლება, მოითხოვოს სამედიაციო მორიგების აღსრულება კანონის მე-13 მუხლისა და სამო-

---

27 *Trevor M.B., Palo G.,* EU Mediation Law and Practice, Oxford University Press, 2012, 122.

28 საკითხთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ. *Alfini, J. J., McCabe C.,* Mediating in the Shadow of the Courts: A Survey of the Emerging Case Law, Arkansas Law Review, Vol. 54, No. 2, 2001, 171-207.

ქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული (363[31]-363[33] მუხლები) წესით. აღსრულების პირობის შეთანხმების გარეშე სამედიაციო მორიგება განიხილება კერძოსამართლებრივ ხელშეკრულებად, რომლის დარღვევის შემთხვევაში მხარეს შეეძლება გამოიყენოს მხოლოდ სახელშეკრულებო ინტერესის დაცვის სამართლებრივი მექანიზმები, რაც იწვევს მხარეთა მიერ ხელშეკრულების დარღვევის საფუძვლით ახალი სასამართლო დავის ინიცირებას.

აღსრულების პირობის მორიგების აქტში გათვალისწინება მედიაციის პროცესის მონაწილეთა თანხმობაზეა დამოკიდებული. ამიტომ მხარეებმა შეიძლება მოისურვონ, რომ მედიაციის პროცესის დაწყებამდე წინასწარ მიაღწიონ შეთანხმებას იმის თაობაზე, რომ თუ მათ შორის ნებაყოფლობითობის პრინციპის დაცვით სამედიაციო მორიგება შ იქნა, ის წინმსწრები წერილობითი, მბოჭავი დათქმით აღსრულებადი იქნება. აღნიშნული უფლების შესახებ მხარეთა ინფორმირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კერძო მედიაციის დასაწყისში, სადაც მხარეები მედიატორისთვის მომსახურების ჰონორარს ანაზღაურებენ. თუ კერძო მედიაციის დასრულების შემდგომ მხარეები ვერ შეთანხმდებიან სამედიაციო მორიგების აღსრულებაზე, აღნიშნულმა შეიძლება შეუძლებელი გახადოს აღსრულების პირობის გარეშე სამედიაციო მორიგების დადებაც. იმისათვის, რომ დაიზოგოს მხარეთა ფინანსური და დროითი რესურსები, მხარეები მედიატორისგან წინასწარ უნდა იყვნენ ინფორმირებულნი, რომ მათ აქვთ აღსრულების პირობის მედიაციის დასაწყისშივე შეთანხმების შესაძლებლობა, რომელიც მათ დააზღვევს სამედიაციო პროცესის დასრულების ეტაპზე აღსრულების საკითხზე შეუთანხმებლობისგან.

2.6. ინფორმირება მედიატორის საქმიანობის ანაზღაურების წესის შესახებ

საქართველოში სავალდებულო სასამართლო მედიაციის ფარგლებში მედიატორის საქმიანობა ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რომლის თაობაზეც მხარეები წინდაწინ უნდა იყვნენ ინ-

ფორმირებულნი. ასევე, კერძო მედიაციის პროცესში ინფორმირებული მონაწილეობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ელემენტია მხარეთა წინასწარი შეთანხმება მედიატორის მომსახურების ანაზღაურების წესსა და პირობებზე, რაც სამედიაციო ხარჯების განჭვრეტადობის მოთხოვნიდან გამომდინარეობას. ამდენად, კერძო მედიაციის თაობაზე შეთანხმების ერთ-ერთი არსებითი და ნამდვილობის პირობა სწორედ მედიატორის ანაზღაურების პირობებზე მხარეთა შეთანხმებაა. არაერთი ქვეყნის კანონმდებლობა და მოდელური ეთიკის კოდექსი საქართველოს პროფესიული ეთიკის კოდექსის მსგავსად, განამტკიცებს, რომ მედიაცია შეიძლება დაიწყოს მხოლოდ მხარეებისგან მედიატორის ანაზღაურების ტარიფსა და წესზე თანხმობის მოპოვების შემდეგ.[29]

III. მედიაციის პროცესუალური კონტროლის უფლებამოსილება (8 II-III)

მედიაციაში მხარეებსა და მედიატორს აქვთ პროცესუალური კონტროლის ,,საზიარო", ფარდობითი უფლებამოსილება.[30] ზოგადად, დავის გადაწყვეტის სახელმწიფოებრივი სისტემის დემოკრატიულობის ხარისხი იზომება ამა თუ იმ დავის გადაწყვეტის პროცესში მხარეთა თანასწორი და ფართო ჩართულობის ხარისხით, შინაარსობრივი და პროცესუალური კონტროლის შესაძლებლობის გაძლიერებით.[31]

---

29 საქართველოს მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსის პირველი მუხლის მე-7 პუნქტი. European Code of Conduct for Mediators, 2004, <https://www.centrale-fuer-mediation.de/media/zkm_2_2004_148_172.pdf>*Hopt K.J., Steffek F.,* Mediation: Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 268. იხ. ასევე, Supreme Court of Texas Ethical Standards for Mediators, 2011, Standard 3 - Mediation Costs.

30 *Riskin L.L.*, Mediation and Lawyers, 43 Ohio St. L.J. 29, 1982, 34, <https://core.ac.uk/download/pdf/159560852.pdf>.

31 Society of Professionals in Dispute Resolution, Ensuring Competence and Quality in Dispute Resolution Practice, in: Report #2 of the SPIDR Commission on Qualifications (1995).

მხარეები დავის გადაწყვეტის პროცესს მიიჩნევენ სამართლიანად, იმ შემთხვევაში, თუ პროცესუალური კონტროლის შესაძლებლობა თანაბრად ენიჭება მათ, როგორც სუბიექტებს, ვის ინტერესებზეც შედეგობრივად აისახება სამედიაციო მორიგება.[32] პროცესუალური კონტროლის შესაძლებლობა განაპირობებს მხარეთა მიერ პროცესში ნებაყოფლობითი მონაწილეობის მამოტივირებელ ფაქტორს.[33] აღნიშნული წარმოადგენს მედიაციაში მხარის ავტონომიისა და თვითგამორკვევის უფლების კრიტიკულ ასპექტს.[34] „მედიაციაში მხარეებს სრული ავტონომია აქვთ, რამდენადაც ისინი აკონტროლებენ პროცესის წესებსა და შედეგებს. მედიაცია ემყარება მხარეთა თვითგამორკვევის პრინციპს და ამ პროცესს ახასიათებენ, როგორც მართლმსაჯულებას ადამიანის სახით“.[35]

ნებაყოფლობითობის პრინციპიდან გამომდინარე, მხარეებს აქვთ პრივილეგია, თავად დაადგინონ მედიაციის წესები ნორმატიულ-ეთიკური პრინციპების დაურღვევლობის პირობით. მათ შეიძლება შეათანხმონ საერთო და ინდივიდუალური შეხვედრების რიგითობა, მოითხოვონ ინდივიდუალური სესიების გამართვა, სამედიაციო მორიგების აღსრულების პირობა, მედიაციის ხარჯების განაწილების წესი, აირჩიონ სამედიაციო სესიების ჩატარების სივრცე, მედიაციის პროცესში მესამე პირების (მაგალითად, ექსპერტის) მოწვევის პირობები და სხვა. თუმცა მედიატორს ეკისრება ჯეროვანი პროცესის წარმართვის ვალდებულება და ამდენად, ენიჭება პროცესუალური წესების ლეგიტიმურობისა და ეთიკურობის კონტროლის უფლებამოსილება. ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მედიატორი ხელს უწყობს მხარეთა თვითგამორკვევას, პროცესის ჯეროვნად და კეთილსინდისიერად წარმართვით. ამასთან, იგი უზრუნველყოფს

---

32 *E.A. Lind, Tyler T.R.*, The Social Psychology of Procedural Justice (Critical Issues in Social Justice), Springer, 1988, 29.

33 *Cole S.R.,* Managerial Litigants? The Overlooked Problem of Party Autonomy in Dispute Resolution, Hastings Law Journal, Vol.51, Issue 6, 2000, 1201.

34 *Brunet E., Craver C. B., Deason E.E.,* Alternative Dispute Resolution: The Advocate's Perspective, Cases and Materials, 3rd ed., LexisNexis, 2006, 200.

35 *Zalar A.,* Managing Judicial Change through Mediation — Part 1, ADR Bulletin ADR Bulletin, Vol. 6, Number 8, Article 3, 2-1-2004, 1.

ბალანსის დაცვას დავის ნებაყოფლობით გადაწყვეტასა და პროცესის ჯეროვნად წარმართვას შორის. თუ მხარეთა ინიცირებული წესი არღვევს მედიაციის რომელიმე ნორმატიულ ან ეთიკურ პრინციპს, მედიატორს ეკისრება პრივილეგია თავად დაადგინოს გამოსაყენებელი პროცესუალური წესი ან მხარეთა მიუღებლობის შემთხვევაში, შეწყვიტოს მედიაციის პროცესი. მაგალითად, თუ მედიაციის პროცესში მხარეები თანხმდებიან გააკეთონ მედიაციის ვიდეო ან აუდიო ჩანაწერი, აღნიშნული დააზარალებს პროცესის ეთიკურ მთლიანობას, პროცესის ხარისხს, რამეთუ შეუძლებლად აქცევს შეთანხმებისთვის სასარგებლო კონფიდენციალური ინფორმაციის ურთიერთგაზიარებას, დააბრკოლებს მხარეთა თვითგამორკვევას და გახსნილ, საიმედო კომუნიკაციას. გარდა ამისა, აღნიშნულ წესზე შეთანხმების პრეცედენტი, რომელიც სამედიაციო კომუნიკაციის მტკიცებულებად გამოყენებისთვის იქნება გამიზნული, დააზარალებს მედიაციის ინსტიტუტსა და მის მიმართ სანდოობას. ამავე პრინციპით, თუ მხარეები ინიცირებენ იმ მესამე პირების პროცესში მონაწილეობას, რომლებიც აბრკოლებენ კეთილსაიმედო მოლაპარაკებას და მხარეთა თვითგამორკვევის პრინციპს, მედიატორი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება სამედიაციო სესიები ჩაატაროს აღნიშნული მესამე პირების მონაწილეობის გარეშე.

ამდენად, მედიაცია ესწრაფვის, სწორედ მხარეს მიანიჭოს დავის შინაარსობრივ-პროცესუალური კონტროლის უფლება და ნაკლებად – მედიატორს, მხარის იურიდიულ წარმომადგენელს თუ სახელმწიფოს. მედიაცია ამკვიდრებს პრინციპს, რომ მხარეები წყვეტენ როგორ იქნება პროცესში მათი კონფლიქტი წარდგენილი, გაჟღერებული, განხილული და გადაწყვეტილი.[36]

მედიატორის მიერ პროცესუალური გადაწყვეტილებების მიღება მხარეთა თანხმობის პირობებში არსებითად უნდა იყოს მოტივირებული მათივე ინტერესებით და გამართლებული პროცესის ლეგიტიმურ-ეთიკური მიზნებით.

---

[36] *Waldman E.,* Mediation Ethics, Cases and Commentaries, Jossey-Bass A Wiley Imprint, San Francisco, 2010, 3-4.

IV. მედიაციის ვადა (8 IV)

მედიაციის პროცესის ვადა განისაზღვრება მხარეთა ნების საფუძველზე, გარდა სასამართლო მედიაციის შემთხვევისა, სადაც პროცესის ვადა სამოქალაქო საპროცესო კოდექსითაა განსაზღვრული. მედიატორის მიერ პროცესის ჯეროვნად და ეფექტიანად წარმართვის ვალდებულება გულისხმობს მედიაციის სესიების დროულად დაგეგმვას და მხარეთათვის სრულფასოვანი თვითგამორკვევისა და ინფორმირებული შეთანხმებისთვის საკმარისი დროის მინიჭებას.

მედიაციისთვის განსაზღვრული ვადა არ შეიძლება რომელიმე მხარემ გამოიყენოს პროცესის გაჭიანურებისა თუ მეორე მხარეზე უსამართლო უპირატესობის მოსაპოვებლად (მაგალითად, მედიაციისთვის განკუთვნილ დროში მოიპოვოს მტკიცებულებები, არა შეთანხმების გაადვილების, არამედ მხოლოოდენ სასამართლოში საქმისწარმოების გაგრძელების მიზნით). მოცემულ შემთხვევაში მხარის ნებაყოფლობითობის პრინციპთან შედარებით უპირატესობა ენიჭება მედიატორის მოვალეობას, წარმართოს პროცესი ჯეროვნად და ეფექტიანად. ეთიკის კოდექსის პირველი მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, დანიშვნამდე მედიატორი უნდა დარწმუნდეს, რომ მას აქვს კონკრეტულ საქმეზე მედიაციის წარმართვისთვის საჭირო კვალიფიკაცია და დრო. ამისთვის მან უნდა მიიღოს ინფორმაცია დავის არსის შესახებ ან/და ორივე მხარესთან გასაუბრებით დაადგინოს, თუ რა ვადებში მოიაზრებენ ისინი მედიაციის დასრულებას.

ა) კერძო მედიაცია

ნებაყოფლობითობის პრინციპის გათვალისწინებით, კერძო მედიაციის ვადა კანონმდებლობით შეზღუდული არ არის, თუმც კი მედიაციის გამოყენების საფუძვლით სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის შეჩერება შემოფარგლულია 2 წლის ხანგრძლივობით (მე-12 მუხლი). ამდენად, კერძო მედიაცია მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია ნებისმიერი გონივრული ხანგრძლივობით გაგრძელდეს დავის არსისა და მხარეთა

საჭიროებების გათვალისწინებით. კერძო მედიაციის პროცესის ხანგრძლივი ვადით ჩატარებისას შესაძლებელია პროცესში გაფორმდეს შუალედური შეთანხმებები, თუ მხარეებს სჭირდებათ გარკვეული დრო ობიექტური ინფორმაციის მოძიების (მაგალითად, ექსპერტული კვლევების ჩატარება) და მორიგების პირობებზე მოლაპარაკებისთვის.

მედიაციის შესახებ შეთანხმებაში მხარეებმა შეიძლება განსაზღვრონ კერძო მედიაციის ვადა, თუმცა პროცესი შესაძლებელია შეწყდეს აღნიშნული დროის ამოწურვამდე მხარის/მხარეთა ინიციატივით ან მედიატორის გადაწყვეტილებით. მედიაციის შესახებ შეთანხმებით მხარეებმა კერძო მედიაციაში შეიძლება განამტკიცონ რამდენიმე სესიაზე დასწრების ვალდებულება (დარღვევის შესაბამისი სანქციების განსაზღვრით), თუმცა სავალდებულო სესიების მიღმა მედიაციის პროცესის შეწყვეტის უფლებამოსილება მხარეთა შეუვალ უფლებად რჩება.

ბ) სასამართლო მედიაცია

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, სასამართლო მედიაციის ვადა შეადგენს 45 კალენდარულ დღეს. აღნიშნული ვადა მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გაგრძელდეს იმავე ვადით. მართალია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მედიაციის ვადის გაგრძელებას უკავშირებს მხარეთა შეთანხმებას, თუმცა თუ მედიატორი არაგონივრულად და გაუმართლებლად მიიჩნევს მედიაციის გაგრძელებას (კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის წინაპირობების არსებობისას), მან შეიძლება უარი განაცხადოს სამედიაციო პროცესის ვადის გახანგრძლივებაზე. სასამართლო სამედიაციო პრაქტიკის შესაბამისად, მხარეებს ეკისრებათ მოვალეობა წერილობით შეატყობინონ სასამართლოს მედიაციის პროცესის ვადის გაგრძელების თაობაზე. ვადა გაგრძელებულად ჩაითვლება სასამართლოს მიერ დამატებითი განჩინების გამოტანის გარეშე.

ცალკეულ შემთხვევაში, დავის კომპლექსურობის გათვალისწინებით, მედიაციის პროცესში შესაძლებელია აუცილებელი გახდეს

სხვადასხვა ექსპერტული კვლევის ჩატარება, ასევე ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასების მიზნით სოციალური მუშაკების ან ფსიქოლოგების პროცესში მონაწილეობა, რაც შესაძლებელია კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში ვერ იქნეს მიღწეული. ამდენად, სამედიაციო პრაქტიკაში ფართოს გავრცელდა პრაქტიკოსთა მოსაზრება საკანონმდებლო ცვლილების მიზანშეწონილობის შესახებ, რათა სასამართლო მედიაციის ვადა გაგრძელდეს მხარეთა მიერ შეთანხმებული ვადით. მოცემულ შემთხვევაში არაგონივრული ვადით მედიაციის გაგრძელებისა და საქმის განხილვის გაჭიანურების რისკს მედიატორი დააზღვევს არაგონივრული ვადით სასამართლო მედიაციის გაგრძელებაზე უარის გაცხადებით ან პროცესის შეწყვეტის უფლებამოსილების განხორციელებით.

V. მედიაციის პროცესში მხარის უშუალო მონაწილეობა (8 V)

მედიაციის პროცესის უზენაესი ღირებულება მხარეთა ავტონომიისა და თვითგამორკვევის ხელშეწყობაა. ნებაყოფლობითობა და ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება[37] კი თვითგამორკვევის უფლების საძირკველია.[38] მედიაციის კანონზომიერი ბუნება, იდეალურ შემთხვევაში, მხარეთა თვითგამორკვევის მიზნის გათვალისწინებით, მოლაპარაკების პროცესში მხარის უშუალო ჩართულობას და მის მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას მოითხოვს. მართალია მხარის უფლება, აწარმოოს მოლაპარაკებები მისი წარმომადგენლის მეშვეობით, კანონმდებლობით აღიარებულია, თუმცა ქართული სამართალი ევროკავშირის არაერთი წევრი ქვეყნის სამართლის მსგავსად, იცნობს მედიატორის პრივილეგიას, მოითხოვოს პროცესში მხარის უშუალო მონაწილეობა უთანხმოების არსის გათვალისწინებით. უფრო მეტიც,

---

37 *Irving H.H.,* Family Mediation, Theory and Practice with Chinese Families, Hong Kong University Press, Hong Kong, 2002, 94.

38 *Stulberg J.B.,* Mediation and Justice: What Standards Govern?, 6 Cardozo J. Conflict Resolution, 2005, 227-228.

ცალკეული კატეგორიის დავებზე არაერთ მართლწესრიგში დადგენილია უშუალოდ მხარეთა იმთავითვე სავალდებულო მონაწილეობა.[39]

ვინაიდან, კანონი ვრცელდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ სასამართლო მედიაციაზეც (კანონის მუხლი 1), მე-8 მუხლის მე-5 პუნქტი უნდა განიმარტოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187[6] მუხლთან ურთიერთკავშირში, რომელიც მხარეებს აკისრებს მედიაციის პროცესზე გამოცხადების ვალდებულებას მედიაციაში მონაწილეობის მიღების მიზნით. ამასთან, მხარეში იგულისხმება უშუალოდ მხარე და არა მისი წარმომადგენელი.[40] ამავე მუხლით გათვალისწინებულია სასამართლოს სანქციები მხარეთა გამოუცხადებლობისთვის. მოცემულ საკითხთან კავშირში აუცილებელია აღინიშნოს, რომ კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მედიატორის ინფორმირების ვალდებულება უნდა აღსრულდეს უშუალოდ *მხარეების* წინაშე: ,,მედიატორმა მხარეებს უნდა განუმარტოს... მათ შორის წარმომადგენლის მეშვეობით მედიაციის პროცესში მონაწილეობის უფლება...ნ. ნორმათა სისტემური ანალიზით ვლინდება, რომ მედიაციის საწყის ეტაპზე მედიატორს უნდა მიეცეს უშუალოდ მხარეებთან კომუნიკაციის შესაძლებლობა მედიაციის თაობაზე ინფორმირებული გადაწყვეტილების ხელშეწყობის მიზნით. მხარეს მედიატორის მხრიდან ინფორმირების შემდეგ, მართალია აქვს უფლება მედიაციის პროცესში ჩაერთოს მისი წარმომად-

---

39 მაგალითისთვის, საოჯახო მედიაციაში უშუალოდ მხარეების სავალდებულო მონაწილეობას ადგენს საფრანგეთის და მალტას კანონმდებლობა. Law of France no 2011-1862 of December 2011, Art. 15; Subsidiary Legislation 12.20 or Malta, Article 4, 16 December, 2023. საგულისხმოა საბერძნეთის მედიაციის შესახებ კანონის (Greece Law on Mediation 2010) მე-8 მუხლის პირველი პუნქტი, რომელმაც კანონის ძველ რედაქციასთან შედარებით სავალდებულო გახადა მხარის უშუალო მონაწილეობა მედიაციის პროცესში.

40 სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 79-ე, 93-ე 70-ე, 76-ე. მხოლოდ საარბიტრაჟო წარმოების მიზნებისთვის, მხარეში იგულისხმება მისი წარმომადგენელი - მუხლი 356[14.] მხარე. ასევე, მედიაციის შესახებ კანონის მე-3 მუხლი მედიაციის პროცესის დამოუკიდებელ მონაწილეებად განსაზღვრავს მხარესა და მის წარმომადგენელს.

გენლის მეშვეობით (8 I და V მუხლი), თუმცა უპირატესია მედიატორის უფლებამოსილება მხარეთა თვითგამორკვევის ხელშეწყობისთვის მოითხოვოს მხარის უშუალო მონაწილეობა პროცესში.

მიზეზი იმისა, რომ მხარეები შეიძლება ვერ შეთანხმდნენ სასამართლო დარბაზში, მაგრამ მოიძიონ შემოქმედებითი და სასურველი გამოსავალი მედიაციაში, სწორედ ისაა, რომ სასამართლოსგან განსხვავებით, მედიაციაში არსებობს მხარეთა საუკეთესო საერთო ინტერესების გამოკვლევის, მათი თვითგამორკვევის, გამოხატვის, გაგების, ემოციების რეგულირებისა და კონფლიქტის ამოწურვის შესაძლებლობა. სასამართლოს მოლოდინი მედიაციისთვის საქმის გადაცემისა ისაა, რომ პოზიციონირებული მოლაპარაკების ნაცვლად წარიმართოს მხარეთა რეალური ინტერესების გამოკვლევისა და კონფლიქტის ამოწურვის მეთოდოლოგიურ მიდგომაზე დაფუძნებული მოლაპარაკება მედიატორის დახმარებით.

მედიაციის პროცესში მედიატორის ძალისხმევა მიმართულია მხარეთა შორის კომუნიკაციის გაუმჯობესებისა და ეფექტიანი მოლაპარაკების წარმართვისკენ. ამ შემთხვევაში მედიაციის მიზანია, პოზიციების ნაცვლად, მხარეთა ინტერესებსა და საჭიროებებზე ორიენტირება.[41] მედიაციის ამოცანაა მხარეთა სრულფასოვანი ჩართულობა და აქტიური მოსმენის ტექნიკების გამოყენება საიმისოდ, რომ მოძიებულ იქნეს ისეთი შემოქმედებითი გამოსავალი, რაც ეხმიანება მოლაპარაკების მონაწილეთა როგორც სამართლებრივი, ისე არასამართლებრივი ხასიათის ინტერესებს.[42] მედიაცია აღიარებს მხარეთა ემოციის, ხედვის აღიარებისა და ვალიდაციის აუცილებლობას.[43] მედიაციის ქვაკუთხედია მხარეთა ორიენტირება ერთმანეთის პერსპექტი-

---

41 *Wolski B.,* An Ethical Evaluation Process for Mediators: A Preliminary Exploration of Factors Which Impact Ethical Decision-Making, Ethics in Alternative Dispute Resolution 35, No 1, 2017-2018, 70, შემდგომი მითითებით *Boulle L.,* Mediation: Principles, Process, Practice, 66 LexisNexis Butterworths, 3rd ed, 2011, 44.

42 *Titi C., Gómez K.G. (eds.),* Mediation in International Commercial and Investment Disputes, Oxford: Oxford University Press, 2019, 72.

43 *Boulle L.,* Mediation: Principles, Process, Practice, 66 LexisNexis Butterworths, 3rd ed, 2011, 63.

ვებზე,[44] მათი ხედვის ურთიერთაღიარების ხელშეწყობა და ავტონომიური გადაწყვეტილების მისაღებად მხარეთა გაძლიერება. მედიაციის ერთ-ერთი მიზანი კონფლიქტის ამოწურვა და მხარეთა ურთიერთობების გაჯანსაღებაა.[45] პროცესი მიმართულია მხარეთა უთანხმოების მიზეზების გამოკვლევაზე, მხარეთა აღიარებისა და ემოციური კმაყოფილების უზრუნველყოფაზე, რაც შედეგობრივად, უმრავლეს შემთხვევაში, განაპირობებს მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევას.[46] მხარეთა ურთიერთობების მიმართ ამგვარი თერაპიული მიდგომა ანიჭებს მხარეებს თვითპროდუქტიულობის შეგრძნებას და აძლიერებს მოლაპარაკების მონაწილეებს გადაწყვეტილების მიღების გზაზე. ამავე დროს, პროცესი მიმართულია მხარეთა შორის გახსნილობის უზრუნველყოფასა და ურთიერთ მიმღებლობის ჩამოყალიბებაზე.[47]

ამდენად, მაშინაც კი თუ მხარე პროცესში წარმომადგენლის, მათ შორის, იურიდიული წარმომადგენლის თანხლებითაა ჩაბმული, ის თავად უნდა აზიარებდეს საკუთარ პერსპექტივას, ხედვას მედიატორის მიერ უთანხმოების არსის, კონფლიქტის მიზეზის გამოკვლევის საპასუხოდ.[48] შესაბამისად, თვითგამორკვევის უფლების სუბიექტი, მისი სრულყოფილად განმახორციელებელი და კონფლიქტის ამოწურვაზე პასუხისმგებელი, შეიძლება იყოს უშუალოდ მხარე, რამეთუ თვითგამორკვევა მოიაზრებს არა მხოლოდ სამართლებრივი, არამედ მრავალმხრივი ინტერესების (უსაფრთხოების, სოციალური, აღიარე-

---

44 *Feehily R.,* International Commercial Mediation, Law and Regulation in Comparative Context, Cambridge: Cambridge University Press, 2022, 102.

45 *Tallodi T.,* How Parties Experience Mediation, An Interview Study on Relationship Changes in Workplace Mediation, Springer International Publishing, 2020, 21; Folger J., Bush R.A.B, Transformative Mediation, A self-assessment, International Journal of Conflict Engagement and Resolution 2, No.1, 2014, 20-34.

46 *Wolski B.,* An Ethical Evaluation Process for Mediators: A Preliminary Exploration of Factors Which Impact Ethical Decision-Making, Ethics in Alternative Dispute Resolution 35, No 1, 2017-2018, 70. შემდგომი მითითებით *Boulle L.*, Mediation: Principles, Process, Practice, 66 LexisNexis Butterworths, 3rd ed, 2011, 44.

47 *Folger J., Bush R.A.B,* The Promise of Mediation: Responding to Conflict Through Empowerment and Recognition (San Francisco: Jossey-Bass, 1994), 89-91.

48 *Rogers N., McEwen C.,* Mediation: Law, Policy, Practice, Clark Boardman Callaghan, 1994, §1.01, 1.

ბის, თვითრეალიზაციის) შეწონვითი ანალიზისა და საუკეთესო, მხარისათვის პრიორიტეტული ინტერესის თვითგანსაზღვრის პროცესს. თვითგამორკვევის პროცესი მისი ღრმა ფსიქოემოციური განზომილების გათვალისწინებით სრულყოფილად შესაძლებელია მხოლოდ მხარის მიერ ხორციელდებოდეს. საუკეთესო სამართლებრივი ინტერესების თვითგამორკვევის ხელშეწყობის მიზნით კი, გადამწყვეტია დამოუკიდებელი იურიდიული მრჩევლის კვალიფიციური სამართლებრივი კონსულტაცია მხარისთვის.

VI. მხარეთა თანასწორობა (8 VI)

მედიაციაში მხარეთა თანასწორობა გულისხმობს მათ თანაბარ წვდომას პროცესუალურ გარანტიებსა და შესაძლებლობებზე, რომელსაც მიუკერძოებლად უზრუნველყოფს მედიატორი პროცესში ჩართული თითოეული მხარისთვის. პროცედურული სამართლიანობა გულისხმობს პროცესში გამოყენებული მეთოდების, სტრატეგიებისა და პროცედურული გადაწყვეტილებების სამართლიანობას, თანაბრობას. კონფლიქტის მართვის მიმართ მეთოდოლოგიურად სამართლიანი მიდგომა, ე.წ. პროცედურული სამართლიანობა მყარ წინაპირობას ქმნის მხარეთა მიერ არსობრივად სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებისთვის და, ამდენად, დიდწილად განაპირობებს პროცესის სამართლიან შედეგსაც. თვითგამორკვევის თანაბარი პროცედურული შესაძლებლობის მინიჭება მხარეებისთვის აყალიბებს არსობრივად გაწონასწორებული, თანაზომიერი შეთანხმების მიღწევის პროცესუალურ წინაპირობას.

მედიაციაში სათანადო კომპეტენციის მქონე მედიატორის მიერ გარკვეულწილად შესაძლებელია მხარეთა ძალაუფლებრივი უთანასწორობის პროცედურული დაბალანსება, რათა მოლაპარაკება დაცულ იქნეს ფუნდამენტური პროცედურული უთანასწორობისა და არათანაზომიერი შესაძლებლობებისგან. თუ მხარეთა შორის ძალაუფლების თანაზომიერების პრინციპი ფუნდამენტურად შერყეულია და მედიატორი თანაბარი პროცედურული შესაძლებლობების მინიჭებით ვერ უზრუნველყოფს მხარეებისთვის

თვითგამორკვევის პრინციპის თანაბრად განხორციელების საშუალებას,[49] პროცესის გაგრძელება ფუნდამენტური ძალაუფლებრივი ასიმეტრიის პირობებში მის არსობრივ მიზანს შორდება. მოცემულ შემთხვევაში კანონმდებლის უმთავრესი მოთხოვნა მედიაციის პროცესის შეწყვეტაა მედიატორის ინიციატივით.[50]

VII. კომუნიკაციის ფორმატი მედიაციაში (8 VII)

მედიაცია შეიძლება წარიმართოს როგორც საერთო, ისე თითოეულ მხარესთან ინდივიდუალური შეხვედრის ფორმატში. თვითგამორკვევის ხელშეწყობის მიზნით მედიაციაში გამართლებულია კომუნიკაციის ნებისმიერი შრის გამოყენება. მაგალითად. მედიატორი მხარეთა თანხმობით უფლებამოსილია დამოუკიდებლად შეხვდეს მხარეებს, მათ იურიდიულ წარმომადგენლებს და მესამე პირებს.

საერთო შეხვედრის მიზანია, ხელი შეუწყოს მხარეთათვის გამოხატვისა და გაგების შესაძლებლობის მინიჭებას, მათ კონსოლიდაციას ურთიერთხელშემწყობი და თანამშრომლობითი მოლაპარაკების წარმართვის პროცესში, მედიაციის მონაწილეთა შორის ჯანსაღი კომუნიკაციის ჩამოყალიბებას. ასევე, ერთობლივ შეხვედრაზე ხდება კომუნიკაციის წესებსა და მედიაციის ფარგლებში განსახილველ საკითხებზე (მედიაციის დღის წესრიგზე) შეთანხმება, სამედიაციო მორიგების გაფორმების ეტაპზე მხარეთა ძალისხმევის გაერთიანება და სხვა.

კონფლიქტის სიღრმის გათვალისწინებით, თუ მხარეთა შორის საერთო შეხვედრა არ იქნება ურთიერთობებისა და პროცესისთვის დამაზიანებელი, მაშინ უპირატესია მედიაციის გახსნითი სესიის სწორედ საერთო ფორმატში დაგეგმვა, რომელიც მხარეთა და პროცესის საჭიროებების გათვალისწინებით შეიძლება გადაიზარდოს ინდივიდუალურ შეხვედრებში. მედიაციის ფორმატის დაგეგმვის დროს მედიატორმა მაქსიმალურად უნდა გაითვალისწინოს მხარეთა ნება--

---

49 *Figlia G.C., Kovačević L., Kristoffersson E.,* Gender Perspectives in Private Law, Belgrade, Springer, 2023, 228.

50 *Waldman E.,* Mediation Ethics, Cases and Commentaries, Jossey-Bass A Wiley Imprint, San Francisco, 2010, 87.

სურვილი და ემოციური მზაობა საერთო თუ ინდივიდუალურ შეხვედრაში მონაწილეობისთვის.

ინდივიდუალური შეხვედრის მიზანია უთანხმოების მიზეზების, მხარეთა საუკეთესო, რეალური ინტერესების გამოკვლევა, მხარისათვის კონფიდენციალური ინფორმაციის გაზიარებისთვის უსაფრთხო გარემოს შეთავაზება, მედიატორსა და მხარეს შორის ნდობის ფორმირება, „რეალობის შემოწმების" ტექნიკის გამოყენებით მხარეთა ინფორმირებული და რაციონალური თვითგამორკვევის ხელშეწყობა, პროცესში მონაწილე იურისტების როლის გამოყენება სამართლებრივი რისკების ობიექტური ანალიზისა და შეთანხმების არეალის გამოკვეთისთვის. ადრეული ეტაპის ინდივიდუალური შეხვედრების მეტწილად ეთმობა ინფორმაციის შეგროვებას და გამოკვლევის ფაზას, ხოლო გვიანი ეტაპის ინდივიდუალური შეხვედრები მეტწილად ორიენტირებულია შეთავაზებების გაცვლის (ვაჭრობის ფაზა) მიზანზე.

მედიატორის მოვალეობაა, უზრუნველყოს მხარეები თანაბარი რაოდენობისა და ხანგრძლივობის ინდივიდუალური შეხვედრებით, თუმცა თითოეული მხარის ნება-სურვილზე იქნება დამოკიდებული აღნიშნული პროცესუალური შესაძლებლობის თანაბრად გამოყენება. მნიშვნელოვანია, რომ თითოეული მხარე ინფორმირებული იყოს მეორე მხარესთან ინდივიდუალური სესიის ჩატარების ფაქტის თაობაზე, თუმცა კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებული წინაპირობების დაცვით.

საერთო და ინდივიდუალურ სესიას შეიძლება დაესწრონ მხარეთა მიერ მოწვეული მესამე პირები, რომლებზეც სრულად ვრცელდება კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის კანონისმიერი ვალდებულება. აღნიშნულ საკითხზე იხილეთ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის კომენტარი (თავი 2.3. (ბ)).

VIII. ობიექტური კონსულტაციის / მონაცემების მნიშვნელობა ინფორმირებული თანხმობის ხელშეწყობისთვის (8 VIII-IX)

მედიაციის არსობრივი მიზანი მხარეთათვის თავისუფალ ნებასა და თვითგამორკვევაზე დამყარებული, მათი ღირებულებების ამ-

სახველი არჩევანის მინიჭებაა. ამდენად, მედიაციის ეგზისტენციური საფუძველია მხარეთა შეთანხმება ღრმად გააზრებულ ღირებულებებს ემყარებოდეს და თავისუფალი იყოს ნების დამოუკიდებელი გამოვლენის შემაფერხებელი გარეშე ფაქტორებისგან.[51] მედიატორმა არ უნდა გაუზიაროს მხარეებს პირადი თუ პროფესიული მოსაზრება დარწმუნების, მათზე უკანონო ზემოქმედების მოხდენის, დავის თუ ცალკეული საკითხის გადაწყვეტის შესახებ მითითების მიცემის მიზნით.[52] მხარეებმა მხოლოდ მედიაციის პროცესის ძირითადი პრინციპების ცოდნის, არსებითად მნიშვნელოვანი გარემოებების გაცნობიერების,[53] მორიგების პირობების გააზრებისა[54] და ინფორმირებული თანხმობის[55] საფუძველზე შეიძლება მიიღონ არაიძულებითი,[56] გადაწყვეტილება მისი მოსალოდნელი შედეგების გაცნობიერებით[57] ან, სურვილის შემთხვევაში, ნებისმიერ დროს შეწყვიტონ მედიაცია.[58] მედიაცია უნდა წარიმართოს იმგვარად, რომ მასში

---

51 *Waldman E.,* Mediation Ethics, Cases and Commentaries, Jossey-Bass A Wiley Imprint, San Francisco, 2010, 96.

52 Florida Rules for Certified & Court-Appointed Mediators, May 1992, Effective August 2021, Florida Dispute Resolution Center Office of the State Courts Administrator Supreme Court Building.

53 German Mediation Act, 21 July, 2012, § 2 (6); Bulgaria Mediation Act, (promulgated 2004, amended 2011) Art. 13 (1); *Rützel S., Wegen G., Wilske S.,* Commercial Dispute Resolution in Germany, München, 2nd ed., C.H. Beck, 2016, 202.

54 Georgia Ethical Standards for Mediators, Georgia Commission on Dispute Resolution 2012, §IV. A; German Mediation Act, 21 July, 2012, § 2 (6); *Rützel S., Wegen G., Wilske S.,* Commercial Dispute Resolution in Germany, 2nd ed., C.H. Beck, München, 2016, 202.

55 Mediation Council of Illinois (MCI) Professional Standards of Practice for Mediators, 1999, § III. E.

56 Rules of Conduct for Mediators in Court-Connected Mediation Programs for General Civil Cases (California Rules of Court), 2007, Revised January 1, 2013, rule 3.857(b).

57 *Hopt K.J., Steffek F.,* Mediation: Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 74. Family Mediation Canada Members Code of Professional Conduct, Art. 9.5.

58 Shapira O., Conceptions and Perceptions of Fairness in Mediation, 54 *South* Tex. Law Rev., 2012, 285.

რომელიმე მხარის მონაწილეობა არ ემსახურებოდეს უსამართლო უპირატესობის მოპოვებას[59] და არ ემყარებოდეს მოლაპარაკების მანიპულაციურ და დამაშინებელ მეთოდებს[60]. ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, თავისი შესაძლებლობის ფარგლებში მედიატორმა არ უნდა დაუშვას მხარეთა გადაწყვეტილებაზე რაიმე სახის ზემოქმედება გარეშე პირებისა ან მედიაციის ცენტრებისგან სამედიაციო მორიგების მიღწევის, მომსახურების საფასურის გაზრდის ან სხვა მსგავსი მიზნით.

ინფორმირებული თანხმობის კონტექსტში მნიშვნელოვანია საკითხი, თუ მხარეებს არ აქვთ სათანადო ცოდნა მედიაციით განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, რამდენად უფლებამოსილია მედიატორი, მიაწოდოს მათ შესაბამისი სამართლებრივი, ფინანსური თუ ტექნიკური შინაარსის ინფორმაცია, ან მისცეს რჩევა?[61] ამ შემთხვევაში, ერთმანეთს უპირისპირდება მედიატორის მიუკერძოებლობის ვალდებულება[62] და, მხარეთათვის ინფორმირებული გადაწყვეტილების ხელშეწყობის მოვალეობა.[63]

საყურადღებოა, რომ საქართველოს მედიატორთა ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მხარეთა მოთხოვნის საფუძველზე შესაძლებელია მედიატორმა მისი ცოდნისა და კომპეტენციის ფარგლებში მიუკერძოებლობის პრინციპისა და პროფესიული ეთიკის დაცვით გასცეს შესაბამისი პროფესიული ინფორმაცია. ეთი-

---

59 Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation, § XI. A. 6; Folberg J., Milne A.L., Salem P., Divorce and Family Mediation, Models, Techniques and Applications, The Guilford Press, New York, London, 2004, 540; Waldman E., Mediation Ethics, Cases and Commentaries, Jossey-Bass, A Wiley Imprint, United States of America, 2011, 13.

60 Family Mediation Canada Members Code of Professional Conduct, Art. 9.4.

61 *Schepard A.,* An Introduction to the Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation, Fam. L. Q. a, Vol. 35, 2001, 14-15.

62 იხ. *Peppet S.R.,* ADR Ethics, J. LEgal Educ., Vol. 54, 2004, 77; Smithson J., Barlow A., Hunter R., Ewing J., The Moral Order in Family Mediation: Negotiating Competing Values, Conflict Resolution Quarterly, Vol. 35, No. 2, 2017, 174.

63 *ჩიტაშვილი ნ.,* მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, „სამართლის ჟურნალი“, #1, 2016, 31.

კის კომენტატორულ ლიტერატურაში განასხვავებენ მედიატორისთვის აკრძალულ რჩევას, რომელიც რომელიმე მხარეს უპირატეს მდგომარეობაში აყენებს და მედიატორის მიერ მონაწილეთათვის ზოგადი ხასიათის პროფესიული ინფორმაციის მიწოდებას, რომელიც არ არღვევს მხარეთა მიუკერძოებლობის პრინციპს. მაგალითად, ,,თუ განქორწინების დავაში ალიმენტის გადახდაზე მშობელი უარს აცხადებს იმ საფუძვლით, რომ განქორწინების მომთხოვნი მეორე მხარეა, მედიატორს აქვს უფლება გაუზიაროს მხარეებს, რომ განქორწინების ინიცირება არ არის სამართლებრივად მნიშვნელოვანი გარემოება, რის გამოც მოსამართლემ შეიძლება ალიმენტის გადახდის ვალდებულებისგან გაათავისუფლოს მშობელინ.[64] ასევე, თუ მხარეები მედიაციის პროცესში თანხმდებიან გაფიცვის უფლების სამომავლო შეზღუდვაზე შრომის ანაზღაურების მომატების სანაცვლოდ, მედიატორს შეუძლია მხარეებს გაუზიაროს ინფორმაცია რომ კონსტიტუციით გარანტირებული უფლების შეზღუდვა ბათილი და არააღსრულებადი იქნება სამედიაციო მორიგების მიზნებისათვის.

ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღწევა შეფერხებულია მხარეთა ინფორმაციული დეფიციტით, მედიატორმა უნდა მიუთითოს მხარეს/მხარეებს დამატებითი კონსულტაციების მიღებისა და დამოუკიდებელი სპეციალისტების პროცესში ჩართვის მნიშვნელობაზე[65]. ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, მედიატორი უფლებამოსილია საჭიროებისამებრ წაახალისოს პროცესში მონაწილე მხარე, მიიღოს დამატებითი რჩევა, მათ შორის სხვა დამოუკიდებელი პროფესიონალისგან; მსგავსად, კანონის მე-8 მუხლის მე-8 პუნქტის ძალით მედიატორი უფლებამოსილია ჯეროვანი პროცე-

---

64 *Waldman E.,* Mediation Ethics, Cases and Commentaries, Jossey-Bass A Wiley Imprint, San Francisco, 2010, 101.

65 Standards of Ethics of Professional Responsibility for Certified Mediators, § F(1) (Judicial Council of Virginia, 2005); Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation, 2000 Association of Family and Conciliation Courts, Standard III A (4). *Irving H.H., Benjamin M.,* Therapeutic Family Mediation: Helping Families Resolve Conflict, Helping Families Resolve Conflict, Sage Publications, London, 2002, 149.

სის უზრუნველსაყოფად დაანახოს მხარეს დამატებითი ინფორმაციის წარდგენის საჭიროება. დამატებითი კონსულტაციის წყარო შეიძლება იყვნენ დამოუკიდებელი სპეციალისტები/ექსპერტები საფინანსო, სამშენებლო, სადაზღვევო ან სხვა სპეციალიზებულ სფეროში. შესაძლებელია, მედიატორის რეკომენდაციით მხარეებმა ჩაატარონ ექსპერტული კვლევები და შეთანხმდნენ მოპოვებული დასკვნის კონფიდენციალურობაზე ან პირიქით სასამართლოში მის მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობაზე. მედიაციის პროცესში შესაძლებელია ბავშვების საცხოვრისის ან ფსიქო-ემოციური მდგომარეობის შეფასება დაექვემდებაროს სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის კონსულტაციის გამოყენებას. თანასაკუთრების გაყოფისკენ მიმართულ დავებში ღირებული შეიძლება იყოს ქონების საბაზრო ღირებულების შეფასება, აზომვითი ნახაზების ჩატარება და სხვა. მნიშვნელოვანია, რომ ობიექტური მონაცემების მედიაციის პროცესში მოპოვება მხარეებს უადვილდებათ სავარაუდოდ განჭვრიტონ რა გადაწყვეტილებას მიიღებდა სასამართლო მსგავსი ექსპერტული კვლევის ჩატარების პირობებში. ამდენად, ობიექტური მონაცემების მოპოვება მედიაციის პროცესში აადვილებს სასამართლოში მოსალოდნელი პერსპექტივის რაციონალურ ანალიზს, რომელიც ეხმარება მხარეს მედიაციის პროცესში ოპტიმალური და რისკებთან შეწონილი გადაწყვეტილების მიღებაში.

ხშირად მედიაციის პროცესში მაღალია მხარისთვის სამართლებრივი ინფორმაციის საჭიროება. კერძოდ, თუ მხარეს არ ჰყავს იურისტი წარმომადგენელი პროცესში ან მისთვის არ არის ხელმისაწვდომი იურიდიული მომსახურების ხარჯი, ხოლო დავა თავისი არსით სამართლებრივი ხასიათისაა, მედიატორი ამ შემთხვევაშიც ვერ იქნება სამართლებრივი კონსულტაციის გამწევი. ნეიტრალობისა და მიუკერძოებლობის ვალდებულებიდან გამომდინარე მედიატორი იურიდიულ დახმარებას ვერ აღმოუჩენს მხარეებს.[66] მხარეთათვის იურიდიული რჩევის მიცემა გულისხმობს ინფორმირებული გადაწყვეტილების არა

[66] *Choung Y.,* Achieving Justice Through ADR: An Analysis of the Korean Mediation System ,Indiana University Maurer School of Law, Theses and Dissertations 39, 5-2017, 97.

ხელშეწყობის, არამედ უზრუნველყოფას, რაც ფუნდამენტურად შორდება მედიატორის პროფესიულ როლს.[67] ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მედიატორს არ ევალება როგორც მხარეთა მიერ ნებაყოფლობითი და ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების უზრუნველყოფა, ისე პროცესის გაგრძელება თუ კი ის მიიჩნევს, რომ მედიაციის გაგრძელება არაგონივრული ან გაუმართლებელია.

სამართლებრივი რჩევის გაცემა მედიატორს კლიენტის წარმომადგენლად აქცევს, რაც მხარეთა თვალში არის მიუკერძოებლობის პრინციპის საუარესო დარღვევა. დაუშვებელია რჩევების მიცემა თუნდაც მედიაციაში მონაწილე ყველა მხარისთვის, რადგან მათი სამართლებრივი პოზიციები უმრავლეს შემთხვევაში ურთიერთ დაპირისპირებულია, რაც შეუძლებლად აქცევს ორივე მხარის ინტერესებში რჩევის თანაბრად გაცემას. თუ მხარეებისთვის არ არის იურიდიული მომსახურების ხარჯი ხელმისაწვდომი, შესაძლებელია ინფორმირება უფასო იურიდიული დახმარების გამცემი ცენტრების შესახებ. ამდენად, თვითგამორკვევის პრინციპის ხელშეწყობა შეიძლება მხოლოდ მედიატორის ნეიტრალური როლის ფარგლებში ხორციელდებოდეს, რადგან მედიატორისა და სხვა პროფესიის როლის სინთეზი ეთიკური თვალსაზრისით კრიტიკულად დაუშვებელია.

მედიატორი, რომელიც ეხმარება მხარეებს მიიღონ ობიექტური სამართლებრივი ინფორმაცია/რჩევა ადვოკატებისგან, გაანალიზონ მათი საქმის გადაწყვეტის ალტერნატივები მედიაციის მიღმა – სასამართლო ან საარბიტრაჟო წარმოებაში, შეაფასონ საქმის ძლიერი და სუსტი სამართლებრივი ასპექტები, ფაქტობრივი გარემოებები, მიიღონ ინფორმირებული, ურთიერთშეთანხმებული, თავისუფალი ნების ამსახველი გადაწყვეტილება, შეადგინონ გაცნობიერებული, დეტალურად განსაზღვრული და შესრულებადი და აღსრულებადი მორიგება, არ ითვლება იურიდიული პრაქტიკის განმახორციელებლად. მედიატორის ქცევის აშშ-ის მოდელური სტანდარტების თანახმად, მე-

[67] შეად. Model Standards of Conduct for Mediators, AAA, ABA, ACR, 1994, Revised 2005f, Standard 1, A 2.

დიატორის როლი არსებითად განსხვავდება სხვა პროფესიის წარმომადგენლების როლისგან, სწორედ ამიტომ მედიატორისა და სხვა პროფესიის უფლებამოსილების აღრევა დაუშვებელია.

IX. სამედიაციო მორიგებაში მედიატორის შინაარსობრივი ინტერვენციის ფარგლები (8 X)

ნებაყოფლობითობისა და თვითგამორკვევის პრინციპი გულისხმობს, რომ სამედიაციო მორიგების პირობების მდგენელი უნდა იყვნენ თავად მხარეები, რამეთუ მედიატორი არ არის უფლებამოსილი მოსამართლის მსგავსად გამოიყენოს და შეუფარდოს მხარეთა ფაქტობრივ კონტექსტს სამართლებრივი და სოციალური კონცეფციები. სამედიაციო მორიგების პირობების მედიატორის მიერ დადგენის შეზღუდვა იმთავითვე ემსახურება მედიატორის ნეიტრალურობისა და მიუკერძოებლობის, ასევე მხარეთა მიერ სახელშეკრულებო ავტონომიის რეალიზების მიზანს.

განსახილველი ნორმა აღიარებს მედიატორის უფლებამოსილებას, მათივე თანხმობით შესთავაზოს მხარეებს მორიგების პირობები იმ დათქმით, თუ ეს პირობები მხარეთა მედიაციაში გამოვლენილი საერთო ინტერესების ამსახველია. ამასთან, მედიატორმა საკუთარი მოსაზრებები არ უნდა გამოიყენოს დავის ცალკეული ასპექტის გადასაწყვეტად ან მხარე-წარმომადგენლის დასარწმუნებლად მიიღონ ესა თუ ის შეთავაზებული ოფცია.ნ[68] მედიატორის ზემოხსენებული უფლებამოსილების საილუსტრაციოდ შესაძლებელია მოყვანილ იქნეს მაგალითი პრაქტიკიდან: საოჯახოსამართლებრივ დავაში გამოიკვეთა, რომ ორივე მშობლის ინტერესია სადავო ქონება გაიყოს ბავშვების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. კონკრეტული უძრავი ქონების მიმართ ორივე მშობელს აქვს განცდა, რომ მეორე მეუღლის საკუთრებაში მისი რეგისტრირების შემთხვევაში არსებობს რისკი, რომ ქონება გასხვისდება, რაც შეამცირებს სამომავლოდ შვი-

[68] Committee Notes 2000 Revision (previously Committee Note to 1992 adoption of former rule 10.090), Florida Bar Committee on Professional Ethics, formal opinion 86-8 at 1239.

ლების სამემკვიდრეო წილს. თუ მედიატორი დარწმუნდება, რომ ორივე მშობლის ინტერესი შვილების ქონების მაქსიმიზაციაა, მას შეუძლია შესთავაზოს მხარეებს აღნიშნული უძრავი ქონება აღირიცხოს არასრულწლოვანი ბავშვების საკუთრებაში, რომლის გასხვისება დამოკიდებული იქნება სასამართლოს ნებართვაზე.

განსახილველი ნორმა კავშირშია მედიატორთა ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლის მე-3 ნაწილთან, რომლითაც ასევე დადგენილია მორიგებაში მედიატორის ინტერვენციის ფარგლები: მედიატორმა ხელი უნდა შეუწყოს მხარეებს, რომ მათ მაქსიმალურად გამოიყენონ თავიანთი რესურსები და დამოუკიდებლად ჩამოაყალიბონ მორიგების პირობები. ამავე კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მედიატორი ვალდებულია მათი მოთხოვნისა და საკუთარი უფლებამოსილების ფარგლების გათვალისწინებით, დაეხმაროს მხარეებს სამედიაციო მორიგების პირობების სრულად გაცნობიერებასა და ჩამოყალიბებაში. აქტიური მოსმენის ტექნიკის გამოყენებით, მედიატორის როლია დააფიქროს მხარეები სამედიაციო მორიგების პირობების შესრულებაუნარიანობასა და აღსრულებაუნარიანობაზე. სამედიაციო მორიგების მართლზომიერების კონტროლის მიზნით, მორიგების პირობების ფორმირების ეტაპზე არსებითად მნიშვნელოვანია იურიდიული წარმომადგენლების კონსულტირების მნიშვნელობის განმარტება, რომელიც გულისხმობს რამდენიმე მნიშვნელოვან პოსტულატს: 1. მედიატორი არ გასცემს იურიდიულ რჩევას; 2. ყველა სამედიაციო მორიგება შეიძლება გავლენას ახდენდეს მხარეთა სამართლებრივი შინაარსის უფლებებზე. 3.თითოეულ მხარეს აქვს უფლება და ამასთან, წახალისებულია, კონსულტაცია გაიაროს დამოუკიდებელ იურიდიულ მრჩეველთან. 4. თითოეულმა მხარემ სამედიაციო მორიგების პროექტი მის ხელმოწერამდე უნდა შეათანხმოს დამოუკიდებელ იურიდიულ მრჩეველთან.[69]

[69] იხ. ასევე Standards of Ethics and Professional Responsibility for Certified Mediators, Adopted by the Judicial Council of Virginia April 5, 2011, Effective Date: July 1, 2011, Standard §D 2 (a) (1-4).

მედიატორს შეუძლია დაეხმაროს მხარეებს შეაფასონ დავის გადაწყვეტის ოფციები და ჩამოაყალიბონ მორიგების პირობები. აღნიშნული მომსახურების გაწევის პროცესში, იმპერატიული მოთხოვნაა რომ მედიატორმა დაიცვას მიუკერძოებლობა და თავიდან აირიდოს ისეთი მოქმედება, რომელიც გადაფარავს მხარის თვითგამორკვევის უფლებას.

სერგი ჯორბენაძე / ტარიელ სიხარულიძე / ნათია ჩიტაშვილი

მუხლი 9. მედიაციის დასრულება

I. ზოგადი დებულებები 190
II. პრაქტიკული მნიშვნელობა 191
III. გამოყენების წინაპირობები (9 I) 191
1. მხარეთა შეთანხმება (9 I ა) 192
2. მხარეთა შეთანხმება შეწყვეტაზე (9 I ბ) 195
3. მხარის უარი მედიაციის გაგრძელებაზე (9 I გ) 198
4. მედიაციისთვის განკუთვნილი ვადის ამოწურვა (9 I დ) 198
5. მედიატორის გადაწყვეტილება (9 I ე) 199
5.1. კუმულაციური პირობა 203
5.2. კონსულტაციების აუცილებლობა 203
5.3. ვადის ათვლა 203
IV. მორიგების შედგენა (9 II) 204
V. მორიგების წერილობითი ფორმა (9 III) 204
VI. მედიაციის დასრულების დამადასტურებელი
დოკუმენტი (9 IV) 205
VII. ნორმის მნიშვნელობა საპროცესო სამართალში 205
1. წერილობითი დოკუმენტის მნიშვნელობა 205
2. დამატებითი 45 დღიანი ვადის განსაზღვრა მხარეთა
შეთანხმებით 206
3. საქმის წარმოების განახლება სასამართლოში 206

1. მედიაცია დასრულებულად მიიჩნევა:

ა) თუ მხარეები წერილობით შეთანხმდნენ დავის ურთიერთშეთანხმებით დასრულებაზე – მხარეთა შეთანხმების დღიდან;

ბ) თუ მხარეები წერილობით შეთანხმდნენ მედიაციის შეწყვეტაზე – მხარეთა შეთანხმების დღიდან;

გ) თუ მხარემ წერილობით უარი განაცხადა მედიაციაში მონაწილეობის გაგრძელებაზე – მხარის მიერ უარის განცხადების დღიდან;

დ) თუ ამოიწურა მედიაციისათვის განსაზღვრული ვადა – ამ ვადის ამოწურვის დღიდან;

ე) თუ მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ მედიატორმა განაცხადა, რომ მედიაციის გაგრძელება არაგონივრული და გაუმართლებელია, – მედიატორის მიერ ამ განცხადების გაკეთების დღიდან.რ

2. მხარეები ან/და მხარეთა წარმომადგენლები უზრუნველყოფენ სამედიაციო მორიგების შედგენას. მედიატორი შეიძლება დაეხმაროს მხარეებს სამედიაციო მორიგების შედგენაში.

3. სამედიაციო მორიგება წერილობით დგება და მას ხელს მხარეები და მედიატორი აწერენ.

4. მხარის მოთხოვნით, მედიატორი გასცემს მედიაციის დასრულების დამადასტურებელ დოკუმენტს.

I. ზოგადი დებულებები

განსახილველი მუხლი აწესრიგებს მედიაციის პროცესის დასრულების საფუძვლებს, რომელიც შეიძლება გამოხატული იყოს სამედიაციო მორიგების მიღწევით, შეთანხმებული ან კანონით განსაზღვრილი ვადის გასვლით ან პროცესის უფლებამოსილი პირის-/პირთა მხრიდან მედიაციის შეწყვეტის შესახებ ნების გამოვლენით. მუხლი ასევე შეეხება სამედიაციო მორიგების შედგენაში მედიატორის მონაწილეობის ფარგლებს მხარე-წარმომადგენელების წარმმართველ როლთან მიმართებით. ნორმის მოწესრიგების მიზანი ასევე არის სამედიაციო მორიგების ფორმასავალდებულოობის განსაზღვრა და პროცესის დასრულების დამადასტურებელი მტკიცებულების წერილობით გაცემის ვალდებულების დაწესება ხანდაზმულობის ვადის შეჩერებისა თუ მედიაციის შესახებ დათქმის შესრულების დადასტურების მიზნით.

შეთანხმების მიღწევით მხარეები თანხმდებიან პირობებზე, რაც მათთვისაა მისაღები და ამას წერილობითი ფორმით ადასტურებენ[1]. მე-9 მუხლი ეხება ასევე შემთხვევებს, როდესაც მხარეებმა ვერ შეძლეს შეჯერება მათთვის სასურველ პირობებზე და შესაბამისად, მედიაციაც შეთანხმების მიღწევის გარეშე დასრულდა.

II. პრაქტიკული მნიშვნელობა

სასამართლო მედიაციის ფარგლებში, წინამდებარე მუხლს პირდაპირი კავშირი აქვს საქმის წარმოების განახლებასთან, რომელიც სწორედ მედიაციის დასრულებაზეა დამოკიდებული. ნორმის პრაქტიკული მნიშვნელობა უკავშირდება მედიაციის შესახებ შეთანხმების შესრულების მტკიცების ტვირთის გაადვილებას მედიაციის დასრულების თაობაზე ცნობის გაცემით, იმ შემთხვევაში თუ მხარეებმა იკისრეს ვალდებულება მათ შორის წარმოშობილი უთანხმოების მოსაგვარებლად პრიორიტეტულად გამოეყენებინათ მედიაციის პროცესი სასამართლოსა თუ არბიტრაჟისთვის მიმართვამდე.

კერძო მედიაციის შემთხვევაში, ყურადსაღებია სამედიაციო პროცესის დასრულების, როგორც იურიდიული ფაქტის, გავლენა მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენის განახლებაზე, რომელიც შეჩერებულია სამედიაციო პროცესის მიმდინარეობის ხანგრძლივობით კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

III. გამოყენების წინაპირობები (9 I)

მედიაციის პროცესის დასრულება რამდენიმე საფუძვლით შეიძლება განხორციელდეს. აღნიშნული საფუძვლები უკავშირდება როგორც მხარეთა, ისე მედიატორის უფლებამოსილებას და ვადის გასვლის ხდომილების დადგომას. ხაზგასასმელია, რომ მე-9 მუხლის 1-ელ პუნქტში არსებული ჩამონათვალი არ ეხება მიზეზებსა თუ გარემოებებს, რის საფუძველზე შეიძლება მიიღონ მხარეებმა თუ მედიატორმა

[1] იხ. *ჯორბენაძე რ.*, მედიაცია: ლექციათა კურსი, თბ., 2012, 55.

მედიაციის შეწყვეტის გადაწყვეტილება[2], თუმცა, ეს არ გამორიცხავს ცალკეულ შემთხვევაში მედიაციის შეწყვეტის მიზეზის დამატებითი განმარტების ვალდებულებას მხარეთა თუ მედიატორის წინაშე. მედიატორის მიერ პროცესის შეწყვეტას შეიძლება ასევე უკავშირდებოდეს მედიატორის მხრიდან გამჟღავნებას დაქვემდებარებული ინფორმაციის გაცემის ვალდებულებაც კონფიდენციალურობის პრინციპიდან კანონით დადგენილი გამონაკლისების ფარგლებში.

1. მხარეთა შეთანხმება (9 I ა)

მხარეთა შეთანხმება – სამედიაციო მორიგება, მედიაციის დასრულების ერთ-ერთ თანმდევ და სასურველ შედეგს წარმოადგენს, რომელიც წერილობითი ფორმით ასახავს მხარეთა საუკეთესო ინტერესებს და ამოწურავს არა მხოლოდ მხარეთა შორის არსებულ სამართლებრივ დავას, არამედ უთანხმოების მიზეზებსა და კონფლიქტის საფუძვლებს.

სამედიაციო მორიგება შეიძლება როგორც სრული – მოიცავდეს დავაში ან/და დღის წესრიგში არსებულ ყველა საკითხს, ნაწილობრივი შეთანხმების დროს მხარეებს აქვთ არჩევანი გააფორმონ მორიგება

ა. იმ საკითხებზე რომლებზეც შეთანხმდნენ და სხვა საკითხებზე შეწყვიტონ დავა;

ბ. მხოლოდ იმ საკითხებზე, რომლებზეც შეთანხმდნენ და იმუშავონ დანარჩენი საკითხების პირდაპირი (მედიატორის გარეშე) მოლაპარაკებების გზით გადაწყვეტაზე, განსაკუთრებით, თუ ამ საკითხების გადაწყვეტას სჭირდება დრო ან გარკვეული წინაპირობების დაკმაყოფილება;

გ. შეთანხმებულ საკითხებზე და დანარჩენ საკითხებზე გააგრძელონ დავა სხვა სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით (სასამართლო, არბიტრაჟი, გაფიცვა).

---

[2] ასევე ის, თუ ვინ შეიძლება იყოს მედიაციის შეწყვეტის ინიციატორი და სხვ. იხ. მაგალითად, *ცერცვაძე გ.*, მედიაცია - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, 281.

მედიაციის პროცესში მხარეებმა შეიძლება ისურვონ პირდაპირ დაიწყონ პროცესში მიღწეული ზეპირსიტყვიერი შეთანხმების შესრულება. მაგალითად: ქონების გაყოფის და საკუთრების უფლების რეგისტრაციის შემთხვევაში აღნიშნული შესაძლებელია უმალვე აღსრულდეს საჯარო რეესტრში მხარეების მიერ; მხარე უარს იტყვის სარჩელზე და თანადროულად მეორე მხარე გააუქმებს სამსახურებრივ საყვედურს. იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეების სურვილია მედიაციის პროცესშივე მოიყვანონ სისრულეში შეთანხმებული პირობები, მაინც მნიშვნელოვანია სამედიაციო შეთანხმება აღნიშნულის თაობაზე სამედიაციო მორიგების სახით წერილობით გაფორმდეს, შესრულების პროცესში სადავოობის გამორიცხვის მიზნით. წერილობითი მორიგების გაფორმება იმ დატვირთვასაც იძენს, რომ თუ ერთი მხარე პირველად შეასრულებს ზეპირსიტყვიერი შეთანხმების პირობას და მეორე მხარე უარს იტყვის სანაცვლო ვალდებულების შესრულებაზე, პირველ მხარეს შეეძლოს სამედიაციო მორიგების დარღვევის საფუძველზე მოითხოვოს შემხვედრი ვალდებულების განხორციელება მორიგების აღსრულების გზით ან სამედიაციო მორიგების დარღვევის თაობაზე დავის წამოწყებით (თუ აღსრულების პირობა არ არის შეთანხმებული). სამედიაციო მორიგების წერილობითი გაფორმების აუცილებლობა ასევე ემსახურება არსებულ სადავო საკითხებზე სამართლებრივი დავის შეწყვეტის დადასტურების მიზანს. კერძო მედიაციაში აღნიშნული გულისხმობს სამედიაციო მორიგებაში ჩანაწერის არსებობას, რომ დავის საგანზე მხარეები სამართლებრივ პრეტენზიებს წყვეტენ, სასამართლო მედიაციის შემთხვევაში კი სასამართლოსადმი მიმართვას კონკრეტულ საქმეზე საქმისწარმოების შეწყვეტის მოთხოვნით.

სასამართლო მედიაციაში უმეტესწილად მხარეები წარმოდგენილები არიან მათი ადვოკატებით. შესაბამისად, მორიგების მიღწევის შემთხვევაში, კანონის თანახმად, თავად მხარეები /წარმომადგენლები ადგენენ სამედიაციო მორიგების პირობებს. კერძო მედიაციაში შეთანხმების შემთხვევაში მედიატორმა შეიძლება სთხოვოს მხარეებს ადვოკატების ჩართვა ან იურიდიული კონსულტაციის მი-

ღება ინფორმირებული გადაწყვეტილების ხელშეწყობისა[3] და სამედიაციო მორიგების ტექსტის შედგენის მიზნით.[4] აღნიშნული უპირატესად გამომდინარეობს ისეთი შემთხვევებიდან, როდესაც მხარეები არ არიან იურისტები და მათთვის ცნობილი არ არის სამართლებრივი პროცედურების შესახებ.[5] შეთანხმების ტექსტი არ არის უცილებელი იყოს შედგენილი სამართლებრივი წერის ნორმების მიხედვით, თუმცა ის უნდა იყოს მკაფიო, ნათელი, არაორაზროვანი, უნდა განსაზღვრავდეს მხარეების უფლება-მოვალეობებს და პასუხისმგებლობას მათი დარღვევისთვის.

მედიატორის დახმარება სამედიაციო მორიგების შედგენაში გულისხმობს შეკითხვების დასმის ტექნიკის გამოყენებას სამედიაციო მორიგების პირობების შესრულებაუნარიანობის და აღსრულებაუნარიანობის მხარეთა მიერ გასააზრებლად.[6] მედიატორი უნდა დარწმუნდეს, რომ მხარეები აცნობიერებენ მიღწეული შეთანხმების სამართლებრივ შედეგებს და მორიგება არის მათი ინფორმირებული, დამოუკიდებელი და ჯეროვანი თვითგამორკვევის შედეგი.[7] მედია-

---

3 *ჩიტაშვილი ნ.,* მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, თსუ ,,სამართლის ჟურნალი“, 2016 #1, 31; *ჩიტაშვილი ნ., ჭალიძე თ.,* საოჯახოსამართლებრივი დავის განხილვის თავისებურება მედიაციაში და შესაძლო ეთიკურ-სამართლებრივი დილემები, ჟურნ. ,,დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწდეული 2022“, 81-83**.**

4 მორიგების შედგენის უფლებამოსილებისა და მისი ფარგლების შესახებ იხ. მე-8 მუხლის კომენტარი. ასევე, *ჩიტაშვილი ნ.,* ადვოკატ-მედიატორის ცალკეულ ეთიკურ ვალდებულებათა თავისებურება და რეგულირების აუცილებლობა, თსუ ,,სამართლის ჟურნალი“, 2026 #2, 48-49.

5 *Hönlinger*, Regelungen des Mediationsgesetzes in Praxishandbuch, Professionelle Mediation, Kracht/Niedostadek/Sensburg (Hrsg.), 2023, 149.

6 მედიატორის აღნიშნული როლის თაობაზე იხ. *ჩიტაშვილი ნ., ჭალიძე თ.,* საოჯახოსამართლებრივი დავის განხილვის თავისებურება მედიაციაში და შესაძლო ეთიკურ-სამართლებრივი დილემები, ჟურნ. ,,დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწდეული 2022“, 83**.**

7 იხ. *ყანდაშვილი ი.,* მედიაცია, დავის გადაწყვეტის ეფექტური საშუალება, პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბ., 2022, 117. იხ. ასევე, *ჩიტაშვილი ნ.,* მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, თსუ ,,სამართლის ჟურნალი“, 2016 #1, 31.

ტორს, შესაბამისი დარგობრივი (სამართლებრივი) კომპეტენციის არსებობის შემთხვევაში, დააფიქროს მხარეები სამედიაციო მორიგების პირობის აღსრულებაუნარიაბაზე. თუ სამედიაციო მორიგების პირობა სამართლებრივი თვალსაზრისით შეიცავს აღსრულებაზე უარის თქმის სამართლებრივ რისკებს, მედიატორი ვალდებულებულია გამოიყენოს იურისტების როლი და შეკითხვების დასმის ტექნიკით დააფიქროს მხარეები/იურიდიული წარმომადგენლები აღსრულებაზე უარის თქმის მოსალოდნელოობაზე (მაგ. თუ მხარეები თანხმდებიან უარი თქვან ალიმენტის მოთხოვნის უფლებაზე). სამედიაციო მორიგება შეიძლება შედგეს ხელშეკრულების ფორმით და ამ შემთხვევაში ის მიჰყვება ხელშეკრულებისთვის დამახასიათებელ წერილობით სტრუქტურას.[8]

2. მხარეთა შეთანხმება შეწყვეტაზე (9 I ბ)

მხარეთა შეთანხმება მედიაციის შეწყვეტაზე, მედიაციის ნებაყოფლობითობის პრინციპის[9] ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენს.[10] შესაბამისად, მედიატორი, მედიაციის დასაწყისში ვალდებულია აუხსნას მხარეებს, რომ მათ აქვთ უფლება შეწყვიტონ მედიაცია ნებისმიერ დროს, მათ შორის შეთანხმების მიღწევის გარეშე.[11] თუმცა, მედიატორს შეუძლია მოსთხოვოს მხარეებს, რომ მათ არ მიიღონ გადაწყვეტილებები მედიაციის შეწყვეტასთან დაკავშირებით მასთან კონსულტაციების გარეშე.[12]

მედიაციის ცალმხრივად შეწყვეტის სურვილის დაფიქსირება უნდა მოხდეს წერილობით (მათ შორის ელექტრონული ფოსტის მეშ-

---

8 იხ. *ცერცვაძე გ.*, მედიაცია - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, 348-349. იხ. ასევე, მე-8 მუხლის პირველი პუნქტის კომენტარი.

9 Model Standards of Conduct, August 2005.

10 იქვე.

11 Utah Mediation Best Practice Guide, April 2023, 14.

12 *Moore C. W.,* The mediation process: practical strategies for resolving conflict, 4th edition, Jossey-Bass, 2014, 221.

ვეობით) და შეტყობინება უნდა იყოს გაგზავნილი როგორც მედიატორთან ასევე მეორე მხარესთან.

შესაბამისად, მედიაცია შეიძლება შეწყდეს ასევე მხარეთა ერთობლივი შეთანხმებით. მათ შეუძლიათ უარი განაცხადონ მედიაციის გაგრძელებაზე მედიაციის ნებისმიერ ეტაპზე, რაც ასევე წერილობით ფორმას მოითხოვს. აღნიშნულში მოიაზრება როგორც მატერიალური სახით შედგენილი/ხელმოწერილი დოკუმენტი, ისე, ელექტრონული ხელმოწერა და ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი შეტყობინებები. ერთობლივი უარი შეიძლება გამომდინარეობდეს გარკვეული გარემოებებიდან და მათ შორის, ერთგვარი სტრატეგიიდან: მხარეები წყვეტენ მედიაციას და მოსარჩელე აღარ მიმართავს სასამართლოს საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით. ის, თუ რა შეიძლება იყოს სტრატეგიის საფუძველი, ინდივიდუალური შემთხვევიდან გამომდინარეობს.

მაგალითად, მხარეები მიდიან დასკვნამდე, რომ მათ აღარ სურთ მედიაციის პროცესის გაგრძელება და ამ დასკვნას აჯერებენ მიღწეული შეთანხმებით, რომ დავასაც აღარ გააგრძელებენ სასამართლოში.[13] ასეთ დროს, მათ უფლება აქვთ, რომ მარტივი გზით, ელექტორნული ფოსტის გაგზავნით შეატყობინონ მედიატორს აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ. მხარეთა მიერ მედიაციის შეწყვეტის შემთხვევაში, მედიატორი ვალდებულია გამოიკვლიოს შეწყვეტის რეალური მიზეზები და დარწმუნდეს, რომ აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარეები ინფორმირებულად იღებენ.

შეწყვეტის თაობაზე შეთანხმება განსხვავდება მხარეთა მორიგებისგან. პირველ შემთხვევაში, მედიაციის საფუძველზე მათთვის სასურველი პირობები არ არის შეჯერებული და შესაბამისად, არც ის საფუძვლები იკვეთება, რაც აღსრულებასთანაა დაკავშირებული. აღნიშნული კი მორიგებისას რადიკალურად განსხვავებულ შედეგშია წარმოდგენილი. თუმცა, მხარეებმა შესაძლებელია განაცხადონ შეწყვეტის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ დავის საგანი აღმოფხვრილია ან/და აღარ არსებობს. მაგალითად, სასამართლო მედიაციას

[13] შესაბამისად, მედიაციის პროცესის მიმართაც აღარ არსებობს ინტერესი, რადგან საერთოდ აღარ დავობენ მხარეები.

დაექვემდებარა საკითხი, რომელიც ეხებოდა უძრავი ქონების გაყოფას. თუ აღნიშნული უძრავი ქონება გაიყიდა და ორივე მხარემ მიიღო შესაბამისი თანხა (რაზეც არც აცხადებენ პრეტენზიას), მაშინ დავაც აღარ იარსებებს და მათ შეეძლებათ შეწყვეტის შესახებ მიმართონ მედიატორს.

მხარეთა უფლება მედიაციის შეწყვეტაზე სავალდებულო სასამართლო მედიაციის პირობებში აღმოცენდება 2 სავალდებულო შეხვედრაში მონაწილეობის შემდეგ (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187[5] მუხლის 1-ლი ნაწილი). აღნიშნული ნორმის მიზანია, მხარეებს მიეცეთ მედიაციის შეწყვეტის შესახებ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა. კერძოდ, მედიატორმა შეასრულოს კანონის მე-8 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ინფორმირების ვალდებულება მხარეთა წინაშე, მხარეებმა გაცვალონ მორიგების პირობები და ინფორმირებულად მიიღონს გადაწყვეტილება როგორც შინაარსობრივ, ისე პროცესუალურ (ამ შემთხვევაში მედიაციის შეწყვეტის) საკითხებზე (მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის მე-3 ნაწილი: თვითგამორკვევის პრინციპის ხელშეწყობა გულისხმობს, რომ მხარეებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა მათი ინტერესის შესაბამისად მიიღონ ნებაყოფლობითი და ინფორმირებული გადაწყვეტილება როგორც დავის შინაარსობრივ, ისე მედიაციის პროცედურულ საკითხებზე...). თუ მხარე/მხარეები სავალდებულო სასამართლო მედიაციის პირობებში 2 სავალდებულო სესიაში მონაწილეობამდე უარს აცხადებენ მედიაციაში მონაწილეობაზე, ეს კვალიფიცირდება მხარის/მხარეთა უარად სავალდებულო სასამართლო მედიაციაში მონაწილეობაზე და მოცემულ შემთხვევაში მედიაციის პროცესი არ განიხილება დაწყებულად. მოცემულ შემთხვევაში მედიატორს აქვს ვალდებულება სასამართლოს შეატყობინოს რომ მხარემ/მხარეებმა უარი განაცხადეს სავალდებულო მედიაციაში მონაწილეობაზე.[14]

[14] იხ. მე-8 მუხლის კომენტარი.

3. მხარის უარი მედიაციის გაგრძელებაზე (9 I გ)

ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს, რომ უარი თქვას მედიაციის გაგრძელებაზე, იქნება ეს სასამართლო, თუ კერძო მედიაცია. სასამართლო მედიაციის შემთხვევაში ეს ორი წინაპირობის დაცვით უნდა განხორციელდეს: ა) წერილობით წარადგინოს მოთხოვნა და ბ) დაიცვას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187[5] მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული შეხვედრების რაოდენობა. კერძო მედიაციის შეთხვევაში მხარე არ არის შეზღუდული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნებით და მედიაციის გაგრძელებაზე უარი შეიძლება განაცხადოს, ფაქტობრივ მედიაციის დაწყებამდე, ან დაწყებისთანავე, ან ნებისმიერ სხვა ეტაპზე, რაც აკმაყოფილებს მხარის თვით-გამორკვევის სტანდარტს. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ მხარემ მიიღოს მედიაციის პროცესის სულ მცირე ერთ ან ორ შეხვედრაში მონაწილეობა და მხოლოდ ამ შეხვედრების შედეგად განუცხადოს მედიატორს და მეორე მხარეს მედიაციიდან გასვლის სურვილის შესახებ.[15] აღნიშნული შეხვედრები საშულებას მისცემს მედიატორს დარწმუნდეს, რომ მხარე (ან მხარეები) იღებს გადაწყვეტილებას ინფორმირებულად თანმდევი სამართლებრივი შედეგების გააზრებით. აუცილებელია, რომ მხარის გადაწყვეტილებამდე მედიაცის შეწყვეტის შესახებ მედიატორი შეხვდეს მხარეს და დარწმუნდეს, რომ მხარის (მხარეების) დარჩენისათვის პროცესში ყველა შესაძლებლობა ამოწურულია.[16]

4. მედიაციისთვის განკუთვნილი ვადის ამოწურვა (9 I დ)

კერძო მედიაცია დასრულებულად მიიჩნევა თუ ამოიწურა მედიაციის შესახებ შეთანხმებით განსაზღვრული მედიაციის ვადა. სასამართლო მედიაციის პირობებში მედიაციის პროცესი დასრულებულად მიიჩნევა, თუ მხარეები 45-დღიან ან მათივე შეთანხმებით

---

15 *Moore C.W.,* The mediation process : practical strategies for resolving conflict, 4th edition, Jossey-Bass, 2014, 139.

16 *ყანდაშვილი ი.*, მედიაცია, დავის გადაწყვეტის ეფექტური საშუალება, პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბ., 2022, 117.

გაგრძელებულ – 90-დღიან ვადაში ვერ მიაღწევენ მორიგებას. ასეთ დროს, მედიაცია დასრულებულად ითვლება, თუნდაც მხარეთა ან-/და მედიატორის მიერ წერილობით არ იქნეს შედგენილი დოკუმენ-ტი მედიაციის შეწყვეტის თაობაზე.

5. მედიატორის გადაწყვეტილება (9 I ე)

მედიატორმა მედიაციის დასაწყისში უნდა გაუმარტოს მხარე-ებს, რომ მას აქვს უფლება სათანადო პირობების არსებობისას ცალ-მხრივად შეწყვიტოს მედიაცია ნებისმიერ ეტაპზე. მნიშვნელოვანია, რომ მედიაციის შეწყვეტის საფუძველი მედიატორის ინიციატივით გამართლებული უნდა იყოს კანონის, პროფესიული ეთიკის ნორმე-ბის, ასევე ჯეროვანი და სამართალიანი პროცესის დაცვის აუცილებ-ლობით.[17] მოცემულ შემთხვევაში, თუ მედიაციის შეწყვეტა არის კა-ნონიერების, პროცესის სამართლიანობისა და ეთიკური მთლიანობის უზრუნველყოფის ერთადაერთი საშუალება, მედიაციის პროცესის შეწყვეტა მედიატორის არათუ უფლებად, არამედ ვალდებულებად წარმოჩინდება.[18]

მედიატორმა უნდა გამოიჩინოს ძალისხმევა, რომ მედიაცია არ დასრულდეს დროზე ადრე. განსაკუთრებულ პრობლემად შეიძლება წარმოჩინდეს მხარეების პოზიციური მოლაპარაკება მედიაციის და-საწყისში, რაც მედიატორის მხრიდან მედიაციის პირველივე ეტაპზე შეწყვეტის მიზეზად შეიძლება იქცეს. გადაწყვეტილების მიღების დროს მედიატორი უნდა იყოს დარწმუნებული, რომ მხარეებს შორის შეთანხმების პოტენციალი არ არსებობს და მედიაციის გაგრძელება იქნება რესურსების (დრო, ფინანსური სახსრები, ემოციები) არამიზ-ნობრივი დანაკარგი. მხარეები ასევე უნდა იყვნენ დარწმუნებულები

---

[17] საკითხთან დაკავშირებით იხ. *ჩიტაშვილი ნ., ჭალიძე თ.,* საოჯახოსა-მართლებრივი დავის განხილვის თავისებურება მედიაციაში და შესაძ-ლო ეთიკურ-სამართლებრივი დილემები, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწდეული 2022“, 89-90.

[18] *ჩიტაშვილი ნ.,* სამართლიანი შეთანხმება, როორც მედიაციის ეთიკური ურღვეობის საფუძველი, ,,დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწ-დეული“, თსუ, 2019, 19-20, 22.

იმაში, რომ მედიატორის გადაწყვეტილება მედიაციის შეწყვეტის შესახებ არ არის დროზე ადრე მიღებული.

მაგალითი: არასასამართლო შრომით მედიაციაში მედიატორი იღებს მედიაციის შეწყვეტის გადაწყვეტილებას, როდესაც მხარესთან მეორე შეხვედრის დროს დამსაქმებელი უცხადებს, რომ არ აპირებს მედიაციაში პოზიციების შეცვლას. დასაქმებული თვლის, რომ მედიაცია დროზე ადრეა შეწყვეტილი რადგან მედიატორს არ ჰქონდა ჩანიშნული საერთო შეხვედრა. ამ შემთხვევაში მედიატორის მხრიდან მედიაცია არ არის დროზე ადრე შეწყვეტილი, რადგან ორივე მხარესთან ჩატარებული აქვს შეხვედრები სადაც ახსნიალია როგორც მედიაციის შინაარსი, ასევე გამორკვეული მათი პოზიციები. როდესაც დამსაქმებელი მეორე შეხვედრის დროს მედიატორს უცხადებს, რომ პოზიციებს არ შეიცვლის და თუ საჭიროა პროცესში დარჩება, თუმცა მას არ მოჰყვება რაიმე შედეგი. მოცემულ შემთხვევაში, მედიატორს მყისიერი საფუძველი აქვს, რომ მედიაცია შესწყვიტოს მხარეების მიმართ სათანადო განმარტების გაკეთებით, დამსაქმებლის მიერ განდობილი ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით. მედიაციის შეწყვეტის მიზანი ისიცაა, რომ მედიაციის გაჭიანურების თავიდან აცილებით, მხარეებს მიეცეთ შესაძლებლობა დავა სხვა კანონიერი გზებით მოაგვარონ

მედიაციის შეწყვეტის გადაწყვეტილების მიღებისას მედიატორის პოზიცია შესაძლოა გამომდინარეობდეს უპირატესად, მხარეთა მოქმედებებიდან. მიუხედავად იმისა, რომ დასახელებული პირობა ერთგვარად უკიდურესი ბუნების მატარებელია, მისი გამოყენება მედიატორს საშუალებას აძლევს, არ გაწელოს პროცესი არაგონივრული ვადით, განსაკუთრებით, თუ პროცესის გაჭიანურება რომელიმე მხარისათვის შეიძლება იყოს წამგებიანი.

მაგალითი: მიმდინარეობს თანამშრომლების დავა კომპანიასთან შრომის ამაზღაურების გაცემისთაობაზე. საქმე სასამართომ გადასცა მედიაციას. მედიატორი არკვევს, რომ კომპანიას აქვს სულ მცირე 6 ან მეტი თვისდავალიანება; კომპანიას უჩივიან თანამშრომლები, რომელებსაც სხვადასხვა ადვოკატები წარმოადგენენ. დამსაქმებლის ორგანიზაციაარ ფუნქციონირებს და როდის დაიწყებს ფუნქცი-

ონირებას არ არის ნათელი. კომპანიის ინტერესშია მოლაპარაკებების გაჭიანურება და მათი წარმომადგენელი შეხვედრაზე მოდის გაურკვეველი პოზიციით ან არაგონივრული, მიუღებელი წინადადებით. მედიატორმა შეიძლება შეწყვიტოს დავა, თუ ხედავს, რომ კომპანიის მხრიდან პროცესი ჭიანურდება და ამით დაზარალდება მოსარჩელის ინტერესები, გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიას ბევრი კრედიტორი ჰყავს და მოსარჩელე შეიძლება დარჩეს დაუკმაყოფილებელი თუ დროულად არ შეთანხმდნენ ან, თუ მან არ მიიღო სასამართლოსგან გადაწყვეტილება მათი ვალის დაკმაყოფილების თაობაზე.

მედიატორი იღებს აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარეებთან შესაბამისი კონსულტაციების შედეგად და ამცნობს მათ თავისი გადაწყვეტილების შესახებ. მედიატორი ასევე წერილობით ატყობინებს სასამართლო მედიაციის ცენტრს მედიაციის შედეგს.შეწყვეტის შემთხვევაში მედიატორმა მიუკერძოებლობის დაცვით უნდა განუმარტოს მხარეებს მათი უფლებები, რომელიც უკავშირდება მედიაციის დასრულების შემდეგ დავის გადაწყვეტის სხვა მექანიზმების გამოყენების შესაძლებლობას.

მედიატორს ეკისრება მოვალეობა, შეწყვიტოს პროცესი თუ მისი გაგრძელება არაგონივრული და გაუმართლებელია. შეწყვეტის საფუძვლები არ არის ამომწურავი და კონკრეტული შემთხვევის საფუძველზე უნდა შეფასდეს მედიატორის დისკრეციის ფარგლებში. მედიაციის შეწყვეტა რეკომენდებული შეიძლება იყოს თუ:

- წარმოიშვა მედიატორის ინტერესთა კონფლიქტი ერთ ან ყველა მხარესთან და შეუძლებელია პროცესის წარმართვა კომპეტენტურად, მიუკერძოებლად და ნეიტრალურობის პრინციპების დაცვით;
- განხორციელდა მედიაციის პროცესის კომპრომეტირება[19];
- მხარეები ინფორმირებულად, გააზრებულად და ეფექტიანად ვერ ახორციელებენ პროცესში მონაწილეობას[20],[21]

[19] Model Standards of Conduct, August 2005, <https://mediate.com/model-standards-of-conduct/> [21.03.2024].

- თუ მედიატორი ხედავს, რომ მხარეს არ აქვს სურვილი,არ თანამსრომლობს და ხელს არ უწყობს მედიაციის პროცესს[22];

საოჯახო მედიაციის პირობებში არსებობს ოჯახური ძალადობის ნიშნები[23] და შეთანხმება არღვევს ან ზიანს აყენებს ბავშვის ან მოწყვლადი ოჯახის წევრის ინტერესებს[24];

- მხარე იმყოფება ალკოჰოლური ან ნარკოტიკული თრობის მდგომარეობაში (აღნიშნული ეხება მედიაციის კონკრეტული სესიის შეწყვეტას);[25]
- მედიაცია გამოიყენება კრიმინალური მიზნებისთვის ან შეთანხმება შეიცავს დანაშაულის ნიშნებს;
- ეს აუცილებელია მხარეთა სიცოცხლის, თავისუფლების და ჯანმრთელობის დასაცავად;
- სამედიაციო მორიგება არღვევს ერთ არ რამდენიმე მხარის ინტერესს, არის შეუსრულებადი ან აღუსრულებელი;
- ერთი მხარე ცდილობს უსამართლო უპირატესობის მოპოვებას მეორე მხარეზე, მედიაციაში ჩართული მხარეებს შორის არსებობს ძალათა ფუნდამენტური დისბალანსი, რის გამოც ერთ-ერთი მხარე აშკარად იჩაგრება, და იძულებულია შეთანხმებას დაეთანხმოს.

მედიაციის შეწყვეტისას შეიძლება წარმოიშვას ინფორმაციის შეტყობინების ვალდებულება ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელო-

---

20 Utah Mediation Best Practice Guide, April 2023, 8.

21 Hong Kong Mediation Code, <https://www.hkiac.org/mediation/rules/hong-kong-mediation-code> [21.03.2024].

22 *Frenkel D.N., Stark J.H.,* Title: The practice of mediation: a video-integrated text, Wolters Kluwer, 2018, 366.

23 Utah Mediation Best Practice Guide, April 2023, 15.

24 The Academy of Professional Family Mediators, Standards of Practive for Professional Family Mediators, Revised version adopted February 2, 2014, <https://apfmnet.org/standards-practice-professional-family-mediators/> [21.03.2024].

25 Utah Mediation Best Practice Guide, April 2023, 14.

ბის და თავისუფლების დასაცავად, რომელიც უნდა განხორციელ-დეს კანონის მე-10 მუხლით დადგენილი წინაპირობების დაცვით.

კერძო მედიაციის დროს, თუ მედიატორი წყვეტს მედიაციას და მას აღებული აქვს ჰონორარი, მან უნდა დაუბრუნოს მხარეებს ჰონორარის გამოუმუშავებელი ნაწილი[26].

5.1. კუმულაციური პირობა

კანონში არსებული დათქმის მიხედვით, აუცილებელია, რომ არსებობდეს კუმულაციური პირობები: არაგონივრულობა და გაუმართლებლობა ერთად იკვეთებოდეს პოზიციის განსასაზღვრად. ის, თუ რა შეიძლება იყოს არაგონივრული და გაუმართლებელი, ინდივიდუალური საქმიდან გამომდინარეობს. მაგალითად, ასეთად შეიძლება მიჩნეულ იქნეს შემთხვევა, როდესაც მხარის წარმომადგენელი (ადვოკატი) ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არ განიხილავს კონკრეტულ ოდენობაზე ნაკლების/მეტის გადახდას და მაშინ, როდესაც ეს ოდენობაც არაგონივრული და დაუსაბუთებელია.

5.2. კონსულტაციების აუცილებლობა

თუ მედიატორს არ აქვს კონსულტაციები გამართული მხარეებთან, მაშინ მისი მხრიდან მედიაციის დასრულება დაუშვებელია. ეს ლოგიკურიცაა, ვინაიდან არაგონივრულობისა თუ გაუმართლებლობის საფუძველი მას სწორედ მხარეთა პოზიციების გაცვლის შედეგად უნდა ჰქონდეს ჩამოყალიბებული. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187[5] მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული შეხვედრების რაოდენობა იყოს დაცული.

5.3. ვადის ათვლა

მედიაციის დასრულება მედიატორის განცხადებაზეა დამოკიდებული. ამ მხრივ, შესაძლებელია, რომ მედიატორმა ყველა ღონე იხმაროს, დავის მხარეთა შეთანხმებით დასასრულებლად. მაგალითად,

---

[26] *Lovenheim P., Guerin L.,* Mediate, Don’t Litigate, Nolo, 2004, Appendix B / 7.

მიუხედავად მოცემულობისა (პროცესის არაგონივრული განვითარებისა), მედიატორი მხარეებს აძლევს დამატებით ვადას გარკვეულ პირობებზე შესაჯერებლად. თუ ამ ვადაში არ მოხდება პოზიციების დაახლოება მხარეთა მხრიდან, მედიატორი მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებს გადაწყვეტილებას. შესაბამისად, თუნდაც კონსულტაციისას გაცხადებული ჰქონდეს სავარაუდო შედეგის თაობაზე, ვადის ათვლა საბოლოო პოზიციიდან გამომდინარე დაიწყება.

IV. მორიგების შედგენა (9 II)

მორიგების შედგენა მთლიანად მხარეთა პრეროგატივას წარმოადგენს. ამ მხრივ, მედიატორი არ თამაშობს საკვანძო როლს, რომლის ფარგლებშიც შეიძლება მას გააჩნდეს შესაძლებლობა, მითითება გააკეთოს, ისევე, როგორც ცალკეულ საკითხებზე რჩევა მისცეს მხარეს და სხვ. შესაბამისად, მედიატორის როლი მხოლოდ დახმარებით შემოიფარგლება. მხარეების თხოვნით მედიატორის შეიძლება დაეხმაროს მხარეებს შეთანხმების დოკუმენტის გაფორმებაში, თუმცა მორიგების შეინაარსის ავტორი მედიატორი ვერ იქნება. მორიგების შედგენის პროცესში აუცილებლად ორივე მხარე უნდა მონაწილეობდეს, რაც გამორიცხავს შემდგომ გაუგებრობას.

V. მორიგების წერილობითი ფორმა (9 III)

მორიგების გაფორმება წერილობით ხდება. ამ შემთხვევაში, შესაძლებელია, რომ გამოყენებულ იქნეს ელექტრონული საშუალებები, რომელიც წერილობით ფორმასთანაა გათანაბრებული. მაგალითად, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა. იმ შემთხვევაში, თუ მხარე მედიაციის პროცესში წარმომადგენლის საშუალებით მონაწილეობს, მაშინ მორიგებას მისი მხრიდან შეიძლება მხოლოდ წარმომადგენელი აწერდეს ხელს. უმთავრესია, რომ მორიგებაში იკვეთებოდეს როგორც ორივე მხარის მიერ გამოვლენილი ნება, ისე, მედიატორის დასტური.

VI. მედიაციის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი (9 IV)

მედიაციის დასრულებისას, როგორც წესი, მედიატორი ცალკე დოკუმენტს არ გასცემს.[27] კერძოდ, არ გვხვდება წინასწარ დაგდენილი რაიმე სახის ფორმა, რომლის შევსების ვალდებულება გააჩნია მედიატორს. შესაბამისად, ასეთი დოკუმენტი შეიძლება იყოს ნებისმიერი რამ, რაც მედიაციის დასრულებას დაადასტურებდა. მაგალითად, მედიატორის ინიციატივით/მხარეების თხოვნით მედიაციის დასრულების შემთხვევაში შექმნილი დოკუმენტი, ისევე, როგორც დამოუკიდებელი დოკუმენტი, სადაც მედიატორი წერილობით აღნიშნავს/ადასტურებს, რომ მხარეთა შორის მედიაცია დასრულებულია.

მედიაციის დასრულების თაობაზე დოკუმენტის გაცემა მხარეებისთვის არ ხდება მედიატორის ინიციატივით. იგი გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარე დააყენებს მედიატორის მიმართ შესაბამის მოთხოვნას. მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, მედიატორს არ აქვს უფლება, უარი თქვას დოკუმენტის გაცემაზე.

სასამართლო მედიაციის შემთხვევაში, მედიატორს მოეთხოვება სასამართლოს/სასამართლო მედიაციის ცენტრს საკუთარი ინიციატივითაც შეატყობინოს მედიაციის შედეგი.

VII. ნორმის მნიშვნელობა საპროცესო სამართალში

1. წერილობითი დოკუმენტის მნიშვნელობა

მედიაციის დასრულებას სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, შესაბამისი შედეგები მოჰყვება. ეს შეიძლება ეხებოდეს როგორც აღსრუ-

---

[27] აღნიშნული არ წარმოადგენს სასამართლო ან/და არბიტრაჟის შემთხვევაში პროცესის დასრულების მსგავს პროცედურულ წინაპირობას. დასახელებულ ინსტიტუციათა შემთხვევაში, საქმე გვაქვს გადაწყვეტილების მიღებასთან და გამოქვეყნებათან, რაც არ ახასიათებს მედიაციას. იხ. *ყანდაშვილი ი.*, მედიაცია, დავის გადაწყვეტის ეფექტური საშუალება, პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბ., 2022, 37.

ლების ნაწილს, ისე, დავის განუხილველად დატოვებას. თითოეულ შემთხვევაში, წერილობითი დოკუმენტის შედგენას (იგულისხმება როგორც შეთანხმება, ისე მიმართვა) გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან სასამართლო სწორედ ამ ფარგლებში ხელმძღვანელობს.

2. დამატებითი 45-დღიანი ვადის განსაზღვრა მხარეთა შეთანხმებით

მედიაციის ვადა ამოწურულად არ ჩაითვლება, თუ მხარეთა შეთანხმებითა და ამ შეთანხმებაზე დაფუძნებით, მედიატორის მხრიდან დავის გამხილველ მოსამართლეს გაეგზავნება შესაბამისი მიმართვა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187[5] მუხლის მე-2 ნაწილის დაცვით, დამატებითი 45-დღიანი ვადის თაობაზე. ასეთ შემთხვევაში, დავა სრულდება დამატებითი 45 დღის ვადის, მაშასადამე, მედიაციის დაწყებიდან 90 დღის გასვლის შემდეგ.

3. საქმის წარმოების განახლება სასამართლოში

მედიაციის ვადის ამოწურვის შემდეგ, მხარეებს და უპირველეს ყოვლისა, მოსარჩელეს, უფლება აქვთ, რომ მიმართონ სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187[7] მუხლის მე-2 ნაწილით დაცვით. ასეთ შემთხვევაში, საქმის წარმოება განახლდება სასამართლოში. მიმართვის ვადა შეადგენს 10 დღეს. დასახელებული მუხლის მე-3 ნაწილის ფორმულირება იცნობს მოპასუხის უფლებამოსილების საკითხსაც, ამ უკანასკნელმა მიმართოს სასამართლოს ანალოგიური საფუძვლით, თუმცა პრაქტიკული თვალსაზრისით, ეს მოცემულობა რთულად წარმოსადგენია. თავის მხრივ, თუ საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ მიმართა მხარემ (მოსარჩელემ) სასამართლოს, მაშინ სასამართლო სარჩელს განუხილველად დატოვებს, რასაც შესაბამისი სამართლებრივი შედეგები მოჰყვება.

სოფიო დუღაშვილი / ეთერ ჩაჩანიძე

მუხლი 10. კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება

I. ზოგადი დებულებები 210
1. მიზანი და საგანი 210
2. კავშირი სხვა ნორმებთან 211
II. პრაქტიკული მნიშვნელობა 211
III. გამოყენების წინაპირობები 211
1. კონფიდენციალურობის ზოგადი წესი მედიაციში (10 I) 211
2. კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენების შეზღუდვები (10 II) 214
3. კონფიდენციალურობის ფარგლები მხარესთან ინდივიდუალური კომუნიკაციისას (10 III) 215
4. ინფორმაციის გამჟღავნების გამონაკლისი შემთხვევები (10.4) 216
5. კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების წესი უფლებამოსილი პირისა ან ორგანოსათვის (10 V) 218
6. კონფიდენციალურობის შესახებ მხარეთა ინფორმირების ვალდებულება (10 VI) 219
7. კონფიდენციალურობის დაცვის წესი მედიაციის დასრულების შემდგომ (10 VII) 221
8. კონფიდენციალური ინფორმაციის მიმღები პირის ვალდებულება (10 VIII) 222
IV. სამართლებრივი შედეგები და ნორმის მნიშვნელობა საპროცესო სამართალში 223

1. მედიაციის პროცესი კონფიდენციალურია. ასევე კონფიდენციალურია ინფორმაცია, რომელიც ცნობილი გახდა მედიაციის პროცესის მიმდინარეობისას ან არსებითად გამომდინარეობს მედიაციის პროცესიდან, თუ ამ ინფორმაციის გამცემ პირსა და

მხარეს/მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმებით ან კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, აგრეთვე თუ ინფორმაციის გამჟღავნება მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების მომენტის განსაზღვრისათვის აუცილებელი არ არის.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია მედიაციის მონაწილეებმა არ შეიძლება გამოიყენონ სასამართლო ან საარბიტრაჟო განხილვის დროს ან დავის ნებისმიერი სხვა საშუალებით განხილვის პროცესში, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3. მედიატორს უფლება არ აქვს, მხარეს მიაწოდოს მეორე მხარის მიერ მისთვის ინდივიდუალური კომუნიკაციის დროს გამჟღავნებული ინფორმაცია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მედიატორს მეორე მხარისაგან მიღებული აქვს აშკარა თანხმობა აღნიშნული ინფორმაციის მხარისათვის მიწოდებაზე.

4. ამ მუხლის პირველიგმე-3 პუნქტები არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც:

ა) აუცილებელია პირის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის დაცვა ან თავისუფლების უზრუნველყოფა ანდა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვა;

ბ) ინფორმაციის წარდგენა ხდება სამედიაციო მორიგების შედგენის ფაქტის დასამტკიცებლად, როდესაც მეორე მხარე სადავოს ხდის ან უარყოფს ამ ფაქტს;

გ) მხარე ვალდებულია შეასრულოს მედიაციის დაწყებამდე ნაკისრი სამართლებრივი ვალდებულება, გაამჟღავნოს ის ინფორმაცია, რომელიც მედიაციის პროცესის მიმდინარეობისას გახდა ცნობილი მეორე მხარისათვის, იმის გათვალისწინებით, რომ ინფორმაცია მაქსიმალურად შეზღუდული მოცულობით გამჟღავნდება;

დ) ინფორმაციის გამჟღავნება სასამართლოს ან სავალდებულო იურიდიული ძალის მქონე სხვა გადაწყვეტილებითაა გათვალისწინებული. ამ შემთხვევაში ინფორმაცია მაქსიმალურად შეზღუდული მოცულობით გამჟღავნდება და ამის შესახებ შესაბამის მხარეს წინასწარ ეცნობება;

ე) ინფორმაციის გამჟღავნება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის გამოძიებისთვისაა აუცილებელი. ამ შემთხვევაში ინფორმაცია მაქსიმალურად შეზღუდული მოცულობით გამჟღავნდება და ამის შესახებ შესაბამის მხარეს წინასწარ ეცნობება;

ვ) სამედიაციო მორიგების შინაარსის გამჟღავნება აუცილებელია მის ნებაყოფლობით შესასრულებლად ან იძულებით აღსასრულებლად;

ზ) სამართლებრივი ან დისციპლინური დავა მიმართულია ინფორმაციის გამცემი პირის წინააღმდეგ და გამომდინარეობს მედიაციის პროცესიდან, ამასთანავე, ამ ინფორმაციის გამჟღავნება აღნიშნული პირის სამართლებრივი ინტერესების დაცვისთვისაა აუცილებელი;

თ) მედიაციის პროცესის მიმდინარეობისას კონფიდენციალურობის დაცვის პირობით გამჟღავნებული ინფორმაცია მხარისათვის მედიაციის დაწყებამდე იყო ცნობილი ან იგი მან კანონით გათვალისწინებული სხვა საშუალებით მიიღო, ან ეს ინფორმაცია სხვაგვარად მოხვდა საჯარო სივრცეში, ისე, რომ მხარეს ამ მუხლით გათვალისწინებული კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება პირდაპირ ან არაპირდაპირ არ დაურღვევია.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში კონფიდენციალური ინფორმაციის უფლებამოსილი პირისათვის ან ორგანოსათვის გამჟღავნება მხოლოდ კანონიერი მიზნის ადეკვატური და პროპორციული მოცულობით უნდა მოხდეს, ისე, რომ მაქსიმალურად იქნეს დაცული აღნიშნული ინფორმაციის კონფიდენციალურობა მესამე პირისაგან.

6. მედიატორი ვალდებულია მედიაციის დაწყებამდე მხარეებს მიაწოდოს ინფორმაცია კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულებისა და მისი ფარგლების შესახებ.

7. კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება მოქმედებს მედიაციის დასრულების შემდეგაც, თუ მხარეებსა და მედიატორს შორის დადებული წერილობითი შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

8. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებისას მისი მიმღები პირი ვალდებულია დაიცვას ეს ინფორმაცია გავრცელებისაგან.

I. ზოგადი დებულებები

1. მიზანი და საგანი

კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება მიმართულია როგორც მედიატორზე, ისე მედიაციის პროცესის მხარეებსა და სხვა მონაწილეებზე. ეს ვალდებულება წარმოადგენს მთლიანად მედიაციის პროცესის კონფიდენციალურობის ფუნდამენტსა და გარანტს. კონფიდენციალურობა არის ის მთავარი პრინციპი, რომელიც არსებითად უწყობს ხელს, უზრუნველყოფს დაცული სივრცის შექმნას მედიაციაში, სადაც შესაძლებელი ხდება პრობლემებსა და საჭიროებებზე ღიად საუბარი და რეალური კონფლიქტის გააზრება. თუმცა, კონფიდენციალურობის, როგორც მედიაციის ფუნდამენტური პრინციპის, სრული უზრუნველყოფისთვის აუცილებელია მისი დაცვა საკანონმდებლო დონეზე[1], რაც მედიაციის შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მიზანი და ამოცანაა.

ამრიგად, ნორმის მიზანია დაადგინოს მედიაციის პროცესში კონფიდენციალურობის დაცვის ფუნდამენტური პრინციპი. ნორმა განსაზღვრავს მედიაციის პროცესში გაზიარებული ინფორმაციის კონფიდენციალურად შენარჩუნების ძირითად წესებს, რათა შეიქმნას სანდო, დაცული გარემო დავის მშვიდობიანი გადაწყვეტისთვის. ნორმა ასევე მიუთითებს იმ კონკრეტულ გარემოებებზე, როდესაც ეს ინფორმაცია შეიძლება კანონიერად გამჟღავნდეს.

---

[1] *Kracht S.,* Die Verschwiegenheit des Mediators. In: *Kracht S., Niedostadek A., Sensburg P.E. (eds.)* Praxishandbuch Professionelle Mediation, Springer Berlin 2023 Heidelberg 2023, 95.)

2. კავშირი სხვა ნორმებთან

დასახელებულ ნორმას კავშირი აქვს „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის“ 104-ე, 141-ე მუხლის ,,დ“ ქვეპუნქტთან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის პირველი ნაწილი ,,ზ“ ქვეპუნქტთან, საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ,,მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-6 მუხლთან, „ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლთან,

II. პრაქტიკული მნიშვნელობა

მედიაციაში კონფიდენციალურობას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს. ის უზრუნველყოფს პროცესის ობიექტურობას და ეფექტიანობას; ასევე უზრუნველყოფს მიუკერძოებლობას, პირადი ინფორმაციის დაცვას და ხელს უწყობს დავის მშვიდობიან გადაწყვეტას, მხარეებს აძლევს ღია კომუნიკაციის შესაძლებლობას, განსჯის გარეშე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონფიდენციალურობაა ხშირად მედიაციაზე მხარეთა არჩევანის განმაპირობებელი ფაქტორი. მედიაციაში მას ორი განზომილება აქვს: ვინაიდან მოქმედებს როგორც მთლიან პროცესში, ისევე მედიატორსა და თითოეულ მხარეს შორის, მათი ინდივიდუალური შეხვედრისას.

კონფიდენციალურობის პრაქტიკული, პროცესუალური მნიშვნელობა გულისხმობს მედიაციის ფარგლებში კონფიდენციალურად მოპოვებული ინფორმაციიის მტკიცებულებად გამოყენების დაუშვებლობას მედიაციაში მისი გამჟღერებელი პირის წინააღმდეგ დავის გადაწყვეტის პროცესებში და მედიატორის მოწმედ დაკითხვის დაუშვებლობას სამოქალაქო თუ სისხლის სამართალწარმოებაში.

III. გამოყენების წინაპირობები

1. კონფიდენციალურობის ზოგადი წესი მედიაციში (10 I)

აღნიშნული ნორმა განამტკიცებს მედიაციის პროცესის კონფიდენციალურობას, რაც ფართოდ არის განმარტებული და მოიცავს,

როგორც ინფორმაციას თავად მედიაციის, როგორც პროცესის დაწყებისა და წარმოების შესახებ, [2]ასევე ყველა ინფორმაციას, რომელიც ცნობილი გახდა მედიაციის პროცესის მიმდინარეობისას, ან გამომდინარეობს მედიაციის პროცესიდან. ამ დანაწესს კრიტიკული მნიშვნელობა აქვს მედიაციის პროცესში დაცული და უსაფრთხო სივრცის შექმნისთვის და მხარეთა მოტივაციის ამაღლებისთვის, ყოველგვარი შებოჭვის გარეშე მიიღონ მონაწილეობა მედიაციის პროცესში. კონფიდენციალურობის დაცვა სტიმულს აძლევს მხარეებს, ღიად განიხილონ თავიანთი საკითხები, რადგან იციან, რომ მათი საუბარი არ გამჟღავნდება მედიაციის პროცესის გარეთ, თუნდაც სასამართლო დავის გაგრძელების პირობებშიც.

ნორმა აწესებს მედიაციის პროცესში მიღებული ინფორმაციის გავრცელების აკრძალვას, რომელიც არ არის აბსოლუტური. მუხლში მითითებული გამონაკლისები მნიშვნელოვნად შეზღუდულია, რაც მიუთითებს, რომ კანონის მიზანია მედიაციის პროცესში კონფიდენციალურობის პრინციპის განუხრელი დაცვა.

პირველი გამონაკლისი ითვალისწინებს ინფორმაციის გამჟღავნების დასაშვებობას გამმჟღავნებელ მხარეს და მედიაციის მონაწილე მხარეს, ან მხარეებს შორის წერილობითი შეთანხმების არსებობის შემთხვევაში. ეს დანაწესი აღიარებს მხარეთა (ნების) თავისუფლებას მათი კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულების ფარგლების ფორმირებისას.

გარკვეულმა სამართლებრივმა ვალდებულებებმა შესაძლოა მოითხოვოს კონკრეტული ინფორმაციის გამჟღავნება, არსებულ კანონებთან და რეგულაციებთან მედიაციის პროცესის შესაბამისობის შენარჩუნებისთვის. კერძოდ, იმ შემთხვევებში, როცა კანონი ცალსახად მოითხოვს ინფორმაციის გამჟღავნებას, ან როცა ინფორმაციის გამჟღავნება აუცილებელია სამართლებრივი მოქმედებების შესასრულებლად.

---

[2] გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მედიატორს მოეთხოვება გასცეს ცნობა მედიაციის დაწყების და დასრულების ფაქტის თაობაზე „მედიაციის შესახებ“ კანონის შესაბამისად.

მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის შეჩერების განსაზღვრისთვის ინფორმაციის გამჟღავნების აუცილებლობის კონკრეტული მითითება განსაზღვრავს უფლების განხორციელების პრაქტიკულ საკითხებს სასამართლო წარმოების ფარგლებში. კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება არ მოქმედებს მაშინ, როდესაც ეს მატერიალურსამართლებრივი უფლების განხორციელებისთვის არის აუცილებელი.

გარდა ამისა, ნორმა ითვალისწინებს გამჟღავნების შესაძლებლობას, თუ ამას სხვა სამართლებრივი დებულებები მოითხოვს. აქ საუბარია ისეთ მოცემულობაზე, სადაც კონკრეტულ სამართლებრივ ვალდებულებებს უპირატესი ძალა აქვს კონფიდენციალურობის დაცვის ზოგად პრინციპთან შედარებით მედიაციაში. მაგალითად, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების მტკიცებულების წარდგენის ან სასამართლოს განჩინების შესრულების მოთხოვნა შესაძლოა ითვალისწინებდეს ინფორმაციის გამჟღავნების აუცილებლობას. ამ გამონაკლისის არსებობა უზრუნველყოფს მედიაციის შესახებ კანონის ჰარმონიზაციას უფრო ფართო სამართლებრივ ვალდებულებებთან, კანონის უზენაესობის დაცვით.

განხილული მიდგომა ასახავს ,,სამოქალაქო და კომერციულ საქმეებში მედიაციის გამოყენების ზოგიერთი ასპექტების შესახებ" ევროპული პარლამენტისა და საბჭოს დირექტივაში (2008/52/EC) განსაზღვრულ დანაწესს, რომელიც ადასტურებს კონფიდენციალურობის დაცვის გამონაკლისების აუცილებლობას კონკრეტულ სამართლებრივ კონტექსტში.[3]

კონფიდენციალურობის საკითხის დამატებით მოწესრიგებას ითვალისწინებს აგრეთვე „მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსი“, რომელიც მითითებას სწორედ „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლზე აკეთებს.[4]

---

[3] ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 21 მაისის დირექტივა 2008/52/EC, მე-7 მუხლი, ნაწილი 1.

[4] „მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსი“-ს მე-6 მუხლის პირველი ნაწილი: მედიატორი ვალდებულია დაიცვას პროცესის და იმ ინფორმაციის კონფიდენციალურობა, რომელიც ასეთად აღიარებულია „მე-

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ნორმა განსაზღვრავს კონფიდენციალურობის დაცვის რეჟიმს, რომელიც არსებითად მნიშვნელოვანია მედიაციის პროცესის ეფექტიანობისა და ობიექტურობისთვის, უზრუნველყოფს სათანადო ბალანსს კონფიდენციალურობის დაცვის მთავარ მიზანსა და გამონაკლისების გათვალისწინების აუცილებლობას შორის, სამართლებრივი ვალდებულებების შესრულებისთვის ან უფლებების დაცვისთვის. როგორც მედიატორს, ისე მხარეებს, რომლებიც მონაწილეობენ მედიაციის პროცესში, მკაფიო წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ ამ დებულებების შესახებ, უზრუნველყონ კონფიდენციალურობის დაცვა და გააცნობიერონ ის გარემოებები, რომელშიც ინფორმაციის გამჟღავნება დასაშვებია. კრიტიკულად მნიშვნელოვანია, მედიაციის პროცესის ყველა მონაწილემ დაიცვას სამართლებრივი საზღვრები, მედიაციის, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის, ეფექტიანობის და უსაფრთხოების შენარჩუნებისთვის.

2. კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენების შეზღუდვები (10 II)

წინამდებარე ნორმა კრძალავს კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენებას დავის სასამართლო, საარბიტრაჟო ან სხვა ნებისმიერი განხილვისას. ასეთი დაკონკრეტება გადამწყვეტ როლს ასრულებს მედიაციის პროცესის მთლიანობის შენარჩუნებაში და კიდევ ერთხელ არწმუნებს მხარეებს მედიაციის, როგორც კონფიდენციალური პროცესის „უსაფრთხოებაში“, სადაც მათი სიტყვები მათსავე წინააღმდეგ ვერ იქნება გამოყენებული.

აღნიშნული ჩანაწერით კონფიდენციალობის ვალდებულება გადის მედიაციის პროცესის ფარგლებს გარეთ, ვინაიდან ის ძალაში რჩება მედიაციის პროცესის დასრულების შემდეგაც. კანონისმიერი აკრძალვების შესახებ ჩვეული საგამონაკლისო დათქმა „თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული“, ადასტურებს კანონით დად-

---

დიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლით, ამავე მუხლში მითითებული გამონაკლების გათვალისწინებით.

გენილი მოთხოვნების უზენაესობას, რომლებიც შესაძლოა, ითვალისწინებდეს ინფორმაციის გამჟღავნებას კონკრეტულ გარემოებებში, რითიც კონფიდენციალურობის ვალდებულებაც, სხვა არა აბსოლუტური ვალდებულებების მსგავსად, ექცევა მართლწესრიგის, როგორც ერთიანი სისტემის ფარგლებში.

ამგვარი დანაწესი მიუთითებს მედიატორსა და მხარეებს ინფორმაციის გამოყენების ფარგლებზე, და იმავდროულად კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მედიატორის მიერ მხარეებისთვის ინფორმაციის მიწოდების მნიშვნელობას, რის შედეგადაც მხარეებისთვის უნდა წარმოჩინდეს კონფიდენციალურობა, როგორც მედიაციის პროცესის სიკეთე, და ასევე მისი დაცვის ვალდებულება.

3. კონფიდენციალურობის ფარგლები მხარესთან ინდივიდუალური კომუნიკაციისას (10 III)

წინამდებარე ნორმა ხაზს უსვამს მედიაციაში კონფიდენციალურობის მეორე განზომილებას და მიუთითებს მედიატორის როლზე კონფიდენციალობის დაცვაში, განსაზღვრავს რა, რომ მედიატორებს არ აქვთ უფლება, თვით მედიაციის პროცესშიც კი გაამჟღავნონ მათთვის ინდივიდუალურ შეხვედრაზე კონფიდენციალურად გაზიარებული ინფორმაცია, მხარისაგან პირდაპირი თანხმობის მოპოვების გარეშე. აღნიშნული დანაწესი არის ერთგვარი გარანტი იმისა, რომ მხარეებს შეუძლიათ მედიატორს გაანდონ ნებიმისეირ მათთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია იმ ნდობითა და მოლოდინით, რომ ის არ გახდება ცნობილი მეორე მხარისთვის, თუმცა, შესაძლოა დაეხმაროს შუამავალს მედიაციის პროცესის ეფექტიანად წარმართვაში.

კონფიდენციალურობა იმავდროულად წარმოადგენს მედიატორის ეთიკურ ვალდებულებას. ინდივიდუალური შეხვედრისას მედიატორი ვალდებულია, განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინოს და ინფორმაციის გაზიარებამდე აუცილებლად დარწმუნდეს, რომ მან მოიპოვა მხარისგან მკაფიო თანხმობა კონკრეტული ინფორმაციის მეორე მხარისთვის გაჟღერებაზე.

ინდივიდუალური შეხვედრების კონფიდენციალურობის გარანტიების არსებობა ზრდის კერძო შეხვედრების გამოყენების ინიცია-

ტივას და მათ პროდუქტიულობას. კერძოდ, როდესაც მედიატორს პროცესი დახურულ რეჟიმში გადაჰყავს და თითოეულ მხარესთან ინდივიდუალურ გასაუბრებას აწყობს, ეს პროცესი მას საშუალებას აძლევს, კონფიდენციალური ინფორმაცია განიხილონ მხარეთა რეაულური ინტერესების გამოკვლევისა და თვითგამორკვევის ხელშეწყობისთვის. მხარეთა მოსაზრებების ცალ-ცალკე მოსმენა-გაანალიზებით მედიატორს საშუალება ეძლევა მხარეთა შემდგომი კომუნიკაცია დააბალანსოს და პროდუქტიული დიალოგისკენ წარმართოს.[5]

4. ინფორმაციის გამჟღავნების გამონაკლისი შემთხვევები (10. IV)

ნორმა განსაზღვრავს კონფიდენციალურობის პრინციპიდან საგამონაკლისო, ამომწურავ საფუძვლებს როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება ნებადართულია და არ ითვლება კონფიდენციალურობის პრინციპის დარღვევად. კერძოდ, აღნიშნული გამონაკლისებია

ა) სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და თავისუფლების დაცვა: ამ გამონაკლისში შედის გარემოებები, როდესაც ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის აუცილებლობა აღემატება კონფიდენციალობის დაცვის მნიშვნელობას.

ბ) სამედიაციო მორიგების არსებობის დადგენა: ხელს უწყობს სამედიაციო მორიგების აღსრულებას და ითვალისწინებს ინფორმაციის გამჟღავნებას ასეთი შეთანხმების არსებობის დასამტკიცებლად, თუ მორიგების არსებობა სადავო გახდება;

გ) სამართლებრივი ვალდებულებების შესრულება: ითვალისწინებს გარემოებებს, როდესაც მხარეებს კანონით მოეთხოვებათ გაამჟღავნონ ინფორმაცია, რომელიც მედიაციის პროცესის მიმდინარეობისას გახდა ცნობილი, იმ პრინციპის გათვალისწინებით, რომ სამართლებრივი ვალდებულებები შესაძლოა მოითხოვდეს ინფორმაციის შეზღუდული მოცულობით გამჟღავნებას;

---

[5] *წულაძე ა. (რედ), წულაძე ა., ფოლბერგი ჯ., გოლანი დ., (მთარგ.) გომელაური მ.,* მოლაპარაკება: თეორია, პრაქტიკა და სამართალი, თბ., 2018, 263.

დ) სასამართლოს, ან სავალდებულო იურიდიული ძალის მქონე გადაწყვეტილებები: განსაზღვრავს ინფორმაციის გამჟღავნების შესაძლებლობას, რომელსაც საფუძვლად უდევს სასამართლოს გადაწყვეტილება ან სხვა სავალდებულო კანონისმიერი მოთხოვნა, რომელ შემთხვევაშიც ინფორმაცია შეზღუდული მოცულობით გამჟღავნდება;

ე) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების გამოძიება: ითვალისწინებს ინფორმაციის გამჟღავნებას, რომელიც განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის გამოძიებისთვისაა აუცილებელი. ამ შემთხვევაშიც ინფორმაცია მაქსიმალურად შეზღუდული მოცულობით უნდა გამჟღავნდეს;

ვ) სამედიაციო შეთანხმების აღსრულება: მოიცავს სამედიაციო შეთანხმებების შინაარსის გამჟღავნების აუცილებლობას ნებაყოფლობით შესასრულებლად ან იძულებით აღსასრულებლად;

ზ) სამართლებრივი ან დისციპლინური დავები: ითვალისწინებს ინფორმაციის გამჟღავნებას, რომელიც აუცილებელია სამართლებრივ ან დისციპლინურ დავებში მონაწილე ინფორმაციის გამცემი პირის წინააღმდეგ მისი სამართლებრივი ინტერესების დაცვისთვის;

თ) მედიაციის პროცესამდე ცნობილი, ან საჯარო ინფორმაცია: განმარტავს, რომ კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება არ ვრცელდება ინფორმაციაზე, რომელიც მხარისათვის მედიაციის დაწყებამდე იყო ცნობილი ან კანონით გათვალისწინებული სხვა საშუალებებით გახდა საჯარო.

აღნიშნული გამონაკლისები სიფრთხილით არის შემუშავებული, კონფიდენციალურობის დაცვის ფუნდამენტურ პრინციპსა და სხვა სამართლებრივ სიკეთეებს შორის ბალანსის უზრუნველყოფისთვის. მხარეები სათანადოდ ინფორმირებული უნდა იყვნენ ასეთი გამონაკლისების შესახებ მედიაციის პროცესის დასაწყისიდან, რადგან აღნიშნული საფუძვლები ადგენს შეზღუდვებს, რომლის ფარგლებშიც უნდა იმოქმედონ მედიატორებმა და მხარეებმა. აქ კიდევ ერთხელ იკვეთება, რომ მხარეების უფლება, კონფიდენციალურად გადაწყვიტონ მათთვის მნიშვნელოვანი საკითხები, არ არის აბსოლუ-

ტური, არამედ ის მოქმედებს ერთიან სივრცეში სხვა (ფუნადმენ-ტურ) უფლებებთან, სამართლებრივ სიკეთეებთან ერთად, როგორი-ცაა, დანაშაულის გახსნა, ბავშვის უფლებები და სხვა.

5. კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების წესი უფლებამოსილი პირისა ან ორგანოსათვის (10 V)

განსახილველი ნორმის მე-5 პუნქტი ითვალისწინებს მნიშვნე-ლოვან გარანტიას კონფიდენციალურობის პრინციპიდან დადგენი-ლი გამონაკლისების სწორი გამოყენებისთვის, ადგენს რა, რომ კონ-ფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება უნდა მოხდეს მისი კა-ნონიერი მიზნის ადეკვატური და პროპორციული მოცულობით. ეს პრინციპი უზრუნველყოფს, რომ კონფიდენციალურობის ინტერესი მაქსიმალურად იქნეს შენარჩუნებული მაშინაც კი, როდესაც გამო-ნაკლისები იძლევა ინფორმაციის გამჟღავნების შესაძლებლობას. ამრიგად, თუ მე-10 მუხლის მე-4 პუნქტი ადგენს კონფიდენციალო-ბის შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზანს, მე-5 პუნქტი უკვე აზუსტებს კრიტერიუმებს ამ მიზნის მიღწევის – ინფორმაციის გამჟღავნების პროცესში.

ნებადართული ინფორმაციის გამჯღავნება უნდა აკმაყოფილ-დებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

ადეკვატურობა: აღნიშნულში იგულისხმება, რომ ინფორმაცი-ის გამჟღავნება სათანადო გზა და საშუალება უნდა იყოს კანონით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად. ამისთვის სიფრთხილით უნდა შეფასდეს, თუ რომელი ინფორმაცია არის რელევანტური და რომელი ინფორმაცია უნდა წარედგინოს უფლებამოსილ პირს ან ორგანოს.

პროპორციულობა: პროპორციულობა გულისხმობს, რომ გამ-ჟღავნებული ინფორმაციის ფარგლები, მოცულობა უნდა შეესაბა-მებოდეს ლეგიტიმური მიზნის მნიშვნელობას. აღნიშნული უზრუნ-ველყოფს, რომ კონფიდენციალური ინფორმაცია უნდა გამჟღავ-ნდეს სწორედ იმ დოზითა და მასშტაბით, რაც აუცილებელია გან-საზღვრული მიზნის მისაღწევად და არ უნდა გადააჭარბოს მას.

დებულებაში ხაზგასმულია კონფიდენციალურობის დაცვის მნიშვნელობა გამჟღავნებული ინფორმაციის მიმღები პირების მიერ. ამ შემთხვევაში კანონის მიზანია მედიაციის პროცესის მონაწილეთა ინტერესების დაცვა, იმის გარანტიით, რომ ინფორმაციის აუცილებელი გამჟღავნება საფრთხეს არ შეუქმნის ინფორმაციის კონფიდენციალურობას უფრო ფართო მოცულობით, ვიდრე მოითხოვება.

მითითება „უფლებამოსილი პირის ან ორგანოს“ შესახებ წარმოადგენს ინფორმაციის გამჟღავნების კონტროლირებად და რეგულირებულ სტრუქტურას, და მიუთითებს, რომ ინფორმაციის გამჟღავნების უფლება მხოლოდ ინფორმაციაზე წვდომის კანონიერი და სამართლებრივი საფუძვლის მქონე პირებს აქვთ.

მედიატორებმა და მხარეებმა უნდა დაიცვან სათანადო ბალანსი ინფორმაციის აუცილებელ გამჟღავნებასა და კონფიდენციალობის დაცვის უმთავრეს ვალდებულებას შორის, რაც მოითხოვს საფუძვლიან შეფასებას თუ რას წარმოადგენს „ადეკვატური და პროპორციული“ გამჟღავნება სხვადასხვა კონტექსტში.

კანონის მე-10 მუხლში გამჟღავნების სათანადო წინაპირობების დადგენა არის მტკიცებულება იმისა, რომ „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონი მაქსიმალურად იცავს კონფიდენციალურობის პრინციპს, მაშინაც კი, როდესაც გამონაკლისები მოითხოვს ინფორმაციის გამჟღავნებას.

6. კონფიდენციალურობის შესახებ მხარეთა ინფორმირების ვალდებულება (10 VI)

წინამდებარე ნორმის თანახმად მედიატორი ვალდებულია, მედიაციის პროცესის დაწყებამდე მხარეებს მიაწოდოს ინფორმაცია კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულებისა და მისი ფარგლების შესახებ. ამ მოთხოვნას არსებითი მნიშვნელობა აქვს რამდენიმე მიზეზის გამო:

ინფორმირებული თანხმობა: უზრუნველყოფს, რომ ყველა მხარე თავიდანვე სრულად არის ინფორმირებული თავისი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ კონფიდენციალურობასთან დაკავ-

შირებით. ინფორმირებული თანხმობა არის ნდობისა და ობიექტურობის მთავარი ფაქტორი მედიაციის პროცესში. აღნიშნული გარკვეულ წილად ასევე ხაზს უსვამს მედიატორის მიერ მხარეებისთვის ინფორმაციის მიწოდების ხარისხსაც და მოიაზრებს, რომ მედიატორმა მხარეებს კონფიდენციალურობის საკითხი უნდა განუმარტოს მათთვის გასაგებ ენაზე და ფორმით და დარწმუნდეს, რომ უფლებებიც და ვალდებულებებიც სრულად გასაგები გახდა მათთვის.

ნდობის საფუძველი: კონფიდენციალურობის დაცვის ფარგლების განმარტებით, მედიატორები ქმნიან საფუძველს სანდო გარემოსთვის, სადაც მხარეები თავს უსაფრთხოდ იგრძნობენ კონფიდენციალური ინფორმაციის გაზიარებისას, იციან რა, რომ მათი ინფორმაცია დაცულია.

სამართლებრივი და ეთიკური ვალდებულებები: ეს ვალდებულება ხაზს უსვამს მედიატორის, როგორც არა მხოლოდ დიალოგის შუამავლის, არამედ როგორც პროცესის ობიექტურობის მცველის, როლს, როგორც სამართლებრივი სტანდარტების, ასევე ეთიკური ნორმების დაცვით.

„კონფიდენციალურობის ფარგლების“ განმარტების მოთხოვნა მოიცავს დეტალურ აღწერას, თუ რომელი ინფორმაცია ითვლება კონფიდენციალურად, კონფიდენციალურობის დაცვიდან გამონაკლისებს (როგორც მითითებულია მე-4 და მე-5 პუნქტებში) და ამ დებულებების გავლენას მედიაციის პროცესზე. აღნიშნული ინსტრუქცია ეხმარება მხარეებს გააცნობიერონ კონფიდენციალურობის დაცვის ნიუანსები, მათ შორის გაიგონ რომელი ინფორმაციის გამჟღავნება შეიძლება, რა გარემოებებში და ვისთვის.

მე-10 მუხლის მე-6 პუნქტი აძლიერებს მედიატორების მნიშვნელოვან როლს მედიაციის პროცესის კონფიდენციალურობის დაცვაში, მედიაციის პროცესის წინ ყოვლისმომცველი ინსტრუქტაჟის ჩატარების გზით. ეს მოთხოვნა უზრუნველყოფს არა მხოლოდ სამართლებრივი და ეთიკური ვალდებულებების შესრულებას, ასევე ხელს უწყობს ღია და პროდუქტიული მედიაციის პროცესისთვის ხელსაყრელი გარემოს შეექმნას. იმის უზრუნველყოფით, რომ ყველა მხარე სათანადოდ არის ინფორმირებული კონფიდენციალობის დაცვის

ვალდებულებების შესახებ, მედიატორები ხელს უწყობენ პროცესს, რომელიც დაფუძნებულია ნდობაზე, პატივისცემასა და ურთიერთგაგებაზე, რაც დავის წარმატებით გადაწყვეტის მყარი საფუძველია.

აღნიშნული საკითხის დამატებითი მოწესრიგება მოცემულია ასევე „მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექში" რომელიც აწესებს მედიატორის მხრიდან მხარეთათვის მოქმედი კონფიდენციალობის ფარგლებს.[6]

7. კონფიდენციალურობის დაცვის წესი მედიაციის დასრულების შემდგომ (10 VII)

წინამდებარე ნორმის განმარტებით კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულებები მოქმედებს მედიაციის დასრულების შემდეგაც, თუ სხვაგვარად არ არის მხარეთა მიერ შეთანხმებული. ეს დანაწესი იცავს მხარეთა ინტერესებს და პროცესის მთლიანობას გრძელვადიან პერსპექტივაში. კონფიდენციალურობის მუდმივ დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მედიაციის გრძელვადიანი ეფექტიანობის უზრუნველყოფისთვის.

კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულების გრძელვადიანი ბუნებას მნიშვნელობა აქვს რამდენიმე მიზეზის გამო:

მხარეთა გრძელვადიანი დაცვა: მედიაციის პროცესის დასრულების შემდეგ კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა იცავს მხარეთა ინტერესებს და პროცესის განმავლობაში გაზიარებული ინფორმაციის მთლიანობას.

---

[6] „მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსი"-ს მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი: მედიაციის პროცესის დაწყებისთანავე მედიატორმა მონაწილეებს უნდა გააცნოს როგორც პროცესის საერთო მიმდინარეობისას, ისე ინდივიდუალურ შეხვედრებზე მოქმედი კონფიდენციალობის ფარგლები. ამასთან, მედიატორმა უნდა განმარტოს მხარეებს კონფიდენციალობის შეზღუდვის კანონითა თუ წინამდებარე ეთიკის კოდექსით დადგენილი საფუძვლები და ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენების პირობები.

ნდობა მედიაციის პროცესის მიმართ: კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულების გრძელვადიანი ბუნება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მედიაციის, როგორც დავის გადაწყვეტის მეთოდის, სანდოობისა და მიმზიდველობისთვის.

გამონაკლისების დაშვება წერილობითი შეთანხმებით კონფიდენციალურობის დაცვის რეჟიმს აძლევს მოქნილობას, იმ დაშვებით, რომ შესაძლოა შეიქმნას გარემოებები, როდესაც მხარეები შეთანხმდნენ კონკრეტული ინფორმაციის გამჟღავნებაზე მედიაციის პროცესის შემდეგ.

მედიატორებმა მხარეებს უნდა აცნობონ კონფიდენციალურობის და მასზე წერილობითი შეთანხმების მეშვეობით უარის თქმის პოტენციური შედეგები. ეს სახელმძღვანელო მითითება შედის მედიატორის უფრო ფართო პასუხისმგებლობის ფარგლებში იმის უზრუნველყოფისთვის, რომ მხარეებმა ინფორმირებული გადაწყვეტილებები მიიღონ.

ნებისმიერი წერილობითი შეთანხმება კონფიდენციალურობის დაცვაზე უარის თქმის შესახებ მედიაციის პროცესის შემდეგ, უნდა იყოს მკაფიო, კონკრეტული და ზუსტად ასახავდეს რომელი ინფორმაციის გამჟღავნება არის შესაძლებელი, ვისთვის და რა გარემოებებში. ასეთი სიზუსტე აუცილებელია პოტენციური სამართლებრივი დავების თავიდან ასაცილებლად.

8. კონფიდენციალური ინფორმაციის მიმღები პირის ვალდებულება (10 VIII)

„მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-8 პუნქტი აწესებს იმ პირთა ვალდებულებებს, რომლებიც იღებენ კონფიდენციალურ ინფორმაციას მე-4 პუნქტში მითითებული გამონაკლისების ფარგლებში. ეს დასკვნითი დანაწესი უზრუნველყოფს, რომ იმ შემთხვევაშიც, თუ კონფიდენციალური ინფორმაცია გამჟღავნებულია კონკრეტულ, კანონიერად მიჩნეულ გარემოებებში, ასეთი ინფორმაცია დაცული რჩება შემდგომი გავრცელებისგან.

კანონი, გამჟღავნებული ინფორმაციის შემდგომი გავრცელებისგან დაცვის ვალდებულების განსაზღვრით, ქმნის კონფიდენციალურობის ჯაჭვს, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ მედიაციის მონაწილეებს, არამედ ნებისმიერ მესამე პირს, რომელსაც კანონიერად მიეცემა წვდომა კონკრეტულ ინფორმაციაზე.

კონფიდენციალური ინფორმაციის მიმღები პირები მკაფიოდ ინფორმირებული უნდა იყვნენ კონფიდენციალური ინფორმაციის შემდგომში გავრცელებისგან დაცვის ვალდებულების შესახებ.

მე-10 მუხლის მე-8 პუნქტის დანაწესი აძლიერებს „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის კომპლექსურ მიდგომას კონფიდენციალურობის მიმართ.

VIII. სამართლებრივი შედეგები და ნორმის მნიშვნელობა საპროცესო სამართალში

წინამდებარე მუხლს პირდაპირი კავშირი აქვს მედიატორთა პროფესიული ეთიკის ნორმებთან, ხოლო ამ ნორმის მოთხოვნათა დაუცველობა ჩაითვლება მედიატორის მხრიდან „მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ დარღვევად და საფუძვლად დაედება მის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებას. გარდა ამისა, კონფიდენციალურობის პრინციპის პრაქტიკულ გააზრებას და სწორ გამოყენებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მედიატორის პროფესიით დაინტერესებული კანდიდატების შეფასებისას საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მიერ.

სოფიო ჩაჩავა / სოფიო ტყემალაძე

მუხლი 11. მედიატორის საქმიანობის ანაზღაურების წესი და პირობები

I. ზოგადი დებულებები 225
1. ნორმის მიზანი და რეგულირების საგანი 225
2. მედიატორის ანაზღაურება კერძო მედიაციის პროცესში (11 I) 226
3. მედიაციის ხარჯების მხარეთა შორის ნაწილება (11 II) 229
4. სასამართლო მედიაციის პროგრამაში ჩართული მედიატორის (pro bono) ანაზღაურების გარეშე ყოველწლიურად ერთი საქმის წარმართვის ვალდებულება (11 III) 230
5. სასამართლო მედიაციაში მონაწილე მედიატორის ანაზღაურება (11 IV) 232

1. კერძო მედიაციის პროცესში მონაწილე მედიატორის საქმიანობის ანაზღაურების წესი და პირობები განისაზღვრება მხარეებსა და მედიატორს შორის დადებული შეთანხმებით.

2. თუ მედიაციის თაობაზე შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მხარის მიერ გაწეულ ხარჯებს ეს მხარე ანაზღაურებს, ხოლო მედიაციის პროცესთან დაკავშირებული საერთო ხარჯები მხარეებს შორის თანაბრად ნაწილდება.

3. სასამართლო მედიაციის პროცესში მონაწილე მედიატორი ვალდებულია ყოველწლიურად სასამართლო მედიაციის პროგრამით განსაზღვრული რაოდენობის დავების საქმეებზე სასამართლო მედიაცია ანაზღაურების გარეშე (Pro Bono) წარმართოს.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა, სასამართლო მედიაციაში მონაწილე მედიატორის საქმიანობა ანაზღაურდება სასამართლო მედიაციის პროგრამების დასა-

ფინანსებლად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს საერთო სასამართლოებისათვის გამოყოფილი ასიგნებებიდან, თუ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დავის საგნის ღირებულების მიხედვით სასამართლო მედიაციის პროცესში მონაწილე მედიატორის საქმიანობის ანაზღაურების სხვა წესი არ აქვს დადგენილი. სასამართლო მედიაციის პროცესში მონაწილე მედიატორის საქმიანობის ანაზღაურების წესს ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

I. ზოგადი დებულებები

1. ნორმის მიზანი და რეგულირების საგანი

მუხლის პირველი ორი პუნქტი ეხება მედიატორის ანაზღაურებას კერძო მედიაციის შემთხვევაში, ხოლო ბოლო ორი პუნქტი განსაზღვრავს მედიატორის ანაზღაურებას სასამართლო მედიაციის კონტექსტში.

ანაზღაურების წესის გამიჯვნა სასამართლო და კერძო მედიაციის პროცესებში თავიდანვე კანონშემოქმედებითი ჯგუფის პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო. ამ მიდგომის რაციონალია ის, რომ სასამართლო მედიაციის შემთხვევაში, როდესაც სასამართლო მართლმსაჯულების განხორციელებამდე ან სამართალწარმოების პროცესში გადაამისამართებს მხარეებს მედიაციაში, მხარეებისთვის ეს არ გახდეს ისეთი ფინანსური ტვირთი, რაც დააბრკოლებდა მათ წვდომას მართლმსაჯულებაზე. ამასთან, სასამართლოს მიერ საქმის მედიაციაში გადაცემის შემთხვევაში მხარეთათვის მედიაციის სერვისისათვის დამატებითი ხარჯების დაკისრება მხარეთა უკმაყოფილებას და მრავალ კითხვის ნიშანს გააჩენდა როგორც ახლად დანერგილი ინსტიტუტის, ასევე სასამართლო სისტემის მიმართ.[1] ამავე დროს, კერძო მედიაციის შემთხვევაში, როდესაც მხარეები თა-

[1] შდრ. *Kovach K.,* Mediation, Principles and Practice, 3rd ed., West Academic Publishing 2004, 114.

ვად გადაწყვეტენ მედიაციისთვის მიმართვას, მედიატორის ანაზღაურება საბაზრო ეკონომიკას და მხარეთა ნების ავტონომიას უნდა ეფუძნებოდეს. შესაბამისად, განსხვავებული მიდგომებია დამკვიდრებული მედიატორის ანაზღაურებისთვის, იმისდა მიხედვით პროცესი წარიმართება სასამართლო მედიაციის თუ კერძო მედიაციის ჩარჩოში.

2. მედიატორის ანაზღაურება კერძო მედიაციის პროცესში (11 I)

როგორც კანონმდებელი ადგენს, კერძო მედიაციის პროცესში მონაწილე მედიატორის საქმიანობის ანაზღაურების წესი და პირობები განისაზღვრება მხარეებსა და მედიატორს შორის დადებული შეთანხმებით. მაშასადამე, კერძო მედიაციის პროცესში მედიატორი თავისუფალია თავად განსაზღვროს მომსახურების ტარიფი და შეათანხმოს მხარეებთან. ადვოკატის მომსახურების ტარიფის მსგავსად მედიატორი თავად განსაზღვრავს ანაზღაურების პირობებს, ტარიფს, ოდენობას და ფორმატს; შესაბამისად, როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ ანაზღაურების ტარიფი შეიძლება სრულიად განსხვავებული იყოს ყოველი მედიატორის შემთხვევაში.

პრაქტიკაში მედიატორის ანაზღაურების ყველაზე გავრცელებული საწყისი არის დრო, ე.ი. საათობრივი ან დღიური ტარიფით ანაზღაურება. მაგალითად, საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის მედიაციისა და ფასილიტაციის ტარიფების სქემა ადგენს მედიატორის დღიური ანაზღაურების ტარიფს მინიმუმ 300 და მაქსიმუმ 800 ლარის ოდენობით[2]. საინვესტიციო დავების მოგვარების საერთაშორისო სასამართლოს (ICSID-ის) მედიაციის ადმინისტრაციული და ფინანსური რეგულაციებიც აწესებს საათობრივ ანაზღაურებას მედიატორისთვის.[3]

შესაძლებელია მედიატორმა ანაზღაურების ტარიფი დააფუძნოს არა დროს, არამედ შეაფასოს დავის კომპლექსურობა, დავის

[2] GIAC – საერთაშორისო საარბიტრაჟო ინსტიტუტი.

[3] ICSID Mediation Rules and Regulation, რეგულაცია 6.1.ა.

საგნის ოდენობა, მხარეთა რაოდენობა და სხვა ფაქტორები და მხარეებს შესთავაზოს ერთიანი თანხა, ე.წ. lump sum-ი მთელი მედიაციისთვის. აგრეთვე შესაძლებელია, მედიატორმა გამოიყენოს კომბინირებული მიდგომა და დასაწყისისთვის შესთავაზოს მხარეებს ერთიანი თანხა, ხოლო თუკი მედიაცია გაგრძელდება გარკვეულ დროზე მეტი, შესთავაზოს მათ ფინანსური ჩარჩო, თუ რა დაუჯდებათ მხარეებს მისი მომსახურება დამატებითი დროის შემთხვევაში.

მედიატორის თავისუფლება შეათანხმოს მხარეებთან მისი მომსახურების წესი და პირობები ექვემდებარება ორ შეზღუდვას, რაც პირდაპირ ამ ნორმიდან არ გამომდინარეობს, არამედ კავშირშია კანონის ორ სხვა დანაწესთან.

კერძოდ, პირველი შეზღუდვა ეხება დროს – თუ როდის უნდა შეათანხმოს მედიატორმა მისი ანაზღაურების წესი და პირობები მხარეებთან. კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი პირდაპირ ადგენს, რომ მედიატორმა მისი საქმიანობის ანაზღაურების წესი და პირობები მხარეებთან მედიაციის დაწყებამდე უნდა შეათანხმოს. ასევე, საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსის პირველი მუხლის მე-7 ნაწილიკიდევ უფრო დეტალურად განსაზღვრავს, რომ „მედიატორმა არ უნდა იკისროს მედიატორად მოქმედების ვალდებულება კონკრეტულ საქმეზე, თუ ყველა მონაწილე მხარე არ დაეთანხმება მისი ანაზღაურების წესს და პირობებს“. ამ დანაწესის მიღმა დგას ინტერესი, რომ მხარეებისთვის წინასწარ იყოს განჭვრეტადი რა დაუჯდებათ მათ მედიატორის მომსახურება; ეს განაპირობებს როგორც მათ მიდგომას და ჩართულობას პროცესში, ისე ნდობას მედიატორსა და მხარეებს შორის. ნებისმიერი გაუგებრობა ან დავა ანაზღაურების შესახებ შეიძლება სავალალო აღმოჩნდეს როგორც მედიატორის მიმართ მხარეების ნდობის, ისე მხარეების მიმართ მედიატორის განწყობის ჭრილში.

ანაზღაურების შესახებ შეთანხმების ნაწილში ასევე მნიშვნელოვანია, რომ პირობები იყოს ცხადი, ნათელი და არაორაზროვანი. ამასთან სასურველია დადგენილი იყოს ანაზღაურების ოდენობის ზედა ზღვარი; ასევე საათობრივი შეთანხმების შემთხვევაში – საა-

თების გამოთვლის დეტალური წესი და ზედა ზღვარი. ნებისმიერ შემთხვევაში, ზედა ზღვარის მიღწევის ეტაპზე უნდა მოხდეს აღნიშნულის შესახებ მხარეთა ინფორმირება და პროცესის გაგრძელების მზაობის შემთხვევაში აღნიშნულის შესახებ მხარეთა მიერ დამატებითი შეთანხმება და გაგრძელების მზაობის დადასტურება.[4]

მეორე შეზღუდვა დაკავშირებულია ანაზღაურების საწყისთან – კერძოდ, მედიატორს ეკრძალება მისი ანაზღაურება დაუკავშიროს პროცესის შედეგს, ე.ი. მიაღწევენ თუ არა მხარეები მორიგებას. ეს შეზღუდვა დაკავშირებულია მედიატორის როლთან და მის პროფესიულ ვალდებულებასთან იყოს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი როგორც მხარეების, ისე დავის მიმართ (კანონის მე-3 მუხლი).

თუკი მედიატორის ანაზღაურება დამოკიდებული იქნება იმაზე, მიაღწევენ თუ არა მხარეები მორიგებას, ეს თავისთვად ნიშნავს, რომ მედიატორი დაინტერესებულია დავის გადაწყვეტის შედეგით, ვინაიდან შედეგს პირდაპირი ზეგავლენა აქვს მის ანაზღაურებაზე. აქედან გამომდინარე, მას შესაძლოა გაუჩნდეს ცდუნება, ზედმეტი წნეხი განახორციელოს მხარეებზე მათი მორიგებამდე მიყვანის მიზნით. ამას გარდა, თუკი მედიატორის ანაზღაურება მხარეთა მორიგების შედეგზე იქნება დამოკიდებული, ამან თავად მხარეებზეც შეიძლება იქონიოს ზეგავლენა – მათ მიერ გადაწვეტილების მიღების პროცესში, დათანხმდნენ თუ არა მორიგების პირობებს, ჩნდება დამატებითი ფაქტორი – მედიატორის ანაზღაურება, რამაც შეიძლება (თუნდაც ქვეცნობიერად) უარყოფითად იმოქმედოს მხარის მზაობაზე მიაღწიოს მორიგებას.

აქედან გამომდინარე, საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსის პირველი მუხლის მე-8 ნაწილი ადგენს, რომ „მედიატორის ანაზღაურების ოდენობა არ შეიძლება იყოს დამოკიდებული მედიაციის შედეგზე“. მსგავს შეზღუდვას ვხვდებით საერთაშორისო მასშტაბითაც. მაგალითად, მედიაციის საერთაშორისო ინსტიტუტის (IMI) მედიატორთა ეთიკის კო-

[4] მედიატორის ანაზღაურების განჭვრეტადობასთან დაკავშირებით შდრ. *Kovach K.,* Mediation, Principles and Practice, 2004, 116.

დექსის მიხედვით, „მედიატორებმა არ უნდა შესთავაზონ მხარეებს ისეთი ანაზღაურება, რაც დაეფუძნება ან დაკავშირებული იქნება მედიაციის შედეგთან“[5] (მუხლი 4.5.2).

ამასთან, გასათვალისწინებელია, მხარეთა შორის ანაზღაურების შესახებ შეთანხმება იყოს გააზრებული და გამოხატავდეს თითოეული მხარის ინტერესს. ცალკეულ შემთხვევაში შესაძლებელია მედიაციის მომსახურების ღირებულების დაფარვის მზაობა ჰქონდეს ერთ-ერთ მხარეს. ასეთი მზაობა გავრცელებული პრაქტიკით შესაძლოა იყოს უმეტესწილად დიდი კორპორაციების შემთხვევაში. მედიაციის ხარჯის სრულად დაფარვის პირობა კომპანიის მიერ შესაძლებელია წინასწარაც იყოს გათვალისწინებული ხელშეკრულებით მედიაციის თაობაზე შეთანხმების პირობასთან ერთად ან შესაძლოა შემდგომ მოხდეს ამ პირობის შეთავაზება. დიდ კორპორაციასა და მომხმარებელს ან სხვა ფიზიკურ პირს შორის დავის შემთხვევაში ასეთი მიდგომა შესაძლოა გამართლებული და გასაგებიც იყოს რესურსების დისბალანსის გათვალისწინებით. კორპორაცია, როგორც წესი, უპირატეს მდგომარეობაშია და მეტი შესაძლებლობა აქვს დაფაროს აღნიშნული ხარჯები. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მედიატორი უნდა დარწმუნდეს, რომ მეორე მხარისათვის ეს პირობა სრულად მისაღებია. ამასთან, მედიატორი განსაკუთრებით ყურადღებით უნდა იყოს, რომ აღნიშნულმა არ მაოხდინოს გავლენა მის მიუკერძოებლობაზე და არც ეჭვი გააჩინოს მეორე მხარის თვალში ასეთის შესახებ.[6]

3. მედიაციის ხარჯების მხარეთა შორის ნაწილება (11 II)

მედიაციის შესახებ კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს, რომ „თუ მედიაციის თაობაზე შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მხარის მიერ გაწეულ ხარჯებს ეს მხარე ანაზღაურებს, ხოლო მედიაციის პროცესთან დაკავშირებული საერთო ხარჯები მხარეებს შორის თანაბრად ნაწილდება”.

---

5 IMI Code of Conduct (imimediation.org).

6 შდრ. Kovach, Mediation, Principles and Practice, 115, 2004.

აღნიშნული პუნქტი აწესრიგებს უშუალოდ მხარეებს შორის მედიაციასთან დაკავშირებული ხარჯების განაწილების წესს. როგორც კანონის უმრავლესი სხვა დანაწესი, ეს ნორმაც დისპოზიციურია და მხარეებს აძლევს შესაძლებლობას თავად შეთანხმდნენ, თუ როგორ უნდა მოხდეს მათ შორის ხარჯების განააწილება. ასეთი შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში კი, კანონი ადგენს, რომ მხარეების მიერ გაწეულ ხარჯებს თავად ეს მხარე აანაზღაურებს, ხოლო საერთო ხარჯები თანაბრად განაწილდება მათ შორის.

მხარის მიერ გაწეულ ხარჯებს, რომელიც მხარემ თავად უნდა იწვნიოს, მიეკუთვნება, მაგალითად, მხარის მიერ მედიაციის პროცესში წარმომადგენლით მონაწილეობისთვის ადვოკატისთვის მიცემული ჰონორარი, ისევე როგორც, მაგალითად, მგზავრობის ხარჯი (ტრანსპორტი, სასტუმრო), ასეთის არსებობის შემთხვევაში, რაც მხარემ გაიღო იმისათვის რომ დაესწროს მედიაციის პროცესს. ,,მედიაციის პროცესთან დაკავშირებულ საერთო ხარჯებსო კი, რომელიც თანაბრად ნაწილდება მხარეებს შორის, განეკუთვნება, მაგალითად მედიატორის ჰონორარი, მედიატორის მიერ გაღებული მგზავრობის და სხვა ხარჯები, ასევე თუკი მედიაციის პროცესში გამოიკვეთა ექსპერტის ან თარჯიმნის საჭიროება – მათ ჩართულობასთან დაკავშირებული ხარჯები. ხარჯების განაწილების მსგავს მოდელს არაერთი საერთაშორისო ინსტრუმენტი ითვალისწინებს. მაგალითად, UNCITRAL-ის 2021 წლის მედიაციის წესები (მუხლი 11)[7], საერთაშორისო სავაჭრო პალატის (ICC) მედიაციის წესები (მუხლი 6)[8].

4. სასამართლო მედიაციის პროგრამაში ჩართული მედიატორის (pro bono) ანაზღაურების გარეშე ყოველწლიურად ერთი საქმის წარმართვის ვალდებულება (11 III)

მედიაციის შესახებ კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტი განსაზღვრავს, რომ „სასამართლო მედიაციის პროცესში მონაწილე მედიატორი ვალდებულია ყოველწლიურად სასამართლო მედიაციის

[7] UNCITRAL Mediation Rules, 2021.

[8] Mediation Rules - ICC - International Chamber of Commerce (iccwbo.org).

პროგრამით განსაზღვრული რაოდენობის დავების საქმეებზე სასამართლო მედიაცია ანაზღაურების გარეშე (Pro Bono) წარმართოს."

ანაზღაურების გარეშე (pro bono) მომსახურების გაწევის ვალდებულება მიღებული სტანდარტია იურიდიულ პროფესიასა[9] და მედიატორთა საქმიანობის საერთაშორისო პრაქტიკაში.[10] დადგენილი პრაქტიკის მიხედვით გარკვეული საათების, საქმეების ანაზღაურების გარეშე წარმართვის ვალდებულების გათვალისწინების უპირატესი მიზანია მომსახურება ხელმისაწვდომი იყოს საზოგადოების მოწყვლადი ფენისთვის, რომელთათვის მართლმსაჯულება ხელმისაწვდომი არ არის შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობის გამო. ამასთან, ე.წ. pro bono მომსახურების გაწევის ვალდებულების მიზანი მედიატორების შემთხვევაში შესაძლებელია იყოს მედიაციის პოპულარიზაცია, მედიაციის დანერგვის ხელშეწყობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 27 დეკემბრის #1/366 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მედიაციის პროგრამა[11], რომელშიც ცვლილებები განხორციელდა 2021 წლის 23 დეკემბერს,[12] ითვალისწინებს სასამართლო მედიაციის პროგრამაში ჩართული მედიატორის ვალდებულებას, ყოველწლიურად 1 საქმეზე სასამართლო მედიაცია ანაზღაურების გარეშე (pro bono) წარმართოს.

წელიწადში ერთ საქმეზე ანაზღაურების გარეშე მედიაციის წარმართვის ვალდებულების მიზანი მედიაციის დანერგვის ამ ადრეულ ეტაპზე სახელმწიფო ბიუჯეტისათვის ტვირთვის შემსუბუქება და მედიატორების მხრიდან მედიაციის დანერგვის ხელშეწყობის მზაობა უნდა იყოს. ამავე დროს, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო მედიაციაში ჩართულობა, განსაკუთრებით პროფესიაში

---

9 მაგ. შდრ. იურისტის მოდელური ქცევის წესები.

10 მაგ. შდრ. მედიატორთა მოდელური ქცევის სტანდარტები.

11 ხელმისაწვდომია: (hcoj.gov.ge).

12 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 23 დეკემბრის დადგენილება #25, 2020 წლის 31 იანვრის #1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

ახლად შესული მედიატორებისთვის, სამედიაციო საქმეების მიღების წყარო და შესაბამისად, გამოცდილების დაგროვების და სახელის დამკვიდრების შესაძლებლობაა. ამდენად, ესეც წარმოადგენს სიკეთეს, რომელსაც მედიატორი ღებულობს სასამართლო მედიაციის პროგრამაში ჩართვითა და წელიწადში ერთი pro bono მედიაციის წარმართვით.

5. სასამართლო მედიაციაში მონაწილე მედიატორის ანაზღაურება (11 IV)

მედიაციის შესახებ კანონის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად „სასამართლო მედიაციაში მონაწილე მედიატორის საქმიანობა ანაზღაურდება სასამართლო მედიაციის პროგრამების დასაფინანსებლად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს საერთო სასამართლოებისათვის გამოყოფილი ასიგნებებიდან, თუ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დავის საგნის ღირებულების მიხედვით სასამართლო მედიაციის პროცესში მონაწილე მედიატორის საქმიანობის ანაზღაურების სხვა წესი არ აქვს დადგენილი. სასამართლო მედიაციის პროცესში მონაწილე მედიატორის საქმიანობის ანაზღაურების წესს ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.“

ეს პუნქტი არეგულირებს სასამართლო მედიაციის პროცესში მედიატორის ანაზღაურების წესს და განსაზღვრავს მედიატორის ანაზღაურების წყაროს.

მედიატორის ანაზღაურების წყაროსთან დაკავშირებით კანონმდებელმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ სასამართლო მედიაციაში მონაწილე მედიატორის საქმიანობა ანაზღაურდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ამ მიდგომას რამდენიმე გამართლება აქვს. ერთ მხრივ, როგორც ზემოთ აღინიშნა, კანონმდებლის ინტერესი, რომ სასამართლო მედიაცია მხარეებისთვის არ გახდეს ფინანსური ტვირთი; მეორე მხრივ – მედიაციის დანერგვის ხელშეწყობა და წახალისება განსაკუთრებით საწყის ეტაპზე, როდესაც ეს ინსტიტუტი შედარებით ახალია ჩვენი მართლმსაჯულების სისტემისთვის; და ბოლოს,

იმის გაცნობიერება, რომ მორიგების შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ დაზოგილი რესურსი (მოსამართლის დრო, სასამართლო აპარატის რესურსი, მართლმსაჯულების სისტემისადმი კმაყოფილება) ბევრად აღემატება იმ მცირე ხარჯს, რასაც სახელმწიფო გაიღებს მედიატორის ანაზღაურების მიზნებისთვის.

ამასთანავე, კანონპროექტზე მსჯელობისას დაისვა საკითხი, რამდენად მიზანშეწონილია სახელმწიფოს მიერ მედიატორის ხარჯის დაფარვა ყველა შემთხვევაში, მაგალითად, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც დავის მონაწილეები არიან კომერციული სუბიექტები, დავის საგნის ღირებულება მაღალია და ისინი ნებაყოფლობით (არა სავალდებულო წესით) გადაწყვეტენ სასამართლო მედიაციის გამოყენებას? კანონმდებელმა გადაწყვიტა, რომ საწყის ეტაპზე ეს მოცემულობა – რომ ყველა შემთხვევაში სასამართლო მედიატორის ანაზღაურება დაიფარება სახელმწიფო ბიუჯეტიდან – ერთგვაროვანი იყოს დავის საგნის ღირებულების თუ სხვა ფაქტორების მიუხედავად. ანაზღაურების წესისა და პირობების დადგენის უფლებამოსილება კი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კომპეტენციას მიაკუთვნა. ამასთან, კანონმდებელმა დატოვა საშუალება, რომ მედიაციის განვითარების შემდეგ ეტაპზე, გადაიხედოს ეს მიდგომა და დისკრეცია დაუტოვა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ანაზღაურების განსხვავებული წესი დაადგინოს დავის საგნის ღირეუბლებიდან გამომდინარე. დღეისათვის არ არის დადგენილი იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიერ დავის საგნის ღირებულების მიხედვით სასამართლო მედიაციის პროცესში მონაწილე მედიატორის საქმიანობის ანაზღაურების სხვა წესი, შესაბამისად აღნიშნული მოწესრიგება ვრცელდება ნებისმიერი ტიპის დავაზე.

თუმცა, სამომავლოდ არ არის გამორიცხული, რომ თუ დავის საგნის ღირებულება გარკვეულ, დადგენილ ოდენობაზე მეტი იქნება, ასეთ შემთხვევაში, მხარეებს თავად დაეკისროთ მედიატორის ჰონორარის ანაზღაურება. შესაძლებელია ასევე, რომ განსხვავდებოდეს მედიატორის ანაზღაურების საწყისი და ტარიფი, დავის საგნის ღირებულების მიხედვით. ამგვარი განმარტების საშუალებას ამ პუნქტის ბოლო წინადადება იძლევა, რომლის მიხედვით, კანონმდე-

ბელი, არა მხოლოდ დაფინანსების წყაროს, არამედ სასამართლო მედიაციაში მონაწილე მედიატორის ანაზღაურების წესის დამტკიცების უფლებამოსილებას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პრეროგატივად განსაზღვრავს. აღნიშნული გამართლებულიცაა, ვინაიდან მედიაციის უფასო სერვისის მიწოდება მომხმარებლებისთვის და სახელმწიფოს მიერ აღნიშული პროგრამების დაფინანსება დიდწილად მედიაციის ხელმისაწვდომობას ისახავს მიზნად იმ მოწყვლადი მხარეებისთვის, რომელთაც თავად არ აქვთ მატერიალური შესაძლებლობა იკისრონ დამატებითი ხარჯები.

არაერთი ევროპული ქვეყნის სამართლებრივი სისტემაში სახელმწიფო სხვადასხვა ფორმითა და დოზით ჩართულია მოდავე მხარეთათვის მედიაციის სერვისის მიწოდებისა თუ დაფინანსების პროცესში. უფასო მედიაციის სერვისის შეთავაზება განსხვავებული ფორმით ხდება ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში[13], ზოგიერთ შემთხვევაში ასეთი სერვისი სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულია, ცალკეულ შემთხვევაში დაფინანსება დიფერენცირებულია საქმეებისა და მხარეთა საჭიროების გათვალისწინებით. იტალია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ნიდერლანდები, ბელგია,[14] ესტონეთი, შვედეთი, მალტა, პოლონეთი,[15] ესტონეთი[16] ის სახელმწიფოებია, რომელთაც აქვთ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული მედიაციის სერვისი, თუმცა ცხადია კრიტერიუმები რომელთაც მხარეები უნდა აკმაყოფილებდეს, რათა მიიღოს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სერვისი, განსხვავებულია თითოეულ შემთხვევაში. აღნიშნული მიბმულია დავის კატეგორიას, ბენეფიციარის სოციალურ მდგომარეობას და მედიაციის სავალდებულო კატეგორიებს.[17] უმეტესწილად

---

13 https://www.hiil.org/wp-content/uploads/2018/09/Legal-Aid-in-Europe-Full-Report.pdf, გვ. 43 და შემდგომი.

14 https://e-justice.europa.eu/37129/EN/legal_aid?BELGIUM&member=1.

15 https://e-justice.europa.eu/37129/EN/legal_aid?POLAND&member=1.

16 https://e-justice.europa.eu/64/EN/mediation_in_eu_countries?ESTONIA&member=1.

17 https://e-justice.europa.eu/64/EN/mediation_in_eu_countries.

ასეთი სერვისი სასამართლოს მიერ მედიაციაში გადაცემასთან არის დაკავშირებული.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 27 დეკემბრის №1/367 გადაწყვეტილებით, პირველად დამტკიცდა მედიატორის ანაზღაურების წესი.[18]

. წესის მიხედვით, რომელიც დღესაც მოქმედი რეგულირებაა, მედიატორის საქმიანობა ანაზღაურდება საათობრივად. მედიატორის მიერ წარმართული კომუნიკაციის პირველი 10 საათის ანაზღურება განისაზღვრება 20 ლარის ოდენობით თითოეული საათისთვის, ხოლო ყოველი მომდევნო საათის ანაზღაურება – 10 ლარის ოდენობით. ამასთან, თუკი მედიაციაში ერთზე მეტი მედიატორია ჩართული (თანამედიაცია) მათ შორის ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა ნაწილდება თანაბრად. ასევე, ანაზღაურებას არ ექვემდებარება მედიატორის მიერ წარმართული საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა.

აღსანიშნავია, რომ მოცემული ტარიფები საკმაოდ მცირეა იმ შრომისა და ძალისხმევის საპირწონედ, რასაც გასწევს მედიატორი. მაგალითისთვის, თუკი მედიაციის პროცესი გაგრძელდა ჯამში 8 საათი, მედიატორის ანაზღაურება შეადგენს 160 ლარს, საიდანაც იქვითება კანონმდებლობით დადგენილი გადასახადები. უდავოა, რომ გათვალისწინებული ანაზღაურება არ არის იმ შრომის თანაზომიერი, რომელსაც მედიატორი თითოეულ საქმეზე გასწევს. აღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია ანაზღაურების რეგულირებიდან 5 წლის თავზე, გადაიხედოს ანაზღაურების წესი და მედიატორის შრომა სახელმწიფოს მხრიდან მეტად დაფასდეს. აღნიშნული ღირებული იქნება არა მხოლოდ მედიატორთა საზოგადოების გაძლიერებისა და მათი მხრიდან მედიაციის პრაქტიკაში უფრო აქტიურად ჩართვის მოტივაციისთვის, არამედ იურიდიული საზოგადოების მხრიდან მედიაციის მიმართ ნდობისა და მედიატორის პროფესიის მეტად დაფასების თვალსაზრისითაც.

რაც შეეხება ანაზღაურების პროცედურას, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ

[18] https://mediators.ge/uploads/files/5f26dee9c3155.pdf.

კონსულტანტი სასამართლო მედიაციის საკითხებში უზრუნველყოფს მედიატორის მიერ შესრულებული სამუშაოს აღრიცხვას და კვარტალურად საერთო სასამართლოების დეპარტამენტისთვის შესაბამის მონაცემთა გადამისამართებას, მედიატორის მიერ მიწოდებული მონაცემებისა და აღრიცხვის ფორმის საფუძველზე.

ირაკლი ადეიშვილი

მუხლი 12. მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა

I. ზოგადი დებულებები 237
1. მიზანი და საგანი 237
2. სხვა ნორმებთან კავშირი 238
II. პრაქტიკული მნიშვნელობა 238
III. გამოყენების წინაპირობები 238
1. ხანდაზმულობის ვადის შეჩერება კერძო მედიაციისას (12 I) 238
2. ხანდაზმულობის ვადის შეჩერების ვადები (12 II) 239

1. კერძო მედიაციის დაწყების მომენტიდან ჩერდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა.

2. მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერებულად მიიჩნევა კერძო მედიაციის დასრულებამდე, მაგრამ არაუმეტეს კერძო მედიაციის დაწყებიდან 2 წლისა. კერძო მედიაციის უშედეგოდ დასრულების შემთხვევაში დრო, რომლის განმავლობაშიც მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერებული იყო, აღნიშნულ ვადაში არ ჩაითვლება.

I. ზოგადი დებულებები

1. მიზანი და საგანი

ნორმის მიზანია კერძო მედიაციის მხარეებს ხელი შეუწყოს დავის მოლაპარაკებით დასრულებაში, გამოუყოს მათ დროის ის მოცულობა, რაც გონივრულად იქნებოდა საკმარისი ნებისმიერი სირთულის დავის მედიაციით მოგვარებისათვის. კანონი სწორედ ამ მიზნით ადგენს მედიაციის გამოყენებისას ხანდაზმულობის ვადის შეჩერების შესაძლებლობას.

2. სხვა ნორმებთან კავშირი

მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის შეჩერება სამოქალაქო სამართლით მოწესრიგებული ინსტიტუტია და თავისთავად კავშირშია სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ 132-ე-136-ე მუხლებით განსაზღვრულ მოწესრიგებასთან იმგვარად, რომ აკონკრეტებს ხანდაზმულობის შეჩერების სამოქალაქო კოდექსის 132-ე მუხლის (გ[1]) პუნქტით დადგენილ წინაპირობებსა და არსს.

ნორმას ერთგვარად უკავშირდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187[5] მუხლს, რომელიც მარტოოდენ სასამართლო მედიაციაში მედიაციის ვადად 45 კალენდარულ დღეს განსაზღვრავს მხარეთა შეთანხმებით შემდგომი ერთჯერადი გაგრძელების შესაძლებლობით და ამავე კოდექსის 279-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტს, რომლითაც სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმის წარმოება შეჩერდება ზემოაღნიშნული ვადების განმავლობაში.

II. პრაქტიკული მნიშვნელობა

მე-12 მუხლის პრაქტიკული მნიშვნელობა გამოიხატება იმაში, რომ კერძო მედიაციით შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეებს დარჩეთ გარკვეული დრო დავის მოწესრიგების ისეთი საშუალებისთვის მისამართად როგორიცაა სასამართლო ან არბიტრაჟი.

III. გამოყენების წინაპირობები

1. ხანდაზმულობის ვადის შეჩერება კერძო მედიაციისას (12 I)

ნორმა თავისი შინაარსიდან გამომდინარე სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის შეჩერებას მკაცრად უკავშირებს კერძო მედიაციის დაწყების მომენტს. კანონის მე-7 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების თანახმად, კერძო მედიაცია დაწყებულად მიიჩნევა მხარეეების ან ერთ-ერთი მათგანის მიერ მედიატორისათვის მიმართვის საფუძველზე.[1]

---

[1] დეტალურად იხ. კანონი მე-7 მუხლის კომენტარი.

ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების არსი განმარტებულია როგორც სამოქალაქო კოდექსის 135-ე მუხლში („დრო რომლის განმავლობაშიც ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერებულია, ხანდაზმულობის ვადაში არ ჩაითვლება[2]"), ისე კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის ბოლო წინადადებაში.

საგულისხმოა, რომ კანონი ითვალისწინებს **მარტოოდენ სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერებას.** თუ მოთხოვნა ადმინისტრაციული კანონმდებლობით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადას ექვემდებარება, ასეთი მოთხოვნაზე კერძო მედიაციის დაწყება ხანდაზმულობის ვადას ვერ შეაჩერებს.

ამასთან, ვინაიდან კერძო მედიაციის დაწყების საფუძვლით ხანდაზმულობის შეჩერების საკითხი სამოქალაქო კოდექსში მოწესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის 132-ე მუხლის (გ[1]) პუნქტით, ამ ურთიერთობაზე გავრცელდება ამავე კოდექსის 136-ე მუხლით განსაზღვრული მოწესრიგება, გამომდინარე იქიდან, რომ 136-ე მუხლი უშუალოდ შეეხება 132-ე მუხლით განსაზღვრული საფუძვლების არსებობის პირობებში ხანდაზმულობის შეჩერების თავისებურებებს.

2. ხანდაზმულობის ვადის შეჩერების ვადები (12 II)

კერძო მედიაციისას ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერდება კერძო მედიაციის დასრულებამდე, თუმცა იქვე კანონი იმპერატიულად ადგენს, რომ ასეთი შეჩერება არ უნდა გაგრძელდეს კერძო მედიაციის დაწყებიდან არაუმეტეს ორი წლისა.

თუ მედიაცია მორიგებით დასრულდა, ცხადია, ხელი მოეწერება სამედიაციო მორიგებას და მხარეები ნებაყოფლობით შეასრულებენ ამ დოკუმენტს ან მიაქცევენ აღსასრულებლად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად. მაგრამ თუ მედიაცია უშედეგოდ დასრულდა ის

---

[2] დეტალურად იხ. *ახვლედიანი ზ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, სამოქალაქო კოდექის კომენტარი, წიგნი მესამე, თბ., გამომც. ,,სამართალი", 2001, 132-; *კვანტალიანი ნ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბ., 2017, 753 – 758.

დრო, რომელიც დასჭირდა მედიაციას და რომლის დროსაც ხანდაზმულობის ვადა იყო შეჩერებული, ხადაზმულობის ვადაში არ ჩაითვლება.

მაგალითად, თუ სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული სახელშეკრულებო, 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადას დაქვემდებარებული მოთხოვნა წარმოიშვა 2020 წლის 1 თებერვალს, კერძო მედიაცია კი მხარეებმა დაიწყეს 2020 წლის 10 თებერვალს და დაასრულეს 2024 წლის 5 იანვარს, ხანდაზმულობის ვადა შეჩერებულად ჩაითვლება მხოლოდ 2 წლის განმალობაში, 2020 წლის 10 თებერვლიდან 2022 წლის 10 თებერლის ჩათვლით. 2022 წლის 11 თებერვლიდან კი ხანდაზმულობის ვადის დენა ჩვეულებრივად გაგრძელდება და ამოიწურება მოთხოვნის დაწყებიდან 3 წლის შემდეგ ანუ 2023 წლის 1 თებერვალს. ამდენად, თუ მხარე სარჩელს შეიტანს 2023 წლის 1 თებერვლის შემდეგ, მეორე მხარეს მიეცემა შესაძლებლობა თავი დაიცვას სარჩელის ხანდაზმულობაზე მითითებით.

აქ აუცილებლად უნდა გამახვილდეს ყურადღება სამოქალაქო კოდექსის 136-ე მუხლის შინაარსზე, რომელიც იმავდროულად ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის 132-ე მუხლის (გ[1]) პუნქტზეც, რომლის მიხედვითაც ხანდაზმულობის ვადა შეჩერდება იმ შემთხვევაში, თუ 132-ე მუხლით არსებული გარემოებები წარმოიშვა ან განაგრძობდა არსებობას ხანდაზმულობის ვადის უკანასკნელი ექვსი თვის ფარგლებში, ხოლო თუ ეს ვადა ექვს თვეზე ნაკლებია – ხანდაზმულობის ვადის განმავლობაში.[3]

იმავე მაგალითის მიხედვით, თუ მხარეებმა 2020 წლის 1 თებერვალს წარმოშობილ მოთხოვნაზე კერძო მედიაცია დაიწყეს არა 2020 წლის 10 თებერვალს, არამედ 2023 წლის 10 იანვარს (ანუ სახელშეკრულებო ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე 21 დღით ადრე) და მედიაცია გაგრძელდა 1 წელი და უშედეგოდ დასრულდა 2024 წლის 10 იანვარს, ხანდაზმულობის ვადა გაგრძელდება კიდევ ექვსი თვით და ამოიწურება 2024 წლის 10 ივლისს.

---

[3] უფრო დეტალურად იხ. *ახვლედიანი ზ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბ., სამართალი, 2002, 328-330.

ირაკლი ყანდაშვილი / ნინა გერსამია / თამარ იმნაიშვილი

მუხლი 13. სამედიაციო მორიგების აღსრულება

I. ზოგადი დებულებები / მედიაციის არსი და მისი აქტუალობა 241
II. ნორმის მიზანი 249
III. გამოყენების წინაპირობები და აღსრულების
პროცესუალური წესი 254

1. მხარეთა შეთანხმებით, სამედიაციო მორიგება შეიძლება სასამართლომ აღასრულოს.

2. სამედიაციო მორიგების აღსრულების მოთხოვნით სასამართლოს შეიძლება მიმართოს ერთ-ერთმა ან ორივე მხარემ.

3. სასამართლო სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხს იხილავს ამ კანონითა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესების შესაბამისად.

I. ზოგადი დებულებები / მედიაციის არსი და მისი აქტუალობა

ყველა დროის საზოგადოებაში[1] ადამიანურ ურთიერთობებს ახასიათებს დავა[2] და კონფლიქტი.[3] დავა საზოგადოების ყველა ფენას ეხება, განურჩევლად სოციალური კუთვნილებისა, დავა ყოველდღიური რეალობაა სამეწარმეო სუბიექტებს თუ მათი საქმიანობი-

---

1 *Wode M., Rabe C.S.,* Mediation, Springer, Berlin, 2014, 1.

2 ყანდაშვილი ი., მედიაცია დავის გადაწყვეტის ეფექტური საშუალება, გამომცემლობა „სეზანი“, თბი., 2022, 6.

3 *Deixler-Hűbner A., Schauer M.,* (Hrsg) Alternative Formen der Konfliktbereinigung, MANZ'sche Verlags- und Universitätsbuchhandlung, Wien, 2016, 1.

დან გამომდინარე სახელმწიფოსა და მოქალაქეებს, თუ სამეწარმეო სუბიექტებს და მათ თანამშრომლებს შორის.[4]

თანამედროვე საზოგადოება განსაკუთრებით მიდრეკილია დავებისადმი, რაც ავტომატურად იწვევს სასამართლოს გადატვირთულობას სარჩელებით, განაპირობებს გახანგრძლივებულ და დროში გაჭიანურებულ მართლმსაჯულების სისტემას და მოდავე მხარეების ფინანსურ დანახარჯებს.[5] დავის მახასიათებელი დაძაბულობის, ნერვიულობის, ფიზიკური და ემოციური დესტაბილიზაციის, დავასთან დაკავშირებული დროის და ფინანსების დანახარჯის გათვალისწინებით საზოგადოება და სამეწარმეო სუბიექტები მუდამ ფიქრობდნენ და დღესაც ფიქრობენ თუ როგორ და რა მექანიზმებით მოახერხონ მათი მიმდინარე კონფლიქტური სიტუაციის განეიტრალება, დაძაბულობის კერების ეფექტური ჩახშობა და იმის მოხერხება, რომ ურთიერთობები კონფლიქტის მეორე მხარესთან გაგრძელდეს ჰარმონიულად.[6]

ამ მიზნით საზოგადოება მუდამ ძიებაში იყო დავის გადაწყვეტის ეფექტური გზების, რომელიც ყველაზე მეტად დააკმაყოფილებდა მათ საჭიროებებს და მოერგებოდა მხარეთა რეალურ ინტერესებს, მსგავსი ძიება და დაგეგმარება ავტომატურად სამართლებრივ გზებამდე მიდის და ამ მიმართულებით მათ შორის მთავარი არის სახელმწიფოს სამართლებრივი პოლიტიკა ემთხვეოდეს საზოგადოების ინტერესს და საჭიროებას და თანმდევად პასუხობდეს იმ ინტერესს, რაც სახელმწიფოს მთავარ შემადგენელს - მოქალაქეებს აქვთ და ესაჭიროებათ.[7]

---

4 *Moore C.W.*, The Mediation Process, 3rd Ed, Jossey-Bass Publishing, San Francisco, 2003, 3, 5.

5 *Esplugues C., Marquis L.,* New Developments in Civil and Commercial Mediation, Springer, Vol. 6, 2015, 2.

6 *ყანდაშვილი ი.,* მედიაცია დავის გადაწყვეტის ეფექტური საშუალება, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბ., 2020, 17.

7 *ყანდაშვილი ი.,* საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბ., 2019, 14.

საერთაშორისო პერსპექტივიდან მარტივი, ეფექტური, დროული და ხელმისაწვდომი ფორმების არსებობა დავის გადაწყვეტის მექანიზმებისა არის დღევანდელი საჭიროება.[8]

შესაბამისად, კონფლიქტში ჩართული მხარეები მუდამ ცდილობდნენ მოეძიებინათ ის გზები და საშუალებები, რაც მათ კონფლიქტს, ნაცვლად გახანგრძლივებული პროცესისა და დამატებითი ფინანსური რესურსის ხარჯვისა, უფრო ეფექტურად გადაწყვეტდა და მათ შორის შეამცირებდა რისკებს,[9] დავის მხარეებს შეუნარჩუნებდა ერთმანეთთან შემდგომი ურთიერთობის გაგრძელების შესაძლებლობას,[10] რაც როგორც წესი შეუძლებელია გახანგრძლივებულ და არაპროგნოზირებადი სასამართლო საქმისწარმოების დროს,[11] თუმცა ობიექტურობა მოითხოვს, ამ ეტაპზე ვაღიაროთ, რომ კონფლიქტში მყოფ მხარეებს შორის დავის გადაწყვეტის უფრო გავრცელებული ფორმა სასამართლო საქმისწარმოებაა, ვიდრე მისი რომელიმე ალტერნატიული საშუალებით მხარეებს შორის დავის გადაწყვეტის მცდელობა.[12]

აღსანიშნავია, რომ ამ ყველაფრის ფონზე სახელმწიფოებრივი ინტერესიც თანხვედრი იყო და არის იმ საჭიროებისა, რაზეც ზემოთ არის საუბარი,[13] რადგან ერთი მხრივ, მსგავსი შესაძლებლობების განვითარებით, სასამართლო ხელისუფლებას ეძლევა საშუალება ერთგვარი განმუხტვის მასთან აკუმულირებული და მიმდინარე საქმისწარმოებების, ხოლო მეორე მხრივ, სრულდება დიდი სოციალუ-

---

8 *Carvalho J.M., Carvalho C.,* Online Dispute Resolution Platform in Alberto de Franceschi (ed), European Contract Law and the Digital Single Market –The Implications of the Digital Revolution, Intersentia, 2016, 245, 246.

9 *Poon G.P.*, The Corporate Counsel's Guide to Mediation, First Chair Press, American Bar Association, United States of America, 2010, 9.

10 *იქვე,* 100.

11 *Alexander N.*, International and Comparative Mediation, Wolters Kluwer, 2009, 1.

12 *Pfisterer T.,* Einigung und Mediation in Posch W., Schleifer W., Ferz S., Konfliktlosung im Konsens, Schiedsgerichtbarkeit, Diversion, Mediation, Leykam Buch-Verlag, Graz, 2010, 78.

13 *ყანდაშვილი ი.,* მედიაცია დავის გადაწყვეტის ეფექტური საშუალება, გამომცემლობა „სეზანი", თბ., 2022. 7.

რი ფუნქცია, როდესაც მხარეები სასამართლოს ნაცვლად, სხვა კანონიერი გზებით დავის ამოწურვის მცდელობისას უფრო მეტად ინარჩუნებენ ერთმანეთთან ურთიერთობის რესურს, რადგან ამ ალტერნატიული მექანიზმების გამოყენებით მხარეებს შორის მოგებული და წაგებული მხარის სინდრომი მათ არ ეუფლებათ, რაც უადვილებთ საზოგადოების წარმომადგენლებს და ბიზნესს, ორმაგად, კონფლიქტში მყოფ მეორე მხარესთან გააგრძელონ თანაცხოვრება თუ საქმიანი ურთიერთობის ქონა. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, როგორც სახელმწიფოს ინტერესშია მაკრო დონეზე, ასევე თითოეული დავის მხარის ინტერესშია მიკრო დონეზე[14] გამოინახოს დროის და ფინანსების კუთხით ეფექტური დავის გადაწყვეტის ისეთი მექანიზმი, რომელიც მისცემს მხარეებს, მათ შორის, რა თქმა უნდა, სახელმწიფოს, რესურსების რეალურად დაზოგვის საშუალებას და იქნება სოციალური მშვიდობის წინაპირობა.[15]

აქვე აღსანიშნავია, რომ მოქალაქეებს შორის თუ პირებს შორის არსებული სამართლებრივი დავის კანონიერი აღმოფხვრის სისტემის შექმნა სახელმწიფოს ვალდებულებაა. შესაბამისად, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების შექმნა, (რაც ერთგვარი კრებსითი[16] სახელწოდებაა სხვადასხვა ალტერნატიული მექანიზმისა), ორგანიზება და ინსტიტუციონალიზაცია სახელმწიფოს მიერ[17] ორკესტრირებული პროცესი უნდა იყოს ნებისმიერ დემოკრატიულ სახელმწიფოში, შესაბამისად, მარტივია ლოგიკა, რადგან სახელმწიფო წარმოადგენს დავის ალტერნატიული საშუალებების სერვისების რეალურ მიმწოდებელს მომხმარებლებისთვის, სასამართლო, თავის მხრივ, როგორც სახელმწიფო ხელისუფალი ვალდებულია იმ სამართლებრივი პოლიტიკის გატარებაზე, რაც არის დაკავშირებუ-

---

14 *Steffek F.,* Mediation, in The Max Planck Encyclopedia of European Private Law, Volume II, Basedow J., Hopt J.K., Zimmermann R., Stier A., Oxford University Press, Oxford, 2012, 1163.

15 *ყანდაშვილი ი.,* მედიაცია დავის გადაწყვეტის ეფექტური საშუალება, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბ., 2020, 19.

16 *Genn H.,* Judging Civil Justice, Cambridge University Press, New York, 2010, 80.

17 *De Palo G., Trevors M.B.,* Arbitration and Mediation in the Southern Mediterranean Countries, Kluwer Law International, 2007, 15.

ლი დავის ალტერნატიული საშუალებების გამართულ საქმიანობას შეუწყოს ყოველმხრივ ხელი,[18] თუმცა ეს არ უნდა გახდეს სასამართლოსთვის მიმართვის და სასამართლოს ხელმისაწვდომობის გარანტირებული და აღიარებული უფლების ხელის შემშლელი.[19]

ზემოაღნიშნული საჭიროებების და რეალობის გათვალისწინებით სავსებით ლოგიკური და შედეგობრივად პროგნოზირებადი იყო და არის დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების, რომლებიც რეალურად წარმოადგენენ სოციალური[20] დაძაბულობის და საზოგადოებაში არსებული კონფლიქტების შედეგიანი აღმოფხვრის ეფექტურ მექანიზმებს, ფართო გავრცელება და გამოყენება საზოგადოების წარმომადგენლების მხრიდან, ისევე როგორც სახელმწიფოების, მათ შორის საერთაშორისო დონეზე მათი პოლიტიკური თუ სამართლებრივი გაერთიანებების მყარად გამოვლენილი ნება ხელი შეეწყოს მედიაციის მაგალითზე დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების დანერგვას ყოველდღიურობაში,[21] რაც თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბოლო წლების მანძილზე მართლაც მკვიდრდება თითქმის ყველა სახელმწიფოში, როგორც დავის გადაწყვეტის ყველაზე ეფექტური ალტერნატიული საშუალება, მედიაციისთვის მახასიათებელი ფორმების[22] ჩათვლით. ამ კუთხით ისიც გასათვალისწინებელია, რომ რიგ ქვეყნებს ისტორიულად მოსდევთ

---

18 *Caponi R.*, „Just Settlement“ or „Just About Settlement“?, Mediated Agreements: A comparative Overview of the Basics, Rabels Zeitschrift, The Rabel Journal of Comparative and International Private Law, Max –Planck-Institute fur auslandisches und internationals Privatrecht, Mohr Siebeck, 79.Jahrgang 2015, 121.

19 *Deixler-Hűbner A.,* Schauer M., (Hrsg) Alternative Formen der Konfliktbereinigung, MANZ'sche Verlags- und Universitätsbuchhandlung, Wien, 2016, 105.

20 *Steffek F.*, Mediation, in The Max Planck Encyclopedia of European Private Law, Vol. II, *Basedow J., Hopt J.K., Zimmermann R., Stier A.*, Oxford University Press, Oxford, 2012, 1162.

21 *Esplugues C., Marquis L.,* New Developments in Civil and Commercial Mediation, Springer, Vol. 6, 2015, 2.

22 *Jeong S.,* Kritische Betrachtung űber die Gerichtsmediation in Korea, in Brinkmann M., Effer-Uhe D.O., Vőlzmann-Stickelbrock B., Wesser S., Weth S., Festschrifr fur Hanns Prűtting, Dogmatik im Dienst von Gerechtigkeit, Rechtssicherheit und Rechtsentwicklung, Carl Heymanns Verlag, Kőln, 2018, 831.

მედიაციის მეთოდიკით ან მსგავსი ფორმებით დავების გადაწყვეტის გამოცდილება, რაც, როგორც წესი, დადებით როლს თამაშობს ამ ინსტიტუტის დღევანდელ სამართლებრივ სისტემაში ინტეგრირების თვალსაზრისით.[23] მედიაცია განიმარტება, როგორც პროცესი,[24] რომელიც ხელს უწყობს კონფლიქტის მონაწილე მხარეებს თავად აღმოფხვრან სადავო საკითხები.

დღეისათვის მედიაცია წარმოადგენს ყველაზე სწრაფად განვითარებად დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებას მსოფლიოში[25], რომელსაც ახასიათებს მესამე[26] დამოუკიდებელი, მიუკეროებელი და ნეიტრალური პირის ჩართულობით,[27] კონფიდენციალური და სტრუქტურირებული პროცესის ფარგლებში,[28] კონფლიქტის მხარეებისათვის დავის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობის დელეგირება, რაც მედიაციის ევროპული[29] და არამხოლოდ აღქმის მთავარი მახასიათებელი თვისებაა. მედიაცია კონფლიქტის რეგულირების ეფექტურ ალტერნატიულ ინსტრუმენტს წარმოადგენს.[30]

მედიაციის დამკვიდრების მთავარი მიზანია მხარეებს მიეცეთ შესაძლებლობა მათი ინტერესებისთვის საუკეთესო გადაწყვეტილებით დაასრულონ დავა და აღმოფხვრან კონფლიქტი საკუთარი ხელით,[31] რა დროსაც უბრალოდ კი არ ასრულებენ მეორე მხარესთან დავას, არამედ ქმნიან წინაპირობას მხარესთან საქმიანი თუ პირადი ურთიერ-

---

23 *Creutzfeldt N.*, Vertrauen in Auβergerichtliche Streitbeilegung, Zeitschrift fur Konflikt-Management, Verlag Otto Schmidt, Koln, Heft 1/2016, 15.

24 *Trossen A.*, Mediation (un)geregelt, Win-Management Verlag, Műhlberg, 2014, 37,49.

25 *Alexander N.*, International and Comparative Mediation, Wolters Kluwer, 2009, 1.

26 *Blake S., Browne J.,Sime S.,* The Jackson ADR Handbook, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2016, 144.

27 *Trenczek T.M.A., Berning D., Lenz C., Will H.D.,* Mediation und Konfliktmanagement, Handbuch, 2.Auflage, Nomos, Baden-Baden, 2017, 50.

28 *Tutzel S., Wegen G., Wilske S., Commercial Dispute Resolution in Germany, 2nd Ed, C.H.BECK, Munchen, 2016, 191.*

29 EU-Mediationsrichtlinie 2008, Art. 3a.

30 *Berkel G.,* Zur Diskussion gestellt: Deal Mediation als Konfliktbeilegung, Zeitschrift fűr Konfliktmanagement (ZKM), Verlag Otto Schmidt, Kőln, 2018, 61.

31 *Greger R., Unberath H.,* MediationsG : Recht der Alternativen Konfliktlosung, Kommentar , C.H.BECK, Műnchen, 2012, 97.

თობის სამომავლოდ ცივილურ ფორმებში გაგრძელების, რაშიც მედიაცია რეალურად ეხმარება მხარეებს,[32] რადგან მედიაციის დროს ის კი არ უნდა გაირჩეს თუ ვინ რა გააკეთა წარსულში, არამედ მხარეებმა უნდა საუკეთესო გამოსავალი მოიძიონ არსებული ჩიხური სიტუაციიდან, რათა გაგრძელდეს სამომავლო ურთიერთობა მათი ინტერესების შესაბამისად;[33] მედიაცია ეხმარება მხარეებს თვითგამორკვევაში, მოდავე მხარეების ერთმანეთისადმი მოთხოვნების რეალური მიზეზების და მიდგომის ამოცნობაში.[34] ხშირად შეხვდებით იურიდიულ ლიტერატურაში, სადაც მედიაცია „მომავალზე ორიენტირებული პროცესის[35]“ სახელით მოიხსენიება;[36] მედიაცია იძლევა საშუალებას მხარეებმა ხანგრძლივვადიანი[37] შედეგი მიიღონ პროცესის წარმატებით წარმართვის და დასრულების შემთხვევაში, მით უფრო რომ მედიაციის გამოყენება კონფლიქტში მყოფ მხარეებს დავის ნებისმიერ ეტაპზე შეუძლიათ, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ რაც უფრო ადრეულ[38] სტადიაზე მოხდება მედიაციის ინიცირება მით უფრო მაღალია დავის შეთანხმებით დასრულების პერსპექტივა.[39]

მედიაციის მეშვეობით მხარეები ცდილობენ საკუთარი სიმართლე შეათანხმონ ერთმანეთთან,[40] რათა სამართლის ნორმებმა არ გადაწყვიტოს ის, რაც მათ მიაჩნიათ რომ არის სწორი, რადგან კარგად მოეხსენება ყველას, რომ რიგ შემთხვევაში სამართლიანობა და

---

32 *Jones G., Pexton P.,* ADR and Trusts: an International Guide to Arbitration and Mediation of Trust Disputes, Spiramus Press, 2015, 33.

33 *Wode M., Rabe C.S.*, Mediation, Springer, Berlin, 2014, 27.

34 *Alexander N.,* Global Trends in Mediation, 2nd Ed, Kluwer Law International, the Netherlands, 2006, 10.

35 *Trossen A.,* Mediation (un)geregelt, Win-Management Verlag, Műhlberg, 2014, 470.

36 *Deixler-Hűbner A., Schauer M.,* (Hrsg) Alternative Formen der Konfliktbereinigung, MANZ'sche Verlags- und Universitätsbuchhandlung, Wien, 2016, 188.

37 *Kaiser P., Gabler A.M.,* Prozessqualität und Langzeiteffekte in der Mediation, Zeitschrift fur Konflikt-Management, Verlag Otto Schmidt, Koln, Heft 6/2014, 180.

38 *Fenn P.,* Commercial Conflict Management and Dispute Resolution, Routledge, New York, 2017, 68.

39 *Roberts M.M.,* Mediation in Family Disputes, Ashgate Publishing Ltd, Burlington, 2014, 180.

40 *Wendland* M., Mediation und Zivilprozess, Mohr Siebeck, Tubingen, 2017, 216, 217.

კანონიერება არ არის თანხვედრი თეზები, შესაბამისად, მედიაციის გამოყენებით მხარეები სწორედ საკუთარი სიმართლის დაფიქსირებას ცდილობენ შეთანხმების გზით, ხოლო რამდენად არის ეს სამართლიანი[41] ორივე მხარისთვის, ამაზე საბოლოო გადაწყვეტილება მხარეების მიერ არის მისაღები, ზოგადად სამართლიანობა მედიაციის ცნების მახასიათებელი სტანდარტია.[42]

მედიაციის სწორედ აღქმისთვის მნშვნელოვანია მხარეებს კარგად ესმოდეთ, რომ მედიაციით ისინი მუდამ სარგებელს იღებენ, კერძოდ, შესაძლოა მედიაცია კონკრეტული შეთანხმებით ვერ დაასრულონ, თუმცა მათ იმაზე კარგად ეცოდინებათ კონფლიქტის მიზეზების და დავის შესახებ ვიდრე ეს მედიაციის დაწყებამდე იყო, რაც შესაძლოა შემდგომში გახდეს წინაპირობა დავის დასრულების[43]. შესაბამისად მედიაციის პროცესში მონაწილეობას მხარეებისთვის ყოველთვის მოაქვს დადებითი შედეგი თუ მხარეს ესმის მედიაციის შინაარსი და იცის თუ როგორ გამოიყენოს ის ინფორმაცია, რაც ამ პროცესმა მისცა მას.[44] ხშირია ლიტერატურაში, როდესაც მედიაციას ახასიათებენ ორივე მხარისთვის მომგებიან პროცესად (win-win Lősung[45]), რადგან მედიაციის სწორი და ეფექტური გამოყენებით ორივე მხარეს შეუძლია საკუთარი ინტერესების სასარგებლო შეთანხმებას მიაღწიოს[46]; მაშინ როდესაც სასამართლო საქმისწარმოების თუ საარბიტრაჟო საქმისწარმოების შედეგად დახარჯული ადამიანური

---

41 *Windisch K.,* Fair und/oder gerecht? Fairnesskriterien in der Mediation, Zeitschrift fur Konflikt-Management, Verlag Otto Schmidt, Koln, Heft 2/2015, 55.

42 *Steffek F., Unberath H., (eds), Genn H., Greger R., Menkel-Meadow C.,* Regulating Dispute Resolution ADR and Access to Justice at the Crossroads, Hart Publishing, Oxford and Portland Oregon, 2013, 17.

43 *ყანდაშვილი ი.,* მედიაცია დავის გადაწყვეტის ეფექტური საშუალება, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბ., 2020, 23.

44 *Ahmed M.,* An Investigation into the Nature and Role of Non-Settled ADR in International Journal of Procedural Law, Vol. 7, intersentia,Cambridge-Antwerp-Portland, 2017, 216, 217.

45 *Deixler-Hűbner A., Schauer M.,* (Hrsg) Alternative Formen der Konfliktbereinigung, MANZ'sche Verlags- und Universitätsbuchhandlung, Wien, 2016, 21.

46 *წულაძე ა.,* ქართული სასამართლო მედიაციის შედარებითი ანალიზი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბ., 2017, 14.

თუ ფინანსური დანახარჯით ორივე მხარე დაზარალებულია, ხოლო ერთ-ერთი მხარის მიერ მიღწეული გამარჯვება მოჩვენებითი.[47]

ეს არის კონფიდენციალური პროცესი, რომელშიც ნებაყოფლობითობის[48] საფუძველზე ჩართული მხარეები მესამე დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი შუამავალი პირის ჩართულობით,[49] რომელსაც რაიმე სახის გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება არ გააჩნია, ცდილობენ სასამართლოს გარეშე მიაღწიონ მათი ინტერესებისთვის მისაღებ შეთანხმებას,[50] კერძოდ, გამონახონ ერთმანეთის ინტერესების[51] გათვალისწინებით ორივე მხარისთვის მისაღები შეთანხმების პირობები.

II. ნორმის მიზანი

„მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის დღევანდელი რედაქცია, იძლევა იმის საშუალებას, რათა მიღწეული შეთანხმება, რაც პრეზუმირებულად მხარეთა ნების ანარეკლია, იქცეს აღსრულებად აქტად. კერძოდ, მედიაციის გზით მიღწეულ შეთანხმებას მიეცეს ის მნიშვნელობა, რომ დამდგარი შედეგი ორივე მხარისთვის გახდეს გააზრებულად მისაღები პირობა, რადგან მოქმედი კანონმდელობა უკვე იძლევა რეალურ საშუალებას მიღწეული სამედიაციო მორიგება აღსრულდეს, რაც, ერთი მხრივ, მბოჭავს ხდის დავის მონაწილე მხარეების გამოვლენილ შემათანხმებელ ნებას, ხოლო მეორე მხრივ, თავად მექანიზმს, რომლის ფარგლებშიც იქნა

---

47 *Bevan A.,* Alternative Dispute Resolution, Sweet & Maxwell, London, 1992, 1.

48 *Hirsch G.,* Alternative Streitbeilegung: ein neuer Zugang zum Recht, Honorati C., Ohly A., Padovini F ., Hirsch G., Picotti L., Knauer C., Patentrecht ADR Wirtschaftsstrafrecht, Műller Verlag, Heidelberg, 2017, 64.

49 *Steffek F.,* Mediation, in The Max Planck Encyclopedia of European Private Law, Volume II, Basedow J., Hopt J.K., Zimmermann R., Stier A., Oxford University Press, Oxford, 2012, 1162.

50 *Hirsch G.,* Alternative Streitbeilegung: ein neuer Zugang zum Recht, Honorati C., Ohly A., Padovini F., Hirsch G., Picotti L., Knauer C., Patentrecht ADR Wirtschaftsstrafrecht, Műller Verlag, Heidelberg, 2017, 69.

51 *Bäumerich M.,* Gűterichter und Mediatoren im Wettbewerb, Duncker&Humblot, Berlin, 2015, 23.

შეთანხმება მიღწეული, ხდის ეფექტურს, სანდოს და რეალისტურს დამდგარი შედეგის აღსრულების გათვალისწინებით.

„მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მოქმედი რედაქციის ნორმის მიზანს წარმოადგენს უზრუნველყოფილ იქნეს პროცესში ჩართულ მხარეთა გამოვლენილი ნების რეალური იმპლემენტაცია, ხოლო მეორე მხრივ, დავის გადაწყვეტის ამ ახალმა მექანიზმმა მოიპოვოს მეტი სანდოობა მომხმარებელში. დღეს მოქმედი რედაქცია უზრუნველყოფს უშუალოდ სახელმწიფოს მხრიდან, იგულისხმება სასამართლო ხელისუფლება, ჩართულობით მიღწეული შეთანხმების მბოჭავ აქტად ქცევას, იმ შემთხვევაში, თუ მხარეების ნებას წარმოადგენს შეთანხმების აღსრულება, რა მიზნითაც მათ გააჩნიათ გარანტირებული შესაძლებლობა წარადგინონ სასამართლოს წინაშე ერთობლივი შეთანხმება, რა დროსაც ამოწმებს რა სასამართლო წარდგენილი აქტის შესაბამისობას კანონთან, საჯარო წესრიგთან და თუ მიღწეული შეთანხმების შინაარსიდან გამომდინარე, მისი აღსრულება შესაძლებელია, სასამართლოა საქართველოს სახელით უფლებამოსილი დაამტკიცოს მხარეთა სამედიაციო მორიგება, რის შემდგომ შეთანხმების შინაარსი სრულად მბოჭავი ხდება მხარეთათვის, რაც გარდა იმისა, რომ შეთანხმების მიღწევამდე გაწეულ მხარეთა ჩართულობას სძენს კონკრეტულ დატვირთვას, მეორე მხრივ, მხარეთა შორის დავის მიზნებისთვის მოლაპარაკებას მხარეთათვის ანგარიშგასაწევ პროცედურად აქცევს.

ნებისმიერ სამართლებრივ სისტემაში და, რა თქმა უნდა, საქართველოს მაგალითზეც, მოდავე მხარეებს უზრუნველყოფილი აქვთ სასამართლოსათვის მიმართვის კონსტიტუციური უფლება,[52] რაც ასევე საერთაშორისო სტანდარტებით[53] დაცული და უზრუნველყოფილი, გარანტირებული უფლებაა. სასამართლო საუკუნეებია დამკვიდრებულია,[54] როგორც მხარეებს შორის არსებული დავის ბუნებ-

[52] იხ. საქართველოს კონსტიტუცია, 31-ე მუხლი.

[53] იხ. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, მე-6 მუხლი.

[54] *წულაძე ა.,* ქართული სასამართლო მედიაციის შედარებითი ანალიზი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბ., 2017, 13.

რივი გადაწყვეტის ადგილი;[55] თუმცა საუკუნეების მანძილზე სასამართლო საქმისწარმოების გამოყენების გამოცდილებამ საზოგადოებას და სასამართლო საქმისწარმოების სერვისით მომხმარებლებს დაარწმუნა მსგავსი ფორმით და საშუალებით დავის გადაწყვეტის არაეფექტურობაში, რაც განსაკუთრებით თვალშისაცემია სასამართლო წარმოების დროში გახანგრძლივებულობით და პროცესის წარმოებასთან დაკავშირებული ფინანსური დანახარჯებით; ისევე როგორც სასამართლოში დავის ინიცირებით მხარეები რეალურ კონტროლს კარგავენ და ხელიდან უშვებენ სადავეებს საქმის მიმდინარეობასა და შედეგზე.[56] აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყოველგვარი სამართლებრივი დავის, განურჩევლად მისი ხასიათისა და სირთულისა, სასამართლოსთვის მინდობა, რიგ შემთხვევაში გაუმართლებელი შეიძლება აღმოჩნდეს, რაც თავისთავად იწვევს საჭიროებას სასამართლოს ალტერნატიული ეფექტური მექანიზმების გაჩენისა პრაქტიკაში. ფაქტია, რომ ტრადიციული ფორმები დავის გადაწყვეტის, ისეთი როგორიც არის სასამართლოს წინაშე საქმისწაროება ან თუნდაც საარბიტრაჟო საქმის წარმოება, აღარ წარმოადგენს ეფექტურ მექანიზმს, რათა გაუმკლავდეს დღითი დღე მზარდ დავებს მხარეებს შორის.[57]

მედიაციის ფართოდ გავრცელებას და დამკვიდრებას აქვს ობიექტური მრავალი წინაპირობა, თუმცა ყველაზე მეტად გავრცელებულ საფუძვლებს[58] დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ამ ფორმის დანერგვისა წარმოადგენს მისი თვალშისაცემი უპირატესობა ხარჯების და დროის დანახარჯის კუთხით, ხოლო საზღვართშორისი მედიაციის შემთხვევაში მხარეების ნაკლები ცოდნა და ნდობა

---

55 *Wendenburg F.*, Differenzierte Verfahrensentscheidungen in zivilrechtlichen Konflikten, Verlag Otto Schmidt, Koln, Heft 1/2013, 21.

56 *Trenczek T. M. A., Berning D., Lenz C., Will H. D.,* Mediation und Konfliktmanagement, Handbuch, 2. Auflage, Nomos, Baden-Baden, 2017, 35.

57 *Cortes P.,* The Law of Consumer Redress in an Evolving Digital Market, Cambridge University Press, Cambridge, 2018, 101.

58 *Rashda R.,* Alternative Dispute Resolution, Lexis Nexis, 2014, 3.

დავის წარმოების ადგილის იურისდიქციისა,[59] შესაბამისად, ნამდვილად არ არის გასაკვირი, რომ მედიაცია იმკვიდრებს თავს, როგორც დავის გადაწყვეტის ეფექტური ინსტრუმენტი[60].

ბოლო ორმოცი წლის მანძილზე დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები (ADR) საგრძნობლად განვითარდა და წარმატებით დამკვიდრდა[61] იურიდიულ საზოგადოებაში,[62] დღეს ის უკვე ნაწილია იურიდიული პრაქტიკის და აზროვნების. ბოლო დროს ვრცელდება მოსაზრებებიც, რომ ADR არის არა ალტერნატივა მართლმსაჯულების, არამედ არის ალტერნატიული მართლმსაჯულება,[63] თუმცა მთავარია რომ ამ ფორმის გამოყენებით დავის მხარეებმა მიიღონ კონკრეტული შედეგი. დავის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენებით დავის გადაწყვეტის სტატისტიკა სამართლის თითქმის ყველა მიმართულებით დღითიდღე მატულობს.[64]

ევროპის კავშირის ეგიდით ხდება დავის ალტერნატიული მექანიზმების შესახებ სპეციალური დირექტივების მიღება,[65] რაც ევროპის მასშტაბით დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების კიდევ უფრო დამკვიდრების წინაპირობაა.[66]

---

59 *Deixler-Hűbner A., Schauer M.,* (Hrsg) Alternative Formen der Konfliktbereinigung, MANZ'sche Verlags- und Universitätsbuchhandlung, Wien, 2016, 2.

60 *Berkel G.,* Deal Mediation: Erfolgsfaktoren professioneller Vertragsverhandlungen, Zeitschrift fur Konflikt-Management, Verlag Otto Schmidt, Koln, Heft 1/2015, 4.

61 *Blake S., Browne J.,Sime S.,* The Jackson ADR Handbook, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2016, 9.

62 *Brown H., Marriott A.*, Adr Principles and Pracice, third edition, Sweet & Maxwell, Thomson Reuters, 2011, 1.

63 *Lindblom P.H.,* Progressive Procedure, Iustus, 2017, 405.

64 *Carvalho J.M., Nemeth K.,* Implementation of the Consumer ADR Directive in the EU Member States, EuCML Journal of European Consumer and Market Law, C.H.BECK, Vol 7, 2/2018, 81.

65 იხ. <http://eur-lex.europa.eu/eli/dir/2013/11/oj>. [15.05.2024]

66 *Steffek F.,* The Relationship between Mediation and Other Forms of Alternative Dispute Resolution in The Implementation of the Mediation Directive, (Compilation of in-depth Analysis) European Parliament Directorate-General for Internal Policies, 2016, 51. <http://www.europarl.europa.eu/supporting-analyses>. [15.05.2024]

დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება, როგორც ტერმინი გამოიყენება როგორც ზოგადი ფრაზა, რომელიც იგივდება კონფლიქტის გადაწყვეტის პროცესთან, რომელიც თავისი ბუნებით არის არაფორმალური პროცესი, დავაში ჩართული მხარეებისათვის აბსოლუტურად მიუკერძოებელი, დამოუკიდებელი მესამე პირის ჩართულობით (შესაძლებელია ასეთი პირი იყოს ერთზე მეტი), რომელიც მხარეებს მათ შორის არსებული კონფლიქტის აღმოფხვრაში ეხმარება, იმაზე უფრო არაფორმალური ფორმით და საშუალებებით, ვიდრე ეს სასამართლო საქმისწარმოებას ახასიათებს,[67] მარტივად, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება განიმარტება, როგორც არასასამართლო მექანიზმით დავის გადაწყვეტა,[68] ხოლო მსგავსი ფორმა დავის გადაწყვეტის წარმოადგენს სასამართლო საქმისწარმოების ალტერნატიულ[69] მექანიზმს.

დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების მიმართ დიდია მსოფლიო საზოგადოების ყურადღება, როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად დემოკრატიულ ქვეყნებში, რადგან იმ უპირატესობების გათვალისწინებით (დროის ნაკლები დანახარჯი, ფინანსების ნაკლები დანახარჯი, ნაკლებ შეჯიბრებითი პროცესი), რაც ADR-ს გააჩნია, მისი სერვისის გამოყენების ინტერესი დავაში მყოფ მხარეებს შორის სულ უფრო იზრდება;[70] ADR მომხმარებელს სთავაზობს იაფ, დროულ და კიდევ უფრო ხელმისაწვდომ დავის გადაწყვეტის მექანიზმებს, ვიდრე ეს სასამართლოს წინაშე საქმისწარმოებაა.[71]

---

67 *Rana R.*, Alternative Dispute Resolution, Lexis Nexis, 2014, 2.

68 *Goldberg S.B., Sander F., Rogers E.A., Nancy H., Cole S.R.,* Dispute Resolution: Negotioanion, Mediation, Arbitration and other Processes, 6th Ed, Wolters Kluwer, 2012, 4.

69 *Ferz S., Lison A., Wolfart E.M.,* Zivilgerichte und Mediation, Universitätsverlag, Wien, 2004, 28.

70 *Kumar A.,* Alternative Dispute Resolution System, Global And National Perspective, K.K. Publications, 2016, 55.

71 *Pinto-Ferreira J.P., Carvalho J.C., Consumer ADR in Portugal,* EuCML Journal of European Consumer and Market Law, C.H.BECK, Vol 7, 2/2018, 89.

დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების პოპულარიზაცია და გამოყენებადობა დიდწილად დამოკიდებულია საზოგადობის, ბიზნეს სექტორის მხრიდან ამ შესაძლებლობის და მისი ფორმების შესახებ ცნობადობის გაზრდაზე.[72] მნიშვნელოვანია, რათა ხდებოდეს კონკრეტული საქმეების მაგალითებზე დავის ალტერნატიული საშუალების ფორმების პრაქტიკული გამოყენება, რაც შექმნის ამ ინსტიტუტის მიმართ სანდოობას.

დავის გადაწყვეტის არასასამართლო მექანიზმების გამოყენება მხარეთა ავტონომიურობის პრინციპზეა დამყარებული, რადგან მათ თავად, საკუთარი ნებით, კონსენსუსის[73] გზით უნდა აირჩიონ დავის გადაწყვეტის ეს ფორმა, შესაბამისად მექანიზმი მათთვის გარდა იმისა, რომ უნდა იყოს ცნობილი, უნდა იყოს სანდო და ეფექტური. კოლექტიური დავის მიზნებისთვის შემათანხმებელი პროცედურა სწორედ მოდავე სუბიექტებს შორის, მხარეთა ავტონომიურობის პრინციპის გათვალისწინებით, პირდაპირი მოლაპარაკებების გამართვას გულისხმობს მედიაციის გზით, რაც მოდავე მხარეებს შორის კონსენსუსის მიღწევას ისახავს მიზნად. მხარეთა ავტონომიურობის პრინციპიდან გამომდინარე კოლექტიური შრომითი დავის მხარეები განაპირობებენ მათ ინტერესზე მორგებული საბოლოო შეთანხმების მიღწევას, რაც ორმხრივად მომგებიანი და მისაღები პირობების ამსახველი უნდა იყოს.

III. გამოყენების წინაპირობები და აღსრულების პროცესუალური წესი (13 I-III)

„მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში დარეგულირდა მედიაციის პროცესში მიღწეული სამედიაციო მორიგების აღსრულების წესი, რომლის პროცესუალური იმპლემენტაციის მა-

---

72 *Lord Justice Jackson.,* New Approach to Civil Justice: From Woolf to Jackson., Conference on Civil Justice Reform :What Has it Achieved?., Hong Kong., 15 April 2010.

73 *Kathy M.,* Court Referral to ADR: Criteria and Research. 2003, para.6.6., <www.aija.org.au> [15.05.2024].

რეგულირებელი სტანდარტი პარალელურად დარეგულირდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში გატარებული ცვლილებებით, კერძოდ, სსსკ-ს დაემატა XLIV[13] თავი, რომელიც დავაზე მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების აღსრულების პროცესუალურ წესს ეხება, რომლის თანახმად დავაზე მიღწეული შეთანხმების აღსრულების საკითხის განხილვა დაექვემდებარა რაიონული (საქალაქო) სასამართლოს იურისდიქციას, კერძოდ, სასამართლო შესაბამისი განსჯადობის მიხედვით მსგავსი განცხადების მიღებიდან 10 დღის ვადაში მსჯელობს აღსრულების საკითხის შესახებ ზეპირი მოსმენის გარეშე ან/და 30 დღის ვადაში ზეპირი სხდომის გზით არეგულირებს საკითხს.

მოლაპარაკების შედეგად მიღწეული სამედიაციო მორიგების აღსრულების გამოყენება ისევე როგორც თავად მედიაცია, ნებაყოფილობითია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად. კერძოდ, მორიგების მიღწევის შემთხვევაში უშუალოდ მხარეების ნების და საჭიროების საკითხია რამდენად მოახდენენ მიღწეული მორიგების აღსრულებად აქტად ქცევას და ასეთ შემთხვევაში კანონმდებლობით გათვალისწინებულია შესაბამისი პროცედურები, რაც მათ გადაწყვეტილებას სისრულეში მოიყვანს[74]. ამდენად, სამედიაციო მორიგების აღსრულების წინაპირობაა მხარეთა შეთანხმება აღსრულების მექანიზმის გამოყენებაზე (მე-13 მუხლის პირველი პუნქტი). მხარეთა შეთანხმების რეალიზება შესაძლებელია ორი ფორმით განხორციელდეს: ერთი მხრივ, სამედიაციო მორიგებაში წერილობით შეიძლება შეთანხმდეს აღსრულების მექანიზმის გამოყენებაზე მხარეთა ურთიერთმფარავი ნება. მეორე მხრივ, მხარეებმა აღსრულების თაობაზე წერილობითი შეთანხმების არარსებობისას, შესაძლებელია ერთობლივად მიმართონ სასამართლოს სამედიაციო მორიგების აღსრულების მოთხოვნით. სამართლებრივი რისკების თავიდან არიდების მიზნით, სამედიაციო პრაქტიკაში აღსრულე-

[74] *ყანდაშვილი ი.,* მოლაპარაკება და წარმომადგენლობა მედიაციაში, გამომცემლობა „სეზანი“, თბ., 2023. 107.

ბის პირობაზე შეთანხმება უმრავლეს შემთხვევაში აისახება სამედიაციო მორიგების ტექსტში წერილობითი სახით, რის საფუძველზეც აღსრულების მოთხოვნით სასამართლოსადმი მიმართვა საკმარისია განხორციელდეს ერთ-ერთი მხარის მიერ.

„მედიაციის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად მხარეთა შეთანხმებით, სამედიაციო მორიგება შეიძლება სასამართლომ აღასრულოს (მე-13 მუხლის პირველი პუნქტი). უნდა აღინიშნოს, რომ კანონის აღნიშნულ დანაწესში, სადაც საუბარია „სამედიაციო მორიგებაზე", რა თქმა უნდა, მოიაზრება როგორც სასამართლო მედიაციის ფორმატში, ასევე კერძო მედიაციის პროცესში მიღწეული სამედიაციო მორიგების აღსრულების შესაძლებლობა, ისეთ შემთხვევაში, როდესაც მიღწეული მორიგების მხარეები გამოავლენენ შესაბამის ნებას და დააინიცირებენ (ერთ-ერთი ან ორივე მხარე[75]) კანონმდებლობით გათვალისწინებულ აღსრულების პროცედურას.

„მედიაციის შესახებ" საქართველოს კანონის, მე-13 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მხარეთა შეთანხმებით, სამედიაციო მორიგება შეიძლება სასამართლომ აღასრულოს.

სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხი, მართალია მედიაციის პროცესის ბოლო საფეხურს მოიცავს, უფრო მეტიც არსებობს აზრი, რომ ის მედიაციის პროცესის არცერთ ეტაპად არ მიიჩნევა, მნიშვნელოვანი და შეიძლება ითქვას ერთ-ერთი განმსაზღვრელი საკითხია ზოგადად მედიაციაციის ინსტიტუტის. მედიაციისადმი სანდოობის და მისი მრავალი უპირატესობის სასამართლო თუ არასასამართლო დავის გადაწყვეტის მექანიზმებთან მიმართებით სწორედ სამედიაციო მორიგების აღსრულების შესაძლებლობა და ამ პროცესის ნებაყოფლობითობის პრინციპი და მისი ავტონომიური ბუნება არის.

აღნიშნულ მუხლში „შეიძლება" ორი მიმართულებით შეიძლება იყოს განხილული, როგორც მხარეთა შესაძლებლობა და უფლებამოსილება მიმართონ სასამართლოს და სასამართლოს უფლებამოსილება სამედიაციო მორიგების აღსრულების ნაწილში. ამ მსჯელო-

[75] იხ. „მედიაციის შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 13.2.

ბას განამტკიცებს ამავე მუხლის მეორე ნაწილი, რომელიც მხარეებს ანიჭებს შესაძლებლობას სამედიაციო მორიგების აღსრულების მოთხოვნით მიმართონ სასამართლოს.[76] აქ ხაზი უნდა გაესვას მხარეთა უფლებამოსილებას, რომელიც სიტყვა „შეიძლება"-ს მიღმა იგულისხმება. კანონმდებელი სავალდებულო აღსრულების სტანდარტს არ უდგენს მხარეებს, მაგრამ უფლებას აძლევს ერთ ან ორივე მხარეს ერთად საჭიროების და მათი თავისუფალი ნების გამოვლენის შემთხვევაში მიმართონ სასამართლოს.

როდესაც აღნიშნულ ნორმაზე მიდის მსჯელობა, ნორმის ობიექტური შინაარსის დადგენის მიზნით, პირველ ყოვლისა მედიაციის შესახებ ევროპულ დირექტივაზე კეთდება აქცენტი (2008/52/EC939). დირექტივის მიღებამ წევრ სახელმწიფოებს სრულიად ახალი განვითარების პერსპექტივა გაუჩინა. ერთიანი ჩარჩო მედიაციის სტანდარტის ჩამოყალიბებამ, მათ შორის ხელის შეწყობამ საზღვრებს მიღმა და საერთაშორისო დონეზე მედიაციის სტანდარტის დამკვიდრებამ განაპირობა წევრი ქვეყნების მოქმედება, რომ მოეხდინათ მედიაციის შესახებ საკანონმდებლო აქტის ინტეგრირება მათი ქვეყნის შიდა კანონმდებლობაში.[77]

სწორედ ევროპული დირექტივის ტექსტში მოცემულია განსახილველი ნორმის პირველადი ინტერპრეტაცია, რომელიც მედიაციის შედეგად მიღებული ხელშეკრულებების აღსრულებას ეხება. ტექსტში ვკითხულობთ წევრი სახელმწიფოების ვალდებულების შესახებ, მხარეთა თუ მხარის სურვილის შემთხვევაში მედიაციის შედეგად მიღებული წერილობითი შეთანხმების აღსრულების საკითხზე. დირექტივა განმარტავს, რომ ასეთი შეთანხმების შინაარსი ხდება აღსრულებადი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ შეთანხმების შინაარსი ეწინააღმდეგება იმ წევრი სახელმწიფოს კანონმდებლო-

---

76 იხ. „მედიაციის შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 13.2.

77 *ყანდაშვილი.ი.,* საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2018, 175-176.

ბას, სადაც არის მოთხოვნა, ან ამ წევრი სახელმწიფოს კანონი არ ითვალისწინებს მას.[78]

ნებაყოფლობითობა მედიაციის განუყოფელი და ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტია, უმრავლეს ქვეყნებში, სადაც მედიაცია კანონის დონეზე არის რეგულირებული მედიაციის ცნება მოიცავს მითითებას ნებაყოფლობითობაზე,[79] რაც ხაზს უსმავს და განამტკიცებს მოსაზრებას, რომ აღნიშნული წარმოადგენს მედიაციის არსის ქვაკუთხედს. თუმცა აღნიშნულის მიუხედავად, სწორედ ის განაპირობებს მედიაციის პროცესისადმი მომხმარებლების მიერ მეტი სანდოობისა და უსაფრთხოების განცდას, ასევე იცავს და გარანტირებულს ხდის მხარეების სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის კონსტიტუციურ უფლებას.[80]

ნებაყოფლობითობა მედიაციის არსის კარგად მახასიათებელი თვისებაა, რომელიც მაქსიმალურად განაპირობებს მხარეების სრულ ჩართულობას პროცესში.[81] მხარეთა მიერ ინიცირებული პროცესი, მათი მხრიდან მეტი ენთუზიაზმის გარანტიას იძლევა შედეგისადმი.[82] სწორედ აღნიშნული განაპირობებს მხარეთა პასუხისმგებლობას მიღწეული მორიგების ნებაყოფლობით აღსრულების ნაწილში.

მხარეთა შეთანხმებით იწყება და სრულდება მედიაციის პროცესი. კონფლიქტის მხარეები თავად ირჩევენ მედიაციას, როგორც

---

78 Directive 2008/52/EC, of the European Parliament and of the Council, on Certain Aspects of Mediation in Civil and Commercial Matters, 21 May 2008, ix.: [15.05.2018]

79 *Hopt J. K., Steffek F.,* Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 11-12.

80 *ყანდაშვილი ი.,* მედიაცია დავის გადაწყვეტის ეფექტური საშუალება, პრაქტიკული სახელმძღვანელი. თბ., 2022, 279.

81 *Hopt K. J., Steffek F.,* Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 109.

82 *ყანდაშვილი ი.,* საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2018, 70;
ასევე იხ. *Steadman B.J., Todd F.,* Commercial Mediation, Iuta &Company, 2nd Ed, 2016, Juta and Company, 24.

მათ შორის არსებული დავის გადაწყვეტის ეფექტურ მექანიზმს, ისევე როგორც სრულიად შეუზღუდავები არიან თავად განსაზღვრონ მედიაციის პროცესის შედეგი, კერძოდ დაასრულონ პროცესი შეთანხმებით.[83] სწორედ მხარეთა მიერ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სამედიაციო მორიგება ითვლება დადებულად. თუ სამედიაციო მორიგება შედგენილ იქნა სასამართლო მედიაციის შედეგად, მისი აღსრულების საკითხს განიხილავს ის სასამართლო, რომელმაც დავის მხარეთა შეთანხმებით დასრულების მიზნით საქმე მედიატორს გადასცა, ხოლო თუ სამედიაციო მორიგება შედგენილ იქნა კერძო მედიაციის შედეგად – რაიონული (საქალაქო) სასამართლო განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის/იურიდიული მისამართის მიხედვით.[84]

სამედიაციო პროცესში მიღწეული მორიგების აღსრულების შესაძლებლობა მედიაციის შესახებ საქართველოს კანონის უნიკალური ელემენტია, რომელსაც კერძო მედიაციის ინსტიტუტი სხვა საფეხურზე აჰყავს. სასამართლო მედიაციის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია მის შედეგად მიღწეული მორიგების სასამართლო წესით აღსრულების შესაძლებლობა. ეს პრინციპი მედიაციის შესახებ საქართველოს კანონის სწორედ რომ მე-13 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე კერძო მედიაციაზეც გავრცელდა.[85]

ყოველივე ზემოაღნიშნულს მივყავართ, სამედიაციო მორიგებამდე, რომელიც შეიძლება სასამართლოს მხრიდან აღსრულდეს,[86] აღნიშნულის აღსრულება სასამართლოს ვალდებულებას არ წარმოადგენს, როგორც აუცილებელ ელემენტს. სასამართლო აღსრულებას წინ უდგას რიგი საკითხები, რომელთა გადამოწმების შედეგად ხდება სამედიაციო მორიგების აღსრულება. სასამართლო უარს

---

83 იქვე, 180.

84 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363[31] მუხლის მეორე ნაწილი.

85 განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „მედიაციის შესახებ“, 8-9.

86 საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“ მე-13 მუხლის პირველი ნაწილი.

იტყვის სამედიაციო მორიგების აღსრულებაზე, თუ სამედიაციო მორიგების შინაარსი ეწინააღმდეგება საქართველოს კანონდებლობას ან საქართველოში არსებულ საჯარო წესრიგს ან თუ, მორიგების შინაარსიდან გამომდინარე, მისი აღსრულება შეუძლებელია.[87] თუ ასეთ გარემოებებს ადგილი არ აქვს, სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას სამედიაციო მორიგების აღსრულების შესახებ.

მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს „მედიაციის შესახებ" საქართველოს კანონის სტანდარტით მიღწეული სამედიაციო მორიგების აღსრულების შესაბამის პროცედურებს,[88] კერძოდ:

- სასამართლო მედიაციის ფარგლებში მიღწეული სამედიაციო მორიგების შემთხვევაში, რა დროსაც წყდება მიმდინარე სასამართლო საქმისწარმოება მხარეებს შორის ძირითად სასარჩელო მოთხოვნებზე[89], მიღწეული მორიგების მხარეები ან ერთ-ერთი მხარე უფლებამოსილია განცხადებით მიმართოს იმავე სასამართლოს;
- კერძო მედიაციის ფარგლებში მოლაპარაკებით მიღწეული სამედიაციო მორიგების შემთხვევაში მიღწეული მორიგების მხარეები ან ერთ-ერთი მხარე უფლებამოსილია განცხადებით მიმართოს საკუთარი საცხოვრებლის ან იურიდიული მისამართის შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს.

ორივე შემთხვევაში მხარეების მოთხოვნას უნდა წარმოადგენდეს სამედიაციო მორიგების აღსრულება და სასამართლოს უნდა წარედგინოს მიღწეული სამედიაციო მორიგების დედანი ან სათანადოდ დამოწმებული ასლი, ხოლო კერძო მედიაციის შედეგად მიღწეული მორიგების აქტის აღსრულების მოთხოვნის შემთხვევაში დამატებით უნდა წარედგინოს მედიაციის თაობაზე შეთანხმება,[90] რა დროსაც სასამართლოს აქვს შესაძლებლობა, როგორც ზეპირი მოს-

---

87 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XLIV[13] თავის 363[32] მუხლი.

88 *ყანდაშვილი ი.,* მოლაპარაკება და წარმომადგენლობა მედიაციაში, გამომცემლობა „სეზანი", თბ., 2023. 108.

89 იხ. „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი", მუხლი 272 - დ[1].

90 იხ. „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი", მუხლი 363[31].

მენის გარეშე (განცხადების მიღებიდან 10 დღეში), ასევე მხარეთა მონაწილეობით ზეპირი მოსმენის ფორმატში (განცხადების მიღებიდან 30 დღეში) განიხილოს აღსრულების საკითხი და წარდგენილი სამედიაციო მორიგების აქტი შეაფასოს კანონთან, საჯარო წესრიგთან შესაბამისობის და შეთანხმებული პირობების აღსრულებაუნარიანობის კუთხით, რის შედეგად სასამართლო უფლებამოსილია მიიღოს განჩინება საკითხის დაკმაყოფილების ან აღსრულებაზე უარის თქმის თაობაზე, რაც ექვემდებარება ერთჯერად გასაჩივრებას ზემდგომ ინსტანციაში კერძო საჩივრის ფორმით, ხოლო აღსრულების მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლო იღებს რა საქართველოს სახელით განჩინებას, დასტურდება მხარეთა მიერ მიღწეული შეთანხმების შინაარსი და სასამართლო გასცემს საქმეზე სააღსრულებო ფურცელს.[91]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღსრულების მოთხოვნით შემდგარი სასამართლო სხდომა წარმოადგენს იმ ტიპის სასამართლო განხილვას, რაც მსგავსია სასამართლოს მხრიდან მის წინაშე მხარეთა მხრიდან წარდგენილი მორიგების აქტის დამტკიცების პროცესისა,[92] რაც არ წარმოადგენს მედიაციის პროცესის რაიმე ეტაპს ან

---

91 იხ. „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, მუხლი 363[33].

92 დღეის მდგომარეობით, იურიდიულ წრეებში, აქტუალურად იხილება სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ ინიციატივით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების გატარების საჭიროება, რომლის საფუძველზე შესაძლებელი უნდა გახდეს სასამართლო მედიაციის შემთხვევაში მიღწეული სამედიაციო მორიგების იმავე წარმოებაში დადასტურება სასამართლოს მხრიდან მხარეთა შესაბამისი ნების არსებობის შემთხვევაში. კერძოდ, საუბარია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „დ[1]“ პუნქტის იმგვარ ტრანსფორმირებაზე, რომელიც სამედიაციო მორიგების დადგომას არა პირდაპირ წარმოების შეწყვეტად მიიჩნევს, არამედ, მხარეთა ასეთი შუამდგომლობის არსებობის შემთხვევაში, სამედიაციო მორიგების დამტკიცებით საქმის წარმოების შეწყვეტად, რაც გაცილებით ეფექტურს გახდის მედიაციის პროცესს და ამასთანავე მხარეებს დაუზოგავს დროს და ხარჯებს და არ იქნება საჭირო მიღწეული სამედიაციო მორიგების ახალი წარმოებით სასამართლოში შებრუნება დადასტურების მიზნებისთვის.

ფაზას და მხარეები მოქმედებენ საპროცესო კანონმდებლობით მათთვის გარანტირებული საპროცესო უფლება-მოვალეობებით სრულად[93] (კერძოდ, დააზუსტონ მორიგების პირობები, შეცვალონ, და აშ).

მსგავსი მიმართვის შემთხვევაში, როდესაც მოთხოვნილია მიღწეული შეთანხმების აღსრულების საკითხის სასამართლოს მხრიდან დადასტურება, სასამართლოს აქვს უფლებამოსილება ზეპირი მოსმენის გარეშე იმსჯელოს მხარეთა მიერ წარდგენილი შეთანხმების აღსრულების თაობაზე, ისევე როგორც სასამართლო უფლებამოსილია საკითხზე იმსჯელოს მხარეთა დასწრებით, თუ მსგავსი პროცედურა ხელს შეუწყობს სასამართლოს საქმის გარემოებათა გამოკვლევაში.

სამედიაციო პროცესში მიღწეული სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხის განხილვისას სასამართლომ უნდა შეისწავლოს წარდგენილი შეთანხმების შინაარსის აღსრულებადობის შესაძლებლობა და მისი შესაბამისობა კანონმდებლობისა და საჯარო წესრიგის მოთხოვნებთან, რის შედეგად სასამართლო უფლებამოსილია საკითხზე მიიღოს განჩინება აღსრულების თაობაზე, რომელიც საბოლოოა და არ დაექვემდებარება გასაჩივრებას (რა დროსაც მხარეს სასამართლოს განჩინებასთან ერთად გადაეცემა სააღსრულებო ფურცელი) ან წინააღმდეგ შემთხვევაში უარი თქვას მიღწეული შეთანხმების აღსრულების შესახებ, რაც დაექვემდებარება ერთჯერად გასაჩივრებას კერძო საჩივრის საშუალებით. აღნიშნული საკანონმდებლო სტანდარტი წარმოადგენს პროცესუალურ გარანტიას, სამოქალაქო დავის წარმოებისას, მხარეთა მიერ მიღწეული შეთანხმების ერთი მხრივ, რეალური აღსრულების, ხოლო მეორე მხრივ, შემოთავაზებული აღსრულების სტანდარტის დამკვიდრებით, მედიაციის, როგორც ეფექტური დავის რეგულირების მექანიზმის დანერგვისა საქართველოში.

---

[93] აღნიშნული ცვლილების პროექტის ინიციატორს უშუალოდ მე-13 მუხლის კომენტარის თანაავტორი პროფ. ირაკლი ყანდაშვილი წარმოადგენს. *ყანდაშვილი ი.,* მოლაპარაკება და წარმომადგენლობა მედიაციაში, გამომცემლობა „სეზანი“, თბ., 2023, 109.

გოგა კიკილაშვილი / ნინა გერსამია / თამარ იმნაიშვილი / ირაკლი ყანდაშვილი

მუხლი 13[1]. საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობა და აღსრულება

I. ზოგადი დებულებები 263
1.1. მიზანი და გამოყენების სფერო 263
1.2. კავშირი სხვა ნორმებთან 265
II. იძულებითი აღსრულების ქვემდებარე საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნება 267
III. საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობასა და აღსრულებაზე უფლებამოსილი ორგანო და პროცედურა 273

1. საერთაშორისო სამედიაციო მორიგების მხარეთა შეთანხმებით, იგი შეიძლება ცნოს და აღასრულოს სასამართლომ. საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობისა და აღსრულების უფლებამოსილების მქონე სასამართლოა საქართველოს უზენაესი სასამართლო.

2. საქართველოს უზენაესი სასამართლო საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობისა და აღსრულების საკითხს განიხილავს ამ კანონითა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესების შესაბამისად.

I. ზოგადი დებულებები

1.1. მიზანი და გამოყენების სფერო

განსახილველი ნორმა განსაზღვრავს საერთაშორისო სამედიაციო მორიგების საქართველოში აღსრულების სამართლებრივ საფუძვლებს, ადგენს ცნობისა და აღსრულების ზოგად წესს და განსაზღვრავს საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობასა და აღსრულებაზე უფლებამოსილ ორგანოს.

ნორმის მიზანია, უზრუნველყოს საერთაშორისო სამედიაციო მორიგების აღსრულებადობა საქართველოს ტერიტორიაზე, რათა დაიცვას მხარეები სამედიაციო თუ საპროცესო მოქმედების ხელახლა განხორციელებისგან და არსებული მორიგების საფუძველზე მიეცეთ შემდგომი მოქმედებების განხორციელების საშუალება.

მედიაციის, როგორც დავის გადაწყვეტის საშუალების ეფექტიანობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი კომპონენტი მისი უნივერსალური ბუნებაა, რაც მოდავე მხარეებს საშუალებას აძლევს მედიაციის შედეგად მიღწეული მორიგება აქციონ სხვა ქვეყანაში იძულებით აღსრულებას დაქვემდებარებულ დოკუმენტად დავის ამ ქვეყნის იურისდიქციის სფეროში წარმოების გარეშე.

სამედიაციო მორიგება, როგორც მხარეთა თანმხვედრი ნების შედეგად მიღწეული შეთანხმება, დუალისტური ბუნებისაა და შუალედურ ადგილს იკავებს ხელშეკრულებას და დავის განმხილველი ორგანოს მიერ მიღებულ გადაწვეტილებას შორის.[1] ეს ერთის მხრივ იცავს მხარეთა ინტერესს, რომ თავად უზრუნველყონ მისაღები პირობების შეთანხმების მიღწევა, და ამავდროულად, არსებობდეს უფრო ეფექტიანი მბოჭავი მექანიზმი, ვიდრე ეს იქნებოდა ხელშეკრულების შემთხვევაში.

იდეალურ სამყაროში სამედიაციო მორიგების იძულებით აღსრულების საკითხი საერთოდ არ უნდა დგებოდეს დღის წესრიგში,[2] თუმცა სამართლებრივი დავების კატეგორია შორსაა იდეალური სამყაროსგან და დავის არსებობის ფაქტიც სწორედ ამ შეუთანხმებლობით არის გამოწვეული. ევროპული დირექტივა მედიაციის შესახებ[3] ავალდებულებს წევრ ქვეყნებს, რათა მათ საკუთარ კანონმდებლობაში უზრუნველყონ წერილობით შედგენილი მედიაციის შეთანხმების აღ-

---

1 *Haris M.P.*, Enforcement of Mediation Settlement Agreements in the EU and the Need for Reform, Journal of Private International Law, Vol.16, Iss. 2, 2020, 295.

2 See *Steele, B.L.* Enforcing International Commercial mediation Agreements as Arbitral Awards Under the New York Convention, ULCA Law Review, Vol. 54, 2007, 1387.

3 Directive 2008/52/EC, of the European Parliament and of the Council, on Certain Aspects of Mediation in Civil and Commercial Matters, 21 May 2008.

სრულების შესაძლებლობა[4]. მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის სრულფასოვანი ალტერნატივა, არ უნდა გადაიქცეს მხარეთა კეთილ ნებაზე დამოკიდებულ ინსტრუმენტად და საჭიროებს აღსრულების რეალურ და ქმედითი მექანიზმების არსებობას.[5] ამავდროულად, საერთო ევროპული სტანდარტის მიხედვით, სამედიაციო მორიგების აღსრულების პროცედურული უზრუნველყოფა წევრი სახელმწიფოების დისკრეციული უფლებამოსილების სფეროს განეკუთვნება და თავად განსაზღვრავენ აღსრულების მექანიზმის ფორმასა და უფლებამოსილ ორგანოებს.[6] საერთო ევროპულ სივრცეში ერთ ქვეყანაში მიღწეული სამედიაციო მორიგების მეორე ქვეყანაში აღსრულება შედარებით უფრო მარტივი პროცედურაა, თუმცა განსხვავებული სამართლებრივი პლატფორმის სახელმწიფოებში საკითხი უფრო დიდ პროცედურულ ბარიერებთან არის დაკავშირებული.

განსახილველი ნორმა ქმნის სამართლებრივ საფუძველს, რომ მინიმუმამდე შემცირდეს პროცედურული ბარიერები საერთაშორისო სამედიაციო მორიგების აღსასრულებლად და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით (შემდგომში საპროცესო კოდექსი) დადგენილი წესით მოხდეს მისი ცნობა და აღსრულება.

1.2. კავშირი სხვა ნორმებთან

განსახილველი ნორმა კანონის მე-13 და მე-13[2] მუხლებთან ერთად ქმნის საქართველოში სამედიაციო მორიგების მატერიალურ-სამართლებრივ საფუძვლებს და შეიცავს მითითებას საერთაშორისო სამედიაციო მორიგების აღსრულების პროცესუალურ ნაწილზე, რომელიც თავის მხრივ მიუთითებს საერთაშორისო სამართლის შესაბამის ნორმებზე.

---

4 *ყანდაშვილი ი.,* მოლაპარაკება და წარმომადგენლობა მედიაციაში, გამომცემლობა „სეზანი“, თბ., 2023, 103.

5 Directive No. 2008/52/EC of the EuropeanParliament and the Council, 21 May, 2008, 19.

6 See *Sussman E.*, The Final Step: Issues in Enforcing the Mediation Settlement Agreement, Contemporary Issues in International Arbitration and Mediation: The Fordham Papers, 2008, 347.

საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობისა და აღსრულების საკითხს აწესრიგებს საპროცესო კოდექსის XLIV[16] თავი („მედიაციის შედეგად მიღწეული მორიგების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებების თაობაზე“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2019 წლის 7 აგვისტოს კონვენციის შესაბამისად დადებული საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობა და აღსრულება), უფრო კონკრეტულად კი, საპროცესო კოდექსის 363[43]-ე და 363[44]-ე მუხლები.

თავის მხრივ, საპროცესო კოდექსი მიუთითებს მედიაციის შედეგად მიღწეული მორიგების საერთაშორისო შეთანხმებების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის (შემდგომში **სინგაპურის კონვენცია)** შესაბამის ნორმებზე, რომლებიც ქვემოთ იქნება განხილული.[7]

აღსანიშნავია, რომ 2019 წლის 07 აგვისტოს საქართველო მედიაციის შესახებ გაერო-ს კონვენციას („სინგაპურის კონვენცია“) შეუერთდა,[8] რითაც კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა იმ მიზნისკენ, რომელიც რეგიონში საქართველოს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმების ცენტრად ჩამოყალიბებას უნდა შეუწყოს ხელი.[9]

კონვენციის მიზანი კომერციული და ვაჭრობასთან დაკავშირებულ დავებზე მედიაციის შედეგად მიღწეული მორიგების აღსრულებისთვის ერთიანი საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოს შექმნაა, რაც ხელს შეუწყობს მედიაციის, როგორც დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის განვითარებას. კონვენცია მხარეებს შესაძლებლობას აძლევს, მარტივად დაეყრდნონ და აღასრულონ მედიაციის შედეგად მიღწეული მორიგების ხელშეკრულებები კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებში, რაც ხელს უწყობს საერთაშორისო ვაჭრობისა და ბიზნესურთიერთობის განვითარებას და წაახალისებს მედია-

---

7 მედიაციის შედეგად მიღწეული მორიგების საერთაშორისო შეთანხმებების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია, No.14-26, 2021.

8 ოფიციალური ცერემონია გაიმართა 2019 წლის 07 აგვისტოს სინგაპურში.

9 *ყანდაშვილი ი.,* მედიაცია დავის გადაწყვეტის ეფექტური საშუალება, გამომცემლობა „სეზანი“, თბ., 2022, 285.

ციის გამოყენებას სავაჭრო და ბიზნეს დავების გადაწყვეტისას, როგორც დავების მოგვარების ალტერნატიულ საშუალებას.[10]

ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ კონვენციის რატიფიცირების შემდგომ მოქმედ კანონმდებლობაში გატარდა თანმდევი ცვლილებები, შედეგად საქართველოში სრულიად შესაძლებელი შეიქმნა კონვენციის წევრ ქვეყნებში მიღწეული საერთაშორისო სამედიაციო მორიგების აღსრულება განხორციელდეს, კერძოდ, :

- „მედიაციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლს დაემატა ორი პრიმა მუხლი,[11] რომლის თანახმად, გაიწერა რომ საერთაშორისო სამედიაციო მორიგება, თუ იქნება ამაზე მხარეთა შეთანხმება, შეიძლება ცნოს და აღასრულოს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, ისევე როგორც დეტალურად დარეგულირდა კანონით თუ რა ტიპის შეთანხმებები არ ექვემდებარება ცნობას და აღსრულებას საქართველოს უზენაესი სასამართლოს მხრიდან.[12]

- „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსს" დაემატა სპეციალური თავი, რომელმაც გაითვალისწინა „მედიაციის შედეგად მიღწეული მორიგების შესახებ საერთაშორისო შეთანხმების თაობაზე" გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2019 წლის 07 აგვისტოს კონვენციის (სინგაპურის კონვენცია) შესაბამისად დადებული საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობა და აღსრულების პროცედურა და ვადები საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ.[13]

II. იძულებითი აღსრულების ქვემდებარე საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნება

UNCITRAL მოდელური კანონი საერთაშორისო კომერციული მედიაციისა შესახებ[14] მიიჩნევდა მხარეთა მიერ მიღწეულ შეთანხმე-

---

10 *ყანდაშვილი ი.,* მედიაცია დავის გადაწყვეტის ეფექტური საშუალება, გამომცემლობა „სეზანი", თბ., 2022, 286.

11 იხ. „მედიაციის შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 13[1], მუხლი 13[2].

12 იხ. „მედიაციის შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 13[2].

13 *ყანდაშვილი ი.,* მედიაცია დავის გადაწყვეტის ეფექტური საშუალება, გამომცემლობა „სეზანი", თბ., 2022, 286.

14 UNCITRAL Model Law on International Commercial Conciliation, 2002. Article 14. Enforceability of settlement agreement

ბას აღსრულებად დოკუმენტად, თუმცა შეიცავდა დათქმას იმის თაობაზე, რომ ხელშემკვრელ სახელმწიფოს თავად განესაზღვრა აღსრულების ფორმა და პროცედურა. მოგვიანებით, უფრო მეტად დაიხვეწა, თუმცა სისტემურად იგივე მიდგომა შენარჩუნდა ე.წ. სინგაპურის კონვენციის მიღების შედეგად.

No.2008/52 დირექტივის ანალოგიურად, სინგაპურის კონვენცია არ ზღუდავს ხელშემკვრელ მხარეებს, რომ თავად განსაზღვრონ მორიგების ცნობასა და აღსრულებაზე უფლებამოსილი კომპეტენტური ორგანო.[15]

უშუალოდ საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობისა და აღსრულების პროცედურის განხილვამდე აუცილებელია, განისაზღვროს, საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნება და დადგინდეს, არის თუ არა ის სინგაპურის კონვენციით განსაზღვრული სამედიაციო მორიგების ცნების იდენტური.

კონვენციის მიზნებიდან გამომდინარე საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნების ქვეშ მოიაზრება მხოლოდ საერთაშორისო კომერციული დავიდან გამომდინარე სამედიაციო მორიგება, ამავე კონვენციით დადგენილი საერთაშორისო დავის კატეგორიის განმსაზღვრელი კრიტერიუმებით.[16]

მედიაციის შესახებ საქართველოს კანონი განსაზღვრავს მედიაციის ცნებას, რომლის მიხედვით, მედიაციად მიიჩნევა პროცესი, მისი სახელწოდების მიუხედავად, რომლის საშუალებითაც ორი ან რამდენიმე მხარე მედიატორის დახმარებით ცდილობს დავის ურთიერთშეთანხმებით დასრულებას, მიუხედავად იმისა, ეს პროცესი დაწყებულია მხარეთა ინიციატივით თუ კანონით გათვალისწინებუ-

---

If the parties conclude an agreement settling a dispute, that settlement agreement is binding and enforceable . . . [the enacting State may insert a description of the method of enforcing settlement agreements or refer to provisions governing such enforcement].

15 მედიაციის შედეგად მიღწეული მორიგების საერთაშორისო შეთანხმებების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია, #14-26, 2021, მე- 4 მუხლის პირველი პუნქტი.

16 მედიაციის შედეგად მიღწეული მორიგების საერთაშორისო შეთანხმებების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია, No. 14-26, 2021, პირველი მუხლი.

ლი საფუძვლითა და წესით.[17] ამავე ნორმით განისაზღვრება სამედიაციო მორიგების[18] და საერთაშორისო სამედიაციო მორიგების[19] განსხვავებული ცნებები. საპროცესო კოდექსი 363[42]-ე მუხლი[20] ასევე იმპერატიულად ადგენს, რომ საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნების ქვეშ მოიაზრება მედიაციის შედეგად მიღწეული მორიგების საერთაშორისო შეთანხმებების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციით განსაზღვრული შეთანხმება, კერძოდ, კომერციული დავის მოგვარების მიზნით მიღწეული და დადებული წერილობითი შეთანხმება, რომელიც, კონვენციის შესაბამისად, საერთაშორისო სამედიაციო შეთანხმებაა.

არსებული საკანონმდებლო მოწყობა წარმოშობს განმარტების საჭიროებას, სამედიაციო მორიგების ცნების ქვეშ უნდა მოვიაზროთ თუ არა ისეთი სამედიაციო მორიგება, რომელიც მიღწეულია სხვა ქვეყნის მედიატორთან, თუმცა თავისი შინაარსით არ წარმოადგენს კანონის მე-2 მუხლის „ი[1]“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საერთაშორისო სამედიაციო მორიგებას და ექვემდებარება თუ არა ამგვარი მორიგება საქართველოში იძულებით აღსრულებას. საუბარია შემთხვევაზე, როდესაც დღის წესრიგში დგება საქართველოს ფარგლებს გარეთ გაფორმებული სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხი, რომელიც არ წარმოადგენს სინგაპურის კონვენციით განსაზღვრულ მორიგებას, ანუ თავისი შინაარსით არის საერთაშორისო მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმება, მაგრამ არ არის კომერციულ დავაზე საერთაშორისო შეთანხმება. ამგვარი მო-

---

17 მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

18 სამედიაციო მორიგება – მედიაციის შედეგად დავის ურთიერთშეთანხმებით დასრულების შესახებ წერილობითი დოკუმენტი, რომლის შესრულება სავალდებულოა - მე-2 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი.

19 საერთაშორისო სამედიაციო მორიგება – კომერციული დავის მოგვარების მიზნით მიღწეული და დადებული წერილობითი შეთანხმება, რომელიც, „მედიაციის შედეგად მიღწეული მორიგების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებების თაობაზე“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2019 წლის 7 აგვისტოს კონვენციის შესაბამისად, საერთაშორისო შეთანხმებაა - მე-2 მუხლის „ი[1]“ ქვეპუნქტი.

20 საპროცესო კოდექსის 363[42]-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი.

ცემულობა შეიქმნება, როდესაც მხარე/მხარეები, ან/და დავის საგანი დაკავშირებულია საქართველოსთან.

საკითხთან დაკავშირებით შემდგომი მსჯელობის განხორციელებამდე უნდა აღინიშნოს, რომ ეს მხოლოდ თეორიული, სამეცნიერო დაშვებაა, რომელსაც შესაძლოა ჰქონდეს ხარვეზები არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს რიგი იმპერატიული დებულებებიდან გამომდინარე, თუმცა ალბათობა, რომ მსგავსი პრობლემა უახლოეს პერიოდში დადგება დღის წესრიგში, არსებობს და მიზანშეწონილია, თუნდაც ამ ეტაპზე თეორიული მნიშვნელობის მოსაზრების დაფიქსირება ვიდრე ჩამოყალიბდება შესაბამისი სასამართლო პრაქტიკა, ან განხორციელდება საკანონმდებლო ცვლილებები „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონსა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსში.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების და ევროინტეგრაციის პროცესების პარალელურად მოსალოდნელია ისეთი საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება, რომლებიც თავის შინაარსით არ წარმოადგენს კომერციული ხასიათის დავას, რომელთა გადაწყვეტა შესაძლოა, მოხდეს საქართველოს ფარგლებს გარეთ გაფორმებული სამედიაციო მორიგების გაფორმების გზით და დღის წესრიგში დადგეს მისი საქართველოში აღსრულების საჭიროება.

ამოსავალი სტანდარტი, რასაც ეფუძნება საერთო საკანონმდებლო სივრცეების არსებობა და რაც სულ უფრო მეტად ხდება თანამედროვე მსოფლიოსთვის დამახასიათებელი, არის ის, რომ სამყაროში, სადაც მიღებულია სამართლებრივი სიკეთეების და პირთა დაუბრკოლებელი გადაადგილება, ასევე დასაშვები უნდა იყოს შესაბამისი აღსრულებადი გადაწყვეტილებების გადადინება ურთიერთობის მონაწილე მხარეთა ინტერესების ოპტიმალური დაცვის მიზნით.[21] თუმცა, მეორეს მხრივ, ეს ყოველივე თავად სამედიაციო მორიგების სპეციფიკური ბუნების გათვალისწინებაც უნდა მოხდეს. ევროკავშირის ქვეყნებისთვისაც არ არის დამახასიათებელი ერ-

[21] აღნიშნული მიდგომის კონცეფცია ევროკავშირის და ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითზე იხ. *Brand R.A.*, The European Union's New Role in International Private Litigation, Loyola University Chicago International Law Review Vol. 2, Iss. 2, 2005, 280.

თგვაროვანი მიდგომა ისეთი ტიპის საერთაშორისო სამედიაციო მორიგებების ცნობისა და აღსრულების მიმართ, რომლებიც არ ექცევა საერთაშორისო კონვენციების რეგულირების სფეროში. მათი ცნობა და აღსრულების საკითხი დაკავშირებულის პროცესში ეროვნული სასამართლოს, ან/და სხვა უფლებამოსილი ორგანოს მონაწილეობაზე.[22]

სამწუხაროდ, არც „მედიაციის შესახებ" საქართველოს კანონი და არც სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ შეიცავს პირდაპირ რეგულაციას ზემოხსენებულ შემთხვევასთან დაკავშირებით, ამიტომ შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებამდე ნორმათა ინტერპრეტაციის და ანალოგიის გზით უნდა მოხდეს პრობლემის გადაწყვეტა.

საპროცესო კოდექსის 363[42]-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულია საერთაშორისო მედიაციის ცნება – პროცესი, მისი სახელწოდების მიუხედავად, რომელიც იმართება საქართველოს ფარგლების გარეთ და რომლის საშუალებითაც ორი ან რამდენიმე მხარე უცხო ქვეყნის მედიატორის დახმარებით ცდილობს დავის ურთიერთშეთანხმებით დასრულებას.[23] აღნიშნული დეფინიცია უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე სინგაპურის კონვენციით განსაზღვრული საერთაშორისო სამედიაციო მორიგება რომელიც უშუალოდ კომერციულ დავებზე მიღწეულ შეთანხმებას გულისხმობს, მაგრამ არ მოიცავს პირად, ან ქონებრივ, მაგრამ არაკომერციულ დავებს.

მხარეს/მხარეებს ზემოხსენებული არაკომერციული საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობისა და აღსრულების მიზნით სასამართლოსთვის მიმართვის უფლება არ აქვთ შეზღუდული, ამასთან, რეგულაციის არარსებობის გამო სასამართლო განცხადების განხილვაზე უარის თქმის უფლებაც არ აქვს, შესაბამისად, სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის

---

22 იხ. The Implementation of the Mediation Directive, Workshop Materials, European Union, 2016, 74.

23 საპროცესო კოდექსის 363[42]-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტი.

მე-2 ნაწილით განსაზღვრული კანონის ანალოგიის წესით.[24] ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ შეიცავს დათქმას სპეციალური ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმების ანალოგიის წესით გამოყენებაზე აკრძალვის თაობაზე. ამდენად, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ყველა ტიპის საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობასა და აღსრულებაზე უნდა მოხდეს ერთი და იგივე წესით. საპროცესო კოდექსის შესაბამისად.

საკითხთან დაკავშირებით სამწუხაროდ არანაირი სასამართლო პრაქტიკა არ არსებობს ქართულ სამართლებრივ სივრცეში, ამიტომ ზემოთ მოყვანილი მსჯელობის გამყარების მიზნით შესაძლებელია მხოლოდ მსგავსი შინაარსის განმარტებების მოშველიება საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებიდან. მაგ. საქმეზე No.ა-4897-შ-144-2023,[25] რომელიც შეეხებოდა უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობას და აღსრულებას, სამოქალაქო საპროცესო ნორმების ანალოგიის წესით გამოყენებასთან დაკავშირებით სასამართლომ განმარტა, რომ „სამოქალაქო საპროცესო კოდექსი პირდაპირ არ ითვალისწინებს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ შუამდგომლობის განმცხადებლის თხოვნით განუხილველად დატოვების შესაძლებლობას. გამომდინარე აქედან, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ უნდა იხელმძღვანე-

---

[24] თუ არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო ნორმა, რომელიც არეგულირებს სასამართლო წარმოების დროს წარმოშობილ ურთიერთობას, სასამართლო იყენებს საპროცესო სამართლის იმ ნორმას, რომელიც აწესრიგებს მსგავს ურთიერთობას (კანონის ანალოგია) - საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილი.

[25] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 15 დეკემბერის #ა-4897-შ-144-2023 გადაწყვეტილება.

ანალოგიურ მსჯელობას შეიცავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 20 ნოემბერის #ა-4468-შ-119-2023 (§15) და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 29 სექტემბრის #ას-917-2023 (§.12.3.4.) და მსგავსი ტიპის სხვა არაერთი გადაწყვეტილება და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლომ იხელმძღვანელა კანონის ანალოგიის გზით და განახორციელა შემდგომი საპროცესო მოქმედებები.

ლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის იმ ნორმებით რომლებიც არეგულირებენ სარჩელის გამოხმობის სამართლებრივ შედეგებს.”

საქმეზე No.ას-914-2023 საკასაციო სასამართლომ დამატებით განმარტა, რომ საპროცესო კოდექსით დადგენილი მოწესრიგება, რომელიც იმპერატიულად ადგენს ფორმალურ წესებს, სავალდებულოა არა მხოლოდ მხარეებისათვის, არამედ სასამართლოსათვისაც და ამ რეგულაციების შეცვლა ან განსხვავებული ინტერპრეტაცია მხარეთა ნებაზე ან სასამართლოს მიხედულებაზე ვერ იქნება დამოკიდებული.[26]

ასევე, ზოგადი პრინციპია, რომ სასამართლოს არ აქვს საქმისწარმოების განხორციელებაზე უარის თქმის უფლება იმაზე მითითებით, რომ არ არსებობს შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმა, შესაბამისად, კანონის, ან სამართლის ანალოგიის გზით და, საჭიროებისამებრ, საპროცესო ნორმების ანალოგიის პირობებში, სასამართლომ უნდა უზრუნველყოს სადავო საკითხის გადაწყვეტა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასაშვებია ვარაუდი, რომ სინგაპურის კონვენციის რეგულირების მიღმა არსებული საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობისა და აღსრულების შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ სასამართლომ სწორედ კანონის ანალოგიის გზით უნდა განაგრძოს საპროცესო მოქმედებები საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით და მიიღოს შესაბამისი განჩინება, რაღა სამედიაციო მორიგება არ დარჩეს აღუსრულებელი და არ შეილახოს მხარეთა კანონიერი ინტერესი.

III. საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობასა და აღსრულებაზე უფლებამოსილი ორგანო და პროცედურა

საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით საქართველოსთვის, როგორც ხელშემკვრელი სახელმწიფოსთვის მინიჭებული უფლება-

[26] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 12 სექტემბრის #ას-914-2023 გადაწყვეტილება, §39.

მოსილების ფარგლებში, საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობასა და აღსრულებაზე უფლებამოსილი ორგანოს და პროცედურის განსაზღვრა ქვეყნის კომპეტენციაა და ასეთ სუბიექტად განისაზღვრება საქართველოს უზენაესი სასამართლო.

„მედიაციის შესახებ" საქართველოს კანონთან ერთად საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობისა და აღსრულების საკითხს დეტალურად აწესრიგებს საპროცესო კოდექსის XLIV[16] თავი („მედიაციის შედეგად მიღწეული მორიგების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებების თაობაზე" გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2019 წლის 7 აგვისტოს კონვენციის შესაბამისად დადებული საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობა და აღსრულება), უფრო კონკრეტულად კი, საპროცესო კოდექსის 363[43]-ე და 363[44]-ე მუხლები.

ტერმინები „ცნობა" და „აღსრულება" ურთიერთდაკავშირებული სამართლებრივი მდგომარეობის გამომხატველია და ფაქტობრივად ერთიანი პროცესის ნაწილს წარმოადგენს.

სამართლებრივი აქტის/დოკუმენტის ცნობა გულისხმობს მის აღიარებას ქვეყნის მართლმსაჯულების ორგანოს ამ სახელმწიფოს იურისდიქციის სფეროში, რაც მას შესასრულებლად სავალდებულოდ აქცევს. ცნობის შედეგად უცხო ქვეყნის სამართლებრივი აქტი თუ სხვა დოკუმენტი თავისი იურიდიული ძალით უთანაბრდება იძულებით აღსრულებას დაქვემდებარებულ სხვა დოკუმენტებს.[27]

ცნობა და აღსრულება არ გულისხმობს მხოლოდ ფორმალურ პროცედურას უცხო ქვეყნის აქტის/დოკუმენტის ვალიდაციის მიზნით, არამედ ეს არის სახელმწიფოს მატერიალურ კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმება კომპეტენტური ორგანოს მიერ.

აღიარებულია, რომ საჯარო წესრიგთან გადაწყვეტილების შესაბამისობის საკითხი მოწმდება მოსამართლის მიერ.[28] ამავდროუ-

---

[27] იხ. *გოთუა ლ.*, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება, სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, 2010, 82.

[28] იხ. *გოთუა ლ.*, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება, სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, 2010, 62.

ლად, კანონით შეიძლება განსაზღვრული იყოს გარემოებები, რომელთა შემოწმება დამოკიდებულია განცხადების (შუამდგომლობის) ავტორის მიერ სასამართლოს წინაშე მათზე მითითებაზე. საერთაშორისო სამედიაციო მორიგებასთან მიმართებით ასეთი გარემოებები განსაზღვრულია 363[45]-ე მუხლით, ხოლო აღნიშნული ნორმის დანაწესის მიღმა საჯარო წესრიგთან შესაბამისობის საკითხს სასამართლო მხარის შუამდგომლობის გარეშეც შეაფასებს.

საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობას და აღსრულებას აქვს საქმისწარმოების სპეციალური წესი, რომელიც საპროცესო კოდექსით განისაზღვრება.

საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობისა და აღსრულების წინაპირობაა მორიგების ერთ-ერთი, ან ორივე მხარის მიერ შესაბამისი განცხადებით მიმართვა საქართველოს უზენაესი სასამართლოსთვის.[29] სსსკ-ის 363[43]-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს სასამართლოსთვის წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას, თუმცა, სასამართლო უფლებამოსილია საერთაშორისო სამედიაციო მორიგების მხარეებს დამატებით მოსთხოვოს ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, რომელსაც იგი ამ კოდექსისა და კონვენციის მოთხოვნათა შესრულების შესამოწმებლად საჭიროდ მიიჩნევს.[30] წარდგენილი დოკუმენტაციის სისრულეს ამოწმებს მისთვის საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობისა და აღსრულების შესახებ განცხადებით მიმართვიდან 5 დღის ვადაში. ამ ვადაში ხარვეზის დაუდგენლობის შემთხვევაში საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობისა და აღსრულების შესახებ განცხადება წარმოებაში მიღებულად ითვლება. სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის შეუვსებლობა განცხადების განსახილველად მიღებაზე უარის თქმის საფუძველია.

---

29 საპროცესო კოდექსის 363[43]-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

აღსანიშნავია, რომ 363[43] მუხლის მე-3 ნაწილში არის, ტერმინოლოგიური აღრევა, ტერმინი „განცხადების“ ნაცვლად ზოგჯერ გამოყენებულია ტერმინი „შუამდგომლობა“, თუმცა მოიაზრება სამედიაციო მორიგების მხარის/მარეთა განცხადება.

30 საპროცესო კოდექსის 363[43]-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

განცხადების განხილვას წინ უძღვის მეორე მხარისთვის მიმართვა საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობისა და აღსრულების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლების არსებობის შემოწმების მიზნით. საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობისა და აღსრულების შესახებ განცხადება მისი წარმოებაში მიღებიდან 5 დღის ვადაში ეგზავნება იმ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია შუამდგომლობა საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობისა და აღსრულების შესახებ. აღნიშნული მხარე უფლებამოსილია შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან 5 დღის ვადაში წარადგინოს განცხადება საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობისა და აღსრულების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლების არსებობის თაობაზე.

საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობასა და აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხი განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე, მაგრამ სასამართლო უფლებამოსილია საქმე ამავე ვადაში განიხილოს ზეპირი მოსმენით, თუ ეს ხელს შეუწყობს საქმის გარემოებათა გამორკვევას. საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის შემთხვევაში საერთაშორისო სამედიაციო მორიგების მხარეებს ეცნობება სასამართლო სხდომის ჩატარების დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს სასამართლოს მიერ საქმის განხილვას და საკითხის გადაწყვეტას.

სასამართლო საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობისა და აღსრულების შესახებ განცხადებას განიხილავს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლების არსებობის თაობაზე განცხადების წარდგენიდან ან საამისოდ განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლიდან 30 დღეში.

სასამართლო საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობისა და აღსრულების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს განჩინების ფორმით. საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობისა და აღსრულების შესახებ განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობისა და აღსრულების მექანიზმის მსგავსი პროცედურის არსებობა არ წარმოადგენს სიახლეს ქართულ საკანონმდებლო სივრცეში და უკვე არსებობს

ანალოგიური გამოცდილება საარბიტრაჟო გადაწყვეტის ცნობისა და აღსრულების წესთან მიმართებით. აღსანიშნავია, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება თავისთავად სამედიაციო მორიგებისგან თვისობრივად განსხვავებული დოკუმენტია, რომელიც თავისთავად აღსრულებადია და აღარ საჭიროებს მხარეთა დამატებით შეთანხმებას, თუმცა უცხო ქვეყნის ელემენტების არსებობის და დავის გადაწყვეტილს კონკრეტული საშუალების გამოყენების თაობაზე მხარეთა შეთანხმების თვალსაზრისით, მსგავს ინსტიტუტებთან გვაქვს საქმე. სწორედ ამ გამოცდილებით აიხსნება ცნობისა და აღსრულების იდენტური მექანიზმების არსებობა.[31] [32]

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების მექანიზმის შემოღება განაპირობა არბიტრაჟზე, როგორც მართლმსაჯულების სისტემისგან დამოუკიდებელ ინსტიტუციაზე, სასამართლო კონტროლის ბერკეტის არსებობის საჭიროებამ, რათა სახელმწიფოსგან სუვერენული ინსტიტუციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ დარჩენილიყო საჯარო წესრიგის მიღმა და არ გამოეწვია მხარეთა ლეგიტიმური ინტერესების შელახვა.

არანაკლები საფრთხის შემცველია სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხიც. სამედიაციო მორიგების გაფორმების დროს ნების ავტონომიის კომპონენტის დომინაცია არ გამორიცხავს საჯარო წესრიგთან შეუსაბამობისა და მორიგების აღუსრულებლობის რისკს, შესაბამისად, წარმოიშობა ობიექტური სამართლებრივი კონტროლის აუცილებლობა, რაც ბუნებრივად ვერ იქნება სხვა უწყე-

---

31 აღსანიშნავია, რომ უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ ნიუ იორკის 1959 წლის კონვენციაც ანალოგიურ მიდგომას ეფუძნება და არ ზღუდავს ხელშემკვრელ სახელმწიფოებს, რომ განსაზღვრონ უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების პროცედურა თავად ამ კონვენციით დადგენილი რიგი დათქმების გათვალისწინებით.

32 თავად სინგაპურის კონვენციაც ეფუძნება მიდგომას, რომ საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობა და აღსრულება უნდა მოხდეს იმავე პრინციპით, როგორც უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების – იხ. A Handbook on Singapore Convention on Mediation, The Singapore International Dispute Resolution Academy, 2021, §5.1.

ბის, თუ არა საერთო სასამართლოების სისტემის კომპეტენციის სფერო. უფლებამოსილი ინსტანცია განისაზღვრება თავად მორიგების ფორმიდან გამომდინარე ეფექტიანობისა და ლეგიტიმურობის კრიტერიუმების გათვალისწინებით. მაგ. საქართველოში კერძო მედიაციის შედეგად მიღწეული მორიგება აღსასრულებლად წარედგინება პირველი ინსტანციის სასამართლოს,[33] რაც უზრუნველყოფს მხარეთათვის სასამართლოს მაქსიმალურ ხელმისაწვდომობას, ისევე როგორც საკითხის სწრაფ და ეფექტიან განხილვას. იმის გათვალისწინებით, რომ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების განვითარება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია, მნიშვნელოვანია, რომ არა მხოლოდ მედიაციის პროცესი იყოს დავის მონაწილეთათვის მიმზიდველი, არამედ აღსრულების პროცედურაც იყოს მაქსიმალურად კომფორტული და ეფექტიანი.

როდესაც საქმე ეხება საერთაშორისო სამედიაციო მორიგებას, შემთხვევების ინტენსივობის და ლეგიტიმაციის უფრო მაღალი ხარისხის აუცილებლობის გათვალისწინებით, საჭიროა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რაც ამ შემთხვევაში საქართველოს უზენაესი სასამართლოა.[34]

---

33 იხ. საპროცესო კოდექსის 363[31]-ე მუხლი.

34 როგორც უკვე აღინიშნა, ანალოგიური მოდელი გამოიყენება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიმართაც, როდესაც საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით – საქართველოს უზენაესი სასამართლო, იხ. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტი.

უჩა თოდუა / ნინა გესამია / ირაკლი ყანდაშვილი /
თამარ იმნაიშვილი

მუხლი 13². საერთაშორისო სამედიაციო მორიგება, რომელიც ცნობასა და აღსრულებას არ ექვემდებარება

I. კანონი და კონვენცია..... 280
II. უწყებრივი ქვემდებარეობის საკითხი..... 282
III. გამოყენების წინაპირობები..... 284

1. ცნობასა და აღსრულებას არ ექვემდებარება საერთაშორისო სამედიაციო მორიგება, რომელიც:

ა) დადებულია იმ დავის მოსაგვარებლად, რომელიც წარმოიშვა საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ერთ-ერთი მხარის (მომხმარებლის) მიერ პირადი, საოჯახო ან საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის დადებული გარიგებიდან;

ბ) დადებულია იმ დავის მოსაგვარებლად, რომელიც გამომდინარეობს საოჯახო, მემკვიდრეობის ან შრომითი სამართლებრივი ურთიერთობებიდან;

გ) დაამტკიცა სასამართლომ ან დადებულია სასამართლოში მიმდინარე საქმისწარმოების დროს და ექვემდებარება აღსრულებას, როგორც სასამართლო გადაწყვეტილება, ამ გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს სახელმწიფოში;

დ) გაფორმებულია და ექვემდებარება აღსრულებას, როგორც საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.

2. ამ კანონითა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობისა და აღსრულების წესები გამოიყენება მხოლოდ იმ ფარგლებში, რომლებზედაც საერთაშორისო სამედიაციო მორიგების მხარეები შეთანხმდნენ.

3. ამ კანონითა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობისა და აღსრულების წესები არ გამოიყენება იმ საერთაშორისო სამედიაციო მორიგების მიმართ, რომლის ერთ-ერთი მხარეც არის სახელმწიფო ან ნებისმიერი სახელმწიფო უწყება ან ამ სახელმწიფო უწყების სახელით მოქმედი ნებისმიერი პირი.

I. კანონი და კონვენცია

განსახილველი მუხლი „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონს დაემატა 2021 წლის 22 ივნისის საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, მედიაციის შესახებ სინგაპურის კონვენციით დადგენილი წესრიგის კანონმდებლობაში ასახვის მიზნით.[1]

ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ კონვენციის რატიფიცირების შემდგომ მოქმედ კანონმდებლობაში გატარდა თანმდევი ცვლილებები, შედეგად საქართველოში სრულიად შესაძლებელი შეიქმნა კონვენციის წევრ ქვეყნებში მიღწეული საერთაშორისო სამედიაციო მორიგების აღსრულება განხორციელდეს, კერძოდ,

„მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლს დაემატა ორი პრიმა მუხლი[2], რომლის თანახმად გაიწერა რომ საერთაშორისო სამედიაციო მორიგება, თუ იქნება ამაზე მხარეთა შეთანხმება, შეიძლება ცნოს და აღასრულოს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, ისევე როგორც დეტალურად დარეგულირდა კანონით თუ რა ტიპის შეთანხმებები არ ექვემდებარება ცნობას და აღსრულებას საქართველოს უზენაესი სასამართლოს მხრიდან.[3]

„საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსს“ დაემატა სპეციალური თავი, რომელმაც გაითვალისწინა „მედიაციის შედეგად მიღწეული მორიგების შესახებ საერთაშორისო შეთანხმების

---

1 განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (www.parliament.ge, დოკუმენტის ნომერი: 667-IVმს-Xმპ).

2 იხ. „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 13^1, მუხლი 13^2

3 იხ. „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 13^2

თაობაზე“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2019 წლის 07 აგვისტოს კონვენციის (სინგაპურის კონვენცია) შესაბამისად დადებული საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობა და აღსრულების პროცედურა და ვადები საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ[4].

აღნიშნული ნოვაციით კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა იმ მიზნისკენ, რომელმაც რეგიონში საქართველოს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმების ცენტრად ჩამოყალიბებას უნდა შეუწყოს ხელი[5]

„მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13[2] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ” ქვეპუნქტები შინაარსობრივად შეესაბამება სინგაპურის კონვენციის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „a“ და „b“ ქვეპუნქტებს; მე-13[2] მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები – კონვენციის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის „a“ და „b“ ქვეპუნქტებს; მე-13[2] მუხლის მე-2 პუნქტი – კონვენციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „b“ ქვეპუნქტს და მე-13[2] მუხლის მე-3 პუნქტი – კონვენციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „a“ ქვეპუნქტს.

ვინაიდან მედიაციის შესახებ სინგაპურის კონვენციის რატიფიკაციამ გამოიწვია ცვლილება „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონში[6] და განსახილველი მუხლის პირველწყაროს სინგაპურის კონვენცია წარმოადგენს, კონვენციის ერთგვაროვანი განმარტებისა და იმპლემენტაციის მიზნით, მნიშვნელოვანია, რომ განსახილველი მუხლის ნორმები განიმარტოს კონვენციის შესაბამისი ნორმების საერთაშორისოდ მიღებული განმარტებების პრიზმაში. აღნიშნული თვალსაზრისით, ასევე, საგულისხმოა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363[42] -ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, იმ საკითხების მიმართ, რომლებიც საპროცესო კოდექსის შესაბამისი

---

4 *ყანდაშვილი ი.,* მედიაცია დავის გადაწყვეტის ეფექტური საშუალება, გამომცემლობა „სეზანი“, თბ., 2022, 86.

5 იქვე, 285.

6 „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-9 პუნქტი.

თავით და „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13[1] და მე-13[2] მუხლებით მოწესრიგებული არ არის, გამოიყენება კონვენციის დებულებები. ამდენად, განსახილველი მუხლისა და კონვენციის შესაბამისი ნორმების ერთმანეთისგან იზოლირებული განმარტება სამართლებრივად უმართებულო და პოტენციურად საზიანოც შეიძლება იყოს ნორმის სწორი ინტერპრეტაციისა და იმპლემენტაციისთვის.

II. უწყებრივი ქვემდებარეობის საკითხი

განსახილველი მუხლის განმარტებისთვის, პირველ რიგში, ყურადღება უნდა მივაქციოთ მუხლის სათაურს – „საერთაშორისო სამედიაციო მორიგება, რომელიც ცნობასა და აღსრულებას არ ექვემდებარება“. აღსანიშნავია, რომ საკანონმდებლო ცვლილებების იმავე პაკეტით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსს დაემატა 363[45]-ე მუხლი, რომლის სათაური არის: „საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობისა და აღსრულების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა“. ამდენად, „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13[2] მუხლი ადგენს, თუ რომელი საერთაშორისო სამედიაციო მორიგება არ ექვემდებარება ცნობასა და აღსრულებას, ხოლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363[45] -ე მუხლი – იმ შემთხვევებს, როდესაც სასამართლო უფლებამოსილია უარი თქვას საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობისა და აღსრულების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. მიუხედავად ეტიმოლოგიური მსგავსებისა, აღნიშნული ნორმები არ ავსებენ ერთმანეთს და მათში სხვადასხვა სამართლებრივი შედეგები არის აღწერილი.

პრეზუმირებული არის, რომ საკანონმდებლო ნორმის ყოველი სიტყვა უკავშირდება შედეგს *(ლათ. verba cum effectu accipienda sunt)*.[7] ამასთან, ჰარმონიული განმარტების იმპერატივია, რომ სამართლებრივმა ცნებამ შეინარჩუნოს მნიშვნელობა მიუხედავად იმისა, თუ რომელ კანონში არის ეს ცნება გამოყენებული.[8] განსახილველი

---

[7] *Scalia A., Garner B. A.,* Reading Law: The Interpretation of Legal Texts, 2012, 174.

[8] იქვე, 180-182.

ნორმის სათაური შეიცავს მითითებას ქვემდებარეობის სამართლებრივ ცნებაზე, რომელიც, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლიდან გამომდინარე, უნდა გავიგოთ სასამართლოებისადმი უწყებრივი ქვემდებარეობის საკითხად. ამდენად, თუ სახეზე იქნება „მედიაციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13[2] მუხლით დადგენილი რომელიმე შემთხვევა, აღნიშნული წარმოადგენს საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობისა და აღსრულების შესახებ შუამდგომლობის მიღებაზე უარის თქმის,[9] ხოლო მიღების შემთხვევაში, ამ შუამდგომლობაზე წარმოების შეწყვეტის საფუძველს,[10] განსხვავებით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363[45]-ე მუხლისგან, რომელიც არეგულირებს მიღებული და განხილული შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარი თქმის საფუძვლებს.

შემდეგი საკითხი არის ის, თუ, თუ ვინ უნდა მიუთითოს ნორმის დისპოზიციაში მოცემული შემთხვევის არსებობაზე. აღნიშნული თვალსაზრისით, ყურადღება უნდა მივაპყროთ ნორმის მიერ გამოყენებული დათქმების იმპერატიულობას („არ ექვემდებარება", „გამოიყენება", „არ გამოიყენება"). აღნიშნული იმპერატიულობა მიუთითებს ცნობისა და აღსრულების დაუშვებლობაზე, მიუხედავად იმისა, თუ რა პოზიციას იკავებენ საერთაშორისო სამედიაციო მორიგების მხარეები. ამასთან, განსახილველი მუხლის არცერთი ნორმა უთითებს ჩამოთვლილი საკითხების კვლევაზე მხარის ინიციატივით ან მისი შუამდგომლობის საფუძველზე. ერთმნიშვნელოვნად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ *განსახილველ ნორმაში მითითებული შემთხვევების არსებობას სასამართლო იკვლევს საკუთარი ინიციატივით (ლათ. ex officio) და აღნიშნული წარმოადგენს სასამართლოს*

---

9 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტი.

10 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ა" ქვეპუნქტი.

პროცესუალურ შესაგებელს.[11] ამ კონტექსტში, აღსანიშნავია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ფუნქციაში პირდაპირ შედის სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციის შემოწმება.[12]

III. გამოყენების წინაპირობები

13[2] I ა, ბ – განსახილველი მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების მიზანი არის განისაზღვროს, რომ ცნობასა და აღსრულებას ექვემდებარება მხოლოდ კომერციული (და არა სხვა კერძო ხასიათის) დავები.[13] მართალია „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები წარმოადგენენ ნეგატიურ სიას, თუმცა ის, რომ გამორიცხვის მიზანია კომერციული ურთიერთობების გამოკვეთა, გამომდინარეობს ამავე კანონის მე-2 მუხლის „ი[1]“ ქვეპუნქტში მითითებული საერთაშორისო სამედიაციო მორიგების მნიშვნელობის განმარტებიდან, სინგაპურის კონვენციის პრეამბულიდან და ამავე კონვენციის პირველი მუხლის პირველი პუნქტიდან.

კონვენციის ტექსტზე მუშაობის დროს არსებობდა ზოგადი შეთანხმება, რომ კონვენციის მოქმედების ჩარჩოდან გამოერიცხათ მორიგებები, რომლებშიც მომხმარებლები მონაწილეობდნენ და ამ გამონაკლისთა განსაზღვრისთვის გამოყენებული ყოფილიყო საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ გაეროს კონვენციის მე-2(a) მუხლის და სასამართლოს არჩევის შესახებ შეთანხმებების ჰააგის 2005 წლის 30 ივნისის კონვენციის მე-2 მუხლის მსგავსი ფორმულირებები.[14] ამ ნორმების დისპოზიცია-

---

[11] შეად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე #ას-1004-2023 (03.10. 2023, §74), განჩინება საქმეზე #ას-1181-2018 (§100, 18.02.2021).

[12] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

[13] საქართველოს იუსტიციის მინიტრის მოადგილის ბექა ძამაშვილის მოხსენება, I მოსმენა (www.parliament.ge, დოკუმენტის ნომერი: 667-IVმს-Xმპ).

[14] Report of Working Group II (Arbitration and Conciliation) on the work of its sixty-third session (Vienna, 7-11 September 2015), 9.

თა მსგავსება თვალსაჩინოა და აღნიშნული შესაძლებელია მხედველობაში იქნეს მიღებული მათი ერთგვაროვანი განმარტების თვალსაზრისით.

განსახილველ პუნქტებში მოცემულ ჩამონათვალზე სინგაპურის კონვენციის (და შესაბამისად, „მედიაციის შესახებ" საქართველოს კანონის) გამოყენების აკრძალვა გამოწვეულია ორი ფაქტორით. კერძოდ, კომერციული საკითხებზე ტრადიციულად ვრცელდება UNCITRAL-ის[15] მანდატი და არაკომერციული საკითხები უფრო ხშირია, რომ წინააღმდეგობაში მოვიდეს საჯარო პოლიტიკასთან (რომელიც სპეციფიკურია სამართლებრივი კულტურისა და ეროვნული გარემოებების გათვალისწინებით). ტერმინს „კომერციული" არ განმარტავს სინგაპურის კონვენცია (არც შესაბამისად, „მედიაციის შესახებ" საქართველოს კანონი), თუმცა იგი განმარტებულია UNCITRAL-ის მოდელური კანონის პირველი სქოლიოთი და აღნიშნული განმარტება შესაძლებელია გამოყენებული იქნეს იმ სახელმწიფოების მიერ, რომლებშიც კომერციული სამართლის ცალკე დარგი არ არსებობს.[16]

საერთაშორისო კომერციული მედიაციისა და მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმებების თაობაზე UNCITRAL-ის მოდელური კანონის[17] პირველი სქოლიოს თანახმად: *„ტერმინს „კომერციული" უნდა მიეცეს ფართო განმარტება, რათა მოიცვას საკითხები, რომლებიც წარმოიშობა კომერციული ხასიათის ყველა ურთიერთობიდან,*

---

15 The United Nations Commission on International Trade Law (გაეროს საერთაშორისო ვაჭრობის სამართლებრივი კომისია).

16 ALEXANDER, Nadja and CHONG, Shou Yu. An Introduction To The Singapore Convention On Mediation: Perspectives From Singapore (2018), Nederlands-Vlaams Tijdschrift voor Mediation en Conflictmanagement, 37-56.

17 UNCITRAL Model Law on International Commercial Mediation and International Settlement Agreements Resulting from Mediation. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის (UNCITRAL) მოდელური კანონი მითითებული სათაურით ჩამოყალიბდა 2018 წლის ცვლილებების შემდეგ. ცვლილებებამდე აღნიშნულ აქტს ეწოდებოდა საერთაშორისო კომერციული მედიაციის შესახებ მოდელური კანონი - Model Law on International Commercial Conciliation.

იქნება ეს სახელშეკრულებო, თუ არა. კომერციული ხასიათის ურთიერთობები მოიცავს, თუმცა არ არის შეზღუდული, შემდეგი ტრანზაქციებით: საქონლისა ან მომსახურების მიწოდების ან გაცვლის ნებისმიერი სავაჭრო ტრანზაქცია; დისტრიბუციის შეთანხმება; კომერციული წარმომადგენლობა ან შუამავლობა; ფაქტორინგი; ლიზინგი; სამშენებლო სამუშაოები; კონსალტინგი; ინჟინერია; ლიცენზირება; ინვესტიცია; საბანკო საქმე; დაზღვევა; ექსპლუატაციის შეთანხმება ან კონცესია; ერთობლივი საწარმო, ან ინდივიდუალური, ან ბიზნეს კოოპერაციის სხვა ფორმები; ტვირთის გადატანა ან მგზავრის გადაყვანა ზღვით, რკინიგზით, გზით ან საჰაერო ტრანსპორტით".

ცნება „კომერციულის" განმარტება UNCITRAL-ის მოდელური კანონში მითითებული განსაზღვრების მიხედვით სასურველია, ვინაიდან (1) ქვეყნების ნაწილმა მიიღო მოდელური კანონი; (2) არაკომერციული სამოქალაქო საკითხები შესაძლებელია დაექვემდებაროს საკმაოდ მრავალფეროვან და ლოკალიზებულ სამართლებრივ კულტურასა და წესებს, რაც ხელს არ შეუწყობს ცნობისა და აღსრულების ჰარმონიზაციას; (3) „კომერციულის" განსაზღვრების შენარჩუნება შესაბამისობაშია იმ განზრახვასთან, რომ განვითარდეს ნდობა საერთაშორისო ბიზნეს ურთიერთობებში და ხელი შეეწყოს საერთაშორისო ვაჭრობას.[18]

ზემოთ მოცემული ციტირების განზოგადებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „კომერციული" გულისხმობს საქონლის ან მომსახურების სასყიდლიან ტრანზაქციას, სამომხმარებლო სარჩულის გარეშე; განსახილველი პუნქტები კონვენციის და შესაბამისად, კანონის მოქმედების სფეროდან გარიცხავს გარიგებებს, რომლებშიც, კომერციული ინტერესის გარეშე, მონაწილეობს ფიზიკური პირი, როგორც მომხმარებელი.

13^2 გ, დ – „მედიაციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13^2 მუხლის პირველი პუნქტის „გ" და „დ" ქვეპუნქტებში მოცემული გა-

[18] *Chua E.,* The Singapore Convention on Mediation - A Brighter Future For Asian Dispute Resolution, Asian Journal of International Law, 2019, 3.

მონაკლისები გამოწვეულია იმით, რომ კანონმდებელს სურს თავიდან აირიდოს კოლიზია ცნობისა და აღსრულების წესებს შორის. კერძოდ, უცხოური სასამართლო და საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულების საკითხი მოწესრიგებულია სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტებით, როგორებიც არის „სასამართლოს არჩევის შესახებ შეთანხმებების“ ჰააგის 2005 წლის 30 ივნისის კონვენცია, „სამოქალაქო და კომერციულ დავებში უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ“ ჰააგის 2019 წლის 02 ივლისის კონვენცია და „უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ“ 1958 წლის 10 აპრილის ნიუ-იორკის კონვენცია. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ საერთაშორისო მედიაციაში მოსამართლის ან არბიტრის უბრალოდ მონაწილეობა არ ექცევა განსახილველი გამონაკლისების მოქმედების სფეროში.[19] ამ ორ შემთხვევას შორის გამიჯვნის ტესტი იმაში მდგომარეობს, რომ დადგინდეს, თუ რამდენად არის მორიგება დამტკიცებული სასამართლოს ან არბიტრაჟის მიერ. სასამართლოს ან არბიტრაჟის მიერ მორიგების დამტკიცების შემდეგ სახეზე იქნება არა საერთაშორისო სამედიაციო მორიგება, არამედ შესაბამისი სასამართლო ან საარბიტრაჟო დადგენილება, რომელიც სასამართლო ან საარბიტრაჟო აქტის აღსრულებისთვის დადგენილი წესით უნდა იქნეს ცნობილი და აღსრულებული.

13^2 II, III – სინგაპურის კონვენციის ხელმოწერისა და სავალდებულოდ აღიარების დროს, საქართველოს მიერ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, კონვენციით დაშვებული ორი დათქმის გაკეთება, რამდენადაც ისინი უზრუნველყოფს კონვენციით დადგენილი მექანიზმის დაბალანსებული გამოყენების შესაძლებლობას; ანუ, კონვენციის გამოყენება შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ მაშინ, როცა: (ა) კონვენციით გათვალისწინებული მექანიზმის გამოყენებაზე და მის ფარგლებზე მითითებულია კონკრეტულ მორიგების

[19] CHUA Eunice. The Singapore Convention On Mediation - A Brighter Future For Asian Dispute Resolution, Asian Journal of International Law, 2019, 3.

შეთანხმებაში; (ბ) ასევე, მხოლოდ კერძო პირების (რა არა სახელმწიფოს ან მისი რომელიმე უწყების) მონაწილეობით არსებულ სამართალურთიერთობასთან დაკავშირებით შედგენილ მორიგების შეთანხმებებზე.[20]

13² II – განსახილველი პუნქტის შინაარსთან მიმართებით კითხვას იწვევს შემდეგი სიტყვათშეთანხმება – „გამოიყენება მხოლოდ იმ ფარგლებში". კერძოდ, განმარტებას საჭიროებს, თუ რას მიემართება მხარეთა უფლება შეთანხმდნენ გამოყენების ფარგლებზე. აღნიშნული შესაძლებელია გულისხმობდეს (1) კანონის ნორმებს, (2) მედიაციის თაობაზე შეთანხმებას ან (3) საერთაშორისო სამედიაციო მორიგებას.

პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ, რომ „მედიაციის შესახებ" კანონით და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობისა და აღსრულების წესები არის არა კერძოსამართლებრივი, არამედ საჯაროსამართლებრივი ნორმები, არეგულირებენ რა, არა მხარეთა შორის ავტონომიურ ურთიერთობებს, არამედ სასამართლოს საქმიანობას საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობისა და აღსრულების პროცესში. შესაბამისად, „მედიაციის შესახებ" კანონითა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობისა და აღსრულების წესები არ არის დისპოზიციური ხასიათის და მათი მოქმედების პირობებში აკრძალული ყველაფერი, რაც ნებადართული არ არის. ამდენად, მხარეთა უფლება გამოყენების ფარგლების განსაზღვრაზე შეუძლებელია კანონს გულისხმობდეს.

განსახილველი პუნქტის სიტყვასიტყვითი განმარტებიდან გამომდინარე, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ ნორმა უთითებს საერთაშორისო სამედიაციო მორიგებაზე და არა მედი-

[20] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2020 წლის 13 ნოემბრის წერილი (www.parliament.ge, დოკუმენტის ნომერი: 667-IVმს-Xმპ).

აციის თაობაზე შეთანხმებაზე.[21] შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნორმაში გამოყენებული სიტყვათშეთანხმება – „გამოიყენება მხოლოდ იმ ფარგლებში“, მიემართება საერთაშორისო სამედიაციო მორიგებას. შესაბამისად, ნორმა უთითებს, რომ კანონი საერთაშორისო სამედიაციო მორიგების მხოლოდ იმ პირობებზე გავრცელდება, რომელზეც მხარეები პირდაპირ შეთანხმდებიან, რომ კანონი გავრცელდეს.

ზემოთ მოცემულ დასკვნას ამყარებს კონვენციის შესაბამისი ნორმის შემუშავებასთან დაკავშირებით წარმოებულ დისკუსიებში გამოთქმული მოსაზრებების ანალიზი. სამართლებრივი აქტის პროექტის სამუშაო დოკუმენტები (ფრ. travaux préparatoires) წარმოადგენს ამ აქტის განმარტების დამატებით წყაროს.[22] განსახილველი პუნქტის შემუშავების დროს გამოითქვა მოსაზრება, რომ არსებობს დისბალანსის საფრთხე იმ მხარეებს შორის, რომლებიც სხვადასხვა იურისდიქციას ექვემდებარებიან. კერძოდ, შესაძლებელია საერთაშორისო სამედიაციო მორიგება ერთ მხარის ქვეყანაში აღსრულებადი იყოს, და მეორე მხარის ქვეყანაში კი – არა.[23] მითითებული საფრთხე ნაწილობრივ აღმოიფხვრა იმით, რომ საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობისა და აღსრულების წესების გამოყენების ფარგლები განისაზღვრება მედიაციის ბოლო ეტაპზე – საერთაშორისო სამედიაციო მორიგების შედგენისას. ამის მიუხედავად, საფრთხე დარჩა იმ შემთხვევაში, როდესაც საერთაშორისო სამედიაციო მორიგება დუმს საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობისა და აღსრულების წესების გამოყენებაზე. ამდენად, საერთაშორისო სამედიაციო მორიგების შედგენის დროს, მხარეებმა უნდა გაითვალისწინონ სინგაპურის კონვენციის ამოქმედებას სჭირდება თუ არა აღნიშნულის მითითება მორიგებაში იმ ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით, სადაც ამ მორიგების ცნობა და აღსრულება უნდა მოხდეს.

---

21 შეად. „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „თ“, „ი“ და „ი[1]“ ქვეპუნქტები.

22 Article 32, Vienna Convention on the Law of Treaties, Vienna, 1969.

23 Report Of The Working Group On Dispute Settlement On The Work Of Its Sixty-Sixth Session (New York, 6-10 February 2017), A/CN.9/901.

ზემოთ მოცემული მსჯელობიდან გამომდინარე, „მედიაციის შესახებ“ კანონითა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობისა და აღსრულების წესებთან მიმართებით მოქმედებს ე.წ. „ამოქმედების“ (opt-in) და „გამორიცხვის“ (opt-out) მექანიზმი. ნორმის სიტყვასიტყვითი კონსტრუქციის მიხედვით („გამოიყენება მხოლოდ იმ ფარგლებში“), შეგვიძლია დავასკვნათ, რომ *საერთაშორისო სამედიაციო მორიგებასთან მიმართებით საქართველოში მოქმედი ცნობისა და აღსრულების წესების ამოქმედების (opt-in) ნება მხარეთა მიერ ერთობლივად და ექსპლიციტურად უნდა იყოს გამოხატული.*

13² III – განსახილველი პუნქტით გათვალისწინებული ნორმა იმპერატიული ხასიათისაა და გამორიცხავს სახელმწიფოსთან მიმართებით საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობისა და აღსრულების წესების გამოყენებას. საყურადღებოა, რომ ნორმის გამორიცხვა ეფუძნება არა მხოლოდ სუბიექტს, არამედ, ასევე, სუბიექტს ფუნქციური გაგებით. კერძოდ, საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობისა და აღსრულების წესების გამოყენება დაუშვებელია იმ კერძო პირთან მიმართებითაც, ვინც საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს ასრულებს.

დ ა ნ ა რ თ ი

მუხლი 14. საქართველოს მედიატორთა ასოციაციის შემადგენლობა და ფუნქციები, მედიატორთა ერთიანი რეესტრი

1. საქართველოს მედიატორთა ასოციაცია (შემდგომ – მედიატორთა ასოციაცია) არის ამ კანონის საფუძველზე შექმნილი, წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს მედიატორთა თვითრეგულირებას.

2. მედიატორთა ასოციაციაზე არ ვრცელდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლი.

3. მედიატორთა ასოციაციის წევრები არიან მედიატორთა ერთიან რეესტრში რეგისტრირებული მედიატორები.

4. მედიატორთა ერთიან რეესტრში შეიძლება რეგისტრირებულ იქნეს ქმედუნარიანი ფიზიკური პირი, რომელიც არ არის ნასამართლევი, რომელსაც მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამის შესაბამისად გავლილი აქვს მედიაციის/მედიატორის ტრენინგი და რომელიც ფლობს მედიატორთა ასოციაციის მიერ გაცემულ სერტიფიკატს.

5. მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამა უნდა ადგენდეს მედიაციის/მედიატორის ტრენინგის მინიმალურ სტანდარტებს და განსაზღვრავდეს აღნიშნული ტრენინგის შინაარსსა და ხანგრძლივობას, ტრენერთა კვალიფიკაციას, ტრენინგის გავლის შედეგად მიღებული ცოდნის შემოწმების წესს და ტრენინგთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამას ამტკიცებს მედიატორთა ასოციაცია.

6. მედიატორთა ასოციაციის თანხმობით, მედიაციის/მედიატორის ტრენინგის ორგანიზებისა და ჩატარების უფლება აქვს იმ დაწე-

სებულებას/ორგანიზაციას, რომლის მიერ შეთავაზებული მედიაციის/მედიატორის ტრენინგის სტანდარტი მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამით დადგენილ პირობებს აკმაყოფილებს. მედიატორთა ასოციაცია განსაზღვრავს იმ საერთაშორისო პროგრამების ჩამონათვალს, რომელთა მიერ შეთავაზებული/ჩატარებული მედიაციის/მედიატორის ტრენინგები მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამით დადგენილ პირობებს აკმაყოფილებს.

7. მედიატორთა ერთიანი რეესტრი ქვეყნდება მედიატორთა ასოციაციის ვებგვერდზე. იგი უნდა მოიცავდეს სულ მცირე შემდეგ მონაცემებს:

ა) მედიატორის სახელსა და გვარს;

ბ) მედიატორის დაბადების წელს;

გ) მედიატორის კვალიფიკაციას ან/და აკადემიურ სტატუსს;

დ) მედიტორის მედიატორთა ერთიან რეესტრში რეგისტრაციის თარიღს.

8. მედიატორთა ასოციაციის უმაღლესი ორგანოა მედიატორთა ასოციაციის საერთო კრება, რომელიც მედიატორთა ერთიან რეესტრში რეგისტრირებული მედიატორებისაგან შედგება. მედიატორთა ასოციაციის საერთო კრების მოწვევის პერიოდულობა, უფლებაუნარიანობა და საერთო კრების მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი განისაზღვრება მედიატორთა ასოციაციის წესდებით.

9. მედიატორთა ასოციაციის საერთო კრების ფუნქციებია:

ა) მედიატორთა ასოციაციის წესდების დამტკიცება და მასში ცვლილების შეტანა;

ბ) მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარის არჩევა და მისი თანამდებობიდან გათავისუფლება;

გ) მედიატორთა ასოციაციის წესდებით განსაზღვრული წესით მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს და, საჭიროების შემთხვევაში, მედიატორთა ასოციაციის სხვა ორგანოების ჩამოყალიბება;

დ) მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამის დამტკიცება;

ე) მედიატორთა ერთიან რეესტრში რეგისტრირებულ მედიატორთა ეთიკის ერთიანი სტანდარტის, აგრეთვე მათ მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელების წესის დამტკიცება;

ვ) მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს ყოველწლიური ანგარიშის მოსმენა;

ზ) მედიატორთა ასოციაციის ფიქსირებული ოდენობის საწევრო გადასახადის დაწესება.

10. მედიატორთა ასოციაციის საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები, მედიატორთა ასოციაციაში გაწევრიანებისა და მედიატორთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტის საფუძვლები და პირობები, აგრეთვე მედიატორთა ასოციაციის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება მედიატორთა ასოციაციის წესდებით.

მუხლი 15. მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო

1. მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო (შემდგომ – აღმასრულებელი საბჭო) უზრუნველყოფს მედიატორთა სერტიფიცირებას და მედიატორთა ერთიანი რეესტრის წარმოებას.

2. აღმასრულებელი საბჭოს ფუნქციებია:

ა) მედიატორთა ასოციაციის კოლეგიური წესით მართვა;

ბ) მედიატორთა ასოციაციის საშტატო ნუსხის დამტკიცება;

გ) მედიატორთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად ტრენინგებისა და საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა და განხორციელება;

დ) მედიაციის სფეროში დამკვიდრებული საუკეთესო პრაქტიკის საქართველოში დანერგვასა და განვითარებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება და მედიატორებისათვის გაცნობა;

ე) მედიაციის საყოველთაო ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა და ამ მიზნით შესაბამის სახელმწიფო ორგანოებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;

ვ) დაწესებულების/ორგანიზაციის მიერ შეთავაზებული მედიაციის/მედიატორის ტრენინგის სტანდარტის მიერ მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამით დადგენილი პირობების დაკმაყოფილების შემოწმება და მის ორგანიზებასა და ჩატარებაზე თანხმობის გაცემა;

ზ) იმ საერთაშორისო პროგრამების ჩამონათვალის განსაზღვრა, რომელთა მიერ შეთავაზებული/ჩატარებული მედიაციის/მედიატორის ტრენინგები მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამით დადგენილ პირობებს აკმაყოფილებს;

თ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში სასამართლო მედიაციის პროცესში მონაწილე მედიატორთა მიერ მედიატორთა ერთიან რეესტრში რეგისტრირებულ მედიატორთა ეთიკის ერთიანი სტანდარტის ერთგვაროვანი გამოყენების უზრუნველყოფა;

ი) მედიატორთა ერთიან რეესტრში რეგისტრირებული მედიატორის მიერ მედიატორთა ერთიან რეესტრში რეგისტრირებულ მედიატორთა ეთიკის ერთიანი სტანდარტის დარღვევის შემთხვევაში მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება და მედიატორისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება, თუ მედიატორთა ასოციაციის წესდებით შესაბამისი უფლებამოსილება სხვა ორგანოს არ აქვს დელეგირებული;

კ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში მედიატორის უფლებების დაცვა;

ლ) სასამართლო მედიაციის განვითარებისა და მედიაციის სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ ყოველწლიური ანგარიშის მომზადება და მედიატორთა ასოციაციის საერთო კრებისათვის წარდგენა.

3. აღმასრულებელი საბჭოს წევრთა საქმიანობა არ ანაზღაურდება.

4. აღმასრულებელი საბჭოს საქმიანობის ადმინისტრირებასა და ორგანიზაციულ და ანალიტიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს აღმასრულებელი საბჭოს სამდივნო.

5. აღმასრულებელი საბჭოს საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები, აგრეთვე აღმასრულებელი საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება მედიატორთა ასოციაციის წესდებით.

მუხლი 16. მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარე

1. მედიატორთა ასოციაციის საერთო კრება მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარეს ირჩევს 4 წლის ვადით მედიატორთა ასოციაციის წევრთაგან.

2. მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარე იმავდროულად არის აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე და წარმოადგენს მედიატორთა ასოციაციას.

მუხლი 17. მედიატორთა ასოციაციის დაფინანსების წყაროები

მედიატორთა ასოციაციის დაფინანსების წყაროებია:

ა) მედიატორთა ასოციაციის საწევრო გადასახადი;

ბ) გრანტები და შემოწირულებები;

გ) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

დ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;

ე) მედიატორთა ასოციაციის საქმიანობიდან მიღებული, საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

თავი IV
გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 18. გარდამავალი დებულებანი

1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2019 წლის 1 ოქტომბრამდე უზრუნველყოს მედიატორთა ერთიანი რეესტრის ფორმის დამტკიცება.

2. საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2019 წლის 1 დეკემბრამდე უზრუნველყოს მედიატორთა ერთიან რეესტრში იმ ქმედუნარიანი ფიზიკური პირის რეგისტრაცია, რომელიც არ არის ნასამართლევი, ფლობს არანაკლებ 40-საათიანი მედიაციის/მედიატორის ტრენინგის გავლის დამადასტურებელ დოკუმენტს და რომელსაც ამ კანონის ამოქმედებამდე ბოლო 2 წლის განმავლობაში სულ მცირე 1 სასამართლო მედიაცია აქვს წარმართული.

3. საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2019 წლის 15 დეკემბრამდე უზრუნველყოს მედიატორთა ერთიან რეესტრში რეგისტრირებულ პირთა პირველი კრების ჩატარება, რომელმაც უნდა დაამტკიცოს მედიატორთა ასოციაციის წესდება და აირჩიოს ამ კანონითა და აღნიშნული წესდებით განსაზღვრული ორგანოები და თანამდებობის პირები. პირველი კრება გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეთა უმრავლესობით. პირველი კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება მედიატორთა ერთიან რეესტრში რეგისტრირებულ პირთა ნახევარი მაინც. თუ პირველმა კრებამ ვერ მიიღო ამ პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილებები, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ პირველი კრების ჩატარების თარიღიდან 10 დღის ვადაში უზრუნველყოს მომდევნო კრების ჩატარება.

4. 2020 წლის 1 იანვრამდე დაწყებული მედიაცია დასრულდეს 2020 წლის 1 იანვრამდე არსებული წესით.

მუხლი 19. კანონის ამოქმედება

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი–მე-17 მუხლებისა და მე-18 მუხლის მე-4 პუნქტისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი–მე-17 მუხლები და მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი ამოქმედდეს 2020 წლის 1 იანვრიდან.